

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
:პაპა. ზ. შერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

კარლო კუცია

ამქრები XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში



„მეცნიერება“
თბილისი
1984

ნაშრომში შესწავლილია XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ამქრები. ირანის, თურქეთის, შუა აზიისა და სომხეთის პროფესიულ გაერთიანებებთან შედარების გზით ნაჩვენებია მათი თავისებურებები და აგრეთვე ის ზოგადი ნიშან-თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ზემოხსენებული ქვეყნების ქალაქების ამქრებისათვის.

დამატების სახით წიგნში დაბეჭდილია 27 ქართული და თარგმნილი დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების ამქრების ისტორიის სხვადასხვა მხარე.

რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი პ რ ო ფ. ვ. ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი

წინასიტყვაობა

ქართულმა ისტორიოგრაფიამ საქართველოს ფეოდალური ქალაქების ისტორიის შესწავლის საქმეში უკანასკნელ ხანს შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. შ. მესხიას, პ. გუგუშვილის, ვ. გაბაშვილის, ლ. ჭილაშვილის და სხვა მკვლევართა შრომებში გაშუქებულია შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება, ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობა, ქალაქების ტოპოგრაფია და ურბანისტიკის სხვა კარდინალური საკითხები. სათანადო ყურადღება დაეთმო აგრეთვე ამქრის, როგორც პროფესიული და სოციალური ფენომენის შესწავლასაც. განსაკუთრებით საინტერესო დაკვირვებები ეკუთვნის ამ მიმართულებით ცნობილ ქართველ ურბანისტს შ. მესხიას.

მაგრამ, მიუხედავად სერიოზული მიღწევებისა, საქართველოს ფეოდალური ქალაქების ისტორიის რიგი საკითხი კვლავაც მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას. საკითხთა ამ წრეს მიეკუთვნება ამქრის პრობლემაც.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად გააშუქოს XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების ამქრების ისტორიის უმთავრესი ასპექტები და აღმოსავლურ (ირანულ, თურქულ, შუაზიურ) და აგრეთვე სომხურ ამქრებთან შედარების გზით უჩვენოს ის ზოგადი მოვლენები, რაც აახლოებდა ქართულ ამქარს მათთან და გამოპყოს ის კონკრეტული ნიშან-თვისებები, რომლებიც მხოლოდ მისთვის იყო დამახასიათებელი და რომლითაც იგი განირჩეოდა აღმოსავლეთისა და სომხეთის გვიანი შუა საუკუნეების ქალაქების ანალოგიური ორგანიზაციებისაგან. აღნიშნული საკითხები განხილულია ნაშრომის პირველ ნაკვეთში.

მეორე მონაკვეთში კი თავმოყრილია XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრების ისტორიის ამსახველი მასალები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა სპეციალისტების მიერ. ამ თავში მოთავსებული მასალების ნაწილი თარგმნილია სომხური და სპარსული ენებიდან. აქვე მოცემულია

ირანის, თურქეთის, შუა აზიის და სომხეთის გვიანი ფეოდალური ხანის ქალაქების ამჟრული ორგანიზაციების ისტორიის დოკუმენტები (პირობის წიგნები, დალოცვის წიგნები, საშეგირდო ხელშეკრულებები და სხვ.). ეს დოკუმენტები, უეჭველად, მიიპყრობენ საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალური ქალაქების ისტორიის პრობლემებით დაინტერესებული მკვლევრების ყურადღებას.

ამჟამი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია

გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების პროფესიული ორგანიზაციები, ხელოსანთა, ვაჭართა და სხვა საქალაქო პროფესიათა ამქრები, წინარე ხანის ანალოგიურ გაერთიანებათა მემკვიდრეს წარმოადგენდნენ.

XVII—XVIII სს-ში მათ შედარებით ჩამოყალიბებული სახე მიიღეს. შემუშავდა ამქრის შინაგანი სტრუქტურა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი ადმინისტრაციული აპარატი, გაიკრვა ამქრის ურთიერთობა ქალაქის მმართველობასთან და ფეოდალურ ხელისუფლებასთან, გამოიკვეთა პროფესიული ორგანიზაციების საზოგადო ფუნქციები და მათი როლი და მნიშვნელობა ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამრიგად, აღებული ხანა და განსაკუთრებით XVII—XVIII სს-ები შეიძლება საქართველოს და აგრეთვე ირანის, თურქეთის და, საერთოდ, შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ამქრის განვითარების უმაღლეს წერტილად ჩაითვალოს. მაგრამ ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, ცარიელ ადგილზე არ მომხდარა. მას წინ უძღოდა რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, რომლებმაც განაპირობეს პროფესიული ორგანიზაციების ეს აღმავლობა-დაწინაურება. ამ ფაქტორებს შორის უნდა დავასახელოთ ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის და საქალაქო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება, საქალაქო ცხოვრების გართულება, ფეოდალური სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის შემდგომი სრულყოფა და ა. შ.

მაგრამ პროფესიული ორგანიზაციების ისეთ მნიშვნელოვან განვითარებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVII—XVIII სს-ში, ჩვენო აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოებასაც, რომ ადრე-ფეოდალურ ქალაქში, როგორც ირანის, ასევე საქართველოს სინამდვილეში, უკვე არსებობდნენ სხვადასხვა ტიპის სახელოსნო და სავაჭრო გაერთიანებები, რომელთა განვითარება-გართულებამ საბოლოოდ შექმნა XVII—XVIII სს-ის ამჟამი.

ადრე და განვითარებული ფეოდალური ხანის ქალაქის ამქრის ის-

ტორიის შესწავლა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს¹. მაგრამ აქ საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ამქარი იქმნებოდა ფეოდალურ ქალაქთან ერთად და მის პარალელურად ვითარდებოდა². განვითარების ! ხვდასხვა საფეხურზე მდგომი ხელოსნების, ვაჭრებისა და სხვა პროფესიათა გაერთიანებები ფეოდალური ქალაქის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ მისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე.

შუა საუკუნეების საქართველოში, ირანსა და მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისევე როგორც ევროპაში, ამქრის გაჩენა-ჩამოყალიბებას ანალოგიური მიზეზები ედო საფუძვლად. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ქალაქის წვრილ მწარმოებელთა, გარკვეული სახელოსნო პროდუქციის გამოშვებით დაკავებული ხელოსნების საერთო ინტერესები. ასეთივე საერთო ინტერესები ჰქონდათ ქალაქის ვაჭრებს, რომელნიც გარკვეული საქონლით ვაჭრობდნენ. ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ქვეყნის შინაგანი ბაზრის სისუსტე და სიფიწროვე უკარნახებდა ხელოსნებს და ვაჭრებს გაერთიანებულებად თავისი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ საკუთარი გაერთიანების, ორგანიზაციის შექმნით ხელოსნებს, ვაჭრებს და საზოგადოდ ქალაქის მშრომელებს შესაძლებლობა ეძლეოდათ უფრო ეფექტური წინააღმდეგობა გაეწიათ ფეოდალური ექსპლოატაციისათვის და ფეოდალური კლასის თვითნებობისათვის. დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი მეტად ნიშანდობლივი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა პროფესიული ორგანიზაციების გაჩენა-ფორმირებას შუა საუკუნეების შუა და მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქალაქებში. ეს იყო ფეოდალური ეპოქის საზოგადოებრივი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი სოციალურ-რელიგიური ჯგუფების კორპორატიულობა. ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებასთან ერთად IX—X საუკუნეებში მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში საყოველთაოდ ვრცელდება რელიგიურ-სოციალური დაჯგუფებები³, ე. წ. ასაბიები, რომელშიც ერთიანდებოდნენ ქალაქის სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები. საკუთარი ასაბიები ჰქონდათ თვით ქალაქის დეკლასირებული ფენების წიაღიდან გამოსულ „აიარუნებს“

¹ ირანისა და საქართველოს პროფესიული გაერთიანებები V—XV საუკუნეებში მოკლედ არის განხილული ჩვენს მონოგრაფიაში „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII საუკუნეებში“, თბ., 1976, გვ. 130—144.

² В. В. Стоклицкая-Терешкович, Проблема многообразия средневекового цеха на Западе и на Руси, «Средние века», вып. III, М., 1951, с. 79.

³ Claude Cahen, Mouvements populaires et autonomisme urbain dans l'Asie musulmane du Moyen Age, Leiden, 1959, გვ. 27—31, 39, 51.

ანუ მაწანწალებს და მოხეტიალეებს. ასეთ დაჯგუფებებში გაერთიანებული პირები ურთიერთსოლიდარობის გრძობით იყენენ შეკრულნი და წარმატებით იცავდნენ თავს ფეოდალური კლასის შემოტევებისაგან⁴. საესებით მართებულად შენიშნავს პროფ. ვ. გაბაშვილი, რომ ასაბიებში და სხვა გაერთიანებებსა და დაჯგუფებებში, რომელნიც არსებობდნენ აღმოსავლეთისა და საქართველოს ქალაქებში, „რელიგიური ნიშანი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, მაგრამ გაერთიანების მთავარ საფუძველს მაინც სოციალური ფაქტორი წარმოადგენდა. უკეთ რომ ვთქვათ, რელიგიური ნიშანი არ ჰფარავდა საქალაქო ორგანიზაციის სოციალურ შინაარსს“⁵.

ასაბიებში ფეოდალური ქალაქის მოსახლეობის სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებული იყვნენ ხელოსნებიც. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ასაბიაში თავმოყრილი ქალაქის უშუალო მწარმოებლები უფრო მკაფიოდ განსაზღვრავდნენ თავის სოციალურ, ეკონომიკურ და, თუ გნებავთ, პროფესიულ ინტერესებს და იწყებდნენ ბრძოლას ამ ინტერესების დასაცავად. ყოველივე ამას არ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი არ შეესრულებინა პროფესიული ორგანიზაციების, ხელოსნებისა და ვაჭრების, ისევე როგორც სხვა საქალაქო პროფესიების წარმომადგენელთა, ამქრების ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, ფეოდალური საზოგადოების შინაგანი სტრუქტურა. ხელოსან-ვაჭართა პროფესიული, ეკონომიკური თუ სოციალური ინტერესები და ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება-ფორმირება წარმოდგენდნენ იმ უმთავრეს ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს პროფესიული ორგანიზაციების შექმნა IX—X სს-ში როგორც ირანის, ასევე საქართველოს ქალაქებში⁶.

მაგრამ ფეოდალური ქალაქის არსებობის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი ამქარი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს XVII საუკუნეში, როდესაც საბოლოოდ გაფორმდა ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შედარებით ჩამოყალიბებული სახე მიიღო მისმა შინაგანმა წყობამ, ეკონომიკურმა და საზოგადოებრივმა ფუნქციებმა, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მისი მნიშვნელობა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყოველივე ეს, როგორც საქართველოში, ასევე ირანსა და თურქეთში, დაკავშირებული იყო საქალაქო

⁴ დაწერილებით ასაბიების შესახებ იხ.: ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის საქალაქო ორგანიზაციების ისტორიიდან (ასაბია), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 47—69.

⁵ იქვე, გვ. 49.

⁶ კ. ქუციია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს., თბ., 1976, გვ. 130—144.

ცხოვრების მნიშვნელოვან აღმავლობა-დაწინაურებასთან და ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის შექმნილ შედარებით ხელსაყრელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებთან.

XVII—XVIII საუკუნეებში პროფესიული ორგანიზაციები თითქმის საყოველთაოდ იყო გავრცელებული ირანის და თურქეთის ქალაქებში, როგორც მსხვილ ეკონომიკურ ცენტრებში, ასევე საშუალო და მცირე ქალაქებში. ასეთივე ვითარება იყო საქართველოშიც. აღებულ ხანაში, გარდა თბილისისა, ამქრები არსებობდნენ გორში, თელავში, ღუშეთსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციების აღსანიშნავად ირანში სხვადასხვა ტერმინები იყო გავრცელებული. IX—X საუკუნეებში ირანის ქალაქებში არსებულ ხელოსნურ ორგანიზაციებს „სინფს“ ან „ჰირფას“ უწოდებდნენ⁷. უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული იმავე მნიშვნელობით ტერმინი „ქარ“, რომელიც აშკარად „მუშაობასთან“ არის დაკავშირებული⁸. დასახელებული ტერმინების გარდა, როგორც ირკვევა, XI საუკუნის ირანში იხმარებოდა აგრეთვე „ყოუმი“ (ხალხი, ტომი, ჯგუფი) და „ჯენსი“ (გვარი, კლასი, ჯიში, რასა). ერთი და მეორეც ირანის სინამდვილესთან დაკავშირებით ნახმარია XI ს-ის ცნობილ სპარსულ დიდაქტიკურ ტრაქტატში „ყაბუს-ნამე“⁹. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამეში“ ბევრ ალმუყადასში ანუ იერუსალემში მოსაქმე ხელოსანთა „თითოეული ჯგუფი“ მოხსენიებულია ტერმინით „გორუმი“¹⁰, რომელიც აგრეთვე აღნიშნავს გარკვეული დარგის ხელოსნების გაერთიანებას, ხელოსნურ ორგანიზაციას.

„ყაბუს-ნამეს“ მასალა გვიდასტურებს იმასაც, რომ XI საუკუნის ირანის ქალაქებში არსებობდა მსხვილ ვაჭართა გაერთიანებები, რომელთაც ეწოდებოდა „ჰამბაზი“¹¹, რაც თანამოსაქმეობას, თანამოქმედებას უნდა ნიშნავდეს.

ერთი სიტყვით, IX—XI საუკუნეების ირანში გავრცელებული ჩანს რამდენიმე სიტყვა-ტერმინი (სინფ, ჰირფე, ყოუმი, ჯენს, ჰამბაზი...), სახელოსნო და სავაჭრო გაერთიანებების აღსანიშნავად. უკვე ეს

⁷ EJ, IV, Berlin, 1929, გვ. 468.

⁸ ვ. გაბაშვილი, ახლოაღმოსავლური ასნაფი; საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი 11, თბ., 1979, გვ. 4.

⁹ გვ. 134, 177—178, قابوس نامه، تهران، ۱۳۱۲ شمس.

¹⁰ ۱۳۴. سفرنامه ناصر خسرو علوی، تهران، ۱۳۴.

¹¹ გვ. 161, قابوس نامه; Кабус-наме, перевод, статья и примечания Е. Э. Бертельса, М., 1953, с. 137.

გარემოება უცილობელს ხდის პროფესიული ორგანიზაციების არსებობას ირანში ფეოდალური ქალაქების ჩამოყალიბების პირველივე საუკუნეების მანძილზე.

წყაროების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა შესაძლებლობას არ გვაძლევს დავადგინოთ პროფესიული ორგანიზაციების აღმნიშვნელი ტერმინები მომდევნო საუკუნეების მიმართებით. მაგრამ სავსებით გამართლებული იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ XII—XV საუკუნეებშიც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ზემოდასახელებული ტერმინები, პირველ რიგში კი „სინფი“, რომლის მრავლობითი რიცხვი „ასნაფ“ ხელოსნური გაერთიანების აღმნიშვნელ საყოველთაოდ გავრცელებულ სახელად იქცა XVII—XVIII საუკუნეების ირანში. თურქეთში, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში. მაგრამ მათ გარდა ჩნდება სხვა ტერმინებიც ამქრული ორგანიზაციების აღსანიშნავად, ერთ-ერთი ასეთ ტერმინთაგანი იყო „ჯამათი“ — კრება, საზოგადოება, ყრილობა. მაგალითად, XIII საუკუნის სამარყანდში დამოწმებულია „ყასბების ჯამათი“¹², ე. ი. ყასბების ამქარი. მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მსხვილი ვაჭრებისაგან შემდგარი კომპანიის აღსანიშნავად გავრცელდა ტერმინი „ურტალი“¹³. ეს თურქული წარმოშობის სიტყვა ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ერთად საქმიანობას“, „ერთობლივ საქმეს“, ტერმინოლოგიურად კი „ვაჭართა გაერთიანებას“¹⁴. ამ მნიშვნელობით ურტალი ცნობილი იყო XIII საუკუნის საქართველოში¹⁵.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ხანამდე ირანში გავრცელებული იყო რამდენიმე ტერმინი საქალაქო ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციების აღსანიშნავად. რაც შეეხება საქართველოს, ხელონური და სავაჭრო გაერთიანებების აღმნიშვნელ ტერმინს არ მოუღწევია XVI საუკუნემდე. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ასეთი ორგანიზაციები არ არსებობდა ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში, მათ არსებობას მოწმობს საქალაქო ცხოვრების განვითარება-აღმავლობა თუნდაც XI—XII საუკუნეებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის პროფესიული გაერთიანების აღსანიშნავად საქართველოში იხ-

¹² Рашид ад-дин, Джамн ат-таварих, III, Баку, 1957, с. 117, 479, 524, 536.

¹³ В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. I, с. 84.

¹⁴ V. Minorsky, Nasir ad-din Tusi of finance, Iranica; Hertford, 1964, 83, 84.

¹⁵ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 134; ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 77—84; ზ. შესხიას, ისეუ ამქრული ორგანიზაციის ისტორიის შესახებ (პროფ. ალ. ფიცხალაიშვილის შენიშვნების გამო), მიმოხილველი, II, თბ., 1951, გვ. 92—95.

მარებოდა ერთ-ერთი სპარსული ტერმინი ან რომელიმე ადგილობრივი, ქართული სიტყვა. მაგრამ ისტორიულმა წყაროებმა არ შემოგვინახეს ცნობები ამის შესახებ. „ურტალი“ ან „ორტალი“ ერთადერთი ტერმინია, რომელიც დამოწმებულია პროფესიული გაერთიანების, კონკრეტულად კი მსხვილი ვაჭრების კომპანიის, აღსანიშნავად საქართველოში XVI საუკუნემდე. შ. მესხია ფიქრობდა, რომ ამავე ხანაში ხელოსანთა ორგანიზაციების აღსანიშნავად საქართველოში იხმარებოდა საგანგებო ტერმინი „ოფიქალი“¹⁶. მაგრამ ეს თვალსაზრისი არ მაგრდება ისტორიული წყაროების მონაცემებით და მაინცდამაინც მტკიცედ დასაბუთებული არ ჩანს.

როგორც აღინიშნა, XVII საუკუნის ირანში საყოველთაოდ გავრცელდა ტერმინი „ასნაფი“ ქალაქის ხელოსნური ორგანიზაციების აღსანიშნავად. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ეს სიტყვა თურქეთშიც, სომხეთშიც (ესნაფუთიუნ) და სხვა ქვეყნებში.

საქართველოშიც, კერძოდ თბილისის ამქრული ორგანიზაციების აღსანიშნავად ეს ტერმინი ჩნდება XVII საუკუნეში. პირველად იგი დამოწმებულია 1682 წლით დათარიღებულ ეჩმიაწინის წარწერაში, რომელშიც ლაპარაკია თბილისის ასნაფების, ე. ი. ხელოსნური ორგანიზაციების ვალდებულეცენის შესახებ სომხური საეკლესიო ცენტრის მიმართ¹⁷. ისტორიული მასალიდან ირკვევა, რომ „ასნაფი“ იყო ძირითადი ტერმინი, რომელიც იხმარებოდა ხელოსნური და აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების აღსანიშნავად მთელი XVII—XVIII საუკუნეების მანძილზე.

მაგრამ ამ საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინის გვერდით XVII საუკუნის მეორე ნახევარში ირანში ჩნდება მისი სინონიმური შესატყვისი, სპარსული წარმომავლობის ტერმინი „ჰამქარი“, რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ერთად საქმიანობას“, „ერთად მუშაობას“. ეს ტერმინი ხელოსნური ორგანიზაციის მნიშვნელობით პირველად გვხვდება მოჰამედ თაჰერ ვაჰიდის თხზულებაში „აბასნამე“, სადაც მოთხრობილია ქალაქ ისფაჰანში, ჰასან-აბადის უბნის ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ. ისტორიკოსის ცნობით, ამ მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ ისფაჰანის „ჰამქარებიც“¹⁸. მაგრამ ახალმა ტერმინმა ვერ განდევნა „ასნაფი“. იგი რჩებოდა ძირითად ტერმინად, რომელიც იხმარებოდა ირანში ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციე-

¹⁶ Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тб., 1959, с. 323.

¹⁷ დ. Ա ի շ ա Ն, Այրարոտ, Վենիսիկ, 1890, გვ. 224.

¹⁸ 23. 260. ۱۳۲۹ ، عباس نامه ، تأليف محمد طاهر. وحيد قزوینی ، آرک ،

ბის აღსანიშნავად მთელი XVII—XVIII საუკუნეების განმავლობაში და უფრო გვიანაც.

საქართველოში „ჰამქარი“ „ამქრის“ ფორმით შეზოდის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ფართოდ ვრცელდება, მაგრამ არც „ასნაფი“ მისცემია დაეწეებას. იგი თვით XIX საუკუნის შუა წლებშიც იხმარებოდა თბილისის სინამდვილეში¹⁹. მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში „ამქარი“ საბოლოოდ ბატონდება საქართველოში და დევნის ტერმინ „ასნაფს“. ამ დროს როგორც აღმოსავლეთ. ისე დასავლეთ საქართველოში ხელოსნებისა და ვაჭრების აღსანიშნავად უკვე მხოლოდ ამქარი იხმარებოდა²⁰. „ესნაფი“ შეზორჩა მხოლოდ ქალაქ ახალციხეში, სადაც მოსახლეობდნენ თურქეთიდან გადმოსული სომეხი ხელოსნები.

XVII-XVIII საუკუნეებში ამქრული ორგანიზაციების აღსანიშნავად ზოგჯერ გამოიყენებოდა „თაბუნიც“. როგორც ჩანს, „თაბუნი“ უკავშირდება tabun-ს, რომლის ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა ხალხი, ჯოგი, ბრბო და ა. შ. ამ სიტყვამ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ტექნიკური მნიშვნელობა მიიღო და ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციების აღსანიშნავად იხმარებოდა. ასე იყო, მაგალითად, XVII საუკუნის თურქეთში.²¹ ეს გარემოება მხარს უმაგრებს იმ მოსაზრებას, რომ პროფესიული ორგანიზაციების აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი საქართველოში „თაბუნიც“ იყო, თუმცა თავისი გავრცელების მასშტაბებით იგი ვერც „ასნაფს“ და ვერც „ამქარს“ ვერ შეედრებოდა. ამასთანავე, „თაბუნი“ ხშირად იხმარებოდა ამქრის ნაწილის, ხელოსანთა ჯგუფის ცნების გამოსახატავად.²²

ამგვარად, გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოში პროფესიული ორგანიზაციების აღსანიშნავად უმთავრესად მაინც „ასნაფი“ იყო ცნობილი.

ამქარი წარმოადგენდა ფეოდალური ქალაქის ძირითად სოციალურ-პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც გაერთიანება ხდებოდა პროფესიული წიშნის საფუძველზე. ამიტომ ამქარში გაერთიანებული

¹⁹ მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ, თბ., 1948, გვ. 91; III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии..., с. 325.

²⁰ III. Месхиа, Города..., с. 325.

²¹ R. Mantran, Istanbul dans la seconde moitié du XVII siècle, Paris, 1962, გვ. 349—350.

²² III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 325, 327—328; ა. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტომი მეხუთე, თბ., 1962, გვ. 178.

იყვნენ ერთი გარკვეული ან ზოგჯერ მონათესავე დარგების ხელოსნები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები. ამქრის უმთავრეს მიზანს შეადგენდა თავისი წევრების ინტერესებისათვის ბრძოლა, ხელოსნური წარმოების ორგანიზაცია და მზა ნაწარმის გასაღება. ამავე დროს ამქრის ერთ-ერთი მიზანი იყო თავისი ხელოსნური დარგის თუ სხვა პროფესიის შემდგომი განვითარება-გაფართოება, ახალგაზრდა თაობისათვის ხელოსნური თუ სხვა პროფესიული ჩვევებისა და ტრადიციების გაზიარება (შეგირდის ინსტიტუტი) და რელიგიური ნორმების დაცვა-განმტკიცება მასში გაერთიანებულ ოსტატებსა და შეგირდებს შორის.

XVII საუკუნეში ამქრული ორგანიზაციები ფართოდ გავრცელდა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ამიერკავკასიაში. უპირატესად გავრცელებული იყო ხელოსნური ორგანიზაციები, მაგრამ მათ გარდა მსხვილ საქალაქო ცენტრებში წარმოდგენილი იყო სხვა პროფესიული გაერთიანებებიც. სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა თბილისური ამქრების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი პ. შანშიევი, რომ არა მარტო ხელოსნობა, არამედ ყველა სახის შრომა, რომელიც აპირობებდა საზოგადოების „მატერიალური ცხოვრების“ განვითარებას, „წარმოადგენდა ამქრის საფუძველს“²³. ეს მოვლენა დამახასიათებელი იყო საზოგადოდ ფეოდალური ქალაქის შინაგანი ბუნებისათვის და, რა თქმა უნდა, გამონაკლისს ამ თვალსაზრისით არც აღებული ხანის საქართველოს ქალაქები შეადგენდნენ.

ხელოსნური ამქრების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ვაჭართა გაერთიანებები. ჩვენ მხედველობაში გვყავს ქალაქში მოსაქმე საშუალო, უპირატესად კი წვრილი ვაჭრები, რადგან დიდვაჭრები, რომელნიც ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმული, მსხვილსავაჭრო კომპანიებს ქმნიდნენ. ასეთი ორგანიზაციების არსებობა დასტურდება როგორც საქართველოში, ასევე მის მეზობელ ქვეყნებში — თურქეთში, ირანსა და სხვ.²⁴.

XVII—XVIII საუკუნეებში თბილისის ამქრებს შორის მოხსენიებულია ბაყლების, ყასბების, ღვინის გამყიდველთა, ძვირფასი საქონლით მოვაჭრეთა, თევზის გამყიდველთა, ძველმანით მოვაჭრეთა და სხვა წვრილი ვაჭრების გაერთიანებები²⁵. XIX საუკუნის საქართველოს დედაქალაქში თავისი ამქრები ჰქონდათ რკინეულით მოვაჭრეებს,

23 П. Ш а н ш и е в, Два слова об амкаре, Тифлис, 1857, с. 14.

24 მაგალითად სავაჭრო კომპანიები ცნობილი იყო ირანში. ასეთ კომპანიებს მართავდნენ მელიქ ათ-თუქარები (ვაჭართა მთავრები, მეფენი) (ე. კუციია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 62—64).

25 Ш. М е с х и а. Города и городской строй феодальной Грузии, с. 326.

სირაჯებს, მეწვრილმანეებს, ბოსტნეულითა და ხილით მოვაჭრეებს, ქათმების გამყიდველებს²⁶. საგანგებო ამქრებში ერთიანდებოდნენ ალაფები ანუ ფქვილის, ქერის, ხორბლის, ბრინჯის და სხვა მარცვლეულის გამყიდველები. საკუთარი ორგანიზაცია ჰქონდათ აგრეთვე მაუღით მოვაჭრეებს²⁷. ე. ი. პრაქტიკულად ყველანაირი სახის საქონლით მოვაჭრენი ქმნიდნენ საკუთარ გაერთიანებებს გვიანი ხანის საქართველოს ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა კი თბილისში.

ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, სეფიანთა ირანის მსხვილ საქალაქო ცენტრებში არსებობდა საშუალო და წვრილი ვაჭრების ასნაფები. თურქეთში სხვადასხვა კატეგორიის ვაჭრები ხელოსნების ამქრების მსგავს გილდიებს ქმნიდნენ²⁸. საყურადღებოა, რომ თურქეთის მსხვილ ქალაქებში (სტამბოლი, ანკარა, ანდრიანოპოლი, ბრუსა, სმირნა, ქუთაჰია და სხვ.) ასნაფებში გაერთიანებული იყვნენ გლეხებიც კი, რომელნიც ვაჭრობდნენ მარცვლეულით, ცხიმით, ბოსტნეულითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით²⁹.

ცნობილი მკვლევარის ს. ელიაზაროვის დაკვირვებით, ვაჭართა ამქრები საქართველოს ქალაქებში თავისი შინაგანი სტრუქტურით არ განირჩეოდნენ ხელოსნური ორგანიზაციებისაგან³⁰. ეს დებულება თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ირანის, თურქეთის, სომხეთისა და სხვა ქვეყნების გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალურ ქალაქებზეც. ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანებების შინაგანი აღნაგობის ასეთი სიახლოვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ხელოსნური ამქარი თავისი ბუნებით და დანიშნულებით არ იყო წმიდა საწარმოო ორგანიზაცია. მას მკაფიოდ გამოხატული სავაჭრო ფუნქციებიც ჰქონდა. ამის მიზეზი კი იყო ის, რომ საქართველოშიც და შუა და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, მწარმოებელი, ე. ი. ხელოსანი იმავე დროს ვაჭარიც იყო³¹. აქედან გამომდინარე სავსებით ბუნებრივია, რომ ხელოსნურ ამქარში საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის დამა-

²⁶ АКАК, XI, с. 875; Закавказский край... Августа фон Гакстгаузена, СПб., 1857, с. 180.

²⁷ Сборник статистических сведений о Кавказе, ч. III, с. 89.

²⁸ Gyula Káldy - Nagy, Rural and urban life in the age of Sultan Suleiman, Acta Orientalia, 1978, გვ. 313.

²⁹ В. Гарбузова, Эвлия Челеби о стамбульских ювелирах XVII в., Гос. Эрмитаж, Труды отдела Востока, т. III, Л., 1940, с. 319.

³⁰ С. Егнazarов, Исследования по истории учреждений в Закавказье, ч. II, Городские цехи, Казань, 1891, с. 1.

³¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, Сочинения, т. 3, с. 23.

ხასიათებელი თვისებები იყო თავმოყრილი. იგი ფაქტიურად ცეხიც იყო (ხელოსნური ამქარი) და გილდიაც (საეპრო ორგანიზაცია). ხელოსნური ამქარის ასეთი ხასიათი გვირკვევს მისი შინაგანი სტრუქტურის სიახლოვის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იდენტურობის მიზეზს ვაჟართა გაერთიანებასთან.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს ქალაქებში, პირველ რიგში კი თბილისში, ხელოსან-ვაჟართა ფენის წარმომადგენლები გაერთიანებული იყვნენ საგანგებო საწარმოო და საეპრო ორგანიზაციებში. მაგრამ კორპორატიულობა იმდენად ფესვგადგმული იყო, რომ საგანგებო ამქრებს ქმნიდნენ ისეთი პროფესიის წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობა არ იყო დაკავშირებული არც ხელოსნურ წარმოებასთან და აღებშიცემობასთან და არც სოფლის მეურნეობასთან, ე. ი. ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებასთან. თბილისში თულუხჩები ანუ წყლის მზიდავეები, მტვირთავეები, მეურმეები, ქირით მომუშავენი, მკურნალები და სხვანი გაერთიანებული იყვნენ ამქრებში³². საკუთარი ამქარი ჰქონდათ ქალაქის მათხოვრებსაც.

ასეთივე სურათი იყო ირანისა და თურქეთის ქალაქებშიც. სეფიანთა ირანის დიდ საქალაქო ცენტრებში საკუთარი ორგანიზაციები ჰქონდათ ასასებს, მკურნალებს, წყლის მზიდავეებს, მოკრივეებს, ციგლიგებს, მოცეკვავეებს და ა. შ. ამქარში იყვნენ გაერთიანებული გზირებიც („ჯარჩი“), რომელნიც ქალაქში მოხელე-ხელისუფალთა ბრძანება-განკარგულებებსა და ახალ ამბებს აცხადებდნენ³³. გვიანი შუა საუკუნეების თურქეთის ქალაქებში არსებობდა ექიმების, მუსიკოსების, მიმებისა და მოცეკვავეთა ამქრები³⁴. მოცეკვავეთა, მოკრივეთა და მემუსიკეთა გაერთიანებები იყო XVII საუკუნის ქალაქ ერევანშიც³⁵. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი შუა აზიის ქალაქებშიც.

როგორც მოტანილი მასალა გვიჩვენებს, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებში ამქარში გაერთიანება ხდებოდა პროფესიული ნიშნის მიხედვით. ამიტომ თითოეულ ამქარში წარმოდგენილი იყვნენ ერთი რომელიმე გარკვეული დარგის ხელოსნები, ვაჭრები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები. თუმცა იყო გამონაკლისები, როდეს-

³² Ш. Месхиа, Города и городской строи феодальной Грузии, с. 327.

³³ Voyages du chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient, ed. par, L. Langles, Paris, 1811, v. V, გვ. 78—80.

³⁴ В. А. Гордлевский, Из истории цехов в Турции, К истории ахи. Академик В. А. Гордлевский, Избранные сочинения, т. I, М., 1960, с. 276, прим. 2; В. Гарбузова, Эвлия Челеби о стамбульских ювелирах XVII в., с. 319; R. Mantran, Istanbul dans la seconde moitié du XVII siècle, Paris, 1962, გვ. 357.

³⁵ Chardin, v. VII, გვ. 203.

საც ამქარში შედიოდნენ სხვადასხვა დარგების მიმდევარი ხელოსან-ვაჭრები. ეს მოვლენა უმთავრესად შეინიშნებოდა მცირე ქალაქებში. მაგალითად, ღუშეთში მხოლოდ ორი ამქარი არსებობდა: ხელოსნური და სავაჭრო. პირველში თავმოყრილი იყვნენ ქალაქის ყველა დარგის ხელოსნები და აგრეთვე არასაწარმოო სპეციალობათა წარმომადგენლები, მეორეში კი ღუშეთის ყველა ვაჭარი. ეს იყო ე. წ. რთული ამქარი, რომლის არსებობის კვალი აღმოსავლეთის ქვეყნების ქალაქებშიც შეინიშნება.

მაგრამ ამქარი მხოლოდ სოციალურ-პროფესიულ ორგანიზაციას არ წარმოადგენდა. იგი ტერიტორიული გაერთიანებაც იყო, რადგან მის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ხელოსნებისა და სხვა პროფესიების მიმდევრების ქალაქის ტერიტორიაზე განსახლების წესი, რომელიც უძველეს დროში შემუშავდა.

XVII—XVIII საუკუნეების თბილისში გარკვეული დარგის ხელოსნებს, ვაჭრებს და სხვა სპეციალობების წარმომადგენლებს ეჭირათ ქალაქის გარკვეული ნაწილი — უბანი, ქუჩა, მცირე ბაზარი, დიდი ბაზრის რიგი და სხვ. 1770 წლის თბილისის შესახებ კაპიტანი იაზიკოვი აღნიშნავდა, რომ ამ ქალაქში „ყოველგვარი ხელოსანი საკმაოდაა და ყოველ ხელობას ცალკე რიგი უჭირავს“³⁶.

ზოგიერთ შემთხვევაში ამქარს მიერ დაკავებული ტერიტორია მთლიანად ემთხვეოდა უბნის, ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის საზღვრებს. ასე იქმნებოდა სპეციალიზებული სახელოსნო და სავაჭრო უბნები, რიგები, ქუჩები თუ ქუჩაბანდები. ასეთი სპეციალიზებული ქალაქის ნაწილების არსებობა კარგად არის ასახული პირველწყაროებში. აღებული ხანის თბილისის უბნების, ქუჩებისა თუ რიგების ნომენკლატურაში დასახელებულია ხარაზ-ხანა (ხარაზების უბანი), სირაჯ-ხანა, მღვბავეების ქუჩა, ოქრომჭედელთა ქუჩა, ფეიქართა ქუჩა, ზარაფთა ქუჩა, ყასაბხანა (ყასბების რიგი), კონხანა (მეჭედელთა უბანი), ქუზხანა (მეჭოთნეთა უბანი) და მრავალი სხვა³⁷. თბილისში იყო რამდენიმე მცირე სპეციალიზებული ბაზარიც: მეზანდუქეთა ბაზარი, ოქრომჭედელთა ბაზარი³⁸ და ა. შ.

³⁶ პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტომი მეხუთე, გვ. 178.

³⁷ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წიგნი პირველი, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, გვ. 117, 129, 130, 131, 215, 282, 319, 320, 329, 330, 334, 339; მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, გვ. 52; III. М е с х и а, Города и городской стр о и т в Ф е о д а л и й с и й Г р у з и ი, с: 406.

³⁸ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 193, 194.

ამქრის წევრთა ქალაქის ტერიტორიაზე განსახლების აღნიშნული წესი თანაბრად დამახასიათებელი იყო ევროპისა³⁹ და აღმოსავლეთის ფეოდალური ქალაქისათვის.

სეფიანთა ირანის ქალაქებში, წყაროების მონაცემებით, არსებობდა მესპილენძეთა უბანი, ბაზაზების უბანი, მკედლების უბანი, ქვისმთლელთა ქუჩა, მეაგურეების ქუჩა, ფარების მკეთებელთა უბანი და სხვ⁴⁰. მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში — ისფაჰანში, თავრიზში, ყაზვინში, ქაშანში, შირაზში, ჰერათში და სხვა ქალაქებში ზოგჯერ ამქარში გაერთიანებული ხელოსნებისა და ვაჭრების ღუქან-სახელოსნოები განლაგებული იყვნენ ცალკეულ მცირე ბაზრებში. წყაროები ასახელებენ მექუდეთა ბაზარს, მეწაღეთა ბაზარს, მესპილენძეთა ბაზარს, წამლებითა და ნელსაცხებლებით მოვაჭრეთა ბაზარს⁴¹ და სხვ. აღნიშნული მცირე ბაზრები ერთდროულად წარმოადგენდნენ როგორც ხელოსნური წარმოების კონცენტრაციის, ასევე მზა პროდუქციის გასაღების ადგილს.

ზოგიერთ შემთხვევაში ხელოსანთა ან ვაჭართა გაერთიანებას ეჭირა დიდი ბაზრის ერთი ან რამდენიმე რიგი, ე. წ. „რასთა“⁴². ხელოსნების, ვაჭრების და სხვა პროფესიათა წარმომადგენლების ამქრების განსახლების ანალოგიური წესი ცნობილი იყო თურქეთის, შუა აზიის, სომხეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ქალაქებში, რომლებშიც ხელოსნურმა წარმოებამ და ალებშიცემობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია⁴³.

ქალაქის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში კომპაქტურ მასად დასახლება მრავალმხრივ ხელსაყრელი იყო ამქრის წევრებისათვის. თუ ფეოდალური ქალაქის ფორმირების ხანაში ხელოსან-ვაჭართა ერთად დასახლებას უმთავრესად კლასობრივი მიზანი ჰქონდა, რადგან ეს შესაძლებლობას აძლევდა მათ გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ ფეოდალური ექსპლოატაციისა და მსხვილ ფეოდალთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, დროთა განმავლობაში ისინი თანდათან მჭიდროდ და-

39 В. В. Стоклицкая-Терешкович, Основные проблемы средневекового города, М., 1960, с. 22.

40 კ. კუციია, ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, წ. 1, თბ., 1966, გვ. 74.

41 იქვე.

42 იქვე.

43 В. В. Бартольд, К истории Мерва, СПб., 1909, с. 22; А. М. Белецкий, Организация ремесла в Самарканде XV—XVI вв., Кратк. сообщения Института материальной культуры, VI, М.—Л., 1940, с. 40; В. В. Гарбузова, Эвлия Челеби о стамбульских ювелирах XVII в., с. 319; А. А. Семёнов, Рецепты оформления старинных восточных рукописей, Труды Тадж. филиала АН СССР, т. XXIX, 1951, с. 90.

უკავშირდნენ ერთმანეთს პროფესიული და ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისითაც. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ერთი დარგის ხელოსნების, ვაჭრების და სხვა პროფესიების მიმდევართა დაახლოება-შემკვიდროებას. ეს პროცესი სრულიად კანონზომიერად ამქრის, სოციალურ-პროფესიული გაერთიანებების შექმნა-ჩანოყალიბებით დასრულდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ხელოსან-ვაჭართა კომპაქტურ მასად განლაგება შესაძლებლობას აძლევდა ამქრის ადმინისტრაციას თვალყური ედევნებინა ამქრის წევრების საქმიანობასა და ზნეობისათვის, უფრო ადვილად ეხელმძღვანელა ამქრის შინაგანი ცხოვრებისათვის და მოეწესრიგებინა ამქრის ურთიერთობა ქალაქისა და სახელმწიფოს მოხელე-ხელისუფლებასთან.

ფეოდალურმა სახელმწიფომაც თავის სასარგებლოდ მეტად ეფექტურად გამოიყენა ამქრის განსახლების წესი, რადგან მას მნიშვნელოვნად გაუადვილდა ამქრის წევრების ყოველდღიური კონტროლი და მეთვალყურეობა. ცენტრალურ ხელისუფლებას და ფეოდალურ კლასს პროფესიული ორგანიზაციების მიმართ სოციალური და ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდათ. ამდენად ამქრების დამორჩილება მათი საშინაო პოლიტიკის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

ერთი სიტყვით, ამქრის წევრთა განსახლების წესი, რომელიც მათ სოციალურ, ეკონომიკურ და პროფესიულ მისწრაფებებს ესადაგებოდა, თანდათან ფეოდალური სახელმწიფოს მიერ მათი ექსპლოატაციისა და უმკაცრესი კონტროლის საშუალებად იქცა. რა თქმა უნდა, ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ფეოდალური ხელისუფლება არათუ აფერხებდა, არამედ ყველანაირად ცდილობდა, რომ ქალაქის ყველა ხელოსანი, ვაჭარი თუ სხვა საქალაქო პროფესიების წარმომადგენლები სათანადო ორგანიზაციებში გაერთიანებულნი ყვნენ.

ამ თვალსაზრისით XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ამქრები, შეიძლება ითქვას, ტიპოლოგიურად აღმოსავლეთის ქვეყნებისა და აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქალაქების პროფესიული ორგანიზაციების სრულ ანალოგს წარმოადგენდნენ.

მაგრამ გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრებს ისეთი დამახასიათებელი ნიშნებიც ჰქონდათ, რომლებითაც ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ მეზობელი ქვეყნების პროფესიული გაერთიანებებისაგან. ამ თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამქრის წევრთა სოციალური მდგომარეობა. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალური ურთიერთობის სტრუქტურისათვის უცხო იყო გლეხებისა და სხვა მშრომელების პირადი დამოკიდებულება ფეოდალებისადმი. დაბეგრული მოსახლეობა რო-

გორც სოფლად, ასევე ქალაქში, იურიდიულად სრულიად თავისუფალი იყო. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ისლამი არ სცნობდა პირად დამოკიდებულებას. ამდენად ირანში, თურქეთში და მუსლიმანური სამყაროს სხვა ქვეყნებში არ წარმოქმნილა ბატონყმობა. აღნიშნული ქვეყნების სოფლისა და ქალაქის დაბეგრული მოსახლეობა პირადი თავისუფლებით სარგებლობდა აქედან გამომდინარე ცხადია, რომ შუა და ახლო აღმოსავლეთის ფეოდალური ქალაქების ამქრებშიც გაერთიანებული იყვნენ პირადად თავისუფალი ხელოსნები, ვაჭრები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. ასეთივე ვითარება იყო სომხეთშიც.

რაც შეეხება საქართველოს, აქ XVII—XVIII საუკუნეებში ბატონყმური ურთიერთობა საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ქართული ფეოდალური ქალაქის სოციალური აღნაგობის უმთავრეს ნიშან-თვისებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ აქაც, სოფლის მსგავსად, მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ბატონყმობა და ქალაქის მოსახლეობის მომეტებულ ნაწილს იურიდიულად არათავისუფალი ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ⁴⁴. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ მეფის, ეკლესიისა და ცალკეული ფეოდალების კუთვნილი ყმა ხელოსნები, ვაჭრები და სხვა პროფესიების მიმდევარნი. დოკუმენტურ წყაროებში მოხსენიებული არიან ყმა ბაყლები, ფეიქრები, ყასბები, ქვითხურონი, ხარაზები, მეთუნეები, ნალბანდები, პურის მცხობელნი, მესანთლეები, მკედლები, მეურმეები და სხვა დარგების ხელოსნები⁴⁵.

სწორედ ეს იურიდიულად არათავისუფალი მშრომელები ქმნიდნენ ამქრულ ორგანიზაციებს გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში ამდენად, აღებული ეპოქის ქართული ამქრები ფაქტურად ყმა ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან შემდგარ კორპორაციას წარმოადგენდნენ. ამრიგად, სოციალურ პლანში ქართული ამქარი მკვეთრად უმიჯნებოდა ირანულ, თურქულ და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების პროფესიულ ორგანიზაციებს და მკაფიოდ ასახავდა ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურებას. ქართული და აღმოსავლური ამქრების სოციალური ბუნება, მათი წევრების იურიდიულ-უფლებრივი მდგომარეობის განსხვავება დამადასტურებელია იმ ფაქტისა, რომ

⁴⁴ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 212, 240—241, 256, 310; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 147; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტომი მეხუთე, გვ. 206.

⁴⁵ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 212, 240, 241, 256, 310; საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1920, გვ. 152; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 147.

პროფესიული ორგანიზაციები ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ნაყოფს წარმოადგენდა და თავისი ბუნებითა და ხასიათით ზედმიწევნით პასუხობდა ამ ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურებას და შინაარსს.

ქართული ამქრების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს მისი წევრების მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობაც. საქართველოს ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა კი თბილისში, გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლები: ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, სპარსელები და სხვ. უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის დამდეგს გაჩნდა რუსული და ევროპული მოსახლეობაც. მათი უმეტესი ნაწილი ხელოსნობისა და ვაჭრობის სხვადასხვა დარგებს მისდევდა. ერთსა და იმავე ამქარში, როგორც წესი, გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ხელოსნები და ვაჭრები⁴⁶. ამის მაჩვენებელია ავლაბრის ოქრომჭედელთა ამქრის სტატუტის ერთი ფრაგმენტი, რომელშიც ლაპარაკია შეგირდის ოსტატად დალოცვის შესახებ. მასში საგანგებოდაა აღნიშნული: „ეს მუხლი შეიცვლება თურქი (საერთოდ ყველა მუსლიმანი — კ. კ.) შეგირდის (ოსტატად) დალოცვის დროს“⁴⁷. ამრიგად, თბილისის ოქრომჭედლების გაერთიანებაში სომეხი და ქართველი ქრისტიანების გარდა შეიძლება ყოფილიყვნენ თურქი და სხვა მუსლიმანი შეგირდები და ოსტატები. ბარონ ა. ჰაქსთაუზენის დაკვირვებით, XIX საუკუნის შუა წლებში ქალაქ თბილისის ამქრებში ერთდროულად წარმოდგენილი იყვნენ ქართველები, სომხები და რუსები. მისივე ცნობით, ქართველი და სომეხი ხარაზების ამქრებთან მიწერილი იყვნენ გერმანელი ხელოსნებიც⁴⁸. გერმანელი მოგზაური აღნიშნავს საპირისპირო მოვლენას ერევანში. მისი ცნობით, ამ ქალაქში სომეხი და „თათარი“ ანუ მუსლიმანი ხელოსნები ქმნიდნენ ცალკეულ ამქრებს⁴⁹.

ეთნიკური და რელიგიური ნიშნის მიხედვით ქმნიდნენ თავიანთ ესნაფებს ხელოსნები XVII საუკუნის თურქეთის ქალაქებში. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ხელოსნური წარმოების ზოგიერთი დარგი უმთავრესად „თავმოყრილი იყო გარკვეულ ეთნიკური ჯგუფების ხელში“⁵⁰. ევლია ჩელების მონაცემებით, მაგალითად, ქუ-

⁴⁶ Ю. Ахвердов, Тифлиские амкары, Тифл., с. 12; С. Егназаров, Городские цехи, с. 46—49; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 330.

⁴⁷ L. d. s. j., I. Sijfik, 1898, მუხლი 11.

⁴⁸ А. Гакстгаузен, Закавказский край..., с. 105.

⁴⁹ იქვე, გვ. 165.

⁵⁰ Д. А. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции по «Сеяхат-наме» Эвлии Челеби, Экономическое развитие стран Ближнего и Сред-

ჩების მოკირწყვლას ძირითადად მისდევდნენ ალბანელები, მეკრაპიტე-ები და მღებავები იყვნენ სომხები, ქართველები და აფხაზები ცნობი-ლი იყვნენ, როგორც ლითონის ნივთების შესანიშნავი ჩამომსხმელები⁵¹ და ა. შ. ამრიგად შემუშავებული წესის თანახმად, თურქეთის ფეოდა-ლურ ქალაქებში ცალკეულ ესნაფებში ერთიანდებოდნენ არა მარტო პროფესიის ნიშნის საფუძველზე, არამედ ეთნიკური და სარწმუნოებ-რივი კუთვნილების მიხედვითაც. ეს იყო ზოგადი წესი, მაგრამ ზოგი-ერთ შემთხვევაში იგი ირღვეოდა და მუსლიმანები და სხვა რელიგიე-ბის მიმდევრები შედიოდნენ ერთსა და იმავე ორგანიზაციებში. მაგა-ლითად, სტამბოლის ხომალდმშენებელთა ესნაფში გაერთიანებული იყვნენ მუსლიმანი, მართლმადიდებელი და კათოლიკე ხელოსნები⁵².

თუმცა XVII—XVIII საუკუნეების ირანის ფეოდალური ქალაქე-ბის ისტორიის ამსახველი მასალები პირდაპირ არაფერს ამბობენ ამ-ქრების წევრთა ეთნიკურ-რელიგიური კუთვნილების თაობაზე, მაგრამ ირანის ქალაქის სოციალური აღნაგობა და ბუნება გვაფიქრებინებს, რომ აქაც ის პრინციპი უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული, რომელიც თურქეთის ქალაქებში მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ამქართა უდიდესი ნაწილი ეროვნებით სპარსელებისა და სარწმუნოებით მუსლიმანი წევრებისაგან შედგებოდა. მაგრამ საეარაუდოა, რომ მათ გვერდით ქრისტიანი და სხვა სარწმუნოების ხელოსანთა პროფესიული გაერთიანებებიც არსებობდა. ამისი მტკიცების უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ სეფიანთა ირანის ქალაქებში შესამჩნევი რაოდენო-ბით იყვნენ სომეხი, აზერბაიჯანელი, ებრაელი, ინდოელი და ლებრი ხელოსნები და ვაჭრები, რომლებსაც, გამორიცხული არაა, რომ თავი-სი ორგანიზაციები ჰქონდათ, თუმცა მათი ნაწილი, ისევე როგორც სპარსელ ხელოსან-ვაჭართა გარკვეული ოდენობა, ფეოდალური ქალა-ქის ერთპიროვნულ მწარმოებელთა და ვაჭართა ფენას ავსებდა.

როგორც ვხედავთ, ქართული ამქარი ეთნიკურ-სარწმუნოებრივი აღნაგობის თვალსაზრისითაც სრული თვითმყოფადობით გამოირჩეოდა და განსხვავდებოდა მეზობელი ქვეყნების ანალოგიური ორგანიზაციე-ბისაგან. თავისთავად ცხადია, რომ სხვადასხვა ეროვნებებისა და რელი-გიის წარმომადგენელთა ერთ ორგანიზაციაში თავმოყრა სრულიადაც არ გამომდინარეობდა ქართული ამქარის დემოკრატიულობიდან, რო-

него Востока, М., 1975, с. 52; G. Baer, Monopolies and restrictive practices of Turkish guilds, Journal of the Economic and Social History of the Orient, v XIII, part. II, Leiden, pp. 157.

⁵¹ Д. А. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции..., с. 58.

⁵² იქვე, გვ. 52.

გორც ამას სამართლიანად აღნიშნავდა შ. მესხია. თითოეული ამქრის მთავარ ეკონომიკურ მიზანს ყოველგვარი შესაძლებელი კონკურენციის თავიდან აცილება შეადგენდა. ამიტომ იგი ცდილობდა თავის რიგებში მიეღო თავის დარგის ყველა ხელოსანი, განურჩევლად მისი ეროვნულ-რელიგიური კუთვნილებისა. ამავე ეკონომიკური დაინტერესებით აიხსნება ის ჩვეულება, რომელიც შემუშავდა საქართველოს ქალაქებში სოფლიდან სავაჭროდ მოსული გლეხებისა და აგრეთვე ხელოსნების მიმართ. ირკვევა, რომ თბილისსა და გორში სოფლიდან ქალაქში დროებით ჩამოსული ხელოსნები და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოვაჭრე გლეხები იძულებული იყვნენ შესულიყვნენ ადგილობრივ ამქრებში, რომლის წევრებადაც ისინი სოფელში დაბრუნების შემდეგაც ითვლებოდნენ⁵³.

ამრიგად, ქართული ამქარი ყოველნაირად ცდილობდა კონკურენციის აღკვეთას ერთპიროვნულ ხელოსან-ვაჭართა მხრიდან, რადგან საშინაო ალემბმცემობის სუსტი განვითარების პირობებში ეს კონკურენცია შესამჩნევად აზარალებდა და აქვეითებდა მის ეკონომიკურ მდგომარეობას. რასაკვირველია, კონკურენციას ერთპიროვნულ ვაჭარ-მწარმოებელთა და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის ადგილი ჰქონდა ალბებული ხანის ირანისა და თურქეთის ქალაქებშიც. მაგრამ აქაური ამქრები ეკონომიკურად უფრო წელმაგარნი იყვნენ და ამიტომ ისინი არ ისახავდნენ მიზნად თავისი დარგის ყველა ხელოსნისა თუ ვაჭრის მიზიდვას თავის რიგებში, მით უმეტეს, თუ ისინი სხვა ეროვნებისა და სხვა სარწმუნოებისა იყვნენ. როგორც დაეინახეთ, აქ უცხო ტომისა და რელიგიის წარმომადგენლები ან ქალაქის ერთპიროვნულ ხელოსან-ვაჭართა ფენაში შედიოდნენ, ანდა საკუთარ ამქრებს ქმნიდნენ.

53 Ш. М е с х и а, Города и городской струй..., с. 332.

ამქრის შემადგენლობა

გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრული ორგანიზაციების სრულფლებიან წევრებად ოსტატები ითვლებოდნენ. ასე იყო ყველა ქვეყნის ფეოდალურ ქალაქში და ეს საესებით კანონ-ზომიერი მოვლენაა, რადგან ოსტატი ნებისმიერი ამქრის ძირითად საწარმოო ფიგურას წარმოადგენდა, რომლის გაწაფულობა-დახელოვნებაზე და შრომისუნარიანობაზე დამოკიდებული იყო ამქრის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი კეთილდღეობა. ამავე დროს ოსტატები იხდიდნენ იმ გადასახადებს, რომელსაც ფეოდალური სახელმწიფო აწესებდა თითოეულ პროფესიულ გაერთიანებაზე.

XVII—XVIII საუკუნეების ქართული ამქარი საკმაოდ სტაბილურ, შინაგანად ჩამოყალიბებულ, საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ადათ-წესების საფუძველზე მოქმედ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ამქრის ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი გათვალისწინებული იყო წეს-ჩვეულებებით და, რასაკვირველია, ოსტატების ყოველდღიური ცხოვრება-საქმიანობა მათ საფუძველზე წარიმართებოდა. ტრადიციამ შეიმუშავა მთელი კომპლექსი ოსტატების პროფესიული და ზნეობრივი ქცევებისა, რომლის დარღვევა-დაუმორჩილებლობა სათანადოდ ისჯებოდა ამქრის ადმინისტრაციის მიერ.

ოსტატი-ხელოსნის პროფესიულ-ზნეობრივი კოდექსის უპირველეს მოთხოვნას მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადება წარმოადგენდა. „საქმის ერთგულება“, ე. ი. თავისი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულება. უზადო ხელოსნური ნაწარმის დამზადება ყველა ოსტატის მიერ მიზნად ისახავდა ამქრის დამკვეთებისა და მუშტრატების შენარჩუნება-გამრავლებას. ეს კი ძირითადი ფაქტორი იყო ამქრის ეკონომიკის განმტკიცება-განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, საესებით გასაგებია, თუ რატომ ისჯებოდა ასე მკაცრად უხარისხო საქონლის გამომშვები ყველა ოსტატი-ხელოსანი. 1875 წლით დათარიღებული ახალციხის მეწაღე-ხელოსანთა დალოცვის წიგნში ნათ-

ქვამია: „ოსტატს უხარისხო ნახელავისათვის მოვალენი ვართ სასჯელი გამოეუტანოთ, ისევე როგორც კაცის მკვლელობას სჯის კანონი“¹.

ხელოსნის პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების საგანიც იყო. ვახტანგ VI სამართლის კოდექსის, ე. წ. „ბერძნული სამართლის“ ერთი განყოფილება („ხელოსანთათვის“) საგანგებოდ ხელოსნის მუშაობას ეძღვნება. მასში გათვალისწინებულია სასჯელი, რომელიც მიესჯებოდა ხელოსანს, თუ მისი ნახელავი უხარისხო გამოდგებოდა. დამნაშავე პირი, აღნიშნული სამართლის თანახმად, ვალდებული იყო „თავის ხარჯზე“ ხელმეორედ შეესრულებინა დაკვეთა. მაგალითად, ბერძნული სამართლის 345-ე მუხლი მოითხოვს: „ვინცაჲინ კალატოზი აშენებდეს კედელსა, კამარებსა, მათ ესრეთ ნებავს, რათა კარგად გასინჯონ, რომე სახლისა ან კედლის საძირკველი სუსტად არ დაუდვან, კედელი მრუდედ და უშვერად არ ააშენონ. უკეთუ ათს წელიწადს შუა ძრვა რომ არ იყოს, ისე კედელი და კამარა დაიქცეს, იმ ოსტატებმა მეორედ ააშენონ თავისის ხარჯითა“². ამრიგად, მშენებელი ოსტატები მოვალენი იყვნენ თავისი სახსრებით აეშენებინათ ახალი სახლი ან კედელი. საინტერესოა, რომ კალატოზების მიერ აგებული შენობების არსებობის გარკვეული ვადა იყო დაწესებული. „ტალახით“ აშენებული ნაგებობისათვის ექვსი წელი იყო განსაზღვრული, ხოლო ქვითკირისა — ათი წელი. თუ ეს შენობები აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „დაიქცეოდა“, კალატოზს არავითარი ჯარიმა არ ეკისრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო „უპელფასოდ“ აეგო ახალი შენობები, ე. ი. თავისი შრომისათვის დამკვეთისათვის გასამრჯელო არ უნდა გამოერთმია. ძველში ვკითხულობთ: „ხოლო უკეთუ ტალახით შენება იყოს, ექუს წელიწადს თუ დაიქცეს ტალახით ნაშენები იგი კედელი, ისევე ოსტატმა უქელფასოდ უნდა ააშენოს, და სხვა მასალა ყველა პატრონმა უნდა უშოვნოს. თუ ქუიტკირით ნაშენობა ათს წელიწადს უკან დაიქცეს და ტალახით საშენები ექუს წელიწადს უკან დაიქცეს, იმასთან კალატოზს მეორედ ასაშენებლად კელი არა აქუს“³.

როგორც ირკვევა, ასეთივე სასჯელი იყო დაკისრებული სხვა ნებისმიერი ხელობის ოსტატებისთვისაც. ბერძნული სამართლის იმავე მუხლში აღნიშნულია: „ეგრეთვე ყოველ საქმეზედა, ვინცაჲინ ოსტატმა საქმე აიღოს: უკეთუ ფეიქარმა ქნას თხელი სამოსელი ანუ მკერვალმან მოკლე და ვიწრო შეკეროს, წელში გაიხიოს, — ყოველმა, რომელ-

¹ იხ. აქვე, დამატება, 13.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 208.

³ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 208.

მანც ამისთანა სამუშაო გააკეთოს ოსტატმა, მეორედ ისევ უკელვასოდ გაუკეთოს“⁴.

ანალოგიური მასალა დაცული დავით ბაგრატიონის „მიმოხილვაშიც“. თხზულებაში აღნიშნულია, რომ ხელოსნები ვალდებული არიან პატიოსნად და კეთილსინდისიერად აღასრულონ თავისი საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ამქრის უსტაბაშები ასაბართლებენ და ფულად ჭარიმას აკისრებენ მათ. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსათვის ამქრის უსტაბაშები და უფროსი ოსტატები ახდევინებდნენ ნივთის საფასურს, გაფუჭებული ნივთი კი მას რჩებოდა⁵. ამასთანავე, ოსტატ-ხელოსნის მოვალეობა იყო აღებული სამუშაო დროზე შეესრულებინა, დაუშვებელი იყო საქმის გაკვიანურება. სიზარმაცეში და დამკვეთის მოტყუებაში მხილებული ოსტატი ამქრის ხელმძღვანელობის განჩინებით ჭარიმას იხდიდა ხაზინაში.

ყველა დარგის ოსტატ-ხელოსნებს ევალებოდათ აღებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. მათ მკაცრად ეკრძალებოდათ დაუსრულებელი საქმის მიტოვება და სხვა დაკვეთის დაწყება. ბერძნული სამართლის 344-ე მუხლში ნათქვამია: „კელით მოქმედნი კალატოზნი, ხურონი, ფეიქარნი, მკერვალნი და სხვანი ესევეითარნი კელოსანი, რომელნიცა საქმესა აიღებენ გასაკეთებლად, იმ სამუშაოს ნახევარზედ გაუკეთებელს ნუ გაუშვებენ და სხვისას ნუ მოყუებიან, — სანამდის პირველი საქმე არ გაათაოს, სხვას ნუ აიღებენ“. თუ დამკვეთის მასალა საკმარისი არ აღმოჩნდება დაკვეთილი სამუშაოს დასასრულებლად და „კელოსანს სხვა სამუშაო აუჩნდეს“, მხოლოდ მაშინ ეძლეოდა მას უფლება ეთხოვა ქალაქის მოურავისათვის ნება დაერთო მისთვის ახალი საქმის წამოწყებაზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ხელოსანი ვალდებულ იყო საქმის კუმარიტება ერთი მოწმის საშუალებით დაემტკიცებინა და თავადაც მოეხსენებინა მოურავისთვის „ღარიბნი კაცნი ვართ, ჩვენის კელით უნდა დავრჩეთ“. როდესაც მოურავი დარწმუნდებოდა სიმართლეში, მაშინ დასტურს აძლევდა „ოსტატსა და [მან] სხვა სამუშაო იმუშაოს“.

მეორე საქმის დასრულება ოსტატის უცილობელ მოვალეობას შეადგენდა. მოურავის განკარგულების გარეშე თუ იგი მეორე საქმეს მიატოვებდა და „მესამეს სხვას საქმეს“ შეუდგებოდა, მოურავი მას შეიპყრობდა, ფიზიკურად დასჯიდა და წვერ-ულვაშს გაპარსაედა მისი კაცური ღირსების დასამცირებლად. ამასთანავე, დამნაშავე ხელოსანს ფულად ჭარიმასაც ახდევინებდნენ⁶.

⁴ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 208.

⁵ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 397—398.

⁶ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 208.

მართალია, ჩვენ მიერ განხილულ ბერძნული სამართლის ფრაგ-
მენტებში არსად არ არის ლაპარაკი ამქრებზე, მაგრამ თავისთავად
ცხადია, რომ აღნიშნული მუხლები თანაბრად ეხებოდა როგორც ერთ-
პიროვნულ ოსტატებს, აგრეთვე ამქრის წევრებსაც. ფეოდალური სა-
მართალი თანაბრად სჯიდა „საქმის მოლაღატე“ ყველა კატეგორიის
ხელოსნებს, ვაჭრებს და სხვ.

ამრიგად „საქმის ერთგულება“⁷, სიბეჯითე და „უმწიკვლო შრო-
მა“⁸ ყველა ხელოსან-ოსტატის უპირველესი მოვალეობა იყო. „საქმის
მოლაღატე“ კი გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში
ისჯებოდა როგორც ამქრის ადმინისტრაციის, ასევე სახელმწიფო სა-
მართლის მიერ. ჩვენი აზრით, ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა
ოსტატის დასჯა-დაჯარიმების საქმეში ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებე-
ლია ამქრის დაქვემდებარებული მდგომარეობისა. ფეოდალური სახელ-
მწიფო და მისი კანონმდებლობა კონტროლს უწევდა პროფესიული
ორგანიზაციების შინაგან ცხოვრებას და საქმიანობას და ამით ზღუ-
დავდა მის დამოუკიდებლობასა და ავტონომიას.

ოსტატი-ხელოსანი მოვალე იყო არა მარტო უზადო საქონელი და-
ემზადებინა, არამედ მას ეკრძალებოდა დამკვეთის მასალის მითვისება,
დამკვეთის მოტყუება და სხვა მსგავსი საქციელის ჩადენა. დამნაშავე
ხელოსანი ისჯებოდა ფულადი ჯარიმით. მაგრამ თუ იგი ასეთ დანაშა-
ულში რამდენიმეჯერ იქნებოდა მხილებული, მას უფრო მკაცრად დას-
ჯიდნენ და შესაძლებელია დროებით ამქრიდანაც კი გაეძევებინათ.
ფრიად საყურადღებო მასალაა შემონახული დამნაშავე ოსტატ-ხელო-
სანთა დასჯის თაობაზე თბილისის ოქრომკვედლების პირობის წიგნში,
რომელიც XIX საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა იყოს შედგენილი.
ხსენებული სტატუტის 27-ე მუხლში ნათქვამია: „თუ რომელიმე
ოსტატი მოატყუებს ვინმეს ოქროს ან ვერცხლის წონაში ან სიწ-
მინდეში, ხოლო ოქროს ან ვერცხლის პატრონი იჩივლებს მთავარ
ხელმძღვანელებთან, ისინი ვალდებულნი არიან ყოვლის მხილველი-
ღმერთის წინაშე მიუკერძოებლად გამოიძიონ [საქმე]. თუ ოსტატი
დამნაშავეა, მას ჩუმად გამოართმევენ ზარალის [საფასურს] და მის-
ცემენ პატრონს, ხოლო მოპარული [ნივთის საფასურის] 1/5 ნაწილს
გადაახდევინებენ ზაზინაში, ისე რომ თუ მოპარული [ნივთი] 5 აბაზი-
ლირს, [იგი] ერთ აბაზს იხდის“. ამრიგად, საქართველოში ამქრის ად-
მინისტრაცია საკმაოდ მკაცრად სჯიდა ოსტატ-ხელოსანს მასალის მო-
პარვისათვის, რადგან მას დამკვეთისათვისაც უნდა გადაეხადა მოპარუ-
ლი მასალის საფასური და ამქრის ზაზინაშიც უნდა შეეტანა ამ საფა-

7 იხ. დამატება, 13.

8 იხ. დამატება, 14.

სურის ერთი მეხუთედი ნაწილი. ყურადღებას იქცევს წყაროს ჩვენება, რომ ოსტატის დასჯა-დაჯარიმება, თუ იგი პირველად იყო მხილებული დანაშაულში, ჩუმად, ფარულად უნდა მომხდარიყო. ცხადია, ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ ამქარს შეენარჩუნებინა თავისი კეთილი სახელი და პრესტიჟი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დამკვეთ-მუშტართა დაკარგვა ემუქრებოდა.

გაცილებით უფრო მკაცრად ისჯებოდა ოსტატი-ხელოსანი, თუ იგი გაიმეორებდა დანაშაულს, რადგან ამქარის სალაროში შესატანი გადასახადი შესამჩნევად იზრდებოდა. თბილისის ოქრომჭედელთა სტატუსის ზემოხსენებულ მუხლში აღნიშნულია: „მაგრამ თუ იმავე პირს ხელმეორედ დაიჭერენ ქურდობაში, მაშინ [იგი ხაზინაში] ნიეთის საფასურს გადაიხდის, ხოლო თუ მესამედაც [ამხილებენ] — ამდენსავე გადაიხდის“. განსაკუთრებით მძიმე სასჯელი გამოჰქონდათ უპატიოსნო ოსტატი-ხელოსნისათვის მეოთხედ ჩადენილი ქურდობის დროს. ამ შემთხვევაში მას უკვე მოპარული ნიეთის მთლიან საფასურს ახდევინებდნენ და, როგორც წყაროშია აღნიშნული, მას „შეარცხვენენ და ორმოცი დღით ამქრიდან გააჲვევენ“. მისი უკან დაბრუნება ხდებოდა მხოლოდ მის მიერ წერილობითი პირობის დადების შემდეგ, რომელშიც დასჯილი ოსტატი აღუთქვამდა ამქარის ხელმძღვანელს, რომ იგი აღარ ჩაიდენდა ასეთ აუგ საქციელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სახელი ჩაიწერებოდა ამქარის „ეურნალში“ „მისი სირცხვილისა და სხვათა გაკვეთილისათვის“. ე. ი. დანაშაულში მხილებული ოსტატის დასჯა მხოლოდ ფულადი ჯარიმით არ შემოიფარგლებოდა. როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა გათვალისწინებული იყო ამქარის რიგებიდან დროებითი გაძევება-მოკვეთა და საზოგადოებრივი გაკიცხვა, რომელსაც უკვე საჯარო ხასიათი უნდა ჰქონოდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მკაცრ ზომებს დამნაშავის დასჯის გარდა თავისებური აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ის უნდა გამხდარიყო გაკვეთილი ამქარში გაერთიანებული სხვა ოსტატებისათვის, რომ მათ ვერ გაეხდებოდათ ანალოგიური და სხვა ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა, რომელიც აზარალებდა ამქარის დამკვეთებს და მუშტარებს.

იგივე „კანონი“ მოქმედებდა მაშინაც, თუ ოქრომჭედლები მოიპარავდნენ „პატიოსან თვალს, მარგალიტს და სხვა [ასეთ] ნიეთს⁹. დავით ბაგრატიონის მიხედვით კი, ოსტატი, რომელიც მხილებული იქნებოდა მასალის მითვისებაში, ჯარიმდებოდა, მოპარულ მასალას კი ამქარი იბრუნებდა¹⁰.

⁹ იხ. დამატება, 4, მუხლი 27.

¹⁰ დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 398.

თბილისის ოქრომკედელთა ამქრის ზემოგანხილული მუხლი და დავით ბაგრატიონის ცნობა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ გვიანი ფეოდალური ხანის თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ამქარში შემუშავებული წესები იცავდა დამკვეთ-მომხმარებელთა ინტერესებს. მაგრამ ეს „ზრუნვა“ თავისი მუშტრებისათვის, რასაკვირველია, განპირობებული იყო თავად ამქრის ეკონომიკური ინტერესებით, რადგან სხვისი მასალის მითვისება, ისევე როგორც უვარგისი, ე. წ. „ხარაბა“ პროდუქციის გამოშვება, უკარგავდა მას მყიდველებსა და დამკვეთებს და ამით მას ესპობოდა უმთავრესი სტიმული თავისი საქმიანობის შემდგომი ზრდა-გაფართოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ უპატიოსნო, ქურდობაში მხილებული ოსტატების დასჯა ფულადი ჯარიმის სახით ცნობილი იყო ადრეული ხანის ფეოდალურ ქალაქებშიც. XII საუკუნის სომხური სამართლის წიგნში, რომელიც მპითარ გოშს ეკუთვნის, დადგენილია, რომ „ოსტატები, რომლებიც მოიპარავენ მასალას“, ვალდებული არიან გადაიხადონ სათანადო თანხა. მასალის დაკარგვის შემთხვევაში კი მათ მოეთხოვებათ სრულად ანაზღაურონ ზარალი¹¹. ჯარიმის გადაუხდელობას თან სდევდა დამნაშავეის გაძევება-ეპიტიმია¹².

ამქრებში გაერთიანებული ოსტატების პატიოსანი შრომა, ხარისხიანი საქონლის წარმოება და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება დამკვეთ-მუშტრებისადმი პროფესიული ორგანიზაციების წევრების ზნეობრივი კოდექსის უმთავრესი მოთხოვნა იყო შუა აზიის, ირანის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ფეოდალურ ქალაქებშიც. დამნაშავე ხელოსნისთვისაც აქაც გათვალისწინებული იყო სათანადო დასჯელი.

XV—XVI საუკუნეების სამარყანდში უვარგისი პროდუქციის დამზადებისათვის ხელოსანს სჯიდნენ, ხოლო დაწუნებულ საქონელს ანადგურებდნენ. მაგალითად, XVI საუკუნით დათარიღებულ სამარყანდის კარავების მკერავთა უსტაბამის საბუთში აღნიშნულია, რომ იგი ვალდებულია ყველა კარავი, რომელიც სათანადო ზომების დაცვით არ არის დამზადებული, „დაკუწოს, ხოლო ოსტატი-ხელოსანი კარგად დასაჯოს“¹³. შუაზიური ხელოსნური რისალები მკაცრად მოითხოვენ, რომ ოსტატებმა პატივი სცენ, წესიერად და ზრდილობიანად მოექცნენ დამკვეთებს და მუშტრებს¹⁴.

11 Армянский судебник Мхитара Гоша, перевод с древнеармянского А. А. Паповяна, Ереван, 1954, с. 221.

12 იქვე, გვ. 199.

13 А. М. Беленицкий, Организация ремесла в Самарканде XV—XVI вв., КСИМК, т. VI, М.—Л., 1940, с. 41.

14 В. Балков, Кустарно-ремесленная промышленность Средней Азии, Ташкент, 1927, с. 170.

თურქეთშიც ესნაფის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ესნაფში წარმოებული პროდუქციის ხარისხიანობის მიმართ. მისი გადაწყვეტილებით უვარგის ნაწარმს სახელოსნოზე მიაქედებდნენ, ღუქან-სახელოსნოს გარკვეული დროით დაკეტავდნენ და დანაშავე ოსტატ-ხელოსნის ხარჯზე ქეიფს მართავდნენ¹⁵. ამდენად, უვარგისი ნაწარმის გამომშვები ხელოსანი მატერიალურადაც ზარალდებოდა და მორალურ დამცირობასაც განიცდიდა.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XVI—XVIII საუკუნების თურქეთში ცენტრალური ხელისუფლება უშუალოდ ადევნებდა თვალყურს ხელოსნური პროდუქციის ავკარგიანობას. კანონის წესით, საგანგებო უწყებების მოხელეები — მუჰთასიბი და ემინი სინჯავდნენ მზა ნაწარმს. ხელოსნური პროდუქციის გამოშვება უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების თანახმად. აღნიშნული წესის დამრღვევი ხელოსანი ისჯებოდა ფულადი ჯარიმით. მაგალითად, ცუდი ფეხსაცმლის დაშაღდება-გაყიდვისათვის ხელოსანს უნდა გადაეხადა ჯარიმა, რომელიც ერთი წყვილი ფეხსაცმლის საფასურს უდრიდა¹⁶. ყველა ხელოსანი ვალდებული იყო ზუსტად დაეცვა პროდუქციის გამოშვების წესები. ფაქტიურად მთელ თურქეთის იმპერიაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო რეგლამენტაცია, რომელიც ეხებოდა როგორც წარმოების ტექნიკურ მხარეს, ასევე ხელოსნური პროდუქციის ხარისხის ავკარგიანობას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ 1550 წელს ქალაქ სოფიის ხარაზებმა იჩიველეს ადგილობრივ ყადისთან იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ხელოსანი „ურწმუნოების“ ანუ ქრისტიანების ფეხსაცმლის დაშაღებისას არღვევდა დადგენილ ნორმებს და ახალ ყაიდაზე კერავდა მათ ფეხსაცმელს. ყადისს გადაწყვეტილებით აღნიშნული დარღვევები აღკვეთეს, ხოლო დამნაშავენი დააჯარიმეს 100 ახჩით და გაწყებლეს¹⁷. ანალოგიური სასჯელი გამოუტანეს აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებით 1571 წელს ქალაქ პლოვდივის ფეიქრებს, რომლებიც არღვევდნენ დადგენილ სტანდარტს და აქაური ქსოვილის, ე. წ. აბუს ნაჭრებს უშვებდნენ 8—9 არშინის სიგრძისას ნაცელად 12 არშინისა, როგორც ეს ოფიციალურად იყო დაწესებული¹⁸.

1698 წელს ქალაქ რუსაში დასჯილი იყო რამდენიმე ფეიქარი-

¹⁵ В. А. Гордлевский, Дервиши Ахи Эврапа в Турции, Избранные сочинения, т. I, М., 1960, с. 304.

¹⁶ Д. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции..., с. 50.

¹⁷ Н. Тодоров, Балканский город XV—XIX веков, М., 1976, с. 122.

¹⁸ იქვე, გვ. 122.

ხელოსანი, რომელთაც ბრალად ედებოდათ უხარისხო აბრეშუმის ქსოვილის წარმოება¹⁹.

ერთი სიტყვით, პროფესიულ ორგანიზაციებში გაერთიანებული ოსტატ-ხელოსნების ყოველდღიური საწარმოო საქმიანობა, დანაღებული პროდუქციის ხარისხიანობის კონტროლი, ოსტატების კეთილსინდისიერება და მათი დამოკიდებულება დამკვეთებთან და მყიდველებთან ამქრის ადმინისტრაციისა და აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების საგანი იყო. ერთი მხრივ, თუ ეს კონტროლი ამქრის ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული, მეორე მხრივ, ფეოდალური სახელმწიფოს ფისკალური მიზნებიდანაც გამომდინარეობდა, რადგან დამკვეთ-მყიდველთა კონტიგენტს მოკლებული ამქარი ეკონომიკურადაც დაკნინდებოდა და ვეღარ მოახერხებდა სახელმწიფო გადასახადების განაღდებას. აღნიშნული ფაქტორები მოქმედებდა გვიანი ფეოდალური ხანის როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ქალაქებში (თურქეთი, ირანი). რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი გვემტკიცებინა, რომ საქართველოშიც ისეთივე დაწვრილებითი რეგლამენტაცია და უსასტიკესი კონტროლი არსებობდა, როგორც ეს დამახასიათებელი იყო აღებული ხანის თურქეთის იმპერიისათვის, მაგრამ აქაც ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად ერეოდა ამქრის წარმოებაში და, როგორც დაინახეთ, კანონით სჯიდა დამნაშავე პირებს. ამით, რა თქმა უნდა, ირღვეოდა ამქრის შინაგანი იმუნიტეტი და ავტონომია.

ოსტატთა მოვალეობების წრეში შედიოდა აგრეთვე წესი, რომლის თანახმადაც მათ ყველა სახის საქონელი უნდა გაეყიდათ ქალაქისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილი ფასების ნიხრის საფუძველზე, ისინი ვალდებული იყვნენ აგრეთვე აღებმიცემობის დროს დაეცვათ დაწესებული ზომა-წონის ერთეულები. აღნიშნული წესების ყველა დამრღვევი ისჯებოდა, „ვითარცა ქურდი“. ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს ამქრის ეკონომიკური ინტერესების დაცვასთან, რადგან ვაჭრობის წესრიგის დამრღვევი ხელოსანი თუ ვაჭარი სახელს უტეხავდა საზოგადოდ მთელ ამქარს, რაც მისი მუშტარ-დამკვეთების რიცხვის შემცირების საშიშროებას ქმნიდა. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ გარემოებას, მაშინ სრულიად გასაგები გახდება, რომ ფასების ნიხრისა და ზომა-წონის ერთეულების ზუსტი დაცვა დამახასიათებელი იყო საზოგადოდ ფეოდალური ქალაქის ყოფისათვის. ამდენად აღებმიცემობის წესების დარღვევა გარკვეულ სასჯელს ექვემდებარებოდა შუა საუკუნეების ყველა ქვეყანაში, კერძოდ თურქეთსა და სეფიანთა სახელმწიფოში. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის სპარსული ადმი-

¹⁹ Н. Тодоров, Балканский город XV—XIX веков, М., 1976, с. 122.

ნისტრაციულ-იურიდიული ტრაქტატის „თაზქირათ ალ-მულუქის“ („მფეთა სამახსოვრო“) თანახმად, ირანში ნიხრის დარღვევასა და ზომა-წონის მოტყუებაში მხილებულ პირებს მუქათსიბი სჯიდა²⁰. ფულადი ჯარიმის გარდა ისინი ფიზიკურადაც ისჯებოდნენ და ქალაქის ქუჩა-მოედნებზე საჯაროდ არცხვენდნენ²¹.

ქალაქის ხელოსან-ვაჭართა და სხვა პროფესიების მიმდევართა გაერთიანებები სახელმწიფოს საფინანსო სისტემაში თავისებურ ფისკალურ ერთეულს წარმოადგენდნენ. ამქარზე წესდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო და სპეციფიკური გადასახადები და გამოსაღებლები. ასე იყო, მაგალითად, სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებში. ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო ალებული ხანის საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში. ამის მაჩვენებელია თუნდაც „მეწვრილმანეთის პირობის წიგნის“ მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მეწვრილმანეთა „ჰამქრის“ წევრებს ევალებოდათ „თავისი რასათი ხარჯ[ი]ს და ბეგარის მიცემა“, ე. ი. თითოეულ ოსტატს ამქარზე დაწესებული გადასახადიდან და ბეგარიდან უნდა გადაეხადა თავისი წილი (რასათი). ის პირი, რომელიც არ შეასრულებდა ამ მოვალეობას, მკაცრად ისჯებოდა და ჩვეულების შესაბამისად „ძმობიდან“ უნდა გასულიყო. „მეწვრილმანეთა პირობის წიგნში“ ურჩი ოსტატების შესახებ, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ აღნიშნულ წესს და არ ანაღებდნენ მათ წილ გადასახადს თუ შრომით ბეგარას, ნათქვამია: „ვინც რომ ამ ზემოწერილის ძალით თავისი რასათი ხარჯ[ი]ს და ბეგარას მიცემა არ მოინდომოს, ჩვენის ძმობიდან გავიდეს, არცა ჩვენთან საქონლის წილი მიეცეს, არც იმასთან პური ვჰამოთ, არც იმის მკუდარზედ მივიდეთ“²².

როგორც ირკვევა, ამქარზე გაწერილი გადასახადების გამომღებლები ოსტატები იყვნენ. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან პროფესიული ორგანიზაციების სრულუფლებიან წევრებად მხოლოდ ოსტატები ითვლებოდნენ და, როგორც აღინიშნა, მათი საქმიანობა, ცოდნა-გამოცდილება და კეთილსინდისიერება ამქრის კეთილდღეობის, მისი ეკონომიკური ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა.

ამქარში გაერთიანებული ოსტატები ვალდებული იყვნენ ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ჰქონოდათ. ამქრის სოციალური ბუნება და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა მისი წევრების კოლე-

²⁰ Tadhkirat al-muluk, persian text in facsimile with translation and commentary by V. Minorsky, Lond., 1943, თავი V, ნაწ. 8.

²¹ იქვე; Raphael du Mans, *État de la Perse en 1660*, ed. par Cl. Schefer, Paris, 1890, გვ. 37.

²² დამატება, 1, მუხლი 9.

გიალობას და ერთსულოვნებას. შემუშავებული თვალსაზრისის თანახმად, ამქრის ოსტატები ერთმანეთის ძმებად ითვლებოდნენ. „ძმის სიყვარული გულის მოთხოვნა უნდა იყოს და უფრო მეტად უნდა შეემკიდროვდეთ ერთმანეთთან“ — აღნიშნულია ერთ-ერთ საბუთში²³. ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცების აუცილებლობას მოითხოვს ახალციხის და ერზერუმის ესნაფების სომხურ ენაზე შედგენილი პირობის წიგნები. ოსტატების ძმობა-ერთსულოვნება განიხილება როგორც მათი რელიგიურ-ზნეობრივი მოვალეობა. „მეწაღეების, მექალამნეებისა და ესკიჯიების ესნაფების დალოცვის წიგნში“ ძმობა-ურთიერთსიყვარულს რელიგიური საფუძველი აქვს დაძებნილი. მასში ნათქვამია: „... იოანე მოციქული კათოლიკეებთან მიმართულ პირველი ეპისტოლეს მეცხრე მუხლში ამბობს: „რომელმან თქუას ნათელსა შინა ყოფა და ძმა თვისი სძულდეს“. თუ არ უნდა [მისთვის სიკეთე] — იგი ბილწია, პირიქით თუ „ბნელსა შიგან არს კაცი, რომელსა უყუარდეს ძმა თვისი“, იგი მუდამ დარჩება „ნათელსა შინა“ და ბნელი არასოდეს არ ჩამოვა მასზე. ნახეთ ძმანო, ძმის სიყვარული რა კარგი რამაა“²⁴.

მარტო რელიგიური მოტივებით არ აიხსნებოდა ამქრის ოსტატების ერთსულოვნება-ძმობის აუცილებლობის მოთხოვნა, რადგან ეს ფაქტორი ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო პროფესიული ორგანიზაციების წარმატებითი საქმიანობისა. „თუ სიყვარული არ გვექნება. საქმეში გამოჩნდება“ — აღნიშნავს ზემოხსენებული დოკუმენტი. ე. ი. მასში პირდაპირაა მითითებული, რომ ოსტატებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ამქრის საწარმოო პროცესის და სხვა საქმიანობის შეფერხების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებდა მის ეკონომიკურ თუ სოციალურ მდგომარეობაზე.

საქართველოს ქალაქების ამქრების წევრებს ევალეობდათ არაფერი დაემალათ ერთმანეთისათვის, რაც საწარმოო პროცესს ან ალებშიცემობას ეხებოდა. ხამი მასალისა და სხვა სახის საქონლის შექმნაც ერთობლივად და ოსტატებისგან ერთმანეთისგან დაუფარავად ხდებოდა. 1800 წლით დათარიღებულ ქართულ ენაზე შედგენილ „მეწვრილმანეების პირობის წიგნში“ ამ საკითხს საგანგებოდ აშუქებს ორი (2 და 3) მუხლი. მეორე მუხლში აღნიშნულია: „რაც საწვრილმანო მოვიდეს, ცოტა თუ ბევრი, საერთო[დ] უნდა ვიყიდოთ. ვინც თავი წილი აიღოს, თავი ხარჯი მისცეს; ვინც ნახევარი წილი აიღოს, ნახევარი ხარჯი მისცეს; ვინც ჩარეჟი (ერთი მეოთხედი — კ. კ.) წილი აიღოს, ჩარეჟი ხარ-

²³ იხ. დამატება, 14.

²⁴ იქვე.

ჯი ზისცეს“²⁵. ამრიგად, ამქარში გაერთიანებული მეწვრილმანე ვაჭრები ერთად ყიდულობენ საქონელს, თუმცა თითოეული მათგანი იძენს იმდენს, რამდენის ყიდვაც მას შეუძლია ან სჭირდება, საფასურსაც იგი შესაბამისად იხდის. ამ პროცესს საჯარო ხასიათი ჰქონდა. საქონლის ჩუმად შეძენისათვის დამნაშავე პირი ამქრის ხაზინაში ჯარიმას იხდიდა. „ვინც მალვით საქონელი იყიდოს, საბუთი უყოთ. ამ საქონლის ნახევარი ჰამქრის მასრაფში მისცეს“²⁶.

ამქრის წევრებს ევალეზობდათ მკაცრად დაეცვათ კოლეგიალობა. ყოვლად დაუშვებელი იყო სხვა ოსტატის დამკვეთის ან მუშტრის გადაბირება. თბილისის ოქრომქედელთა სტატუტის 26-ე მუხლი მოითხოვს შემდეგს: „თუ ვინმე რომელიმე ოსტატთან მიიტანს ვერცხლს, ოქროს ან ძვირფას ქვას, ე. ი. აღმასს, იაგუნდს და სხვა ზისთანას (სამკაულის) გასაკეთებლად ან გასაყიდად, სხვა ოსტატებიდან ვერავინ ვერ უნდა გაბედოს და აშკარად თუ ფარულად აენოს თავის თანამოსაქმე, ე. ი. არ უნდა წააქეზოს მასალის პატრონი და უკან წამოაღებიანოს იგი, რათა თითონ დაამუშაოს ან გაყიდოს“.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამკვეთი და ხელოსანი თუ მხოლოდ სიტყვიერად იყვნენ შეთანხმებული და მასალა ხელოსანთან არ იყო მიტანილი, მაშინაც კი სხვა ოსტატს უფლება არ ეძლეოდა დამკვეთი წაერთვა თავისი კოლეგისათვის. წყაროში ვკითხულობთ: „მაშინაც კი, როცა [პატრონს მასალა] ჯერ არ მიუტანია და [ოსტატისათვის] მხოლოდ ნათქვამი აქვს, რომ [მასალას] დასამუშავებლად ან გასაყიდად მიიტანს მასთან, ასეთ შემთხვევაშიც (სხვა ოსტატმა — კ. კ.) ზარალი არ უნდა მიაყენოს მის შემოსავალს, რომლითაც არსებობს ისიც და მისი ოჯახიც, რადგან ეს ნაძღვილი ქურდობა და ძარცვა“²⁷.

ამრიგად, დამკვეთ-მუშტრის გადაბირება, ამქრის სამართლის თანახმად, ქურდობას და ძარცვას უთანასწორდებოდა, რადგან ხელოსნის ერთადერთი შემოსავალი მისი ხელსაქმე იყო და დაკვეთის წართმევა მას ეკონომიკურად მძიმედ დააზარალებდა. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს ქალაქების ამქრების წესები ითვალისწინებდნენ რიგ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ასეთი დარღვევების აღკვეთას და დამნაშავე პირების სათანადოდ დასჯას. თბილისის ოქრომქედელთა ამქრის პირობის წიგნის იმავე 26-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თუ მასალა უკვე ხელოსანთან იყო მიტანილი და მეორე ხელოსნის „ბოროტება“ გამოაშკარავდებოდა, ამქრის ხელმ-

25 იხ. დამატება, 1, მუხლი, 2, 3.

26 იქვე.

27 დამატება, 4, მუხლი 26.

ძღვანელები საქმის „ქვეშარიტებითა და სიმართლით“ გარკვევის შემდეგ დამნაშავეს წაართმევდნენ ოქროს, ვერცხლს ან სხვა მასალას და დაუბრუნებდნენ იმას, „ვინც უწინარეს მოილაპარაკა მასალის პატრონთან“, ხოლო ბოროტმოქმედს კი გაეციხავდნენ და ხაზინაში ჯარიმის სახით გადაახდევინებდნენ იმ თანხის ერთ მეხუთედს, რომელიც მას მასალის დამუშავების ან გაყიდვისათვის უნდა მიეღო.

რეციდივების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. მესამედ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის ოსტატს ახდევინებდნენ მისი კუთვნილი გასამრჩელოს მთელ თანხას და არცხვენდნენ ამქრის წევრების თანდასწრებით „ვითარცა უფლის კანონისა და ამქრის [წესების] მგმობელს“.

ასეთ დანაშაულში მეოთხეჯერ მხილებულ პირს სათანადო საბუთით „პოლიციას“ გადასცემდნენ და ამქრიდან განდევნიდნენ „ვითარცა სამარადისოდ განეციხულს“. იმავე დროს მისი „უგუნური საქმეები“ ჩაიწერებოდა ამქრის დავთარში, როგორც „მისი საუკუნო განჩინება და [აგრეთვე] ამქრის წევრების გასაფრთხილებლად“²⁸.

სხვისი დამკვეთის ან მუშტრის გადაბირება აკრძალული იყო სხვა ქვეყნების ამქრებშიც. მაგალითად, თურქეთის იმპერიის ფარგლებში შემავალი ბულგარეთის ქალაქებში მიღებული წესის თანახმად, არც ერთ ოსტატს უფლება არ ჰქონდა ხელი შეეშალა თავისი თანამოსაქმის ვაჭრობისათვის. მას არ შეეძლო მისი მუშტრის გადაბირება იმ მიზეზით, რომ მისი საქონელი უხარისხო იყო ან რომ თავად უფრო იაფად ჰყიდდა ისეთსავე საქონელს²⁹. გვიანი შუა საუკუნეების თურქეთის ეს ნაფებშიც ოსტატი-ხელოსნები ერთმანეთის ძმებად ითვლებოდნენ³⁰.

ამქრის წევრების „ურთიერთსიყვარულის“, კოლეგიალობისა და „ძმობის“ ქადაგებას როგორც საქართველოს, ისე მის მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად, თურქეთის ქალაქებში, ერთადერთი მიზანი ჰქონდა — მშვიდობიანობის და წესრიგის დამყარება, ოსტატების ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრება, ცალკეული პირების გამდიდრება-აღზევების შესაძლებლობის აღკვეთა. მაგრამ ამქარში გაერთიანებული ოსტატ-ხელოსნებისა და ვაჭრების „ძმობა“ უმთავრესად მაინც ფიქციად რჩებოდა. უკვე საამქრო სტატუტების დაყენებითი მოთხოვნა პროფესიული ორგანიზაციების წევრების ძმობის და ურთიერთპატივისცემის განმტკიცების შესახებ, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ექვს ალძრავს, რომ ამქარში ხშირი იყო განხეთქილება, „უ-

28 დამატება, 4, მუხლი 26.

29 Н. Тодоров, Балканский город XV—XIX вв., с. 210.

30 В. А. Гордлевский. О Футуветнаме, Избранные сочинения, т. I, с. 309, 318.

დლი და ქიშპი, რომ რიგითი წევრების გვერდით იყვნენ განსაკუთრებით პატივცემული და გავლენიანი ოსტატები. ისინი გამორჩეულ როლს ასრულებდნენ ამქრის ცხოვრებაში. ამქრის ოსტატების ქიშპი და შულღლი რელიეფურად არის ასახული თბილისის ოქრომჭედელთა ამქრის პირობის წიგნის ზემოგანხილულ 26-ე მუხლში, რომელიც დამკვეთისა და მუშტრის გადაბირების საკითხს ეხება. არ არსებობდა არც ქონებრივი თანასწორობა. თბილისის ოქრომჭედელთა ამქრის სტატუტის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ ოსტატ-ხელოსანს საკმაო სახსრებიც კი არ გააჩნდა წარმოებისათვის აუცილებელი მასალის შესაძენად. ასეთ შემთხვევაში მას გარკვეული პროცენტით ხაზინიდან სესხი ეძლეოდა. ამის შესახებ დასახელებულ სტატუტში აღნიშნულია: „თუ რომელიმე ოსტატი ყიდულობს ოქროს, ვერცხლს ან სხვა რამეს და ამისათვის ხელზე არ აქვს ფული და სხვისგანაც არ შეუძლია ფულის სესხება, ხაზინა ვალდებულია შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას, რაც შეიძლება დიდი თანხით“³¹. წყარო პირდაპირ მიუთითებს ოსტატების ქონებრივ უთანასწორობაზე. ხაზინა „დაუზოგავად უნდა ემსახუროს ამქარს, დიდს და მცირეს, ღარიბს და მდიდარს“³². პროფესიული ორგანიზაციების წევრთა ქონებრივი უთანასწორობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ ქალაქში და იგი თანაბრად დამახასიათებელი იყო ყველა ქვეყნისათვის. თურქეთის ესნაფებში წარმოდგენილი იყვნენ მდიდარი და ღარიბი ოსტატები. ესნაფის ადმინისტრაცია ცდილობდა გარკვეული შეღავათებით შეემსუბუქებინა ეკონომიკურად სუსტი ოსტატების მდგომარეობა. მაგალითად, ხამი მასალის შესყიდვისას ღარიბებს უფლება ჰქონდათ პირველ რიგში შეეძინათ მათთვის აუცილებელი საქონელი და მხოლოდ ამის შემდეგ ყიდულობდნენ შეძლებული ოსტატები წარმოებისათვის საჭირო მასალას³³.

მაგრამ ამქრის აღნიშნული ტენდენციები მიზანს ვერ აღწევდა. ამქრის ეკონომიკა დამოკიდებული იყო მის საქონელზე არსებულ მოთხოვნილებაზე. ოსტატი-ხელოსნები მუშაობდნენ დაკვეთით, მაგრამ მათი პროდუქციის უმთავრესი ნაწილი სასაქონლო იყო და უშუალოდ ბაზარზე გასაყიდად იყო განკუთვნილი. ამასთანავე ადგილობრივი ხელოსნების ნაწარმის გარკვეული ნაწილი საგარეო ვაჭრობის საგანსაც წარწოდებდა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ოსტატ-ხელოსნის დახელოვნებისა და გაწაფუ-

31 დამატება, 4, მუხლი 17.

32 იქვე.

33 В. А. Гордлевский, Дервиши Ахи Эврена (Эврана) и цехи в Туршии, Избранные сочинения, т. I, с. 304.

ლობის დონე. სახელოსნო ტექნიკის სუსტი განვითარებისა და რუტინული მდგომარეობის პირობებში ხელოსნის მაღალი პროფესიონალიზმი და დახვეწილი გემოვნება თითქმის ერთადერთი საშუალება იყო სრულყოფილი ნაწარმის დამზადებისათვის. ზოგიერთი ხელოსანი ოსტატობის ისეთ დონეს აღწევდა, რომ იგი თავისი საქმის ქეშმარიტ ვირტუოზად იქცეოდა. სწორედ ასეთ ხელოსნებს ჰყავდათ გაცილებით მეტი დამკვეთი და მუშტარი, ვიდრე მათ ნაკლებად დახელოვნებულ თანამოსაქმეებს, და მათი ნახელავი პროდუქციაც უფრო ძვირად ფასობდა. ყოველივე ეს კი, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ასეთი ხელოსნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება-განმტკიცებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სავსებით გასაგები ხდება ქართულ და სომხურ სტატუტებში დასახელებული ამქრის „უფროსი“ და „უმცროსი“ ანუ სხვანაირად „დიდი“ და „პატარა“ წევრების მნიშვნელობა. „უფროსი ოსტატები“³⁴ ამქრის წევრთა ზედაფენას ქმნიდნენ. მათი წრიდან ინიშნებოდნენ ამქრის ადმინისტრაციული აპარატის მოხელენი და განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდნენ ამქრის უმნიშვნელოვანესი საქმეების გადაწყვეტაში.

ამრიგად, გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს, ისევე როგორც მისი მეზობელი ქვეყნების, ქალაქების პროფესიულ ორგანიზაციებში გაერთიანებული ოსტატების უფლებრივი და ეკონომიკური დიფერენციაცია ისტორიულ ქეშმარიტებას წარმოადგენს.

ოსტატების ყოველდღიური ცხოვრება მაღალი მორალური პრინციპების თანახმად უნდა წარმართულიყო. ამას მოითხოვდა ამქრის პრესტიჟი და „კეთილი სახელი“. უწინარეს ყოვლისა, იგი ვალდებული იყო ზუსტად აღესრულებინა ყველა რელიგიური ნორმა, პატივი ეცა მისი ხელობის ზღვარული წმინდანებისათვის და „შეენახა ჩვეულებრივი კვირაუქმეები“³⁵. თბილისის იუველირთა ამქრის წესდებაში პირდაპირ არის აღნიშნული კვირის დაცვის აუცილებლობა, რადგან ეს „ეკლესიის წმიდა კანონების თანახმად ყველა ქრისტიანის მოვალეობაა“. ამქრის წესდებას მხარს უჭერდა ქართული ფეოდალური სამართალი. „კუირათა და სხვათა სამეფოთა დღეებშია მოსამართლენი, ქელოსანნი დაეყენენ და ნურას იმუშაებენ“ — მოითხოვს ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული³⁶. ქართულ ენაზე შედგენილი მეწვრილმანეების პირობის წიგნი ითვალისწინებს „კვირის გატეხისათვის“ ჯარიმას ხუთი აბაზის ოდენობით, რომელსაც დამნაშავე ოსტატი „ჰამ-

34 დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 397.

35 დამატება, 4, მუხლი 22.

36 ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 173.

ქრის მასრაფში“ ანუ ხაზინაში იხდიდა³⁷. ანალოგიური პუნქტია შეტანილი 1799 წლით დათარიღებულ მეწვრილმანეებისა და შესანთლეების კონკურენციის აცდენის „პირობაში“. ამ პუნქტის მიხედვით მეწვრილმანე-ვაჭრებს და შესანთლე-ხელოსნებს კვირადღეს ეკრძალებოდათ ყოველგვარი საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჭარბდებოდნენ. „ვინც კვირას გააყიდოს რამე, თორმეტი მინალთუნი ჰამქარს უნდა მისცეს“ — მოითხოვს „პირობის“ პირველი მუხლი³⁸. ქართული ფეოდალური სამართალიც ითვალისწინებდა კვირასა და სხვა უქმე დღეებში ხელოსნების მიერ საქმის მიტოვებას და დასვენებას. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 188-ე მუხლში ნათქვამია: „ქ. ძველი სჯული და ლეონ ბძენი ბძანებს: კუირათა და სხვათა სამეფო დღეებშია მოსამართლენი, კელოსანნი და მუშანი დაეყენენ და ნურას იმუშავებენ“³⁹.

რელიგიურ უქმეებში შედიოდა აგრეთვე ყველა „უფლისა და წმიდანების“ ის დღეები, რომელიც დადგენილი იყო ეკლესიის მიერ და რომელიც უნდა ედღესასწაულათ ამქრების წევრებს. მკაცრად ეკრძალებოდათ აღებმიცემობის წარმოება ვაჭარ-ხელოსნებს სალამოს ლოცვის აღსრულებამდე. 1799 წლის ხსენებულ „პირობაში“ აღნიშნულია, რომ ამქრის წევრი თუ „სალამოს ლოცვა არ გამოვიდეს ვერას გააყიდის, თუ სალამოს ლოცვის უწინ გაყიდის რამე, იმანაც თორმეტი თუმანი ჰამქარს გასაღებაში უნდა მისცეს“⁴⁰.

რელიგიური ხასიათის უქმეების გარდა, საქართველოს ქალაქების ამქრის წევრები დღესასწაულობდნენ და ყოველდღიური საქმიანობისაგან ისვენებდნენ მეფის და მისი ოჯახის წევრთა სადღესასწაულო დღეებშიც. როგორც ჩანს, XIX საუკუნის დამდეგიდან მათ მოეთხოვებოდათ აგრეთვე რუსეთის იმპერატორის და რომანოვების დინასტიის ზოგიერთი წარმომადგენლის საზეიმო დღეების აღნიშვნაც. ამაზე უნდა მიუთითებდეს თბილისის ოქრომჭედელთა ამქრის სტატუტის 23-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ ოსტატებმა უნდა იუქმონ „ხელმწიფის და ხელმწიფის ნათესავეების დღესასწაულებში“ ანუ, სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, „კეისარის და კეისრის ნათესავეები პრაზდნიკის დღეებში“⁴¹.

ოსტატების მოვალეობად ითვლებოდა ამქრის მიცვალებულთა პატივისცემა, დასაფლავებაზე დასწრება და მისი ოჯახის წევრებისათვის

37 დამატება, 1, მუხლი 5.

38 დამატება, 6.

39 ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 173.

40 დამატება, 6.

41 დამატება, 4, მუხლი 23.

გარკვეული დახმარების აღმოჩენა. ეს მოვალეობა ეკისრებოდათ მხოლოდ ოსტატებს და არა „ხელდაუსმელებს“. ეს წესი იმდენად მკაცრად სრულდებოდა, რომ ოსტატები მხოლოდ ამქრის ხელმძღვანელების საგანგებო ნებართვით თავისუფლდებოდნენ დასაფლავებაზე დასწრებისაგან. მაგრამ ისინი მაინც ვალდებული იყვნენ ჯარიმა გადაეხადათ ამქრის ხაზინაში⁴². „ვინ[ც] მკვდარზედ დააკლდეს აბაზი იოლო აქვს“ — აღნიშნავს მეწვერილმანეთა პირობის წიგნი⁴³.

მაგრამ ამქრის ადმინისტრაცია ზრუნავდა იმისათვის, რომ აღნიშნული წესის გამო ამქარი ეკონომიკურად არ დაზარალებულიყო და არ შეეწყვიტა თავისი ყოველდღიური საქმიანობა. ამ მიზნით შეღუშავდა ჩვეულება, რომლის მიხედვითაც დამარხვას ესწრებოდა ამქრის წევრების მხოლოდ ერთი ნახევარი. იმ დროს როდესაც მეორე ნახევარი განაგრძობდა მუშაობას. განსაკუთრებით შიღებული იყო ეს ჩვეულება ხალხმრავალ ამქრებში. მაგალითად, თბილისის იუველიერთა წესდებაში ნათქვამია: „წევრთა სიმრავლის გამო მიცვალებულის სასაფლაოზე წასვენებისათვის ამქარი ორად უნდა გაიყოს. ნახევარი ავლაბარში წასვენებს, ნახევარი კი ტაფიტალში. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ (ასეთი წესით) ადვილია (ხალხის) შეგროვება, მეორეც — ეს სასარგებლოა ამქრისათვის, რადგან თუ ნახევარი სასაფლაოზე წავა, მეორე ნახევარი საქმეს განაგრძობს“⁴⁴.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს წესი ირღვეოდა და დასაფლავებაზე ყველა ოსტატი მიდიოდა. იგივე წყაროში აღნიშნულია: „მაგრამ საჭირო ჟამს, პატივცემული მიცვალებულის [გასვენებაზე] ან მისი ჰირსუფალის თხოვნით ან სხვა რაიმე აუცილებელ შემთხვევაში, შესაძლებელია ამქრის მთელი შემადგენლობა წავიდეს და ხელმძღვანელობა ამას წინააღმდეგობას არ გაუწევს“⁴⁵. ყველა ურჩი, რომელიც არ დაემორჩილებოდა ამ ჩვეულებას და ამქრის ხელმძღვანელთა განკარგულებას, სათანადოდ ისჯებოდა.

ზნეობრივი ნორმების კოდექსი ითვალისწინებდა ამქრის ოსტატთა ზრდილობას და თავდაკერილობას. განსაკუთრებით იდევნებოდა ლოთობა და ამქრის წესრიგის დარღვევა. „პურის ჰამის, ოსტატად დალოცვისა და მსხვერპლის შეწირვის დღეებში“ ნადიმის მონაწილე ოსტატები უნდა მოქცეულიყვნენ „ზრდილობიანად და წესიერად“ და „არა უზნეო თავშეუჟავებლობითა და უგუნური ლოთობით“. ამას მოითხოვს თბილისის იუველიერთა წესდება, რომელშიც, სხვათა შო-

42 დამატება, 4, მუხლი 23.

43 დამატება, 1, მუხლი 6.

44 დამატება, 4, მუხლი 23.

45 იქვე.

რის, ისიცაა აღნიშნული, რომ ასეთ უკადრის ამბებს ადგილი ჰქონდა „სხვა რამდენიმე ამქრის ველურ თავყრილობებში“⁴⁶.

ამქრის წესრიგის დამრღვევ უზნეო ოსტატებისათვის გათვალისწინებული იყო საგანგებო სასჯელი. უწინარეს ყოვლისა, მათ აძევებდნენ თავყრილობიდან. იგივე ძეგლი მოითხოვს: „თუ ამქრის წევრებიდან ვინმე საღმრთაწაულო ღღეს პურის ჭამის დროს დათვრება და გაბედავს და ვისმეს შეურაცხყოფს, ჩხუბს აუტეხს ან გაატყამს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა გააგდონ თავყრილობიდან და ნადიმიდან, მეორე ღღეს ჩუმად უნდა დაიბარონ სასამართლოში და გაიციტონ“. ამასთანავე დამნაშავე პირი „თავისი შეძლების შესაბამისად“ ჯარიმას იხდიდა და თავისუფლდებოდა⁴⁷. ჯარიმის ოდენობა იზრდებოდა მეორედ და მესამედ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის. გამოუსწორებელ, დაბალი ზნეობის ამქრის წევრს ადმინისტრაცია „ვიტარცა თავხედს, უსინდისოს და უგუნურს“, პოლიციას გადასცემდა და მოჰკვეთდა ამქრის ამხანაგობისაგან. მისი სახელი სამუდამო სირცხვილს მიეცემოდა⁴⁸.

ამრიგად, განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრებში შემუშავებული იყო წესი, რომლის თანახმადაც ოსტატი-ხელოსანი, ვაჭარი თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლები რამდენჯერმე გამეორებული ერთი და იგივე სახის დანაშაულისათვის იდევნებოდნენ ამქრის წევრების რიგებიდან. ზოგჯერ ამ მოკვეთას დროებითი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, როგორც ითქვა, ოსტატი, რომელსაც მეოთხედ შენიშნავდნენ დამკვეთის მასალის მითვისებაში, ორმოცი დღით იდევნებოდა ამქრიდან და მხოლოდ საჭაროდ აღიარებული დანაშაულისა და მონაწილების შემდეგ ამქრის ხელმძღვანელთა საგანგებო ნებართვით შეიძლებოდა დაბრუნებოდა იგი თავის ორგანიზაციას. მაგრამ განსაკუთრებით უზნეო, ურჩ და უპატიოსნო პირებს სამუდამოდ აძევებდნენ ამქრიდან. იგი ასეთ შემთხვევაში ქალაქში მოსაქმე ხელოსან-ვაჭართა სხვა კატეგორიაში გადადიოდა და ერთპიროვნულ ხელოსან-ვაჭართა ფენას ავსებდა.

ოსტატების გარდა გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების პროფესიულ ორგანიზაციებში შევირდებიც იყვნენ. შევირდის, მოწაფის ინსტიტუტის არსებობა დამახასიათებელია საზოგადოდ ამქრისათვის. ამდენად მან თითქმის საყოველთაო გავრცელება მოიპოვა როგორც აღმოსავლეთის, ასევე ევროპის ფეოდალურ ქალაქებ-

46 დამატება, 4, მუხლი 28.

47 იქვე, მუხლი 32.

48 იქვე.

ში. ეს აიხსნება შუა საუკუნეების ხელოსნობის შინაგანი ბუნებით. ოსტატი ვალდებული იყო თავისი ცოდნა-გამოცდილება გაეზიარებინა შეგირდისათვის. მხოლოდ ასე შეიძლებოდა ნებისმიერი ხელოსნური ღირსების უწყვეტი განვითარება-გაფართოება. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ხელოსანთა, ვაჭართა და სხვა საქალაქო პროფესიების დაუფლებულ პირთა გაერთიანებები არა მარტო სოციალურ-პროფესიულ-ტერიტორიული ორგანიზაციები იყვნენ, არამედ თავისებურ სასწავლო ორგანიზაციებსაც წარმოადგენდნენ, რომლებშიც ახალგაზრდა თაობა ეუფლებოდა არჩეული პროფესიის (ხელობა, ვაჭრობა...) წესებს და ჩვევებს.

ამჟრის ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა, რომ ყველა ოსტატს ჰყოლოდა მოწაფე. გამონაკლისს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არც XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ამქრები წარმოადგენდნენ. ამქარში გასაწვრთნელად მიღებულ შეგირდს ან მის მშობლებსა და ოსტატს შორის გარკვეული ხელშეკრულება ადებოდა. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეს ხელშეკრულება ზეპირი ხასიათისა იყო. ორივე მხარე ამჟრის რამდენიმე წევრის ან ამჟრის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით ერთმანეთს სიტყვას აძლევდნენ, რომ დაიცავდნენ მათ შორის დადებულ პირობას. ასეთი ზეპირი ხელშეკრულება დაფუძნებული იყო ამქარში შემუშავებულ ნორმებსა და ადათობრივ სამართალზე. ცხადია, მასში გათვალისწინებული იყო ოსტატისა და შეგირდის ურთიერთვალდებულებები. ოსტატი პირობას აძლევდა შეგირდს ან თუ იგი ჯერ მცირეწლოვანი იყო მის მასლობლებს, რომ იგი არ გააჩვენებდა ახლად მიღებულ შეგირდს თავისი „ღვიძლი შვილისგან“ და გაწაფავდა თავის ხელობაში⁴⁹.

მაგრამ ზეპირი ხელშეკრულების გვერდით უფრო მოგვიანებით, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ან მიწურულში, ჩნდება წერილობითი ხელშეკრულებებიც. თბილისის ოქრომქედელთა ამჟრის წესდებაში აღნიშნულია, რომ შეგირდის მიღება ამქარში ხდებოდა მხოლოდ „საშეგირდო ხელშეკრულების საბუთის“ საფუძველზე. ამ საბუთს ადგენდა ოქრომქედელთა ამჟრის მწერალი, რომელშიც თავისი ხელისმწერით უნდა დაედასტურებინა კონტრაქტში გათვალისწინებული მუხლების სისწორე. წესდება ზოითხოვს, რომ კონტრაქტი დაწერილი უნდა ყოფილიყო „ღერბიან“, ე. ი. ღერბის ქვირნიშნიან და არა უბრალო ქალაღზე. ხელშეკრულების „სიმტკიცისათვის და სახელმწიფო ხაზინის სარგებლობისათვის“⁵⁰, ოქრომქედელთა ამქარში შეგირდის მიღება ხდებოდა უსტაბაშისა და ამჟრის სხვა ხელ-

⁴⁹ С. Егнazarov, Городские цехи, с. 98.

⁵⁰ დამატება, 4, მუხლი 6.

მძღვანელობის ნებართვითა და დასწრებით⁵¹. მართალია, წესდების მე-6 მუხლში, რომელშიც საუბარია საშეგირდო კონტრაქტის გაფორმების თაობაზე, არაფერია ნათქვამი ამ ხელშეკრულების შინაარსზე, მაგრამ წესდების სხვა მუხლების მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მასში აღნიშნული იქნებოდა შეგირდისა და ოსტატის უფლება-მოვალეობანი და მათი ურთიერთდამოკიდებულების ნორმები.

XIX საუკუნის შუა წლებიდან საშეგირდო ხელშეკრულებების ანუ პირობის წიგნების გაფორმება უკვე საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო საქართველოს ქალაქებისა, უწინარეს ყოვლისა კი თბილისის ამქრებში⁵². როგორც ჩანს, ეს ფაქტი აისახა 1867 წლის „ქალაქ თბილისის სახელოსნო ამქრებისა და მათი მართველობის დებულების“ 42-ე მუხლში, რომელშიც ლაპარაკია ამქრებში შეგირდების მიღების თაობაზე. დასახელებული მუხლის თანახმად, ხელშეკრულება (ДОГОВОР) უნდა გაფორმებულიყო ორივე მხარის (ოსტატის და შეგირდის) და ორი მოწმის თანდასწრებით. ყოველი ასეთი ხელშეკრულების თაობაზე ოსტატი ვალდებული იყო შეეტყობინებინა უსტაბაშისათვის.⁵³

შეგირდის აყვანისას ოსტატი უნდა მოლაპარაკებოდა პირადად მას, თუ იგი სრულწლოვანი იყო, ხოლო თუ შეგირდი სრულ ასაკს არ იყო მიღწეული, მაშინ ოსტატი უნდა შეთანხმებულიყო მის მშობლებთან, ნათესავებთან ან მეურვეებთან, რომელთაც იგი იზრდებოდა⁵⁴.

ამრიგად, ირკვევა, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებში შეგირდის ამქარში მიღების დროს არსებობდა შეთანხმების სხვადასხვა ფორმები. თუ XVI—XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უმთავრესად ზეპირი ხელშეკრულებით კმაყოფილდებოდნენ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ან მიწურულიდან ჩნდება წერილობით გაფორმებული კონტრაქტები, რომელიც საკმაოდ ფართო გავრცელებას პოულობს უკვე მომდევნო საუკუნის შუა წლებში.

რა მდგომარეობა იყო ამ მიმართებით საქართველოს მეზობელ ქვეყნებში? როგორც ჩანს, ოსტატს და შეგირდს შორის კონტრაქტის დადება ცნობილი იყო ირანში უკვე XIII-XIV საუკუნეებში და, შესაძლებელია, უფრო ადრეც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოაღწია ერთერთმა ასეთმა სპარსულ ენაზე დაწერილმა საბუთმა, რომელიც თარი-

⁵¹ დამატება, 4, მუხლი 6.

⁵² ქ. ა. ბერძენიძის, ლოკალიზაციის შესახებ მონაცემები (18—20-ე საუკუნეები), სერიალს, 1971, გვ., 101—102.

⁵³ Положение о ремесленных амкарах (цехах) в гор. Тифлисе и об их управлении, Тифлис, 1914, с. 15.

⁵⁴ იქვე.

დღემა 756 წლის რაბი ალ-აველის „დალოცვილი თვის“ მეორე დღით-
 ანუ 1355 წლის 15 მარტით. თუმცა საბუთს სათაურად უზის *اجاره*,
 ე. ი. „მიქირაება“, მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს საშეგი-
 რდო ხელშეკრულებას. მასში ნათქვამია, რომ ვინმე ქემალ ად-დინ ჰა-
 სან ბენ აბდალაჰმა ბენ ალ-ჰაიათიმ თავისი ვაჟი, სახელად ჰოსეინი, ორ-
 მოცდაათი „თეთრი ოქროს დინარით“, რომელიც თავრიზში იყო მოქ-
 რილი, ერთი წლის განუწყვეტელი ვადით მიაბარა „ხელობის მეუფე-
 ეს“ ჰამად ად-დინ ჰოსეინ ბენ აჰმედ დიბაჯის, რათა მისთვის დიბის
 მქსოველის ხელობა შეესწავლებინა და რწმენა და პატიოსნება შთაენე-
 რგა მისთვის. ამისათვის ოსტატს გასამრჯელოდ მიეცემოდა ზემოხსე-
 ნებული თანხის ნახევარი, ე. ი. 25 დინარი, მეორე ნახევარი კი, რო-
 გორც ჩანს, შეგირდის ხარჯების დასაფარავად იყო გამიზნული. ამ ხელ-
 შეკრულების დამოწმება-დადასტურება „საზოგადოების“ ანუ, ჩვენი-
 აზრით ამქრის, წევრების ხელისმომწერით მომხდარა.⁵⁵

განხილული საბუთი უცილობელი დასტურია იმისა, რომ ჩვენ-
 თვის საინტერესო ხანამდე გაცილებით ადრე ირანის ფეოდალურ ქა-
 ლაქებში ცნობილი იყო ოსტატ-შეგირდს შორის გარკვეული ხელშე-
 კრულების დადება-გაფორმება, რომელიც მტკიცდებოდა საზოგადოე-
 ბის (ამქრის) წევრების მიერ. მაგრამ მოტანილი საბუთი ერთადერთ
 გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან ჩვენთვის ცნობილ სპარსულ წყა-
 როებში ანალოგიური ხასიათის სხვა დოკუმენტი არ შეგვხვდრია.
 უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი საშეგირდო ხელშეკრულებები სხვე-
 ბიც არსებობდა, მაგრამ ჩვენამდე ან არ მიულწევიათ, ან ჯერჯერობით
 არ არის მიკვლეული. ერთი კი ცხადია, სეფიანთა ბატონობის ხანაში-
 და განსაკუთრებით XVII საუკუნეში, როდესაც საქალაქო ცხოვრების
 ყველა მხარემ და მათ შორის ამქრულმა წყობილებამ განვითარების
 უმაღლეს დონეს მიაღწია ირანში, საშეგირდო ხელშეკრულებებს უმ-
 თავრესად მხარეების ზეპირი შეთანხმებების სახე ჰქონდა. ალბათ,
 სავსებით სწორია უან შარდენი, როდესაც გადმოგვცემს, რომ ოსტატსა-
 და შეგირდს შორის წერილობითი კონტრაქტები არ იღებოდა⁵⁶. ამრი-
 გად, სეფიანთა სახელმწიფოში ოსტატ-შეგირდის ურთიერთვალდებუ-
 ლების განსაზღვრა უმთავრესად ზეპირი შეთანხმების საფუძველზე
 წარმოებდა და აქაც, ისევე როგორც საქართველოში, მათი დამოკი-
 დებულება ამქარში არსებული წესებისა და ადათობრივი სამართლის
 ნორმების გათვალისწინებით ხდებოდა.

⁵⁵ اسناد و نامه‌های تاریخ از اوایل دوره‌های اسلامی تا اواخر عهد شاه اسمعیل صفوی، تألیف سید علی مؤید تابتی، تهران، ۱۳۳۰، 244.
⁵⁶ Chardin, IV, 33. 94.

ზემოხსენებულ 1355 წლის სპარსულ დოკუმენტს შეგირდის „მიქირავების“ შესახებ ეხმაურება 1569/70 წლით დათარიღებული, აგრეთვე სპარსულ ენაზე შედგენილი ორი სამარყანდული საბუთი. ერთ-ერთი მათგანის სათაურია „საშეგირდო ვასიყა“ ანუ საშეგირდო ხელშეკრულება; მეორეს საერთოდ არ აქვს სათაური, მაგრამ, როგორც ჩანს, ანალოგიური ხასიათის დოკუმენტებს, რომელშიც განსაზღვრული იყო შეგირდის ოსტატთან მიღების პირობები, „საშეგირდო ვასიყა“ ეწოდებოდა. ორივე საბუთი დამტკიცებულია ქალაქ სამარყანდის ყადის მიერ და მის რეესტრშია შეტანილი⁵⁷.

ჩვენთვის საინტერესო საბუთების სტრუქტურა იდენტურია და უნდა ვიფიქროთ, რომ შუა აზიაში და ირანში (თუ გავითვალისწინებთ 1355 წლის საბუთს) არსებული ტრაფარეტის შესაბამისად არის შედგენილი. ორივე დოკუმენტი იწყება თარიღის აღნიშვნით, როდესაც გარკვეულმა პირმა განაცხადა სურვილი შეგირდად დადგომისა. შემდეგ აღნიშნულია, რომ შეგირდობის კანდიდატს აქვს უფლება განაგოს თავისი ქონება, ამას მოსდევს შარიათზე დაფუძნებული განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია ოსტატთან მიბარების პირობები, სწავლების ვადა, თანხა, რომელსაც იგი აძლევდა ოსტატს, ხელობის სრულყოფილად დაუფლების აუცილებლობა, ხსენებული თანხიდან ნაწილი ოსტატის გასამრჯელოდ და ნაწილი შეგირდის სარჩენად. ვასიყები მთავრდება მოთხოვნით, რომ ოსტატმა საჯაროდ „მიიღოს და დაამტკიცოს ის, რაც ამ საბუთში მის სასარგებლოდაა აღნიშნული“, ე. ი. ოსტატმა თავისი თანხმობა უნდა განაცხადოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ პირობებზე. ვასიყები მტკიცდებოდა „სარწმუნო“ ადამიანების დასწრებით.

1569/70 წლის ორივე სამარყანდული ვასიყა შეგირდის სახელითაა დაწერილი. პირველ მათგანში აღნიშნულია, რომ თურსუნ მუჰამედ ბენ ყორბანი თავის თავს „მიქირავების წესით“ შეგირდად აბარებს ალაჩის მქსოველს ოსტატ ქუჩეკს ოსტატ ჭანალის ძეს წელიწადნახევრის ვადით სამი ათას დინარად სპილენძის კურსით, რათა, როგორც ნათქვამია საბუთში, „ამ ვადაში შარიათზე დაფუძნებული ყველა საქმე, რომელსაც [იგი] მიბრძანებს [ჩემი] შესაძლებლობისა და ძალის შესაბამისად აღვასრულო“. ამრიგად, ვასიყაში იგულისხმება, რომ შეგირდმა მხოლოდ უნდა შეასრულოს ის სამუშაო, რომელიც არ ეწინააღმდეგება ისლამისა და შარიათის ნორმებს. საბუთის ყველაზე საინტერესო მონაკვეთია ის პასაჟი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული თანხიდან ათას დინარს შეგირდი იხდიდა ხელობის შესასწავლად. ვასიყაში ოსტატის მასწავლებლად აყვანა კვალიფიცი-

⁵⁷ Казийские документы, Ташкент, 1937, с. 25, 56.

რებულისა, როგორც ოსტატის „დაქირავება“. საბუთში ეკითხულობთ: „...ხსენებულ ოსტატს ვქირაობ ზემოაღნიშნული კურსით ათას დინარად, რომ ამ ვადაში შემასწავლოს ალაჩის ქსოვის ხელობა და ყველაფერი მასთან დაკავშირებული, ისე რომ ხსენებული ხელობის ყველა ოსტატმა მოიწონოს (ჩემი გაწაფულობა)“. დარჩენილი თანხა უნდა დაეხარჯა შეგირდის საკმლისა და ტანსაცმლისათვის.

მეორე სამარყანდული საშეგირდო ხელშეკრულება ზუსტად იმეორებს პირველის კომპოზიციურ აღნაგობას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ შეგირდი ექვს ათას დინარს აძლევს ოსტატს, სამი წლით მიეზარება მას სამღებრო ხელობის შესასწავლად. ოსტატის გასაძრკელო შეადგენდა 3 ათას დინარს, დარჩენალი სამი ათასი კი თავად შეგირდს უნდა მოხმარებოდა⁵⁸.

განხილული დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, რომ შეგირდის ვადასახდელი და ოსტატის გასაძრკელოს ოდენობა დამოკიდებული იყო ხელობის სირთულეზე და სწავლების ვადის ხანგრძლივობაზე. XVI საუკუნის შუაზიური დოკუმენტები ანალოგიურია XIV საუკუნის სპარსული საბუთისა, რადგან მათში ერთნაირად არის გათვალისწინებული ოსტატის დაქირავება შეგირდის (ან შეგირდის მშობლების) მიერ, ოსტატისათვის თანხის მიცემა, რომლის ნაწილი მის ხელფასს წარმოადგენდა, ხოლო მეორე ნაწილი გამიზნული იყო მიღებული შეგირდის სარჩენად.

სრულიად სხვა ხასიათისაა XIX საუკუნის დამდგვის აზერბაიჯანის ქალაქ ნუხაში შედგენილი საშეგირდო ხელშეკრულება. მასში არც ოსტატის დაქირავებაზეა ლაპარაკი და არც მის გასაძრკელოზე. აქედან ჩანს, რომ აღებული ხანის ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ქალაქებში ოსტატს შეგირდის სწავლა-გაწაფვისათვის არაფერს არ უხდიდნენ. საბუთში აღნიშნულია, რომ ნუხის მკვიდრი ვინმე აბდულ ქერიმ ზუჰამედ ჰუსეინ ოღლი თავის შვილს, ბაბას, აბარებს ოსტატს (უსტას) აჰმედ ჰასან-ოღლის, რათა მას სამი წლის განმავლობაში შეასწავლოს მეწაღის ხელობა. ოსტატს, ამ ხელშეკრულების თანახმად, ევალეზოდა ერჩინა შეგირდი თავის ხარჯზე, ყოველდღიურად მიეცა მისთვის საკმელ-სასმელი და წელიწადში ერთხელ ეჩუქებინა „ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ერთი წყვილი წინდა, ერთი ქუდი“. სამაგიეროდ საბუთში აღნიშნულია, რომ ოსტატს შეეძლო გამოეყენებინა იგი „სამეურნეო საქმეებში, როგორც დუქანში, ასევე თავის სახლში“. ამრიგად, აზერბაიჯანულ საშეგირდო კონტრაქტში პირდაპირ არის დაშვებული შეგირდის ექსპლოატაცია ოსტატის მიერ. როგორც მინაწერიდან ირკვევა, საბუთი ორ ცალად ყოფილა შედგენილი. უსტატაქარის ანუ უსტატაჰის

⁵⁸ Казнийские документы, с. 25. 56.

განიზაციაში. იმ აქრებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იყო მძიმე და შრომატევად სამუშაოებთან, ითვალისწინებდნენ მომავალი შეგირდის ჯანმრთელობასაც, რადგან ფიზიკურად სუსტი ყმაწვილი ვერ შეძლებდა ასეთი სახელოსნო დარგების საწარმოო პროცესში მონაწილეობას. უფრო დაბალი ასაკობრივი ცენზი არსებობდა ისეთ სახელოსნო დარგებში, როგორიც იყო ფეიქრობა, თერძობა, თოკების გრეხვა, მეხალიჩეობა, ქუდების კერვა, სურსათ-სანოვავის დამზადება და სხვ. ასეთი დარგების ამქრებში ბავშვებს ლებულობდნენ 9—10 წლის ასაკში და ზოგჯერ უფრო მცირეწლოვანებსაც⁶². მაგალითად, 1777 წლის ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მზექაბუჯ ორბელიანხდა თავისი ყმა გლეხი, წლოვანებით რვა წლისა, შეგირდად ოსტატ ფეიქარს მიაბარა⁶³.

ასეთივე ვითარება იყო ირანის, თურქეთის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და სხვა ქვეყნების ქალაქებში. სეფიანთა ირანის ქალაქებში არსებული შაჰისა და მსხვილი ფეოდალების კუთვნილ დიდ სახელოსნოებში — ქარხნებში შეგირდად მიღების ასაკი მერყეობდა 12—15 წლის ფარგლებში⁶⁴. შუა აზიაშიც სხვადასხვა სახელოსნო დარგების შესასწავლად სხვადასხვა ასაკის ყმაწვილებს ლებულობდნენ⁶⁵.

საქართველოსა და დასახელებული ქვეყნების ქალაქებში ზუსტად დადგენილი არ იყო აგრეთვე შეგირდის სწავლების ხანგრძლივობა. ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო ხელობის სირთულეზე, შეგირდის უნარზე და მონდომებაზე, ოსტატის კეთილსინდისიერებაზე⁶⁶ და სხვ. ახალციხეში შეგირდობის ვადა განსაზღვრული იყო ოთხიდან ათ წლამდე⁶⁷, თბილისში — სამიდან რვა, ხოლო გორში სამიდან ხუთ წლამდე⁶⁸. საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ხელობის შესწავლას სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა დრო სჭირდებოდა. მაგალითად, ოქრომჭედლობას შეგირდები თბილისში სწავლობდნენ 7—10 წელს.

⁶² Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 361; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის განვითარება XIX—XX საუკუნეებში, გვ. 223; ე. კუცია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან XVI—XVIII ს-ის პირველ ნახევარში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 108.

⁶³ Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 361.

⁶⁴ Chardin, VII, გვ. 333.

⁶⁵ А. М. Беленицкий, Организация ремесла в Самарканде XV—XVI вв., с. 46.

⁶⁶ А. П. Загурскии, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 году, с. 25.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 361.

ახალციხეში — 4—9 წელს, მეწაღეობას თბილისში — 6—4 წელს, ახალციხეში — 3—5 წელს, კონების ხელობას თბილისში — 7—10 წელს, ახალციხეში — 4—7 წელს. ასეთივე მკვეთრი განსხვავება არსებობდა მკერავების, მესანთლეების, მესპილენძეების, მეთარაღებისა და სხვა სახელოსნო დარგების წესებისა და ჩვევების ათვისების ხანგრძლივობის თვალსაზრისით⁶⁹. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული განსხვავების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ თბილისში სახელოსნო წარმოების პროდუქციაზე უფრო დიდი მოთხოვნილება იყო და მუშტრები და დამკვეთები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ხელოსნური ნაწარმის ხარისხს, სილამაზესა და სინატიფეს. ამდენად შეგირდს მოეთხოვებოდა არჩეული ხელობის სრულყოფილად დაუფლება და მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამქარი ვერ გაუმკლავდებოდა თავის მოქიშპე ხელოსნურ ამქარს და კონკურენციაში დაიღუპებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო უმთავრესი ფაქტორი შეგირდის სწავლა-გაწაფვის განსაკუთრებული ხანგრძლივობისა თბილისში, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში გამოირჩეოდა თავისი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით, სახელოსნო წარმოებისა და აღებმიცემობის განვითარების მაღალი დონით.

ქართული ფეოდალური სამართალი მოითხოვდა, რომ შეგირდი თავის „ხელოსანთან დარჩენილიყო ხელობის სრულყოფილად ათვისებამდე“⁷⁰. ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ოსტატები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ ამ მოთხოვნას, ხელოვნურად ახანგრძლივებდნენ სწავლების ვადას და შეგირდის შრომას თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ. უსტაბაშებს ევალებოდათ თვალყური ედევნებინათ იმისათვის, რომ ოსტატებს ხელობის შესწავლისათვის ვანკუთვნილ ვადაზე მეტ ხანს არ დაეტოვებინათ თავისთან შეგირდები. აღნიშნული წესის დამრღვევი ჯარიმის გადახდით ისჯებოდნენ⁷¹.

მიუხედავად ასეთი მკაცრი მოთხოვნისა, მაინც ვერ მოხერხდა ოსტატების მიერ შეგირდების სწავლების ვადის დარღვევების აღკვეთა. სწორედ ამიტომ 1867 წლის „სახელოსნო ამქრების დებულებამ“ განსაზღვრა, რომ სწავლების ვადის შესახებ უნდა შეთანხმებულიყო ორივე მხარე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იგი არ უნდა გადაცილებოდა ხუთ წელს. თუ დროის ამ მონაკვეთში შეგირდი შესაფერისად

69 E. Егн а з а р о в, Городские цехи, с. 328.

70 დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 397.

71 იქვე.

ვერ გაიწაფებოდა ხელობაში, ორმხრივი შეთანხმება უნდა განახლებულიყო⁷²

შეგირდების რაოდენობა რეგლამენტირებული არ იყო. მაგრამ გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრებში გაერთიანებულ ოსტატებს უმთავრესად თითო-თითო შეგირდი ჰყავდათ. ამას მოწმობენ XIX საუკუნის დამდეგის ქართული ისტორიული დოკუმენტები. მაგალითად, 1801 წლის საბუთში მოხსენიებულია „კალატოზი გოგია შაგირდით“, „ერთი კალატოზი გურგენა შაგირდით“, „ერთი კალატოზი ბეცია შაგირდით“, „ერთი კალატოზების იგითბაში შეგირდით“⁷³. ასევე თითო შეგირდია მოხსენიებული 1802 წლით დათარიღებულ საბუთში. თითოეული მათგანი თავის ოსტატებთან ერთად დაკავებული იყო სადურგლო სამუშაოებზე სახლის მშენებლობაზე⁷⁴. ზოგჯერ ოსტატი ხელოსანი ერთდროულად 2, 3 და 4 შეგირდსაც კი ასწავლიდა. 1806 წლის სახარჯო წიგნში მოხსენიებულია ერთი კალატოზი, რომელიც თავის ოთხ შეგირდთან ერთად მუშაობდა მშენებლობაზე⁷⁵. ასეთივე ვითარება იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებშიც. XIX საუკუნის შუა წლების ერევანში, ნახჭევანსა და ორდუბადში ხელოსნებს ერთი, ორი ან უფრო მეტი შეგირდი ჰყავდათ⁷⁶. როგორც ირკვევა, აღებული ხანის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ქალაქებში ოსტატებს იმდენი შეგირდის აყვანა შეეძლოთ, რამდენიც აუცილებელი იყო ამქრის ხელოსნობის, აღებმიცემობის თუ სხვა პროფესიის განვითარება-გაფართოებისათვის. რა თქმა უნდა. ითვალისწინებდნენ იმ გარემოებასაც, თუ რამდენი შეგირდის სწავლა-გაწაფვას შეეძლებდა ერთდროულად ოსტატი.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატს უფლება არ ჰქონდა გადაებირებინა სხვა ოსტატის შეგირდი; ამისათვის იგი საკმარის დიდი თანხით ჯარიმდებოდა. 1871 წლის ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდების მე-5 მუხლი აღნიშნავს: „აგრეთვე შეგირდი ერთი ერთმანეთში ვინც შეაცდინოს და გაიყვანოს, მას ეკუთვნება შტრაფი ერთი თუმანი“⁷⁷.

ანალოგიური პუნქტია შეტანილი თბილისის იუველირთა პირობის წიგნში. ამ პუნქტის თანახმად, ოსტატს უფლება არ ჰქონდა შეგირდი გადმოებირებინა სხვა ოსტატისგან⁷⁸. ამრიგად, საქართველოს ამ-

72 Положние о ремесленных амкарах.... с. 15.

73 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, წ. 1, თბ., 1938, გვ. 175, 178, 181.

74 იქვე, გვ. 194.

75 იქვე, გვ. 245.

76 ქ. კ. უციო, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები..., გვ. 150.

77 დამატება, 2, მუხლი 5.

78 დამატება, 4, მუხლი 8.

ქრებში არსებული ტრადიციები მოითხოვდა ოსტატებს შორის კოლეგიალობის დაცვას ამ საკითხშიც. მაგრამ, რასაკვირველია, ამქრის ცხოვრებაში იყო შემთხვევები, როდესაც ოსტატი და შეგირდი იძულებული იყვნენ დაცილებოდნენ ერთმანეთს და შეგირდი სხვა ოსტატთან გადასულიყო პროფესიის შესასწავლად. როდესაც შეგირდს და ოსტატს „მნიშვნელოვანი მიზეზი“ ჰქონდათ ოსტატის დატოვებისა და შეგირდის გაშვებისა, ამის შესახებ მათ უნდა მოეხსენებინათ ამქრის ხელმძღვანელობისათვის და მხოლოდ ქვეშაირების დადგენის შემდეგ ისინი მიიღებდნენ „სწორ გადაწყვეტილებას“ და ოსტატის გამოცვლის ნებას აძლევდნენ შეგირდს⁷⁹.

წყაროებში დაცულია საკმაო რაოდენობით მასალა ოსტატისა და შეგირდის ურთიერთვალდებულებებისა და ურთიერთდაპოკიდებულებების შესასწავლად. ოსტატის უპირველესი მოვალეობა იყო თავისი შეგირდის მიმართ ხელობის ყველა პროფესიულ ჩვევებში განსწავლა, რათა მისგან მაღალი კვალიფიკაციის ოსტატი გამოეზარდა. დავით ბაგრატიონის „მიმოხილვა“ მოითხოვს, რომ „მოწაფეები“ ხელოსნებმა „გულისყურით“ უნდა გაწაფონ და არჩეული ხელობის ყველა წესი „დაუფარავად“ შეასწავლონ მათ⁸⁰. შეგირდის გაწაფვა წმიდა მოვალეობად იყო მიჩნეული და ღვთისა და მისი წმინდანების სასურველ საქმედ ითვლებოდა. ახალციხის მეწაღე-ხელოსანთა შეგირდის ოსტატად დალოცვის წიგნში აღნიშნულია, რომ მეწაღეობის სახელოსნო დარგის დამაარსებელი ილია წინასწარმეტყველი იყო. საბუთი მოუწოდებს ოსტატებს, რომ როგორც დასახელებულმა წმინდანმა გადასცა მათ ეს ხელობა „წმიდად და შეურყვნელად“, ასევე ისინი ხელობის დამაარსებლისა და მფარველის „სიკეთის დასაფასებლად“ ვალდებული იყვნენ შეგირდებისათვის „სრულყოფილად შეესწავლებინათ“ ხელობა⁸¹.

განსაკუთრებით დაწვრილებით არის აღწერილი ის ტექნიკური წესები, რომლებიც ოსტატს უნდა ესწავლებინა შეგირდისათვის ოქრომკედელთა ამქრის პირობის წიგნში. ამ ძეგლის მე-12 მუხლი მთლიანად აღნიშნულ საკითხს ეხება. ყველა ოსტატი-იუველირი, რომელსაც შეგირდი ჰყავდა, მოვალე იყო, უწინარეს ყოვლისა, გაეწაფა „ყვავილების გამოყვანაში, ცირკულის და კუთხსაზომის, ე. ი. ფარგლის და სახაზავის გამოყენებაში“; ეს აუცილებელი იყო ყველა შეგირდისათვის, „რადგან უამისოდ საერთოდ არც ერთი ხელობის (იგულისხმება საიუველირო ხელობის სახეები — კ. კ.) შესწავლა არ შეიძლება“. შეგირდი

79 დამატება, 4, მუხლი 8.

80 დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 397.

81 დამატება, 4, მუხლი 12.

უნდა დაუფლებოდა აგრეთვე გრავირებას და ჩუქურთმის გამოყვანას. თუ შეგირდი არ აითვისებდა ოქრომკედლობის ხელობასთან დაკავშირებულ ყველა ტექნიკურ ხერხს, იგი ოსტატის ხარისხს ვერ მიიღებდა. იუველირთა წესდების ამავე მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ოსტატმა პირადად თვითონ უნდა გაწაფოს ძეგირდი, მაგრამ თუ თავად მას საკმაო გამოცდილება არ ჰქონდა ამ საქმეში, ე. ი. მოწაფის გაზრდა-სწავლებაში, მას ეს ამოცანა სხვა ოსტატის დახმარებით უნდა გადაეწყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამქარში გაერთიანებული ყველა ოსტატი, შეგირდებიც რომ არ ჰყოლოდათ მათ, სხვა ოსტატების მოწაფეებისათვის მაგალითი უნდა მიეცა თავისი საქმიანობითა და ქცევით. საგულისხმოა ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტში მოცემული განმარტება შეგირდის სწავლების აუცილებლობის თაობაზე. მასში რამდენიმე მიზეზია დასახელებული. ოსტატების მიერ შეგირდის გაწვრთნა-განსწავლა საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, უფლის სახელის სადიდებლად, შემდეგ ადამიანის ბუნების პატივსაცემად, ხოლო შემდეგ „გვარის სახელისათვის“. მაგრამ ყველაზე საგულისხმოა მეოთხე მიზეზი, რომლის მიხედვითაც შეგირდისგან მაღალკვალიფიციური ხელოსნის გამოზრდა აუცილებელი იყო „სახელგანთქმული ამქრის ღირსებისათვის“ და ყველა ამქრის წევრის მიზანი იყო, რომ ამქარში არც ერთი „უხეირო ოსტატი“ არ ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, საესეებით მართებული იქნება თუ დავასკვნით, რომ წესდების შემდგენელი ზრუნავდნენ ამქრის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, რადგან დახელოვნებული ოსტატების საქმიანობა ამქრის დაწინაურება-განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იჩენდა ამქრის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას შეგირდის სწავლა-გაწაფვის მიმართ. „გულგრილობაში“ მხილებულ ოსტატს ტუქსავდნენ და აფრთხილებდნენ, მაგრამ თუ ეს ზომები არ გასჭრიდა, მაშინ ამქრის ადმინისტრაცია მისგან შეგირდს წამოიყვანდა და სხვა ოსტატს მიაბარებდა. ასეთ „გულისხმიერებას“ ადმინისტრაცია იჩენდა არა იმის გამო, რომ შეგირდი „ამქრის ძედ და შვილად“ ითვლებოდა⁸², არამედ მას ამ შემთხვევაშიც სრულიად გასაგები გარემოების გამო ამქრის ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა.

ოსტატის მიერ შეგირდის სათანადოდ გაწაფვა-დახელოვნება საზოგადო მოვლენა იყო ფეოდალური ქალაქის სინამდვილეში. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნილება ოსტატ-მასწავლებლის მიმართ თანაბრად დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისათვის. ჩვენ მიერ ზემოგანხილულ ირანულ, შუაზიურ და აზერბაიჯანულ საშეგირდო ხელშეკრულებებში ხაზგასმითაა

⁸² დამატება, 4, მუხლი 12.

აღნიშნული, რომ ოსტატის უპირველესი მოვალეობა იყო აყვანილი შეგირდის საფუძვლიანი განსწავლა. 1569/70 წ. ქალაქ სამარყანდის ერთ-ერთ ვასიყაში შეგირდი მოითხოვს, რომ ოსტატმა შეასწავლოს მას „ალაჩის ქსოვის ხელობა და ყველაფერი მასთან დაკავშირებული“⁸³, ხოლო მეორეში შეგირდი ითხოვს, რომ მის მიერ „დაქირავებული“ ოსტატმა ასწავლოს მას „მღებავის ხელობა და ყველაფერი მასთან დაკავშირებული“⁸⁴. ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავს აგრეთვე: 1355 წლის თავრიზული საბუთიც, რომელშიც ოსტატს ევალება შეასწავლოს თავის შეგირდს „დიბის მქსოველის ხელობა“⁸⁵.

შეგირდის სწავლა-გაწაფვის პუნქტი შედის თითქმის ყველა შუა-აზიურ სპარსულ ენაზე შედგენილ ამქრულ რისალებში ანუ წესდებებში. მაგალითად, დალაქების რისალე ავალებს ოსტატს აიყვანოს და სათანადოდ გაწაფოს შეგირდი⁸⁶. იგივე მოთხოვნაა გათვალისწინებული მეპურეების რისალეში⁸⁷, ყასბების რისალეში⁸⁸ და ა. შ. ყასბების რისალეში განსაზღვრულია დრო, რომელიც უნდა დაეთმო ოსტატს თავისი შეგირდის სწავლებისათვის. მას თავისი მოწაფე უნდა ემეცადინებინა „დილას და საღამოს“. ამ დროს ოსტატი შეგირდს წრთვნიდა და ასწავლიდა არა მარტო არჩეულ ხელობასთან დაკავშირებულ წესებს, არამედ რელიგიურ და ზნეობრივ ნორმებს, ლოცვებს, ხელობის წარმოშობასთან დაკავშირებულ გადმოცემებს, ხელობის მფარველი წმინდანების — ფირების საპატივეცემოდ დადგენილ წეს-ჩვეულებებს და სხვ⁸⁹.

ოსტატ-მასწავლებლის დახმარების გარეშე ყოველგვარი ხელობის, ხელოსნობის თუ ხელოვნების დარგის ათვისება ძალიან რთული იყო. XVI საუკუნის სპარსულ ტრაქტატში მხატვრობის შესახებ, რომლის ავტორია ცნობილი თავრიზელი მხატვარი-მინიატურისტი სადიყ-ბეგ ავშარი, ნათქვამია: „უოსტატოდ [ყოველი] საქმე ძნელია, ასე მიკარნახა ჩემმა საღმა გონებამ, თავდაპირველად გზა ოსტატისკენ უნდა გაიკვალა“⁹⁰.

⁸³ Казийские документы..., с. 25.

⁸⁴ Казийские документы..., с. 25.

⁸⁵ გვ. 244 « اسناد و نامه‌ای تاریخ

⁸⁵ Рисоля саратовских ремесленников, Исследование преданий мусульманских цехов, собрал и перевел М. Гаврилов, 1912, с. 21.

⁸⁷ იქვე, გვ. 42.

⁸⁸ იქვე, გვ. 29.

⁸⁹ იქვე, გვ. 47; Н. А. Кузнецова, Ремесленные рисале, КСИБ, XIX, М., 1956, с. 93.

⁹⁰ Садиқ-бек Афшар, Гапуи ос-совар (трактат о живописи). Введение, комментарии и примечания А. Ю. Казиева, Баку, 1963, с. 25—26.

ამრიგად, ხელობის ან სხვა ნებისმიერ პროფესიის შეგირდის მიერ შესწავლა-ათვისების საქმეში ოსტატს გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა სხვადასხვა ქვეყნების ფეოდალური ქალაქების ამქრებში. მაგრამ ტრადიციებისა და ფეოდალური სამართლის დაჟინებული მოთხოვნა, რომ ოსტატს კეთილსინდისიერად აღესრულებინა მასწავლებლის მოვალეობა, ნათლად გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ ოსტატი ყოველთვის არ ისახავდა მიზნად თავისი ცოდნა-გამოცდილება სრულად გაეზიარებინა შეგირდისათვის. დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ ზემოთ ნახსენები მუხლი, რომელიც ღოთხოვდა, რომ ხელოსანს ხელობის წესები „დაუფარავად“ შეესწავლებინა შეგირდისათვის, მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ოსტატები ხშირად უმაღლედნენ შეგირდებს განსაკუთრებულ ეფექტურ საწარმოო ჩვევებს და წესებს, არ უმხელდნენ წარმოების „საიდუმლოებას“. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, შეგირდს გაუჭირდებოდა არჩეული პროფესიის სრულყოფილი ათვისება. უმეცარი და ცუდად გაწრთვნილი ხელოსანი კი ზიანს აყენებდა არა მარტო ამქარს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში საშიშიც კი იყო საზოგადოებისათვის.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მხითარ გომის „სამართლის“ ქართული ვერსიის ერთი ფრაგმენტი. მასში ნათქვამია, რომ ზოგჯერ ექიმები თავის ხელობას „არ ასწავლიან თავიანთ შეგირდებს—მართლა“, ე. ი. ასწავლიან არასწორად. ამის მიზეზად ძეგლი თვლის „ქიშობას“ ოსტატსა და შეგირდს შორის. ცუდად გაწრთვნილი ექიმები „უცოდინარობითა ბევრს დააშავებენ და ქირზედ სხვა ქირს დაუმატებენ“⁹¹. ამრიგად, მათი მკურნალობა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სნეულებს.

მოტანილი მასალა შესანიშნავად ასახავს რეალურ ვითარებას გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრებში, რომლებშიც განუწყვეტელ შუღლსა და უთანხმოებას ჰქონდა ადგილი ოსტატებსა და შეგირდებს შორის. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ფეოდალურ ქალაქში, რადგან შინაგანი ბაზრის სიეწროვისა და საგარეო ვაჭრობის შეზღუდული მასშტაბების პირობებში ოსტატ-ხელოსნებს ეშინოდათ ახალი კონკურენტების გაჩენისა ხელობას დაუფლებული, ჰკვიანი და სათანადო ცოდნით აღჭურვილი შეგირდის სახით, რომელიც მათგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ჯერჯერობით ოსტატად არ იყო ხელდასხმული.

საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნების ფეოდალურ ქალაქებში, ხელობას და სხვა საქალაქო პროფესიებს ხშირად მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ამდენად,

⁹¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 371.

ამქარში მოსული შეგირდის მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ოსტატის ძისა ან ახლო ნათესაისა. სწორედ უცხო შეგირდი ხდებოდა განსაკუთრებული ექსპლოატაციის ობიექტი და ოსტატები ყველაზე ხშირად მათ უმაღლესად ზოგიერთ საწარმოო წესს.

ცხადია, ამ თვალსაზრისით გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრები არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდნენ, რადგან ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ოსტატ-შეგირდების წინააღმდეგობა და შუღლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო საზოგადოდ ყველა ქვეყნის ქალაქების პროფესიული ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს მეზობელი ქვეყნების ფეოდალურ ქალაქებშიც „ხელობის საიდუმლოების“ დამალვა ძალიან გავრცელებული იყო. საგულისხმოა, მაგალითად, ჟან შარდენის ცნობა, რომლის თანახმად XVII საუკუნის ერევანში არსებული მოკრივეებისა და მოჭიდავეების „კომპანიებში“, ანუ ამქრებში ოსტატები ხშირად არ უმხელდნენ კრივის ყველა ილეთს თავის შეგირდებს, რაც ზოგჯერ მათი დამარცხების მიზეზი ხდებოდა⁹². ანალოგიური ვითარება იყო სეფიანთა ირანის ქალაქებშიც. მიუხედავად იმისა, რომ აქ ხელობის ან სხვა პროფესიის მემკვიდრეობით გადაცემა ძალიან ხშირი იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა⁹³, ასეთ შემთხვევაშიც კი ოსტატების კონსერვატიულობა და „ხელობის საიდუმლოების“ დამალვა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი თავიანთ შვილებსაც კი არ უმხელდნენ ხელობის ზოგიერთ წესსა და ჩვევას. XVI საუკუნის მიწურულისა და XVII საუკუნის დამდეგის სპარსელი ავტორი სადეყ-ბეგ ავშარი ასე მიმართავს ახალგაზრდებს, რომელთაც მხატვრული პროფესიების დაუფლება ჰქონდათ განზრახული: „ნუ ელი განსაწვლას ხელოვნებათა ოსტატებისგან, რომლებიც საკუთარ შვილებსაც კი არ ასწავლიან“⁹⁴. განსაკუთრებით ხელს უშლიდნენ ნიჭიერი შეგირდის სწრაფვას მიეღო ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა⁹⁵. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ როგორც საქართველოში, ისე სხვაგან, სამუდამოდ დაიკარგა ხელოსნური წარმოების ზო-

⁹² Chardin, II, გვ. 203—204.

⁹³ Chardin, VII, გვ. 333; Казим Ахмед, Трактат о каллиграфиях и художниках, 1656—1657/1005 г. х., М.—Л., 1947, с. 187; О. Ф. Акимущкин, Искандер Мунши о каллиграфиях времени шаха Тахмаспа I, КСИНА, М., 1963, с. 25; Г. И. Костыгова, Трактат по каллиграфии Султан Али Мешхеди, с. 107.

⁹⁴ А. Ю. Казнев, Художественно-технические материалы средневековой рукописи, Баку, 1966, с. 6.

⁹⁵ იქვე.

გიერთი წესი და ჩვევა და აგრეთვე ცალკეულ ნაწარმთა (მაგალითად საღებავების) შედგენილობა⁹⁶.

შეგირდის მთელი საწარმოო საქმიანობა ოსტატის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა. ოსტატი ზოგიერთ დაკვეთას თავისი შეგირდის დახმარებით ასრულებდა. მაგალითად, 1801 წლის ერთ-ერთ ქართულ საბუთში, რომელიც „ბატონისშვილის დავითის სასახლის“ მშენებლობას ეხება, აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე მუშაობდნენ „კალატოზი გოგია შაგირდით“, „ერთი კალატოზი გურგენა შაგირდით“, „ერთი კალატოზი ბეცია შაგირდით“, „ერთი კალატოზების იგითაში შაგირდით“⁹⁷ და ა. შ. ანალოგიური ვითარებაა ასახული 1802 წლის საბუთშიც, რომელშიც ნათქვამია, რომ სახლის აგებაში მონაწილეობას იღებდნენ ღურგლები ბეჯანა, არუთინა და იოსება თავიანთი შეგირდებით⁹⁸. ამ უკანასკნელი საბუთიდან ირკვევა, რომ შეგირდის შრომა ოსტატის შრომასთან შედარებით უფრო ნაკლებად ფასდებოდა. თუ ოსტატები ყოველდღიურად იღებდნენ 10 შაურს, შეგირდების გასამრჩელო მხოლოდ 5 შაურს უღრიდა, ე. ი. მათი შრომა ორჯერ ნაკლებად ფასდებოდა⁹⁹. ზოგიერთ შემთხვევაში შეგირდს დამოუკიდებლადაც შეეძლო მუშაობა, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ოსტატის ნებართვით. თავისთავად ცხადია, რომ შეგირდს უფლება არ ჰქონდა თვითნებურად, ოსტატისა და ამქრის განკარგულების გარეშე შესდგომოდა საქმეს¹⁰⁰. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ შეგირდის მიერ გამომუშავებული თანხა ოსტატს გადაეცემოდა, საიდანაც იგი შეგირდს გამოუყოფდა გარკვეულ ნაწილს. თვითნებურად მომუშავე შეგირდს კი შეეძლო ოსტატისათვის არ გამოეჩინა შესრულებული სამუშაოდან მიღებული თანხა, რაც ეწინააღმდეგებოდა ოსტატ-მასწავლებლის ეკონომიკურ ინტერესებს.

შეგირდის მიერ თვითნებურად, ოსტატისაგან დაუკითხავად სამუშაოს აღება ისჯებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. შუააზიურ რისალებში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ურჩი შეგირდი უნდა დასჯილიყო. „ჩითქარების“ ანუ ქსოვილების მომჩითველების რისალებე მოითხოვს, რომ ის შეგირდი, რომელიც არ შეუთანხმდებოდა ოსტატს და ისე შეუდგებოდა რომელიმე სამუშაოს,

⁹⁶ Н. А. Кузнецова, Материалы к характеристике ремесленного производства в иранском городе XVIII—начале XIX века, «О генезисе капитализма в странах Востока (XV—XIX вв.)». М., 1962, с. 357.

⁹⁷ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. გვ. 175, 178.

⁹⁸ იქვე, გვ. 194.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд, с. 26.

სათანადოდ უნდა დასჯილიყო. მას კისერზე წყლით სავსე სურას ჩამო-
ჰკიდებდნენ, შესვამდხენ შავ ხარზე და ბაზარში გაატარ-გამოატარებ-
დნენ. ამავე დროს დამნაშავე შეგირდს წკეპლით სცემდნენ, რათა
ეს გაკვეთილი გამხდარიყო სხვებისთვის და მათ ვერ გაებდათ დად-
გენილი წესების დარღვევა¹⁰¹. შეგირდი ვალდებული იყო ყველა თა-
ვისი ნახელავი შესამოწმებლად ოსტატისათვის წარედგინა, წინააღმ-
დეგ შემთხვევაში იგი მკაცრად ისჯებოდა¹⁰². შუა აზიის ქალაქებშიც
ოსტატების ასეთი მისწრაფება შეეზღუდათ უკვე ხელობას დაუფლე-
ბული, მაგრამ ოსტატად ხელდაუხსმელი შეგირდის პირადი ინიციატი-
ვა და დამოუკიდებელი საქმიანობა, ისევე და ისევე აიხსნება მათი
ზრუნვით, რათა თავიდან აეცილებინათ შეგირდების კონკურენცია.

ერთი სიტყვით, შეგირდის მდგომარეობა მეტად ძვირე იყო. იგი
ოსტატის ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდა. ყოველივე ამას
ისიც ემატებოდა, რომ შემუშავებული ტრადიციების თანახმად, ოს-
ტატს უფლება ჰქონდა შეგირდი თავისი საოჯახო საქმეების მოსაგვა-
რებლადაც გამოეყენებინა. ეს მომენტიც დამახასიათებელი იყო საზო-
გადოდ შუა საუკუნეების ხელოსნური, სავაჭრო და სხვა სახის ამქრე-
ბისათვის. ასე იყო გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოშიც და შუა
და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებშიც. ჩვენ მიერ ზემოგანხილულ ნუ-
სხის საშეგირდო ხელშეკრულებაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ
ოსტატ აჰმედს, რომელმაც აიყვანა შეგირდი, სახელად ბაბა, ნეწალის
ხელობაში გასაწრთვინელად, უფლება ეძლეოდა გამოეყენებინა იგი
„სამეურნეო საქმეებში როგორც დუქანში, ასევე [თავის] სახლში“¹⁰³.
შეგირდის შრომის გამოყენება პირად მეურნეობაში კარგად იყო ცნო-
ბილი სომხეთში¹⁰⁴, თურქეთში, ირანში¹⁰⁵, შუა აზიაში¹⁰⁶ და ა. შ. არ-
ტეში არარატელის ცნობით, მისი მასწავლებელი — ერმიაწინის არქი-
მანდრიტი კარაპეტი „სხვა მასწავლებლების მსგავსად სწავლების მა-
გიერ მას სხვადასხვა საოჯახო საქმეებისათვის იყენებდა“¹⁰⁷. ყოველი
მცირე დანაშაულისა და შეცდომისათვის იგი სასტიკად სჯიდა თავის
შეგირდს და რამდენიმე დღის განმავლობაში მშვიერ-მწყურვალს ამ-
ყოფებდა¹⁰⁸.

¹⁰¹ Р. Г. Мукминова, Очерки по истории ремесла в Самарканде и Бухаре в XVI веке, Ташкент, 1976, с. 160.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ დამატება, 12.

¹⁰⁴ Жизнь Артемия Араратского, СПб., 1813 с. 60.

¹⁰⁵ Chardin, IV, გვ. 94.

¹⁰⁶ Р. Г. Мукминова, Очерки по истории ремесла в Самарканде и Бухаре в XVI веке, с. 154.

¹⁰⁷ Жизнь Артемия Араратского с. 60—61.

¹⁰⁸ Ш. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, с. 364.

ამრიგად, საესებით აშკარაა, რომ აღებული ხანის საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ქალაქების ამქრების უფლებო ნაწილს ოსტატებზე დამოკიდებული შევირდები წარმოადგენდნენ. მათ მიმე ექსპლოატაციას უწევდნენ. მათი შრომის სახლურის მოვტებული ნაწილი ოსტატ-მასწავლებლის განკარგულებაში გადადიოდა. ამასთანავე ხელობას დაუფლებული შევირდების სანუშაო დლე ფაქტიურად არ იყო ნორმირებული და გათენებიდან დაღამებამდე გრძელდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც შევირდები ღამითაც მუშაობდნენ.

შევირდების ასეთი მდგომარეობა საფუძვლად ეღო იმ განუღმებულ ანტაგონიზმს, შულსა და წინაღმდეგობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ამქრებში XVII—XVIII საუკუნეებში. ანდნად, ზემოაღნიშნულ ამქრის ოსტატების უთანხობებს და წინაღმდეგობას, ოსტატ-შევირდების, ძეგლის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქიშობა“ და აშკარა და ფარული ანტაგონიზმი ემატებოდა, რაც არღვევდა და ასუსტებდა ამქრის, როგორც ქალაქის სოციალური უჯრედის, სოციალური ორგანიზაციის მთლიანობას. განწეავებულ ურთიერთობას, ერთი მხრივ, ოსტატებს, ხოლო მეორე მხრივ ოსტატებსა და შევირდებს შორის არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ამქრის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, რადგან იგი აბრკოლებდა მისი საწარმოო პროცესის უწყვეტ მიმდინარეობას. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ქართული სამართლებრივი ძეგლების მონაცემებით, ზოგჯერ ოსტატები ფიზიკურადაც კი სჯიდნენ შევირდებს, რასაც ხანდახან ფრიად მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსიის 383-ე თავში ამის დამადასტურებელი მასალაა შემონახული. მასში ვკითხულობთ: „ოსტატი რომ დაარიგებდეს შავირდსა, კრას რამე... ამისთანა სააქმეებით სიკუდილი მოვდეს...“¹⁰⁹. ამრიგდ, ოსტატი შევირდის შეგონება-დარიგების დროს ფიზიკურ საშუალებებსაც მიმართავდა, სცემდა მას („კრას რამე“), რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ამქრების ცხოვრებაში. რასაკვირველია, ასეთი ფიზიკური ზემოქმედება იშვიათად მთავრდებოდა ტრაგიკული დასასრულით, შევირდის სიკვდილით. ეს იშვიათი გამონაკლისი იყო, მაგრამ ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლის ზემომოტანილი ცნობა კიდევ ერთი მკაფიო მაჩვენებელია შევირდის მძიმე მდგომარეობისა პროფესიულ გაერთიანებებში.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ვითარებისა, შევირდს არ შეეძლო თავისი ნებით მიეტოვებინა ან გამოეცვალა ოსტატი. ეს სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა. როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ ამქრის ადმინისტრაციის ნებართვით შეეძლო გამოეცვალა შევირდს ოს-

109 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 369.

ტატი. უფრო მეტიც, ამქრის ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულად შეემსუბუქებინა შეგირდის მძიმე ხვედრი. ამიტომ იგი თვალყურს ადევნებდა, რომ ოსტატს კეთილსინდისიერად აღესრულებინა თავისი მოვალეობა შეგირდის მიმართ. უპატიოსნო და „გულგრილ“ ოსტატს იგი ტუქსავდა და აფრთხილებდა. თუ ეს გაფრთხილება არ გაჰკრიდა, მაშინ ასეთი ოსტატისგან შეგირდს წამოიყვანდა და სხვა ოსტატს მიაბარებდა¹¹⁰. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეგირდი თვითნებურად ტოვებდა თავის ოსტატს და ამასთან ერთად მთელ ამქარსაც, და ამით გამოხატავდა პროტესტს თავისი ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ზემოაღნიშნული ამქრის ხელმძღვანელობის ცდები გარკვეულად დაეცვა შეგირდის უფლებები და დაეხსნა იგი ზომავადასული ექსპლოატაციისაგან, სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს იგი ზრუნავდა შეგირდის პირად კეთილდღეობაზე. ამ შემთხვევაშიც ხელმძღვანელობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ამქრის პრესტიჟისა და ეკონომიკური მდგომარეობისათვის ზრუნვა, რადგან ოსტატებსა და შეგირდებს შორის მწვავე ანტაგონიზმი ყოველმხრივ საზიანო იყო ამქრისა და მისი საქმიანობისათვის.

ოსტატებისა და შეგირდების ანტაგონიზმი საყოველთაო მოვლენა იყო ფეოდალური ხანის ქალაქების ამქრებში. მაგალითად, XVI საუკუნის სპარსელი ავტორი ყადი აჰმედი გადმოგვცემს, რომ ცნობილი კალიგრაფის შეგირდმა ვინმე შეიხ მუჰამედ თამიმიმ „დაივიწყა შეგირდის მოვალეობა და ურჩობა გამოიჩინა“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი საჯაროდ აცხადებდა მე ჩემს მასწავლებელზე უკეთესად ვწერო. ამისათვის ხაჯემ შეიშულა და დასწყევლა თავისი მოწაფე¹¹¹. განსაკუთრებულად გამწვავებული ურთიერთობის შემთხვევაში სეფიანთა ირანის ქალაქებშიც ოსტატები და შეგირდები სცილდებოდნენ ერთმანეთს. თუ დავუჯერებთ შარდენის სიტყვებს, ოსტატს უფლება ჰქონდა ყოველთვის დაეთხოვა თავისი შეგირდი, ხოლო ამ უკანასკნელს შეეძლო ნებისმიერ დროს მიეტოვებინა თავისი ოსტატი და სხვასთან გადასულიყო სასწავლებლად. ამის მიზეზად ფრანგი მოგზაური ასახელებს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებაში (იგულისხმება ზეპირი შეთანხმება), რომელიც იდებოდა ოსტატსა და შეგირდს შორის, არაფერი არ იყო ნათქვამი შეგირდის სწავლების ვადის ხანგრძლივობის თაობაზე¹¹². მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ოსტატისა და შეგირდის დაშორების ჭეშმარიტი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ოსტატი უფრო ცდილობდა თავის სასარგებლოდ მოემსახურებინა შეგირდი,

¹¹⁰ დამატება, 4, მუხლი 26.

¹¹¹ Казн-Ахмед, Трактат о каллиграфях и художниках..., с. 357.

¹¹² Chardin, IV, გვ. 94—95.

ვიდრე ხელობა შეესწავლებინა მისთვის¹¹³. ე. ი. ოსტატის მიერ შეგირდის ექსპლოატაცია წარმოადგენდა საფუძველს მათ შორის აღმოცენებული მტრული ურთიერთობისა, რაც საბოლოო ჯამში მასწავლებლისა და მოწაფის დაშორებით მთავრდებოდა. შარდენი არაფერს გვატყობინებს იმის შესახებ, თუ როგორ როლს ასრულებდა ასეთ კონფლიქტში ასნაფის ადმინისტრაცია. მაგარამ, მიუხედავად ამისა, სავსებით მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ ოსტატ-შეგირდის გაყრა მხოლოდ მისი ნებართვით და დასტურით მოხდებოდა, რადგან საქართველოს მსგავსად ირანშიც ამქრის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მოვალეობას შეგირდის უფლებების ერთგვარი დაცვა წარმოადგენდა. შეგირდის და ოსტატის ურთიერთდაშორება ყოველგვარი ოფიციალური ნებართვის გარეშე ხდებოდა, მხოლოდ ერთპიროვნული ხელისნების, ვაჰრებისა და სხვა პროფესიების მიმდევართა ფენაში, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო სეფიანთა ირანის მსხვილ საქალაქო ცენტრებში.

თურქეთშიც, შემუშავებული ადათის თანახმად, შეგირდი (ჩირაკ) მიმაგრებული იყო არა მარტო თავის ოსტატზე, არამედ მთელ ასნაფზე. ამიტომ თუ იგი თვითნებურად დატოვებდა თავის მასწავლებელს, მას სხვა ოსტატი არ მიიღებდა და იგი იძულებული იყო კვლავ თავის ოსტატს დაბრუნებოდა¹¹⁴. ოსტატის თვითნებური დატოვება შეგირდის მიერ მძიმე დანაშაულად იყო კვალიფიცირებული შუა საუკუნეების სამარყანდსა და ბუხარაში. შუააზიური რისალები ძალიან ხშირად შეიცავენ წყევლა-კრულვას ასეთი შეგირდების მიმართ. როგორც ჩანს, შეგირდების მიერ თავიანთი მასწავლებელი-ოსტატის მიტოვება ფრიად გავრცელებული მოვლენა იყო შუა აზიის ქალაქებში და სწორედ ამიტომ გაჩნდა წყევლის ფორმულა ხელოსნურ რისალებში¹¹⁵.

ამგვარად, მოტანილი მასალა ნათელჰყოფს იმ მწვავე ანტაგონიზმს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და აღმოსავლეთის (და აგრეთვე დასავლეთ ევროპის) ქვეყნების ქალაქების პროფესიულ გაერთიანებებში შეგირდებსა და ოსტატებს შორის. ეს ანტაგონიზმი ზოგჯერ აშკარა მტრობაში გადაიზრდებოდა ხოლმე და შეგირდი იძულებული იყო მიეტოვებინა თავისი ოსტატი ან საერთოდ ამქარი, რათა ამ საშუალებით თავი ეხსნა მძიმე ექსპლოატაციისაგან.

შეგირდის შრომის ექსპლოატაციის ფაქტი ვლინდება იმ წესნიც,

¹¹³ Chardin, IV, გვ. 94—95.

¹¹⁴ В. А. Гордлевский, Дервиши Ахи Эврена (Эврана) и цехи в Турции, с. 301.

¹¹⁵ Р. Г. Мухомнова, Очерки по истории ремесла в Самарканде и Бухаре в XVI веке, с. 160—161.

რომელიც არსებობდა გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში. ამ წესის თანახმად, ოსტატი შეგირდის გაწრთვნა-განსწავლისათვის არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა. აღნიშნულმა წესმა კანონის სახე მიიღო ქართულ ფეოდალურ სამართალში. მხითარ გომის თხზულების ქართულ ვერსიაში, 373-ე თავში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „არ მართებს ფასით განსწავლება ყმაწვილთა კანონის ბრძანებითა“¹¹⁶. მასწავლებლის ფუნქციის აღსრულებისათვის, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვით რომ ვთქვათ, ოსტატის „მიზდის“, ანუ საზღაურის თაობაზე არაფერი არაა ნათქვამი არც თბილისის იუველირთა წესდებაში, არც ქართულ საამქრო სტატუტებში და არც საქართველოს ამქრების ისტორიის ამსახველ სხვა საბუთებში. არაფერს ამბობენ ამის შესახებ არც ქართული ამქრების ისტორიის მკვლევრები (ლ. ზაგურსკი, გ. იზმიროვი, ი. ახვერდოვი, ნ. დერჟავინი, ს. ელიაზაროვი და სხვ.). ყოველივე ეს დამადასტურებელია იმ ფაქტის, რომ ოსტატი უგასამრჯელოდ ასწავლიდა შეგირდს. პირიქით, ზემოდსახელებული სამართლის წიგნის 373-ე თავში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ოსტატი მოვალე იყო თავის ხარჯზე შეენახა შეგირდი, თუ მას საამისო შესაძლებლობა ჰქონდა. „თუ ოსტატს შეძლება ქონდეს, უნდა ჩააცვას, დაბუროს, ასვას, აკამოს (შეგირდს)“ — აღნიშნავს ძეგლი¹¹⁷. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოსტატი თავისი ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხებდა შეგირდის რჩენას, მაშინ ეს ფუნქცია შეგირდის მშობლებს უნდა ეკისრათ და ღარიბი ოსტატი-მასწავლებლისათვის მცირე ძღვენიც კი მიერთვათ. ამის შესახებ ძეგლი გადმოგვცემს: „თუ ოსტატს შეძლება არ ქონდეს, ყმაწვილთა მამამ უნდა უნაწილოს შევილთა თვისთა ტანთა, ფეკთა, სმა და კამა, და ოსტატს, თუ შეძლება ქონდეს, ძღვენი უნდა მიართვან“¹¹⁸; მაგრამ ძღვენის მიართმევა სრულიადაც არ იყო აუცილებელი, რადგან „თუ ყმაწვილთა მამანი გლახანი იყუნენ, ნურც ძღვენი უნდათ“¹¹⁹.

ამრიგად, კანონი წინააღმდეგი იყო შეგირდის მიერ „ოსტატის მიზდის“ ანუ „საოსტატოს“ გადახდისა. მაგრამ ამ საერთო წესიდან ზოგიერთ შემთხვევაში გამონაკლისიც კეთდებოდა, როდესაც ოსტატი-მასწავლებელი სთხოვდა შეგირდს მისი გაწრთვნის საზღაურს. „თუ, ვინ იცის, ამ სამართლის მშლელი იყოს და გავიდეს ამიდან და დაუწყოს შაგირდს რჯა და თხოვნა საოსტატოსა, რაც მის ხელში ყმაწვი-

116 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 365.

117 იქვე.

118 იქვე.

119 იქვე.

ლობაში მოეგოს, იმითი გაისტუმროს¹²⁰ — უშვებს ვახტანგ VI-ის სამართალი. საფიქრებელია, რომ გასამრჯელოს შეგირდის გაწრთენა-დახელოვნებისათვის უმთავრესად ღარიბი, ეკონომიკურად სუსტი ოსტატები ითხოვდნენ. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდებოდა, რადგან საქართველოს ქალაქებში შებენ-შავებული წესის თანახმად, ოსტატი მწრთენელის მოვალეობას საზღაურის გარეშე ასრულებდა. ამას ოსტატი იმის გამო კი არ აკეთებდა, რომ იგი შეგირდის „მამა“ იყო (სულხან-საბა ორბელიანი) და შეგირდი ანჭრის „ძედ და შვილად“. (თბილისის ოქრომჭედელთა ანჭრის პირობის წიგნი) ითვლებოდა, არამედ იმიტომ, რომ შეგირდის შრომა სახელოსნო-დუქანში და ოსტატის პირად მეურნეობაში თავისი შედეგით საგრძნობლად აღემატებოდა ოსტატის მიერ მისი გაწრთენისათვის დახარჯულ დროსა და ენერგიას. როგორც აღინიშნა, შეგირდის შრომა მომგებიანი და სასარგებლო იყო ოსტატ-მასწავლებლისათვის.

ამავე ფაქტორით იყო განპირობებული შეგირდების უსასყიდლოდ განსწავლა გვიანი ფეოდალური ხანის სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და თურქეთის ქალაქებშიც. არტემი არარატელი პირდაპირ მიუთითებს — „სწავლებისათვის ფულს არ იხდიან“¹²¹. ეან შარდენის ცნობით, XVII საუკუნის ირანის ქალაქებში შეგირდები ხელობის შესასწავლად არაფერს არ იხდიდნენ და საერთოდ არ არსებობდა არავითარი ფულადი ვალდებულება მოწაფეობისათვის¹²². ამ საერთო წესში გამონაკლისს წარმოადგენდნენ შუა აზიის ქალაქები, მაგალითად, სამარყანდი და ბუხარა, სადაც დამოწმებულია საოსტატოს არსებობა. ჩვენ მიერ ზემოგანხილულ შუააზიურ საშეგირდო ვასიყებში, რომლებიც XVI საუკუნის მიწურულს განეკუთვნებიან, გამოყოფილია ის თანხა, რომელსაც შეგირდი აძლევდა ოსტატს ხელობის შესწავლისათვის. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ შეგირდი მიებარა სამი ათას დინარად (სპილენძის კურსით) ოსტატს, რათა მან შეასწავლოს „შარიათზე დაფუძნებული ყველა საქმე“. ამასთანავე ხსენებული თანხიდან ათას დინარად შეგირდი „ქირაობდა“ ანუ გასამრჯელოს უხდიდა ოსტატს, რათა შეესწავლებინა მისთვის „ალაჩის ქსოვის ხელობა“¹²³. ზუსტად ასეთივე სურათია მეორე ხელშეკრულებაშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ექვსი ათასი დინარიდან შეგირდი „მღებავის ხელობის“ შესწავლის მიზნით თავის ოსტატს უხდის სამი ათას დი-

¹²⁰ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 365.

¹²¹ Жизнь Артемия Арапатского, с. 60.

¹²² Chardin, IV, გვ. 94.

¹²³ დამატება, 11.

ნარს¹²⁴ შუა საუკუნეების სამარყანდისა და ბუხარას ხელოსნობის მკვლევარი რ. მუქმინოვა აღნიშნავს, რომ სამარყანდის ყადის იურიდიული დოკუმენტების კრებულში „მაჯმუა-ი ვასაიყ“ (XVI ს.) მოთავსებული ოცდახუთივე საშეგირდო ხელშეკრულება შეიცავს ფულად ვალდებულებას¹²⁵, რომლის თანახმად შეგირდის ან მისი მახლობლების ნიერ ოსტატისათვის მიცემული თანხა ორ ნაწილად იყოფოდა: ერთი მათგანი ოსტატის მიზღს წარმოადგენდა, ხოლო მეორე შეგირდის სარჩენად უნდა დახარჯულიყო. რით არის განპირობებული საოსტატოს გაჩენა შუა აზიის ქალაქებში, ძნელი სათქმელია. აქაც, ისევე როგორც საქართველოში და ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, შეგირდი ოსტატის ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდა და სრულ მის განკარგულებაში იმყოფებოდა. შეგირდის შრომით სარგებლობდა ოსტატი და მისი ოჯახი. მაგრამ მიუხედავად ამისა, შეგირდი პროფესიის სწავლებისათვის ოსტატს საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას უხდიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული მოვლენა შუა აზიის ხელოსნობის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა. გამორიცხული არაა ისიც, რომ, როგორც ვარაუდობს რ. მუქმინოვა, საოსტატო გარკვეული გარანტია იყო, რომელიც ავალდებულებდა ოსტატ-მასწავლებელს სათანადოდ გაეწრთენა თავისი¹²⁶ შეგირდი არჩეულ ხელობაში.

ამრიგად, გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, თურქეთი) ქალაქების ამქრებში შეგირდის სწავლა-დახელოვნება ოსტატის მიერ უსასყიდლოდ ხდებოდა. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში საოსტატოს ნაცვლად შეგირდი ან მისი ახლობლები მასწავლებელს ერთგვარ ძღვენს მიართმევდნენ. როგორც ჩანს, ეს ჩვეულება უფრო გავრცელდა XIX საუკუნის შუა წლებში. ყოველ შემთხვევაში, აღებული ხანის ქალაქ თბილისში სომხურ ენაზე შედგენილ ერთ-ერთ საშეგირდო ხელშეკრულებაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ჰოვჰანეს ვარდანიანი, რომელმაც თავი ი შეილი. სახელად ნერსისი, დალაქის ხელობის შესასწავლად მიიბარა უსტატაშ ავეტიქ ვარდანიანს. ამ უკანასკნელს მისი ვაჟის სათანადოდ გაწრთვნის შემდეგ ძღვენად მიართმევს 15 მანეთს¹²⁷. დაახლოებით ასეთივე ჩვეულებაა დამოწმებული სომხეთში. არტემი არარატელის ცნობით, მართალია, მოწაფის სწავლებისათვის გასაწრჯე-

124 დამატება, 11.

125 Р. Г. Мукминова, Очерки по истории ремесла в Самарканде и Бухаре в XVI в., с. 154.

126 იქვე.

127 վ. Աբրահամյան, Հայ համբարձրությունները Անդրկովկասի բողաք-Ֆրեսմ, გვ. 102.

ლო არ არსებობდა, მაგრამ დღესასწაულებზე შეგირდის მშობლები ოსტატს შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებდნენ¹²⁸.

უკვე აღინიშნა, რომ ოსტატების მიერ შეგირდების უსასყიდლოდ სწავლება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ისინი ექსპლოატაციას უწევდნენ თავიანთ ალსაზრდელებს და სარგებლობდნენ მათი შრომის შედეგად მოპოვებული შემოსავლით. შეგირდის ექსპლოატაციის ფაქტი კიდევ უფრო ნათლად იკვეთება იმაში, რომ გვიანი ხანის საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრებში შეგირდის შრომის სრული ანაზღაურება არ ხდებოდა, თუმცადა ოსტატები დროდადრო თავის მოწაფეს ასაჩუქრებდნენ ფულის მცირე თანხით. ასეთივე საჩუქარს იღებდნენ შეგირდები ზოგიერთ შემთხვევაში დამკვეთებისა და მუშტრებისგან. აღნიშნულ ფულად საჩუქარს „შაგირდანა“ ეწოდებოდა. როგორც ირკვევა, შაგირდანას გაცემა დამოკიდებული იყო ოსტატის კეთილგანწყობილებაზე შეგირდის მიმართ და მის პატიოსნებაზე¹²⁹. მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც იმყოფებოდა თუ არა შეგირდი თავისი ოსტატ-მასწავლებლის კმაყოფაზე¹³⁰.

აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ შაგირდანას XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში მუდმივი, რეგულარული ხასიათი არ ჰქონია და მას შეგირდი მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ღებულობდა თავისი ოსტატისაგან. მაგრამ უფრო ზოგვიანებით, XIX საუკუნის შუა წლებში, როდესაც შეგირდის ექსპლოატაციამ უფრო მძიმე ხასიათი მიიღო, ხელოვნურად გახანგრძლივდა მათი გაწრთვანა-სწავლების ვადა და მათი გადაყვანა ოსტატთა რიგებში უფრო გართულდა, შაგირდანა იჩენს ტენდენციას არამუდმივი გასამრჩელოსგან მუდმივ, რეგულარულ გასამრჩელოდ, თავისებურ ჯამაგირად გადაქცევისაკენ. 1857 წლის 18 იანვარს გ. ახვერდოვი ირანში გალუსტ შერმაზანიანისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ „მცირეწლოვან შეგირდს, თუ იგი ობოლი ბავშვია და ლარიბი. ოსტატი აქმევს სადილს, ხოლო შაბათ დღეს გასამრჩელოს სახით აძლევს ერთი შაურიდან ექვს შაურამდე. ამ ფულს შაგირდანას უწოდებენ“¹³¹.

მოტანილ ცნობაში შაგირდანას გაცემა განპირობებულია შეგირდის მცირე ასაკითა და სიღარიბით. მაგრამ საფიქრებელია, რომ XIX საუკუნის შუა წლებში ფულადი გასამრჩელო ეძლეოდა საზოგადოდ ყველა შეგირდს, განურჩევლად მისი ასაკისა და ეკონომიკური მდგომა-

128 Жизнь Артемия Араратского, с. 60.

129 Ю. Ахвердов. Тифлиские амкары, с. 20; С. Егнazarov, Городские цехи..., с. 112—113; Ш. Месхна, Города и городской строй феодальной Грузии, с. 364.

130 იქვე.

131 დ. მ. რ ა ნ ა მ ა ნ, ლაქ ნაწარმისკონსერვ. .. გვ. 210.

რეობისა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ამ დროს უფრო დამძიმდა შევირდების ექსპლოატაცია და აუცილებელი გახდა მათი შრომის მუდმივი ნაწილობრივი ანაზღაურება მაინც. ამ თვალსაზრისით, ალბათ, ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოება, რომ შევირდის შრომის ანაზღაურების საკითხი საგანგებოდ აღინიშნება საშევირო ხელშეკრულებებში. ერთ-ერთ ასეთ საბუთში, რომელიც XIX საუკუნის 50-იან წლებს განეკუთვნება, გათვალისწინებულია თანხის ის ოდენობა, რომელიც ოსტატმა ყოველთვიურად უნდა გადაუხადოს თავის შევირდს. ამ დოკუმენტის მიხედვით თბილისის დალაქების უსტაბაში ვალდებულებას იღებდა, რომ თავის შევირდს, ნერსეს ვარდანიანს, ხუთი წლის მანძილზე შეასწავლიდა ხელობას. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია შაგირდანას ოდენობა. სწავლების პირველ წელს დალაქების უსტაბაში არაფერს არ უხდიდა თავის მოწაფეს. მეორე წელს იგი აძლევდა ნერსესს 3 მანეთს, მესამე წელს — 5, მეოთხე წელს — 8, ხოლო მეხუთე წელს—16 მანეთს¹³². ამრიგად, შაგირდანას ოდენობა იზრდებოდა შევირდის დახელოვნებისა და მისი შრომის მნიშვნელობის ზრდის შესაბამისად. ეკვს გარეშეა, რომ აღებულ შემთხვევაში შაგირდანა უკვე შევირდის მუდმივ, რგულარულ გასამრჩელოს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, შაგირდანა, თუნდაც მუდმივი, არ იყო შევირდის შრომის სრულფასოვანი ეკვივალენტი. იგი წარმოადგენდა მხოლოდ თავისებურ ცდას, რომლის საშუალებითაც ოსტატი ცდილობდა შეენიღბა შევირდის ექსპლოატაციის ფაქტი. მაგრამ ეს ცდა მიზანს ვერ აღწევდა, რადგან შაგირდანა ვერ ფარავდა შევირდის მიერ გაწეულ შრომას. ამას ისიც უნდა დაუემატოთ, რომ ფაქტიურად ოსტატი შაგირდანას გაიღებდა სწორედ იმ თანხიდან, რომელსაც მოიპოვებდა თავად შევირდი თავისი შრომის შედეგად¹³³ და რომელსაც ითვისებდა ოსტატ-მასწავლებელი. ასეთ ვითარებაში შევირდის ექსპლოატაციის ფაქტის დამალვა, რასაკვირველია, სრულიად გამორიცხული იყო.

შაგირდანას ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. ჟან შარდენის ცნობით, სეფიანთა ირანის ქალაქებში „ყმაწვილები, რომლებიც ხელობის შესასწავლად არიან მიზარებული ოსტატებთან, ჯამაგირს იღებენ პირველი დღიდანვე“¹³⁴. ცხადია, ეს „ჯამაგირი“ შაგირდანა იყო. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებსაგან განსხვავებით, სადაც შევირდს პერიოდულად ასაჩუქრებდა ოსტატი (იგულისხმება XVI—XVIII საუკუნეები), ირანში შაგირ-

¹³² ი. მ. ქ რ ა ნ ა მ ე ნ, *სთქ ჩომქარუარქიონსნი*, გვ. 102.

¹³³ Ш. Месхиа, *Города и городской строй феодальной Грузии*, с. 365.

¹³⁴ Chardin, IV, გვ. 94.

დანას მუდმივი ხასიათი ჰქონდა. ამასთანავე შეგირდი გასამრჯელოს ღებულობდა ოსტატისაგან ყოველდღე. იგი უდრიდა ფრანგული სამონეტო სისტემით ორ ლიარდს ან ერთ სოლს¹³⁵. შაგირდანას ოდენობა განპირობებული იყო შეგირდის წლოვანებითა და ხელობის სირთულით. საყურადღებოა, რომ დროთა მანძილზე შაგირდანათი გათვალისწინებული თანხა მატულობდა, ე. ი. იზრდებოდა მოწაფისათვის განკუთვნილი გასამრჯელო. შარდენის მიხედვით, აღნიშნული მატება შეესაბამებოდა შეგირდის წარმატებებს ხელობაში¹³⁶. ფრანგი მოგზაურის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ხელობასაუფლებელი შეგირდი, რომლის შრომა უფრო ნაყოფიერი იყო და მნიშვნელოვანი შემოსავალიც მოჰქონდა მისი ოსტატ-მასწავლებლისათვის, გასამრჯელოსაც შედარებით უფრო მეტს იღებდა. მუდმივი შაგირდანას გარდა, სეფიანთა ირანის ქალაქებში ცნობილი იყო აგრეთვე არამუდმივი, რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებული გასამრჯელო, რომელსაც მომხმარებელი (დამკვეთი ან მყიდველი) ან თავად ოსტატები აძლევდნენ შეგირდს. ეს გასამრჯელოც ტერმინ შაგირდანათი აღინიშნებოდა. ამ ტერმინის ასეთი მნიშვნელობა დასტურდება უკვე X-II საუკუნის ირანის სინამდვილეში¹³⁷.

მუდმივი შაგირდანა გავრცელებული ჩანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სომხეთშიც. არტემი არარატელის ცნობით, იგი თავისი ოსტატისაგან, გარდა ყოველდღიური კვებისა, „თვიურად იღებდა ჯანაგირს 30 ფარას ოდენობით¹³⁸. როგორც ჩანს, უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის შუა წლებში მუდმივი შაგირდანა სულ უფრო მკვიდრდება სომხეთის ქალაქებში. მაგალითად, აღებული ხანის ერევანსა და ალექსანდრეპოლში (ძველი გუმრი, თანამედროვე ლენინაკანი) არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმადაც ოსტატი არა მარტო აცმევდა თავის შეგირდს, არამედ ყოველ შაბათს აძლევდა მცირე თანხას 5—10 კაპიკის ოდენობით. აღნიშნულ თანხას „შაგირდანლული“, ანუ შაგირდანა ეწოდებოდა¹³⁹.

ზოგიერთ შემთხვევაში ხელობას საუფლებელი და განსაკუთრებით შრომისმოყვარე შეგირდის ოსტატ-მასწავლებელი იწვევდა მის მამას ან ახლობლებს და სხვა ორი ოსტატის დასწრებით მას მცირე ჯამაგირს უნიშნავდა. შაგირდანას ოდენობის ზრდა სომხეთშიც დამოკიდებული იყო შეგირდის მონდომებაზე, უნარზე და შრომისმოყვარეობა-

¹³⁵ Chardin, IV. გვ. 94.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ გვ., 127 «*سوس ماهی*»

¹³⁸ Жизнь Артемия Арапатского, с. 94.

¹³⁹ ი. Ա. Բ Ր Ո Ն Վ Յ Ա Ն. Հայ համբարարչությունը... გვ. 107.

ზე¹⁴⁰, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი შრომის ნაყოფიერებაზე, რასაც ოსტატისათვის მატერიალური სარგებელი მოჰქონდა. შეგირდის დასაჩუქრება ცნობილი იყო აგრეთვე თურქეთის ქალაქებშიც, სადაც ასეთ თანხას „შერბეთლუქი“ ანუ „ფეხისქირა“ ეწოდებოდა¹⁴¹. მაგრამ შერბეთლუქი, როგორც ირკვევა, ღროებით, რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებულ შეგირდანას წარმოადგენდა. მუდმივი შეგირდანას არსებობა არაა დამოწმებული XVII—XVIII საუკუნეების თურქეთის ქალაქების ისტორიის წყაროებში.

ამრიგად, გვიანი ხანის საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრებში შეგირდანა არამუდმივი ხასიათისა იყო, მისი გაღება მთლიანად ოსტატის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მაშინაც კი, როდესაც ოსტატი-მასწავლებელი თავის მოწაფეს გასამრჯელოს უხდიდა, იგი ამ თანხას შეგირდის მიერ გამოძულებული სახსრებიდან იღებდა, რომელიც მას ჰქონდა მითვისებული. ყოველივე ეს საეწებით გამორიცხავს თვალსაზრისს, რომ შეგირდისა და ოსტატის ურთიერთობა მამაშვილის ურთიერთობის ანალოგს წარმოადგენდა, რაზედაც ხშირად ლაპარაკობენ ამქრების ისტორიის წყაროები. შეგირდის მძიმე ექსპლოატაციის ფაქტში აშკარად გამოსკვივის ამქრის პროკაპიტალისტური ტენდენციები¹⁴².

მიუხედავად შეგირდის მძიმე მდგომარეობისა და ექსპლოატაციისა, ამქრის წეს-ჩვეულება მას მიზნად უსახავდა ხელობის ან სხვა ნებისმიერი პროფესიის სრულყოფილად დაუფლებას. მხოლოდ ეს აძლევდა მას შესაძლებლობას ოსტატის ხარისხი მიეღო და ამქრის სრულყოფილებიანი წევრი გამხდარიყო. ხელობის სრულყოფილ შესწავლას შეგირდის მიერ მოითხოვს დავით ბაგრატიონის „მიმოხილვა“¹⁴³. უფრო კატეგორიულადაა გატარებული ეს აზრი თბილისის ოქრომჭედელთა პირობის წიგნში, რომლის სათანადო ფრაგმენტში ნათქვამია, რომ თუ შეგირდს ათვისებული არ ჰქონდა საიუველირო ხელობის ყველა ტექნიკური წესი, იგი ოსტატად არ შეიძლებოდა ყოფილიყო დალოცვილი¹⁴⁴. წესდებაში ხაზგასმულია, რომ შეგირდის კვალიფიკაციას თვალყურს ადევნებდა არა მარტო ამქრის ხელმძღვანელობა, არამედ მთელი ამქარი და ხელობაში საკმარისად გაუწაფავი შეგირდი ოსტატის ხარისხს ვერ მიიღებდა¹⁴⁵. ამრიგად, „დამოუკიდებელი ხელოსნის“ ანუ ოსტატის ხა-

140 Жизнь Артемия Арабатского, с. 94.

141 В. А. Гордлевский, Дервиши Ахи Эврена (Эврана) и цехи в Турции, с. 301.

142 Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 365.

143 დამატება, 4, მუხლი 5, 12. 1

144 იქვე.

145 დამატება, 4, მუხლი 14.

რისხში გადაყვანა გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული შეგირდის სიყრ არჩეული ხელობის ან სხვა პროფესიის სრულად დაუფლება-ათვისებასთან. შესაფერისად გაუწაფავი შეგირდი ოსტატი ვერ გახდებოდა. ასეთი მკაცრი მოთხოვნა საესებით კანონზომიერია, რადგან მაღალკვალიფიციური ოსტატის საქმიანობა ხელს უწყობდა ამქრის ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებას, უმრავლებდა მას დამკვეთებსა და მყიდველებს.

თბილისის იუველირთა სტატუტის მოწმობით, შეგირდის კვალიფიკაციის შემოწმება ხდებოდა ამქრის ხელმძღვანელების მიერ, რომელთაც იგი წარუდგენდა „თავისი ხელობის ერთ ნიმუშს“, რომელიც „მოწონების ღირსი ნაკეთობა აღმოჩნდებოდა“¹⁴⁶. ფაქტიურად, დასახელებული დოკუმენტი მოითხოვს შეგირდის მიერ შედევრის ანუ საოსტატო ნახელავის წარდგენას. ყურადღებას იქცევს სტატუტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საგანგებოდ უნდა ყოფილიყო გამოძიებული და დადგენილი, ნამდვილად იყო თუ არა შეგირდი წარდგენილი საოსტატო ნახელავის ავტორი? როგორც ჩანს, თბილისის ამქრების ცხოვრებაში იყო შემთხვევები, როდესაც ხელობას ნაკლებად დაუფლებული შეგირდები სხვა პირების მიერ დამზადებულ ნივთებს თავის ნაწარმოებად ასალებდნენ და ამ საშუალებით ცდილობდნენ ოსტატის ხარისხის მიღებას. სწორედ ასეთი შესაძლებლობის აღკვეთას ითვალისწინებს ოქრომკედელთა პირობის წიგნის მოტანილი მოთხოვნა. ამქრის ხელმძღვანელობა, საოსტატო ნახელავის გასინჯვისა და მოწონების შემდეგ, შეგირდს ოსტატად დალოცავდა და ამის შესახებ აძლევდა მას მოწმობას ანუ ატესტატს. აღნიშნული საბუთი ასეთი შინაარსისა იყო: „ოქრომკედელთა პატივდებული ამქრის ხელმძღვანელობა დარწმუნდნენ (დასალოცი შეგირდის სახელი და გვარი) ხელობის სრულყოფილად დაუფლებაში, ამიტომ ხელდაგასხით შენ ოსტატად, მოგეცით ეს მოწმობა შენი და შენი სახელის სამუდამო დიდებისათვის“¹⁴⁷. ამრიგად, ატესტატში საგანგებოდ იყო აღნიშნული ოსტატობის კანდიდატის „ხელობის სრულყოფილად დაუფლება“ და სწორედ ეს გარემოება აძლევდა მას უფლებას გადასულიყო ოსტატების რიგებში, გაეხსნა საკუთარი ღუქან-სახელოსნო და დამოუკიდებლად ემუშავა. ატესტატი, რომელსაც თავისი ხელის მოწერით ამტკიცებდა იუველირთა გაერთიანების ოთხი ხელმძღვანელი, ახლად დალოცვილ ოსტატს გადაეცემოდა ამქრის თავყრილობაზე. ახალი ოსტატისათვის ატესტატის საჯარო გადაცემას ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც ეს აღნიშნულია ძეგლში, „ეს იმასაც წახალისებს თავის საქმიანობაში ვინც [ამ აქტს] ესწრება“ და „ეს დალო-

146 დამატება, 4, მუხლი 14.

147 იქვე.

ცვილი ოსტატიც მუდამ ყველას თვალში პატივისცემის ღირსი იქნება“¹⁴⁸. ატესტატი ახლად ხელდასხმულ ოსტატს ამქრის სრულუფლებიან წევრად აქცევდა იგი საშუალებას აძლევდა მას მისი შეურაცხყოფის შემთხვევაში ეჩივლა ამქრის ხელმძღვანელებთან და სამართალი მოეთხოვა. დამნაშავე პირი მკაცრად ისჯებოდა. საგულისხმოა სტატუტის თვალსაზრისი ამის თაობაზე. ამ თვალსაზრისის თანახმად, ახლად დალოცვილი ოსტატის შეურაცხყოფა, რომელსაც ატესტატი ჰქონდა მიღებული, ნიშნავდა არა მარტო პირადად ახალგაზრდა ოსტატის, არამედ ამქრის მთელი კრების შეურაცხყოფასაც, რადგან სწორედ მასზე ხდებოდა შეგირდის ოსტატად ხელდასხმა და სათანადო მოწმობით „დასაჩუქრება“¹⁴⁹. ოსტატთა რიგებში გადასვლა ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი იყო შეგირდისა და, საზოგადოდ, მთელი ამქრის ცხოვრებაში. აბიტომ ეს აქტი დიდი ზარზეიმით სრულდებოდა. მასში მონაწილეობას იღებდა არა მარტო შეგირდის უშუალო მასწავლებელი და ამქრის ადმინისტრაცია, არამედ მთელი ამქარი, ამქრის კრება და ააგანგებოდ მოწვეული მღვდელი. ირკვევა, რომ ყველა ამქარს თავისი მღვდელი ჰყავდა, რომელიც ამ გაერთიანების სასულიერო საქმეებს მიუძღვებოდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ოქრომქედელთა პირობის წიგნის გამოთქმა „მათი“ (იუველირთა — კ. კ.) მღვდელი¹⁵⁰. შეგირდის ოსტატად დალოცვის დღეს იგი წირვას გამოიყვანდა, რომლის დროსაც უნდა მოხსენიებული ყოფილიყვნენ „ძველად და ახლად გარდაცვლილი ოსტატები, [ამქრის] კეთილისმყოფელი და კეთილმოსაგონარი წინაპრები, თავიანთი სახელგანთქმული გამგებელნი და წესრიგის დამკველი ფუძემდებელნი“¹⁵¹. ძველი ოსტატებისა და ამქრის კეთილისმყოფელ მფარველთა ხსენებას სრულიად გარკვეული მორალურ-ზნეობრივი მიზანდასახულობა ჰქონდა. ეს კიდევ ერთხელ შეახსენებდა ამქრის წევრებს და, უწინარეს ყოვლისა, დასალოცად გამზადებულ შეგირდს ამქრის ისტორიას, მის სახელგანთქმულ ოსტატებსა და მისი ტრადიციების შემქმნელთ, პატივისცემით აღაფხვნიდა მათ ამქრის მიმართ და აიძულებდა ზუსტად დაეცვათ ამქრის ცხოვრებით გათვალისწინებული ნორმები და წესები. წირვის გამოყვანის შემდეგ მღვდელი ამქრის კრებაზე ლოცავდა „შეგირდს და სუფრას“, ამქრის ხელმძღვანელებს ურიგებდა სეფისკვერებსა და სათანადოდ დასაჩუქრებული შინ ბრუნდებოდა. ამქრის წევრები კი, ე. ი. ოსტატები „სუფრას მიუსხდებოდნენ“¹⁵².

148 დამატება, 4, მუხლი 14.

149 იქვე.

150 დამატება, 4, მუხლი 21.

151 იქვე.

152 იქვე.

ოსტატად დალოცვის ცერემონია სრულდებოდა შეგირდის მიერ თავისი ხარჯით მოწყობილი პურობით, ანუ სამასპინძლო სუფრით, რომელიც ხელდასხმის დღესვე იმართებოდა, რადგან, როგორც აღნიშნავს წყარო, „ამისათვის ის დღეა შესაფერისი“¹⁵³. ახლად დალოცვილ ოსტატს ევალდებოდა ამქრის ხაზინაში გარკვეული გამოსაღები გადაეხადა. გამოსაღების ოდენობა დამოკიდებული იყო მის შეძლებაზე, მაგრამ იგი არ უნდა ყოფილიყო „მცირე და უმნიშვნელო“, რადგან ანით ილახებოდა ამქრის ღირსება და პრესტიჟი. საინტერესოა ისიც, რომ ოქრომკედელთა პირობის წიგნი აღნიშნავს, რომ ისეც კეთილშობილი ხელობისათვის, როგორც იყო ხელოსნობის საიუველირო დარგი, „დიდი უპატივისმცემლობა... მცირე და უკადრისი საჩუქრებით დაილოცოს [შეგირდი] ოსტატად, როგორც ეს დამახასიათებელია დაბალი ხელობების ოსტატად დალოცვისათვის“¹⁵⁴. ამრიგად, ახალგაზრდა ოსტატს ამქარი და, უწინარეს ყოვლისა, მისი მასწავლებელი საჩუქარს აძლევდა. როგორც ჩანს, ამ საჩუქარში შედიოდა ხელობისათვის საჭირო ინსტრუმენტი, წელსარტყელი¹⁵⁵ და ა. შ., ხოლო თავის მხრივ ახლად ხელდასხმული ოსტატი თავის მასწავლებელს „ფეშქეშს“ მიართმევდა, რომელიც უმთავრესად სახალათე ქსოვილისგან შედგებოდა¹⁵⁶.

განიილული მასალა გვიჩვენებს, რომ თბილისის იუველირთა პირობის წიგნი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს, რომლის გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს თითქმის მთელი სიგარძე-სიგანით აღვადგინოთ შეგირდის ოსტატად დალოცვის პროცედურა, რომელიც არსებობდა XVII—XIX საუკუნის პირველი ძეოთხედის საქართველოს ქალაქებში, კერძოდ თბილისში. მონობილი მასალა ნათლად გვიდასტურებს, რომ ოსტატად ხელდასხმის უპირველესი და უმთავრესი წინაპირობა იყო შეგირდის მიერ თავისი ხელობისა თუ სხვა პროფესიის საფუძვლიანი ათვისება. თავის სპეციალობაში გაწაფვა ოსტატობის კანდიდატს უნდა დაემტკიცებინა სანიმუშო ნახელავის, შედეგის დამზადებით, რომელსაც მოიწონებდა ამქრის ხელმძღვანელობა და ოსტატთა კრება. შედეგის ინსტიტუტი საკმაოდ გავრცელებული ჩანს აღებული ხანის საქართველოს ქალაქებში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახალციხის ესნაფებში იმისათვის, რომ შეგირდს ქარგლის ხარისხი მიეღო, უნდა დაემზადებინა საგანგებო ნახელავი. შეგირდის ოსტატი-მასწავლებელი აღნიშნულ ნახელავს წარუდგენდა ესნაფის უსტაბაშს და რამდენიმე ოსტატს, დაახასიათებდა შეგირდს და მხოლოდ ამის

153 დამატება, 4, მუხლი 10.

154 იქვე, მუხლი 11.

155 П. Ш а н ш и е в, Два слова об амкаре, Тифлис, 1857, с. 30.

156 იქვე.

შემდეგ მიანიჭებდნენ მას ქარგლის ხარისხს¹⁵⁷. მაგრამ მიუხედავად ასეთი გავრცელებისა, შედეგრი ანუ საოსტატო ნახელავი მაინც არ ყოფილა აუცილებელი საქართველოს ყველა ამქრისათვის. ზოგიერთ მათგანში კმაყოფილდებოდნენ ზეპირი გამოცდით ან ოსტატი-მასწავლებლის ფიციტ იმის თაობაზე, რომ მისმა შეგირდმა საფუძვლიანად ათვისა ხელობით ან სხვა პროფესიით გათვალისწინებულ, ყველა წესი და მოთხოვნა. ოსტატ-მასწავლებელს ამქრის ხელმძღვანელები იმაშიც უნდა დაერწმუნებინა, რომ შეგირდი გამოირჩეოდა სანიმუშო ყოფაქცევითა და ზნეობრივი სიწმინდით¹⁵⁸.

ახლად ხელდასმულ ოსტატს უფლება ჰქონდა ძველებურად თავის ოსტატთან დარჩენილიყო და მასთან ემუშავა. იმავე დროს მას არ ეკრძალებოდა გადასულიყო სხვა ოსტატთან და „ქირით დადგომოდა მას“¹⁵⁹. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა ოსტატი ამქრის ხელმძღვანელთა განკარგულებით მოქმედებდა. მისი მიმღები ოსტატი თავისი შეძლებისა და ამქრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების შესაბამისად ხაზინაში გარკვეულ გამოსაღებს იხდიდა. ამ გამოსაღების თანხის ნახევარს კი „ქარგარი“ ანუ დაქირავებული მუშა იხდიდა¹⁶⁰. მაგრამ ახლად არჩეულ და დალოცვილ ოსტატს სრული უფლება ჰქონდა ემუშავა, როგორც „დამოუკიდებელ ხელოსანს“ და საკუთარი ღუქან-სახელოსნო გაეხსნა. ახალი სავაჭროს ან საწარმოს გახსნისათვის გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში დადგენილი იყო საგანგებო გადასახადები. მაგალითად, 1871 წლით დათარიღებულ ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდებებში ნათქვამია: „აგრეთვე ვინც ჩვენს ამქარში ახალი ღუქანი გა[ა]ლოს, მან გარდაიხადოს ღუქნის გამოსაღები თუთხმეტი მანეთი“¹⁶¹ ანალოგიური პუნქტია შეტანილი აგრეთვე 1799 წელს შედგენილ მეწვრილმანეთა პირობის წიგნშიც, რომელშიც ვკითხულობთ: „ვინც ახალი ღუქანი გაალოს, ჰამქრის იოლი გასწიოს“¹⁶² ანუ ამქრის სასარგებლოდ გარკვეული თანხა გადაიხადოს.

საოსტატო ნახელავის ინსტიტუტი ფართოდ გავრცელებული ჩანს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც. სეფიანთა ირანის ქალაქებში, რაფაელ ღუ მანის ცნობით, ოსტატობის კანდიდატ შეგირდს თავისი ხელობის ერთი ან რამდენიმე ნიმუში უნდა დაემზადებინა. ეს ნახელავი, რომელიც სინამდვილეში საგამოცდო ნიმუშე-

157 Л. П. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд..., с. 26.

158 С. Егнazarov, Городские цехи..., с. 38—39; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 366.

159 დამატება, 4, მუხლი 10.

160 იქვე.

161 დამატება, 2, მუხლი 7.

162 დამატება, 1, მუხლი 4.

გაოს წარმოადგენდა, შევირდს გამოქონდა ამქრის საერთო კრებაზე, უჩვენებდა ოსტატებს და თან რიტუალურ ფრაზას წარმოთქვამდა“. „ეს (საოსტატო ნაკეთობა — კ. კ.) ჩემი გამოგონებაა¹⁶³. თუ ამქრის ხელმძღვანელობა და ოსტატთა კრება მოიწონებდა აღნიშნულ ნაკეთობას, შევირდს ოსტატად აკურთხებდნენ. ამრიგად, XVII საუკუნის ირანშიც შევირდის ოსტატად დალოცვის ძირითადი წინაპირობა იყო მის მიერ ხელობაში გაწაფვა და „საოსტატო ნახელავის“ დამზადება¹⁶⁴.

საოსტატო ნაკეთობის წარდგენა ესნაფის წევრთა სამსჯავროზე აუცილებელი იყო თურქეთშიც. ევლია ჩელების ცნობით, შევირდს დააყენებდნენ ყველა დამსწრის პირისპირ და იწყებდნენ მის გამოცდას კითხვა-პასუხის მეთოდით. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ შევირდს ოსტატებისათვის უნდა ეჩვენებინა რომელიმე „ქარგად შესრულებული საგანი საკუთარი ნახელავიდან“¹⁶⁵. „ქარგად შესრულებული საგანი“, უეჭველად შედევრს, საოსტატო ნაკეთობას წარმოადგენდა. თუ შევირდს წარმატებით გაივლიდა გამოცდას და მის ნაკეთობასაც მოიწონებდნენ, მას კალფას ანუ ქარგლის ხარისხს მიანიჭებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში შევირდს სწავლების ვადას უგრძობებდნენ „ათას ერთი დღით“, რათა მას „ხალასი ცოდნის დონემდე“ მიეღწია¹⁶⁶. მხოლოდ ხელობას დაუფლებულ შევირდს შედევრის დამზადების და მისი მოწონების შედეგად შეეძლო მიეღო ქარგლის ხარისხი. შევირდის ქარგლად კურთხევის პროცედურის შემადგენელ ნაწილს შევირდის ქამრებით შემორტყმის წესი, მისი შეგონება-დარიგება, ყურის აწვევა და სილის გაწნა შეადგენდა. აღნიშნული რიტუალი დაწერილებით აქვს აღწერილი ევლია ჩელების¹⁶⁷.

საოსტატო ნახელავის დამზადება, როგორც ჩანს, აუცილებელი იყო აგრეთვე შუა აზიის ქალაქებშიც. ოსტატის ხარისხის მისაღებად შევირდს სავანებო გამოცდას უწყობდნენ, რათა მას ეჩვენებინა ხელობაში თავისი გაწაფულობა „ოსტატებისა და ყოფაქცევის დიდებულ მცოდნეთათვის“. ამისათვის ოსტატობის კანდიდატი წინასწარ იზა-დებდა თავისი ხელობის ხელსაწყოებს და იზებირებდა ყველა წესს, რომლებიც მისი ხელობის რისაღეში იყო აღწესებული¹⁶⁸. საშევირდო

¹⁶³ R. du Mans, გვ. 33.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ გვ. 495—497, 1314, جاد ، بيرنجى ، ساسى ، احاد نامى ، اوليا جلبى ، ساجلى ، ساجلى

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ იქვე; იხ. აგრეთვე: А. А. Аджян, М. К. Зулалян, Ремесленное производство в Стамбуле в первой половине XVII века, Страны и народы Ближнего и Среднего Востока, X, Турция, Ереван, 1979, с. 183—187.

¹⁶⁸ Р. Г. Мукминова, Очерки по истории ремесла в Самарканде и Бухаре в XVI веке, с. 161.

ხელშეკრულებები საგანგებოდ ითვალისწინებდნენ შეგირდის მიერ ხელობის ისეთ ღონეზე შესწავლა-ათვისებას. რომ მისი ნახელავი მოსწონებოდა ხელობის ყველა ოსტატს¹⁶⁹. სავესებით მართებულად აღნიშნავს ა. ბელენიკვი, რომ ეს პუნქტი ფაქტიურად საოსტატო ნაკეთობის დამზადების მოთხოვნას წარმოადგენდა¹⁷⁰. მხოლოდ სრულყოფილად დამზადებული საოსტატო ნაკეთობა აძლევდა უფლებას გამოცდაგავლილ შეგირდს მიეღო ოსტატის ხარისხი.

ჩვენ მიერ მოტანილი მასალა ნათლად გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში, ირანში, თურქეთში, შუა აზიასა და სხვა ქვეყნების ქალაქების ხელოსნურ წარმოებაში ფართოდ იყო გავრცელებული შედეგის ინსტიტუტი, თუმცა მას, როგორც დავინახეთ, საყოველთაო ხასიათი მაინც არ ჰქონია. შედეგის ინსტიტუტის არსებობა, უეჭველად, იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ამქრულმა წყობილებამ განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია და შემუშავდა ამქრის სრულფლებიანი წევრების — ოსტატების რიგებში გადაყვანის უმთავრესი კრიტერიუმი, რომელიც ხელოსნური დაკრის სრულყოფილ ათვისებაში გამოიხატებოდა.

ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს ქალაქებში, ახალციხის გამოკლებით. არ შეიძლება ფართო განვითარება ქარგლის ინსტიტუტს. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ხელობაში ან სხვა პროფესიაში სათანადოდ განსწავლული შეგირდი, დადგენილი ცერემონიალის გავლის შემდეგ იღებდა ოსტატის ხარისხს. ამ შემთხვევაში ამქრის კლასიკური სამწვერიაანი სტრუქტურა (შეგირდი, ქარგალი, ოსტატი) ირღვეოდა, რადგან შეგირდი შუალედი (ე. ი. ქარგლის) საფეხურის გაუვლელად პირდაპირ გადადიოდა ამქრის ოსტატთა ფენაში. ქარგლის კატეგორიის განუვითარებლობაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ისტორიის წყაროებში არ გვხვდება „ქარგლის“ აღმნიშვნელი სიტყვები¹⁷¹. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის საქართველოში ტერმინი „ქარგალი“ ქვეოსტატის მნიშვნელობით¹⁷².

თბილისის იუველირთა პირობის წიგნი, რომელიც ქართული ამქრული წყობილების ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოად-

¹⁶⁹ დამატება.

¹⁷⁰ А. М. Беленцкий, Организация ремесла в Самарканде XV—XVI вв., с. 46.

¹⁷¹ Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 369.

¹⁷² იქვე. დაწერილებით ტერმინ „ქარგლის“ შესახებ იხილეთ — ე. კუციია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან XVI—XVIII ს-ის პირველ ნახევარში (შეგირდისა და ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის), გვ. 118—121.

გენს, შეიცავს ათ თავს, რომლებშიც თითქმის ამომწურავად არის დახასიათებული შეგირდის მდგომარეობა ამქარში. ამავე დროს მასში არაფერი არაა ნათქვამი ქარგლის თაობაზე. ასეთი საკვირველ კონტრასტი მხოლოდ იმ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ ოქრომჭედელთა ამქარში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ქარგლის კატეგორია. ეს ფაქტი კი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქარგლის ინსტიტუტი ან საერთოდ არ არსებობდა საქართველოს ქალაქებში, ან თუ არსებობდა, მეტად სუსტად იყო განვითარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ცნელი დასაჯერებელია, რომ ისეთ ძლიერ მდიდარ და სტაბილურ ხელოსნურ ორგანიზაციაში, როგორიც იყო იუველირთა ამქარი, არ ყოფილიყო ქარგლის კატეგორია. საწინააღმდეგო აზრის დასამტკიცებლად შეიძლება გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ თბილისის ოქრომჭედელთა სტატუტში მოხსენიებულია „ქარგაპი“, მაგრამ ამ სიტყვას კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს და „ქირით მომუშავე პირს“, „დაქირავებულ მუშას“ აღნიშნავს. სტატუტის ჩვენთვის საინტერესო პასაჟში ლაპარაკია ახლად ხელდასხმულ ოსტატზე, რომელიც დატოვებს თავის მასწავლებელს და „მოინდომებს ქირით დაუდგეს სხვა რომელიმე ოსტატს“ ძველი ასეთ პირს პირდაპირ უწოდებს „დაქირავებულ მუშას“ ან უბრალოდ „დაქირავებულს“¹⁷³ „ქარგარი“ ზუსტად ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა XIX საუკუნის ირანის, შუა აზიისა და ჩრდ. აზერბაიჯანის ქალაქებში¹⁷⁴. ქარგლის კატეგორია არაა მოხსენიებული არც ქართულ ენაზე შედგენილ თბილისის მეწვრილმანეთა წესდებაში (1800 წ.) და არც ქუთაისის მეპურეთა ამქრის პირობის წიგნში (1871 წ.). არაფერს ამბობს მის შესახებ დავით ბაგრატიონიც. სამაგიეროდ 1871 წლის ქუთაისის მეპურეთა წესდებაში ნახსენებია „მოჯამაგირე“. წყაროში ნათქვამია: „და აგრეთვე. ვინც ჩვენს ანქარში ერთმანეთს უნებლათ მოჯამაგირეს მოუმატოს და თავისთვის შეიმდომოს გასაყვანათ, იმ კაცმა გარდაიხადოს შტრაფი, ერთი თუმანი გარდაიხადოს“¹⁷⁵. ირკვევა, რომ ამქრებში მოჯამაგირეები, ე. ი. დაქირავებული, ქირის პირობაზე აყვანილი მუშები იყვნენ, რომლებიც ჯამაგირს თავისი ოსტატისგან, კონკრეტულ შემთხვევაში მეპურისგან, იღებდნენ. როგორც ჩანს, ჯამაგირის ოდენობა განსაზღვრული იყო ამქრის მიერ და მისი თვითნებურად მომატება მოჯამაგირის გადაბირების მიზნით აკრძალული იყო. დამნაშავე ოსტატი ფულადი ჯარიმით ისჯებოდა. ცხადია, რომ „მოჯამაგირე“ ამ შემთხვევაში „ქარგლის“ სინონიმს წარმოად-

173 დამატება, 4, მუხლი 9.

174 კ. კ. ც. ი. ა., აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 120—121.

175 დამატება, 4, მუხლი 4.

გენს და დაქირავებულ მუშას აღნიშნავს. საგულისხმოა ის გარემო-
ებაც, რომ 1867 წლის ქ. თბილისის ხელოსნური ამქრების დებულება-
ში ქარგალი კვალიფიცირებულია, როგორც ხელოსანი, რომელიც ქი-
რათ მუშაობდა სახელოსნოების მფლობელებთან¹⁷⁶.

ერთი სიტყვით, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალა-
ქებში, როგორც გვიჩვენებს დოკუმენტური მასალა, არ იყო წარმო-
დგენილი ქარგლის (ქვეოსტატის) ინსტიტუტი, სამაგიეროდ ფართოდ
იყო გავრცელებული დაქირავებული შრომა, დაქირავებული მუშის ინ-
სტიტუტი. ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ზოგიერთი რევოლუციამდელი
ავტორის (ი. ახვერდოვი, ს. ელიაზაროვი) თვალსაზრისს, მაგრამ დღეს-
დღეობით არსებული მასალა არ გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ,
რომ XVII—XVIII საუკუნეების ქართული ამქრული წყობილების
ორგანულ ნაწილს ქარგლის ინსტიტუტი წარმოადგენდა

სხვანაირი ვითარება იყო ახალციხეში. დოკუმენტური წყაროები
და ლ. ზაგურსკის მიერ დატული ცნობები გვიდასტურებს აქაურ ესნა-
ფებში ქარგლის კატეგორიის არსებობას. ქვეოსტატის აღსანიშნავად აქ,
თურქეთის ქალაქების მსგავსად, იხმარებოდა ტერმინი ხალფა¹⁷⁷, რო-
მელიც საერთოდ უცნობი იყო საქართველოს სხვა ქალაქების ამქრები-
სათვის. როგორც თავის დროზე აღინიშნა, ახალციხის ესნაფებში შე-
გირდი სათანადო გამოცდის შემდეგ ქარგლის ხარისხს იღებდა. იგი
ძველებურად თავის ოსტატ-მასწავლებელთან რჩებოდა, სწავლობდა და
ასრულებდა მასზე გაპროცენებულ სამუშაოს და მხოლოდ „თავისუ-
ფალ დროს“ უფლება ჰქონდა ემუშავა სხვა ოსტატის სახელოსნოში¹⁷⁸.
რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი გარკვეულ ფულად გა-
სამრჩელოს ღებულობდა, რომლის ნაწილს, შესაძლებელია, იგი თავის
ოსტატს აძლევდა. ხალფა (ქარგალი) ჩირაკზე (შეგირდზე) უკეთეს
მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ იგი თავისი სტატუსით ჯერ კი-
დეე მოწაფედ ითვლებოდა და აქედან გამომდინარე, ესნაფის სრულ-
უფლებიანი წევრი არ იყო. ლ. ზაგურსკის მონაცემებით, ხალფა რამ-
დენიმე წელი რჩებოდა თავის ოსტატთან და მხოლოდ ამის შემდეგ
ხდებოდა მისი ოსტატად ხელდასხმა. ამისათვის ხალფას უწყობდნენ
საგანგებო გამოცდას, რომელსაც ესნაფის ყველა წევრი და უსტაბაში
ესწრებოდა¹⁷⁹. გამორიცხული არაა, რომ ახალციხეშიც, ისევე როგორც
თურქეთის ქალაქებში, ახლად დალოცვილი ოსტატი, თუკი მას ამის

176 Положение о ремесленных амкарах (цехах) в гор. Тифлисе, с. 15.

177 დამატება, 10.

178 Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд..., с. 26.

179 იქვე.

შესაძლებლობა ჰქონდა, იძენდა გედიკს ანუ სპეციალურ ნებართვას ღუქან-სახელოსნოს გახსნისათვის¹⁸⁰.

ერთი სიტყვით, ახალციხის ესნაფების შინაგანი სტრუქტურა თურქული ამქრული ორგანიზაციების ანალოგიას და ამ თვალსაზრისით ტიპოლოგიურადაც მათ გამეორებას წარმოადგენს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თურქული ამქრული წყობილების გავლენის შედეგად პროფესიული ორგანიზაციების შინაგანი აღნაგობის სამწვერიანი სისტემა (შეგირდი, ქარგალი, ოსტატი) გაჩნდა იმ ქვეყნებში, რომლებიც თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ზეგავლენას განიცდიდნენ. ასე მაგალითად, ხალფას ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ სომხეთის ესნაფებისათვის. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დამასკოსა და სირიის სხვა ქალაქების ამქრებისათვის დამახასიათებელი იყო ტრადიციული იერარქია: ოტატი (მუალლიმ), სანი (ქარგალი) და შეგირდი (აჯირ)¹⁸¹. ასეთივე ვითარება იყო გვიანი შუა საუკუნეების ბალკანეთის ქვეყნების ამქრულ ორგანიზაციებში¹⁸². ამ ქვეყნების მსგავსად, ახალციხის ესნაფებშიც ქარგლის კატეგორიის გაჩენა-განვითარება სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, რადგან თურქეთიდან გაღმავლებულმა სომეხმა ხელოსნებმა არა მარტო თან მოიტანეს თურქული ამქრული წყობილების ტრადიციები, არამედ ხელახლა შექმნეს ესნაფები, რომლებიც თავისი აღნაგობით იძიებდნენ თურქული ამქრის სტრუქტურას¹⁸⁴.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVII—XVIII საუკუნეების საქართველომ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, გორი...) არ იყო ცნობილი ქარგლის ინსტიტუტი. ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ „ამხანაგის“ საკითხი. შ. მესხია თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში ქართულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ამხანაგი“ ან სხვანაირად „ოსტატის ამხანაგი“ თავისი ეკონომიკური და იურიდიული მდგომარეობით ნაკლებად განსხვავდებოდა ოსტატისგან. ისინი თითქმის გათანაბრებული იყვნენ თავისი უფლებებით ოსტატთან. მიუხედავად ასეთი დასკვნისა, მკვლევარი მაინც იქითკენ იხრება,

¹⁸⁰ G. Вагг, Monopolies and restrictive practices of Turkish guilds, გვ. 159; Д. А. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции по «Сеяхат-наме» Эвлии Челеби, с. 53.

¹⁸¹ ე. ი. იქრუხაშვილი, ლაქ ჩამჭარიერქანსერ..., გვ. 112—114.

¹⁸² И. М. Смилянская, Социально-экономическая структура стран Ближнего Востока на рубеже нового времени, М., 1979, с. 139.

¹⁸³ Н. Тодоров, Балканский город XV—XIX ввков, с. 209—210.

¹⁸⁴ ე. კუციია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII საუკუნეებში, გვ. 160.

რომ „ამხანაგი“ ფაქტიურად იგივე ქარგალია, მაგრამ მისი უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის დაახლოება ოსტატთან მეტყველებს ქარგლის ინსტიტუტის განუვითარებლობაზე საქართველოს ქალაქების ამქრებში¹⁸⁵.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ის ფაქტი, რომ ამხანაგი თავისი იურიდიული და ეკონომიკური მდგომარეობით უთანაბრდება (თუნდაც თითქმის უთანაბრდება) ოსტატს, სრულიად გამორიცხავს მისი ქარგლობის შესაძლებლობას. ქარგალი ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ეს ინსტიტუტი წარმოდგენილი იყო, ოსტატის ხელქვეითი იყო, მას ემორჩილებოდა და ამდენად მათი მდგომარეობის იურიდიულ-უფლებრივ იდენტურობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამასთანავე თავისი შეძლებითაც ქარგალი ვერ გაუტოლდებოდა ოსტატს, რადგან მის სახელოსნოში მუშაობდა მისსავე სასარგებლოდ. თუ თავისი ოსტატის ნებართვით „თავისუფალ დროს“ სხვასთან წავიდოდა სამუშაოდ და ამისათვის გასამრჩელოს აიღებდა, მისი ნაწილი თავისი ოსტატისათვის უნდა დაეთმო. ამდენად, არ მიგვაჩნია მართებულად თვალსაზრისი, რომ ამხანაგი იგივე ქარგალია, ქვეოსტატია.

ჩვენი აზრით, ქართულ დოკუმენტურ წყაროებში დაცული მასალა „ამხანაგის“ თაობაზე უნდა მიუთითებდეს ამხანაგობის, პარტნიორობის, კომპანიონაჟის ინსტიტუტის არსებობაზე XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა კი თბილისში. ამ მიმართებით ყურადღებას იმსახურებს თბილისის ოქრომკედელთა პირობის წიგნის 30-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება ამხანაგობის საკითხს. მასში ნათქვამია: „თუ ამქრის ორი [წევრი] მოინდომებს შეამხანაგებას საოქრომკედლო ხელობაში, ეს უნდა მოხდეს ხელმძღვანელების ნებართვით, მათი ცოდნით და ამხანაგობის ხელშეკრულებასაც მათ უნდა მოაწერონ ხელი“¹⁸⁶. როდესაც „ამხანაგობა“ გაფორმდებოდა, მის ორივე წევრს ამქრის ხაზინაში გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა. ამხანაგობის გაყოფაც ამქრის ხელმძღვანელობის ნებართვით ხდებოდა და ამ შემთხვევაშიც მისი ყოფილი წევრები ხაზინაში მცირე თანხას იხდიდნენ. წესდების მოთხოვნით ამხანაგობის ხელშეკრულების ასლი შეჰქონდათ ამქრის დავთარში¹⁸⁷.

ამქრის წევრთა ამხანაგობის შესახებ ლაპარაკობს ი. ახვერდოვიც. მისი ცნობით, ამხანაგობის შექმნისა და დაშლის საბუთს ამტიცებდა უსტაბაში, რისთვისაც ის გარკვეულ გასამრჩელოს იღებდა. ამ გასამრჩელოს „მალარიჩი“ ეწოდებოდა.

185 III. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, с. 373.

186 დამატება, 4, მუხლი 30.

187 იქვე.

ქალაქის მცხოვრებთა ამხანაგობანი დამოწმებულია XVIII საუკუნის ქართული დოკუმენტური მასალითაც, მაგალითად, 1725 წლის პირობისა და 1759 წლის ნასყიდობის წიგნებით. განსაკუთრებით საინტერესოა პირველი მათგანი, სადაც მოხსენიებულია ოთხი ამხანაგი — შიოანთ მელქია, ზაქარას შვილი გიორგა, გულასპანთ მანუჩარი და კიკოანთ მოსესა, რომელთაც ერთად რამდენიმე წისქვილი ააშენეს. ამიტომ, როგორც საბუთშია აღნიშნული, „რაც რომ ავაშენეთ, საერთო არის, ხეირი და შარი ოთხი ამხანაგისა არის“¹⁸⁸.

აზრივად, მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა ამხანაგობის, პარტნიორობის ინსტიტუტი. ამხანაგობა ამქრის წიაღშიც შეიძლებოდა შექმნილიყო და მისი წევრები, რასაკვირველია, მხოლოდ ოსტატი-ხელოსნები იყვნენ, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვაგვარი იყო; ამხანაგობაში შეტანილი ფულის ოდენობაც ერთნაირი არ იყო და, აქედან გამომდინარე, საერთო მოგებაც თანაბრად არ იყოფოდა მათ შორის. ამხანაგობის ძთელი საქმიანობა ამქრის ხელმძღვანელების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. ამხანაგობას ქმნიდნენ სხვადასხვა შეძლებისა და კატეგორიის ვაჭრები¹⁸⁹. მაგალითად, მსხვილი ვაჭრების ამხანაგობაზე ცნობას გვაწვდის დავით ბაგრატიონი. მისი სიტყვით, ამხანაგობა დაფუძნებული იყო მისი წევრების ურთიერთშეთანხმებაზე და თანაბარ უფლებებზე. ვაჭრობა საერთო კაპიტალით წარმოებდა, ხოლო მოგება წევრებს შორის თანაბრად იყოფოდა¹⁹⁰, ირკვევა, რომ ეს ამხანაგობის უმაღლესი ფორმა იყო. მასში მსხვილი ვაჭრები შედიოდნენ, რომელნიც დიდი მასშტაბის სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ.

მაგრამ არსებობდა ისეთი ამხანაგობანიც, რომელსაც უბრალო. ლარიბი ხელოსნები ქმნიდნენ. ასეთ ამხანაგობებში არ იყო საერთო კაპიტალი. მათ უმთავრეს მიზანდასახულებას რომელიმე სამუშაოს ერთობლივი შესრულება წარმოადგენდა. ხშირად ამხანაგობაში გაერთიანებული ხელოსნები დაკვეთით მუშაობდნენ. მაგალითად, 1810 წლით დათარიღებულ „რუს გამოღებისა“ და წისქვილის აგების საბუთში მოხსენიებულია „კალატოზი ოჰანეზა და კალატოზი პეტრე ატოცელი“. ეს უკანსკნელი ოჰანეზას ამხანაგად არის მოხსენიებული („კალატოზი ოჰანეზა და ამისი ამხანაგი პეტრე“). უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ერთი ამხანაგობის წევრები იყვნენ. მაგრამ მათი გასამარჯე-

188 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 135—136.

189 III. М е с х и а. Города и городской строй феодальной Грузии, с. 372.

190 დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის შიშობილვა, გვ. 258.

ლოს ოდენობაში ერთგვარი განსხვავება შეინიშნება. დოკუმენტის მიხედვით, ოპანეზამ 11 დღის მუშაობისათვის 11 მინალთუნი და ერთი სახალათე მიიღო („კალატოზი ოპანეზა რომ გავისტუმრე, რაც იმუშავა და ან ისე იყო, სულ თერთმეტი დღე იყო და მივეც თერთმეტი მინალთუნი და ჩემი მაუდის კაბა ხალათითა“). მისი ამხანაგი პეტრე კი ყოველდღიურად ერთი აბაზით ნაკლებს იღებდა. ამიტომ 11 დღის მისმა გასამრჩელომ სულ ცხრა მინალთუნი და ორი აბაზი შეადგინა („ამის ამხანაგი ატოცელი პეტრე გავისტუმრე, ამასაც თერთმეტის დღისა მივეც. დღეში: ყე (ოთხი აბაზი), იქნება: ჯყ: (რვა მინალთუნი და ოთხი აბაზი)¹⁹¹. აღნიშნული განსხვავება, შესაძლებელია, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ პეტრე ატოცელი ან ნაკლებად გამოცდილი ხელოსანი იყო, ან შედარებით მსუბუქ სამუშაოს ასრულებდა. ჩვენი აზრით, პეტრე, კალატოზ ოპანეზას ქარგალი კი არა, პარტნიორი, კომპანიონი იყო. ამრიგად, საბუთში დასახელებული პირები — ოპანეზა და პეტრე, ხელოსნები არიან, რომელთაც გარკვეული სამუშაოს (რუს გაყვანა და წისქვილის მშენებლობა) შესასრულებლად ჩამოაყალიბეს ამხანაგობა.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის, პარტნიორობის ინსტიტუტი საზოგადოდ ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ფეოდალურ ქალაქებში. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ს. გოიტეინი გენიზას დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ XII საუკუნის ეგვიპტეში ხელოსნებს შორის ძალზე გავრცელებული იყო პარტნიორობა. მაღალკვალიფიციური ხელოსნები ხშირად ამხანაგობებს ქმნიდნენ და ერთობლივად მუშაობდნენ¹⁹². ასეთივე აზრს გამოთქვამს ლ. სემიონოვა, რომელიც აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების ეგვიპტის ხელოსნობის დამახასიათებელ ნიშანთვისებას კომპანიონაჟების ანუ ამხანაგობების არსებობა წარმოადგენდა. ს. გოიტეინისგან განსხვავებით იგი ფიქრობს, რომ ამხანაგობები შეიძლება ოღონდ აღმოცენებულიყო ამქრის წიაღშიც¹⁹³.

ამხანაგობები არსებობდა თურქეთის იმპერიის ქალაქებშიც. 1773 წელს სულთან მუსტაფა III (1757—1774) გამოსცა ფირმანი, რომელიც თურქეთის ესნაფის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხე-

¹⁹¹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, გვ. 305, 307—308.

¹⁹² S. D. Goitein, A Mediterranean Society. The Jewish Community of the Arab World as portrayed in the Documents of the Cairo Geniza, v. 1. Economic Foundation, Berkley—Los-Angeles, 1967, გვ. 92—93.

¹⁹³ Л. А. Семенова, Из истории фатимидского Египта, Очерки и материалы, М., 1974, с. 78.

ზოღა. სხვათა შორის, მასში ამხანაგობათა შექმნის საკითხიც არის განხილული. ხსენებულ საბუთში მკაცრად არის განსაზღვრული ის პირობები, რომლის საფუძველზე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ამხანაგობა. ამხანაგობის შექმნის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ ერთი და იმავე ამქრის ოსტატებს. მოგვეყავს სულთან მუსტაფა III-ის ფირმანის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის რუსული თარგმანი; «Мастер, который хочет стать компаньоном, пусть будет компаньоном только другого мастера цеха, но с подмастерьем или с кем-либо другим, кто не состоит мастером этого же цеха, не имеет права стать компаньоном ни явно, ни тайно. Только если это сын мастера, но и то с разрешения цеха»¹⁹⁴.

მოტანილი პასაჟის შინაარსი ეხმაურება თბილისის ოქრომჭედელთა ამქრის პირობის წიგნის ზემოგანხილულ მუხლს. ორივე წყაროს მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამხანაგობა შეიძლებოდა შეექმნათ მხოლოდ ერთი და იმავე ამქრის ოსტატებს. ამქრის შიგნით ჩამოყალიბებულ კომპანიონაჟს თვალყურს ადევნებდა ამქარი და მისი ხელშეძღვანელობდა. ყურადღებას იქცევს მუსტაფა III-ის ფირმანის ერთი მომენტი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ოსტატს უფლება არ ჰქონდა შეამხანაგებულიყო ქარგალთან. ალბათ, ეს სრულიად კანონზომიერი მოთხოვნაა, რადგან ამხანაგობა, კომპანიონაჟი გულისხმობდა მისი წევრების ერთნაირ სოციალურ მდგომარეობას და თანაბარ უფლებებს. თუ აღნიშნულ მომენტს გავითვალისწინებთ, ჩვენ უფრო მეტი არგუმენტი გვექნება იმის სამტკიცებლად, რომ ქვეითხურო ოპანეზა და მისი ამხანაგები სოსია და პეტრე ოსტატის რანგის ხელოსნები იყვნენ და ერთი ამხანაგობის, კომპანიონაჟის წევრებს წარმოადგენდნენ.

ზემოგანხილული ქართული მასალა და აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალური ქალაქებისათვის დამახასიათებელი ამხანაგობის ინსტიტუტი, ჩვენი აზრით, სრულ საფუძველს გვაძლევს დასკვნისათვის. რომ გვიანი ხანის საქართველოშიც ადგილი ჰქონდა ანალოგიურ ფენომენს, რომ ამხანაგობათა არსებობა დამახასიათებელი იყო აქაური საქალაქო ცხოვრებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ცხადია, მართებული არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტერმინი „ამხანაგი“ ქარგლის (ქვეოსტატის) ცნების გამოსახატავად იხმარებოდა. სინამდვილეში იგი აღნიშნავდა ხელოსანთა, ვაჭართა ან სხვა პროფესიათა კომპანიონაჟის, ამხანაგობის წევრს.

ამრიგად, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ამქრული წყობილებებისათვის უცხო იყო ქარგლის ინსტიტუტი. ანალო-

¹⁹⁴ ციტირებულია წიგნიდან: Н. Тодоров, Балканский город XV—XIX веков, с. 210.

გიური ვითარება იყო ირანის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის ქალაქებშიც. სეფიანთა სახელმწიფოში ქარგლის ინსტიტუტის განუვითარებლობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქაურ ამქრებში უცნობი იყო ტერმინი „ხალიფე“ არც ქვეოსტატის და არც სხვა რაიმე მნიშვნელობით¹⁹⁵. იგივე სურათი იყო ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ქალაქებშიც¹⁹⁶, ხოლო ტერმინი „ქარგარი“, რომელიც გვიან ჩნდება, დაქირავებული მუშის აღსანიშნავად იხმარებოდა¹⁹⁷. ქარგლის კატეგორია არაა მოხსენიებული გვიანი ხანის ირანის ფეოდალური ქალაქების ისტორიის წყაროებში. რაფაელ დუ მანის მონაცემებით ირკვევა, რომ ირანულ ამქრებში წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ ოსტატები და შეგირდები. შეგირდები ხელობის საფუძვლიანად ათვისების შემდეგ ამქრის საერთო კრებას წარუდგენდნენ საოსტატო ნაკეთობას და დაწესებული ცერემონიალის გავლით ოსტატების რიგებში გადადიოდნენ¹⁹⁸. არაფერს ამბობს ქარგლების შესახებ ეან შარდენიც, თუმცა იმავე დროს იგი საყურადღებო მასალას გვაწვდის ოსტატებისა და შეგირდების თაობაზე¹⁹⁹. იგივე ვითარებაა უფრო გვიანდელ წყაროებშიც²⁰⁰.

საშეგირდო ხელშეკრულებებისა და რისაღების ტექსტების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ქარგლის ინსტიტუტი არ არსებობდა არც შუა აზიის ქალაქებში, მაგალითად ისეთ მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში, როგორც იყო სამარყანდი და ბუხარა. აღნიშნულ დოკუმენტებში ლაპარაკია მხოლოდ შეგირდებისა და ოსტატების შესახებ. როგორც თავის დროზე აღინიშნა, შუა აზიის ქალაქებში შეგირდები ქარგლის შუალედი საფეხურის გაუვლელად პირდაპირ ლეზულობდნენ ოსტატის ხარისხს. ამრიგად, შუა აზიის ხელოსნობისთვისაც უცნობი იყო ქარგლის ინსტიტუტი.

როგორც ვხედავთ, ქარგლის ინსტიტუტის არსებობის ასპექტში ახალციხის ესნაფები თურქული ამქრების ანალოგს წარმოადგენდნენ, ამავე თვალსაზრისით საქართველოს სხვა ქალაქების (თბილისი, გორი, ქუთაისი...) ამქრები ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ ირანისა

¹⁹⁵ ქ. კუტუბა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან XVI—XVIII ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 286.

¹⁹⁶ М. Х. Гейдаров, Ремесленное производство в городах Азербайджана в XVII в., Баку, 1967, с. 135.

¹⁹⁷ Н. А. Кузнецова, Материалы к характеристике ремесленного производства в иранском городе XVIII — начале XIX века, «О генезисе капитализма в странах Востока (XV—XIX вв.)», М., 1962, с. 354.

¹⁹⁸ R. du Mans, გვ. 33.

¹⁹⁹ Chardin, IV, გვ. 94—95.

²⁰⁰ И. Березин. Путешествие по Востоку, ч. II, Казань, 1852, с. 233.

და სხვა ქვეყნების პროფესიულ ორგანიზაციებთან, სადაც არ განვითარდა აღნიშნული ინსტიტუტი.

ქარგლის ინსტიტუტის განუვითარებლობა საქართველოს, ირანისა და სხვა ქვეყნების ქალაქების ამქრებში სრულიადაც არ არის გამოწვევის მოვლენა. მართალია, შეგირდი, ქარგალი და ოსტატი ქმნიდნენ ძირითად იერარქიას შუა საუკუნეების ამქრებში, მაგრამ ეს გრადაცია ზოგიერთ შემთხვევაში ირღვეოდა თვით დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ქალაქებშიც, სადაც შუა საუკუნეების ცეხები თავისი კლასიკური ფორმით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, XV საუკუნის ქალაქ ბრიუსელის ზოგიერთ ცეხში არ არსებობდა შეგირდის ინსტიტუტი²⁰¹. უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ცეხში არ ვითარდებოდა ქარგლის კატეგორია. ზოგიერთი ასეთი ცეხის არსებობა დადასტურებულია XIV—XV საუკუნეების გერმანიის, საფრანგეთისა²⁰² და იტალიის²⁰³ ქალაქებში. ამ ცეხებში შეგირდები პირდაპირ გადაჰყავდათ ოსტატთა რიგებში²⁰⁴.

201 В. В. Стоклицкая-Терешкович, Проблема многообразия средневекового цеха на Западе и на Руси, Средние века, вып. III, М., 1951, с. 75.

202 В. В. Стоклицкая-Терешкович, Немецкий подмастерье XIV—XV вв., Л., 1938, с. 4.

203 В. В. Стоклицкая-Терешкович, Проблема многообразия средневекового цеха..., с. 75.

204 იქვე, გვ. 76.

ამჟრის მართვა-გამგებლობა

XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ამჟრულ ორგანიზაციებს უძღვებოდა საგანგებო ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც რამდენიმე მოხელისგან შედგებოდა. წყაროების მონაცემების საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ამჟრის ადმინისტრაციის შემადგენლობა. მასში შედიოდნენ უსტაბაში ანუ სხვანაირად ამჟარბაში (ამჟრის თავი), ერთი ან რამდენიმე აკსაკალი (ამჟრის უხუცესები), ხაზინადარი (ამჟრის ხაზინის მმართველი) და იგიტბაში (შიკრიკი). ზოგიერთ ამჟარში არსებობდა აგრეთვე მწერლის სახელოც. მაგალითად, აღნიშნული თანამდებობა წარმოდგენილი იყო თბილისის იუველირთა გაერთიანებაში. ზოგჯერ ამჟრის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი არ იყო ხაზინადარი. ასეთ შემთხვევაში მის მოვალეობას უსტაბაში ასრულებდა. მაგრამ ხაზინადარის სახელო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აკლდა ამჟრის ადმინისტრაციულ აპარატს, რადგან ამჟრის ყოველდღიურ საქმიანობას, მის შინაგან ცხოვრებას, ამჟრის ურთიერთობას ქალაქისა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საკითხებს სწორედ ზემოდასახელებული ოთხი მოხელე (უსტაბაში, აკსაკალები, ხაზინადარი და იგიტბაში) აგვარებდა.

ქართული ამჟრის ადმინისტრაციული აპარატის შემადგენლობა სრულ იდენტურობას იჩენს სეფიანთა ირანის ქალაქების ამჟრების სამოხელეო აპარატთან. ამ უკანასკნელშიც წარმოდგენილი იყო ოთხი მოხელე: უსტაბაში, ერთი ან ორი ქედხოდა, რომელსაც ხშირად რიშ-სეფიდს უწოდებენ¹, ხაზინადარი და იგიტბაში. სრულიად სხვა შემადგენლობაა დამოწმებული აღებული ხანის თურქეთის ესნაფებში. თურქული ამჟრული ორგანიზაციების ადმინისტრაციულ აპარატში წარმოდგენილი იყო ქეთხუდა ანუ ქიახია (ესნაფის თავი), ერთი ან რამდენიმე იგიტბაში (ქეთხუდას მოადგილე, დამხმარე მოხელე), შეიხი (ესნაფის სასულიერო ხელმძღვანელი), ნაკიბი და დუაჯი (ესნაფში რელი-

¹ სპარსული „რიშეფიდი“ (ریش سفید), თურქული აკსაკალის (aksakal) ზუსტო შესატყვისია. ერთიც და მეორეც ნიშნავს თეთრწვეროსანს.

გიურ-ზნეობრივი ნორმების დამცველნი) და ჩაუში (შიკრიკი)². ესნაფის ადმინისტრაციასთან შეიძლოდ იყო დაკავშირებული უხუცეს ოსტატთა საბჭო. იგი ქეთხუდასთან და იგიობაშთან ერთად მონაწილეობდა ესნაფის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტაში.

ქართული და ირანული ამქარი თავისი ადმინისტრაციული აპარატის აღნაგობა-შემადგენლობით, ნოხელები ოდენობითა და, როგორც შემდგომ დავინახავთ, მათ შორის ფუნქციების განაწილებით სრულიად განსხვავდებოდა თურქეთის ქალაქების ესნაფების სამოხელეო აპარატისგან. ცოტა სხვანაირი ვითარება შეინიშნება ქალაქ ახალციხეში. აქაურ ესნაფებს სათავეში ედგა უსტაბაში³. მის გარდა ესნაფის მოხელებს შორის მოხსენიებული არიან იგიობაში და ხაზინაღარი⁴. ამრიგად, ახალციხის ესნაფების სამოხელეო აპარატის აღნაგობა მსგავსებას ამჟღავნებს როგორც ქართული და ირანული, ისე თურქული ამქრული ორგანიზაციების ადმინისტრაციასთან. ერთი მხრივ, მას სათავეში ედგა უსტაბაში, როგორც ქართულ და ირანულ ამქრებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მის დამხმარედ ჩანს იგიობაში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო თურქული ესნაფებისათვის. იგიობაში რომ ესნაფის თავის მოადგილე და მისი მრჩეველი იყო ახალციხის ესნაფებში, ეს ირკვევა თუნდაც იქიდან, რომ იგი მოხსენიებულია უშუალოდ მის შემდეგ, ხაზინაღარის წინ. ცხადია, აქ ისეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც თურქულ ესნაფებში, რომლებშიც ქეთხუდას ანუ ქიაჰის შემდეგ მეორე მოხელედ ითვლებოდა სწორედ იგიობაში, იმ დროს როდესაც ქართული და ირანული ამქრების ხელმძღვანელობაში ამ სახელწოდების მატარებელ პირს ბოლო, უკანასკნელი ადგილი ეკირა და შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალციხის ესნაფებში არსებობდა შიკრიკიც, რომელსაც, ალბათ, ჩაუში ან სურჰანდაკი ეწოდებოდა. როგორც ვხედავთ, სამოხელეო პირთა ოდენობის თვალსაზრისით ახალციხის ესნაფები უახლოვდებიან ქართულ და ირანულ ამქრებს, მაგრამ მათი ადმინისტრაციული აპარატის აღნაგობა, მოხელეთა თანმიმდევრული იერარქია, უეპქველად, თურქული ამქრული წყობილების გავლენას განიცდის. ეს გავლენა ვლინდება იმ გარემოებაშიც, რომ თურქეთის ქალაქების მსგავსად, ახალციხეშიც ცალკეული ან ახლობელი ხელოსნური დარგების ესნაფების უსტაბაშები „ოსტატთა თანადგომით“ ირჩევდნენ უსტალარ-უსტასს ანუ შეიხ-

² Д. А. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции по «Сеяхат-наме» Эвлии Челеби, с. 54.

³ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд..., с. 25.

⁴ დამატება, 8, 13, 14.

საპებს, ე. ი. ესნაფების უფროსს, ესნაფების თავს⁵. ანალოგიურ ვითარებას პქონდა ადგილი დასავლეთ სომხეთის ქალაქებშიც⁶.

მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის შუა წლებში ახალციხის ესნაფები, თურქული ესნაფების გარდა, ქართული ამქრული წყობილების შესამჩნევ გავლენასაც განიცდიან, რაც, უწინარეს ყოვლისა, მათი სამოხელეო აპარატის შედგენილობის თავისებურებაში გამოიხატა.

ამქარი, როგორც განსაკუთრებული პროფესიულ-სოციალური უჯრედი, შუა საუკუნეების ფეოდალური ქალაქების სინამდვილეში ერთი შეხედვით თითქოს დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც სრული იმუნიტეტით და ავტონომიით სარგებლობდა. ამ უალრესად სინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ამქრისა და მისი სამოხელეო აპარატის ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საქალაქო მმართველობასთან.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამქრის მთავარ მოხელეთა არჩევა-დანიშვნის საკითხს, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება ამქრის დამოუკიდებლობისა და ავტონომიზმის ხარისხი. ქართული წყაროების მონაცემები ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაც აძნელებს აღნიშნული საკითხის გადაჭრას. აღწერილობითი ხასიათის წყაროებში (ჰაქსთაპოუზენი, ახვერდოვი, ვაიდენბაუმი და სხვ.) აღნიშნულია, რომ უსტაბაშს ირჩევდა ამქრის ოსტატთა საერთო კრება⁷. ამ თვალსაზრისს ეთანხმება ქართულ და სომხურ ენაზე შედგენილი ამქრების სტატუტები. მაგალითად, ქუთაისის მეპატურეთა წესდების 1-ელი და მე-2 მუხლი ამქრის სამოხელეო-აპარატის მთავარ მოხელეთა არჩევას ეხება. პირველ მუხლში ნათქვამია: „ერთმანეთის ნებით და თანხმობით, რომელი ჩვენ ამევიჩიეთ უსტაბაშათ ისეთივე ძველი უსტაბაში ნიკოლოზ მურისიძე და აყსაყალოთ ისეთივე სიმონა ცუცხაშვილი და პეტრე კაციტაძე“⁸, ამრიგად, ქუთაისის მეპატურენი ურთიერთშეთანხმებით, როგორც ჩანს, საერთო კრებაზე ირჩევდნენ თავისი „ამქრის“ უსტაბაშს და აყსაყალებს.

ანალოგიური ხასიათისაა აგრეთვე თბილისის ოქრომქედელთა პირობის წიგნის მასალაც. ირკვევა, რომ ამ ამქარში ოსტატები თავდაპირველად ირჩევდნენ 12 კაცს, როგორც ჩანს, ამქრის ყველაზე პატივცემულ და გავლენიან ოსტატებს. ეს 12 კაცი თავის მხრივ ირჩევდა ამქრის „ოთხ

⁵ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд..., с. 25.

⁶ Կ. Ա. Աբրահამյան, Հայ համայնություններ..., გვ. 115.

⁷ შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, გვ. 141.

⁸ დამატება, 2, მუხლი 1, 2.

ხელმძღვანელს“ ან „ოთხ მთავარ ხელმძღვანელს“, „რომელთაგანაც ერთ-ერთს ეწოდება ხელობის უფროსი (უსტაბაში)“⁹, როგორც ვხედავთ, ოქრომქვედელთა გაერთიანებაში უსტაბაშის არჩევა უფრო რთული იყო და რამდენიმე საფეხურისგან შედგებოდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს სამოხელეო ინსტიტუტი არჩევითი იყო. დავით ბაგრატიონის მიხედვით, უსტაბაშს ირჩევდა ამქარი¹⁰. ამრიგად, აღწერითი ხასიათის წყაროების და მოტანილი დოკუმენტური მასალების მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს. სწორედ ამიტომ გაჩნდა სპეციალურ ლიტერატურაში თვალსაზრისი უსტაბაშის სახელოს არჩევითობის შესახებ¹¹.

მაგრამ უსტაბაშის არჩევა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ იგი ამქრის საქმეების მართვა-გამგებლობას შესდგომოდა. აუცილებელი იყო, რომ უსტაბაში თანამდებობაზე დაემტკიცებინა ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის განხილული მეფე გიორგი XII-ის ორი „წყალობის წიგნი“. პირველ მათგანში, რომელიც დათარიღებულია 1799 წლის 16 ნოემბრით, აღნიშნულია, რომ მეფე „ყოვლისა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა“ გიორგი უბოძებს მოქალაქე იფრუშანთ როსტომაშვილს ხატიას და მის მამას, მუშრიფ კაკალას, ქალაქის ანუ თბილისის ბაზრის ბაზაზბაშობას. ძვირფასი ქსოვილებით მოვაჭრე (ბაზაზბების) ამქრის უსტაბაშებს ვეალებოდათ ისევე მოქცეულიყვნენ, „როგორც ამას წინათ ბაზაზბაში მოქცეულან“¹², ე. ი. მათ უნდა შეესრულებინათ ტრადიციით გამომუშავებული უსტაბაშის ფუნქციები. მართალია, საბუთის მიხედვით ზემოდასახელებული პირები ბაზაზბაშებად მათივე თხოვნით ინიშნებოდნენ, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი შეთანხმებული იყვნენ თბილისის ბაზრის ბაზაზბებთან და მათ შიერვე იყვნენ არჩეული. ე. ი. მეფე ფაქტიურად კი არ ინიშნავდა უსტაბაშებს, არამედ ამტკიცებდა მათ თანამდებობაზე. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი XII უბრძანებს თბილისის მოხელე-ხელისუფალთ დაუმტკიცონ როსტომაშვილ ხატიას და მის მამას „წყალობის წიგნი“, რომლითაც მათ უსტაბაშობა ებოძათ. ჩვენთვის საინტერესო საბუთის დასასრულს ვკითხულობთ: „აწე გიბძანებთ ქა-

⁹ დამატება, 4, მუხლი 1.

¹⁰ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 396.

¹¹ გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ხელოსნობა თბილისში, თბ., 1926, გვ. 96; ა. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები შ. მესხიას წერილებზე, მიმოძიებული, ტ. II, თბ., 1951, გვ. 484; ა. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიიდან, თსუ შრომები, XI, ნ. 1, თბ., 1940, გვ. 70.

¹² დამატება, 15.

ლაქის მოურავო, მელიქმამასახლისო და ჩვენო მოსაქმენო ეს ჩვენი ნაბოძები წიგნი თქვენც ასე დაუმტკიცეთ“¹³. ამრიგად, არჩეულ უსტაბაშს თანამდებობაზე მეფის შემდეგ ქალაქის აპარატის უმაღლესი მოხელენი, მოურავი და მელიქ-მამასახლისიც, ამტკიცებდნენ. რაც შეეხება იმას, რომ საბუთში ორი ბაზაზბაშია ერთად მოხსენიებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი მათგანი ამქრის თავის მოვალეობას ასრულებდა, მეორე კი ეხმარებოდა მას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს 1857 წლის „დებულება“, რომლის თანახმადაც თითოეული ამქარი ირჩევდა ორ უსტაბაშს. ერთი მათგანი მტკიცდებოდა გუბერნატორის მიერ, ხოლო მეორე რჩებოდა მასთან, „როგორც კანდიდატი“, ე. ი. იგი ეხმარებოდა და საჭიროების დროს ცვლიდა კიდევ უსტაბაშს.

ინტერესს იწვევს 1800 წლით დათარიღებული მეორე საბუთიც. ამ საბუთით გიორგი XII-მ თბილისის მეწვრილმანეების უსტაბაშობა უბოძა ანუ უსტაბაშობაზე დამტკიცა ვინმე ასლანა¹⁴. ხსენებული პირი რომ მეწვრილმანეების ამქრის მიერ იყო არჩეული, კარგად ჩანს იმავე წლის 25 მაისს მეფის სახელზე მეწვრილმანეთა მიერ გაგზავნილი „მოსახსენებლიდან“. ისინი წერენ ქართლ-კახეთის მეფეს: „თქვენის ბრძანებით ასლანას უსტაბაშობაზე კელი ააღებინეთ. ჩვენ უიმისოთ იოლს ვერ წავსულვართ. გვედრებით მოწყალება მოიღეთ, იმისი დანაშაულება ჩვენ გვაპატიოთ და ისევ ამაზედ უსტაბაშობის მოწყალება მიიღოთ და უბოძოთ“¹⁵. მოტანილი ფრაგმენტიდან დასტურდება, რომ ასლანა მეწვრილმანეთა ამქრის მიერ იყო არჩეული და თხოვენ ისინი მის დამტკიცებას უსტაბაშის თანამდებობაზე. ერთი სიტყვით, ამქრის უსტაბაშის დამტკიცება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენდა. ზოგჯერ უსტაბაშებს ამტკიცებდნენ ქალაქის ხელისუფალნიც. დავით ბაგრატიონის ცნობით, ამქრის მიერ არჩეულ უსტაბაშს ამტკიცებდნენ ქალაქის „მოურავი და უხუცესები“ ანუ მელიქ მამასახლისები¹⁶. ასეთ შემთხვევაშიც ცენტრალური ხელისუფლება თავისი მოხელეების საშუალებით ახორციელებდა ამქრის თავების დამტკიცებას და, რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებდა და აკონტროლებდა მის საქმიანობას.

უსტაბაშის სახელს მიღება-დამტკიცება განპირობებული იყო მეფის ერთგული სამსახურით. ეს კარგად ჩანს ზემოთ განხილულ ქართული საბუთებიდან. ხატია როსტომაშვილისა და მისი მამის კაკალას

13 დამატება, 15.

14 დამატება, 17.

15 დამატება, 16.

16 დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 396.

დამტკიცება ბაზაზბაშებად, სხვათა შორის, იმითაც არის მოტივირებული, რომ ისინი გიორგი XII-ის ერთგულ მსახურებად არიან ცნობილი. მეფე შემდეგნაირად მიმართავს მათ: „ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ყმას ერთგულს და ნამსახურ მოქალაქეს“. იმავე დროს იგი მოითხოვს მათგან „ჩვენს სამსახურს და ერთგულებას“¹⁷. ანალოგიური პირობით მტკიცდება ასლანაც მეწვრილმანეთა ამქრის უსტაბაშად — „მერე თუ აღარ მოგვატყუებ და ჩვენ სამსახურზე ბეჯითად იქნები“¹⁸.

ანრივად, მეფის „ერთგულობა“ და „ბეჯითი სამსახური“ ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო უსტაბაშის თანამდებობაზე დამტკიცებისათვის. აღნიშნული პირობის დარღვევის, მეფის „მოტყუების“ და სხვა დანაშაულის გამო უსტაბაში შეიძლებოდა გადაყენებისათ თანამდებობიდან. როგორც ირკვევა, სწორედ „მოტყუებისათვის“ ააღებინა ხელი გიორგი XII-მ ასლანას მეწვრილმანეთა უსტაბაშობაზე¹⁹. მოტანილი მასალა საკმაო საფუძველს გვაძლევს იმის დასადასტურებლად, რომ გვიანი ხანის საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრების უსტაბაშებს თავდაპირველად ირჩევდნენ ამქრის ოსტატების კრებაზე, ხოლო შემდეგ მათ ამტკიცებდა ცენტრალური ხელისუფლება (მეფე) ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ქალაქის საგანგებლო აპარატის უზენაესი მოხელენი, მოურავი და მელიქ-მამასახლისები.

ამქრის თავის ასეთი არჩევა-დამტკიცების წესი გავრცელებული იყო შუა საუკუნეების მუსლიმანურ ქვეყნებში²⁰. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ქალაქების ესნაფების ქეთხუდებს ირჩევდნენ ესნაფის ოსტატები, შემდეგ მათ თანამდებობაზე ამტკიცებდა სულთანი, რომელიც ამისათვის საგანგებო ფირმანს გამოსცემდა²¹. რაც შეეხება სეფიანთა ირანის ქალაქებს, აქაური ამქრების უსტაბაშებს, შარდენის ცნობით, ნიშნავდა თავად შაჰი. იგი წერს: „თითოეულ ხელოსანთა (ამქარს) ჰყავს თავისი უფროსი, დადგენილი ხელოსნურ ორგანიზაციაზე, რომელიც დანიშნულია მეფის მიერ“²². შარდენი არაფერს ამბობს უსტაბაშის ამქრის ოსტატთა მიერ წინასწარ არჩევის შესახებ. მაგრამ საფიქრობელია, რომ ირანშიც ასეთივე წესი არსებობდა. ამაზე მეტყველებს ამქრის თავის არჩევა-დამტკიცების წესი, რომელიც ფართოდ

17 დამატება, 15.

18 დამატება, 17.

19 იქვე.

20 G. E. Grunebaum, *Classical Islam*, Lond., 1971, გვ. 100.

21 Guila Káldy — Nagy, *Rural and Urban life in the age of Sultan Suleiman*, გვ. 312; А. А. Аджаян, М. К. Зулалаян, *Ремесленное производство в Стамбуле в первой половине XVII века*, с. 190—191.

22 Chardin, IV, გვ. 93.

იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში, თურქეთსა და ისლამის სხვა ქვეყნებში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემო-
ებაც, რომ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის სპარსული იური-
დიულ-ადმინისტრაციული ტრაქტატის „თაზქირათ ალ-მულუქის“ („მე-
ფეთა სამახსოვრო“) თანახმად, ირანულ ამქრებში უხუცესებს ანუ
რიშეფიდებს, რომელთაც ამქრის ადმინისტრაციულ აპარატში მეორე
ადგილი ეჭირათ უსტაბაშის შემდეგ, ჯერ ამქრის წევრები ირჩევდნენ,
ზოლო შემდეგ მათ საგანგებო „თალიყით“, ანუ სიგელით ამტკიცებდა
ქალაქის ქალანთარი²³. ეს უკანასკნელი თავად ინიშნებოდა შაჰის მიერ
და ამდენად ცენტრალური ხელისუფლების სამოხელეო პირს წარმოად-
გენდა. სხვათა შორის, ქალაქის ნოსხლე-ხელისუფალნი ზოგიერთ
ქვეყანაში ამტკიცებდნენ ამქრის თავებსაც. ასეთი წესი არსებობდა,
მაგალითად, X—XV საუკუნეების სირიის ქალაქებში, სადაც უსტაბა-
შებს, ე. წ. „არიფებს“ ამტკიცებდა მუჰთასიბი²⁴. ანალოგიური წე-
სით ხდებოდა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ზოგჯერ უსტაბაშების დამ-
ტკიცება თბილისის ამქრებშიც.

ერთი სიტყვით, გვიანი ხანის საქართველოს ფეოდალური ქალაქე-
ბის ამქრების უსტაბაშების არჩევა-დამტკიცების წესი პარალელურ
პოულობს შუა საუკუნეების რიგი ქვეყნების ამქრების უსტაბაშების
არჩევის წესთან. იმდენად ღრმა ფესვები ჰქონდა აღნიშნულ წესს სა-
ქართველოში, რომ იგი აისახა თვით რუსეთის მმართველობის დროს
შემოღებულ კანონმდებლობაშიც. 1857 წლის დებულებაში აღნიშნუ-
ლია, რომ თითოეული ამქრის ოსტატები უსტაბაშის თანამდებობაზე
ირჩევდნენ ორ პირს ერთი წლის ვადით, ერთ-ერთ მათგანს თანამდე-
ბობაზე ამტკიცებდა სამოქალაქო გუბერნატორი, მეორე კი მის
კანდიდატად რჩებოდა²⁵.

როგორც დავინახეთ, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს
ამქრების უსტაბაშების დამტკიცება-გადაყენების საკითხი ცენტრალურ
ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენდა. ცხადია, მას შეეძლო
არც დაემტკიცებინა მისთვის არასასურველი კანდიდატი, მოეხსნა და
გადაეყენებინა იგი თანამდებობიდან. ყოველივე ეს, რასაკვირველია,
ზღუდავდა ამქრის ავტონომიას და შეუვალლობას, რადგან, როგორც

²³ Tadhkirat al-muluk, თავი V, ნაწ. 6; К. К. Куция, О характере самоуправления аснафов в городах Сефевидского Ирана XVII в., Ближний и Средний Восток, Товарно-денежные отношения при феодализме, М., 1980, с. 135.

²⁴ G. Baer, Guilds in Middle Eastern history, Studies in the Economic History of the Middle East, New-York-Toronto, 1970, გვ. 15.

²⁵ Положение о ремесленных амкарах в гор. Тифлисе, с. 10.

ზელისუფლების მიერ დამტკიცებულ მოხელეს, უსტაბაში იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისთვის და უყოყმანოდ შეესრულებინა მისი ჯანკარგულება, თუნდაც ეს საზიანო ყოფილიყო ამქრისათვის.

უსტაბაშობის კანდიდატს სრულიადაც არ მოეთხოვებოდა, როგორც იგი „ასაკით ხანდაზმული, ხელობით სახელგანთქმული და მდიდარყოფილიყო“. მაგრამ აუცილებელი იყო, რომ ის პირები, რომლებსაც ირჩევდა ამქარი უსტაბაშად, „ქრისტიანული სინდისისა და გამჭრიახი გონების პატრონები იყვნენ, ბუნებით, სამართლიანობითა და ზნეობით პატიოსნები“²⁶. ამრიგად, იუველირთა ამქრის სტატუტი, საიდანაც ამოღებული მოტანილი ციტატი, უსტაბაშობის სახელოს მიღების უმთავრეს პირობად კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას მიიჩნევს. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, კანდიდატის ეროვნულ, სარწმუნოებრივ და სოციალურ კუთვნილებას არ შეიძლებოდა ხელი შეეშალა მისთვის დაეკავა ამქრის უსტაბაშის ადგილი²⁷.

დავით ბაგრატიონის მიხედვით, უსტაბაშებს ერთი წლის ვადით ირჩევდნენ²⁸. ასეთივე ვადა განსაზღვრული ოქრომქედელთა პირობის წიგნშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ უსტაბაშმა და მისმა მრჩეველებმა „ერთი წლის მანძილზე“ უნდა „იზრუნონ ყველა ოქრომქედლის მართლმსაჯულებისა და კეთილდღეობისათვის“²⁹. უსტაბაშის უფლებამოვალეობათა ერთი წლით აღსრულება დაწესებულია 1857 წლის დებულებაშიც³⁰.

მაგრამ პრაქტიკაში ეს მოთხოვნა ხშირად ირღვეოდა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირი თავს გამოიჩინდა, როგორც პატიოსანი, გამარჯვებული და ამქრის კეთილდღეობისათვის თავდადებული ადამიანი, მისი უსტაბაშობის ვადა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მაგალითისათვის მოვიყვანთ იუველირთა წესდების ფრაგმენტს, რომელშიც ნათქვამია: „თუ ისინი (უსტაბაში და მისი მრჩეველები — კ. კ.) კარგად აღასრულებენ თავის მოვალეობას [მამინ] იმდენ ხანს დარჩებიან [თანამდებობაზე], რამდენიც ეს ამქრის უდიდესი ნაწილისათვის მისაღები იქნება [მათი] სწორი სამართლის და ერთმანეთის მიმართ უანგარო თანადგომისა და უშურველობის გამო“³¹. ამრიგად, უსტაბაშის კომპეტენციის ვადის გაგრძელება-გახანგრძლივების საკითხს წყვეტდა „ამქრის

²⁶ დამატება, 4, მუხლი 1.

²⁷ III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 396.

²⁸ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის შიშობილა, გვ. 396.

²⁹ დამატება, 4, მუხლი 1.

³⁰ Положенне о ремесленных амкарах в гор. Тифлисе, с. 10.

³¹ დამატება, 4, მუხლი 1.

უდიდესი ნაწილი“, ე. ი. ამქრის წევრების უმრავლესობა. საფიქრებელია, რომ ეს საკითხი ამქრის საერთო კრებაზე განიხილებოდა. ანალოგიური ცნობაა დაცული 1871 წლის ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდებაშიც. ირკვევა, რომ მეპურეები ხელახლა ირჩევენ „ძველ“ უსტაბაშს და აქსაკალებს, რადგან ძველი უსტაბაშის ნიკოლოზ მურისიძისა და „ასაყალოთ“ სიმონა ცუცხაშვილისა და პეტრე კაციტაძის არჩევა ხდება ამქრის ყველა წევრთა თანხმობით, ანუ, როგორც ნათქვამია ტექსტში, „ერთმანეთის ნებით და თანხმობით“³². ზოგჯერ ერთსა და იმავე პირს უსტაბაშის თანამდებობა ეკავა თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაც ოსტატების უკმაყოფილებას იწვევდა. ასეთ შემთხვევებს აღგილი ჰქონდა, მაგალითად, XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისში³³. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იშვიათი გამონაკლისი იყო, რადგან ამქარში შემუშავებული წესები უსტაბაშის მოღვაწეობის ვადას ერთი წლით საზღვრავდნენ და მხოლოდ ამქრის წევრთა ნება-სურვილით იყო შესაძლებელი აღნიშნული ვადის გაზარდა.

უსტაბაშს, როგორც უზენაეს ხელისუფალს, ხელი მიუწვდებოდა ამქრის ცხოვრება-საქმიანობის ყველა მხარეზე. მაგრამ მისი უფლება-მოვალეობათა შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში უსტაბაშის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენდა წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა ამქარში, თვალყურის დევნება მისი წევრების პროფესიული და ზნეობრივი სიწმინდისათვის. ყველაფერი ეს უზრუნველყოფდა ამქრის ნორმალური საქმიანობის შესაძლებლობას და ამიტომ დასახელებული ამოცანის შესრულება უსტაბაშის მოღვაწეობის ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენდა. აქედანვე გამომდინარეობდა უსტაბაშის იურიდიული ფუნქციებიც. იგი ამქრის მთავარ მსაჯულად ითვლებოდა. დავით ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ უსტაბაშები არჩევდნენ „თავის ამქრის ხელოსნებს შორის წვრილ საქმეებს“, განიხილავდნენ მათ შორის ატეხილ დავას და სათანადო გადაწყვეტილება გამოჰქონდათ³⁴. ამრიგად, თუ დავუჭერებთ მოტანილ ცნობას, უსტაბაშის იურისდიქციაში ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევა შედიოდა. მაგრამ სინამდვილეში უსტაბაშის სამართალს ექვემდებარებოდა ისეთი დანაშაულების გარჩევა-განხილვა და სათანადო გადაწყვეტილებათა გამოტანა, რომელთაც უპირატესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამქრის ცხოვრებაში. ამაზე მეტყველებს წყაროების მონაცემები.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამქრისათვის განსაკუ-

³² დამატება, 2.

³³ Г. Измиров, Несколько замечаний, «Закавказский Вестник», 1850, № 51.

³⁴ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 396.

თრებული მნიშვნელობა ჰქონდა მისი წევრების ურთიერთპატივისცემას და კოლეგიალობას. როგორც თავის დროზე ითქვა, ეს მომენტი არაერთგზისაა ხაზგასმული საქართველოს ქალაქების ამქრების ისტორიის წყაროებში. იუველირთა გაერთიანების პირობის წიგნი პირდაპირ აცხადებს: „დამცირება და შეურაცხყოფა უმცროსისა უფროსისგან და უფროსისა უმცროსისგან სასტიკად იკრძალება“³⁵. უფროსები ეწოდებოდნენ ამქრის იმ წევრებს, ვინც სხვებზე ადრე იყვნენ ოსტატებად დალოცვილი. როგორც ჩანს, ისინი განსაკუთრებული გავლენით და პატივისცემით სარგებლობდნენ. უმცროსი ოსტატები, ტრადიციის თანახმად, მოვალენი იყვნენ მოკრძალებით მოპყრობოდნენ. მათ უფლება არ ჰქონდათ, მაგალითად, თავის უფროს კოლეგებზე უკეთესი ადგილი დაეკავებინათ ნადიმის დროს, მათზე ადრე აელოთ სიტყვა. „მაგრამ უფროსმაც პატივი უნდა სცეს უმცროსს, რათა თავადაც პატივისცემა მიიღოს მისგან, უყვარდეს ისინი, რომ სიყვარულითვე უპასუხონ მას, სიკეთე სთესოს, რათა იგივე მოიმკოს“—ქადაგებს ოქრომჭედელთა ამქრის სტატუტი³⁶.

მაგრამ ამქრის ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ნორმები ძალიან ხშირად ირღვეოდა, რადგან ოსტატებს შორის გამუდმებულ შუღლს და მეტოქეობას ჰქონდა ადგილი. საინტერესოა, რომ უთანხმოება-წინააღმდეგობა არსებობდა არა მარტო უფროს და უმცროს ოსტატებს შორის, არამედ ამქრის „დიდი და ცნობილი“ პირები, ე. ი. უფროსი ოსტატები ხშირად იყენებდნენ თავის უმცროს კოლეგებს თავიანთი მეტოქეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამრიგად, ამქარი თავისი წევრების მუდმივი ფარული, თუ აშკარა ჩიშბისა და შუღლის ასპარეზს წარმოადგენდა და უსტაბაში მოვალე იყო სათანადოდ დაესაჯა შფოთისა და შუღლის მონაწილენი და შეძლებისდაგვარად დაეცვა ამქრის შიგნით სიმშვიდე. მაგრამ ამქრის სამართალი განსაკუთრებით მკაცრად ეკიდებოდა უმცროსი წევრების მიერ წესების დარღვევას. თუ იგი ამქრის ოთხ „მთავარ ხელმძღვანელთან“, ე. ი. უსტაბაშთან და სამ აქსაკალთან არ უჩივლებდა თავის შეურაცხყოფელს და თავად განიზრახავდა მის დასჯას, ნებისმიერ შემთხვევაში იგი სასჯელს იმსახურებდა, რადგან ითვლებოდა, რომ მან უგულვებლყო ამქრის სამართალი და წინ აღუდგა ამქრის კანონებს და წესებს. თბილისის იუველირთა წესდებაში ამის შესახებ ნათქვამია: „თუ უმცროსი უფროსს გალანძღავს და შეურაცხყოფს, ხოლო უფროსი [ამას] თავისი მოწმეებით დაამტკიცებს მთავარი ხელმძღვანელების წინაშე, რა მიზეზიც არ უნდა იყოს, უმცროსის გამართლება არ შეიძლება, რადგან თუ მას ვინმეზე რაიმე სა-

35 დამატება, 4, მუხლი 25.

36 დამატება, 4, მუხლი 25.

ჩივარი ჰქონდა ანდა ვინმესგან შეუტრაცხყოფილი იქნა, მას უფლება აქვს წერილობით ან სიტყვიერად იჩივლოს [ამქრის] ხელმძღვანელთა სამართალში. გარდა ანისა, რადგან მან გაბედა ფეხით გაეთელა პატივდებული ამქრის წესები და კანონები, რომელიც თავად ჰქონდა მოსმენილი თავისივე ყურით, იგი ღირსია დიდი სიმკაცრით იქნას გასამართლებული ოთხი ხელმძღვანელის მიერ“³⁷.

უფრო მკაცრად ისჯებოდა ამქრის სამართლის მიერ უფროსის მონაწილეობა უმცროსის დანაშაულში. როგორც ჩანს, ამაში ხედავდნენ კოლექტიური მოქმედების, ერთობლივი გამოსვლის ფაქტს, რაც განსაკუთრებით საშიში უნდა ყოფილიყო ამქრის წესრიგისათვის. იგივე სტატუტი აღნიშნავს: „მაგრამ თუ ამავე დანაშაულში, რომელიც მცირემ ჩაიდინა, დიდი და ცნობილი [პირი] იქნება მხილებული, მისი სასჯელი უმცროსისაზე ორჯერ უფრო მძიმე უნდა იყოს, რადგან მან ვერ შესძლო თავისი საპატიო მდგომარეობა დაეფასებინა. ამიტომ [იგი] ღირსია, რომ ორგზის უფრო მეტი შეუტრაცხყოფა და სასჯელი მიიღოს“³⁸.

უსტაბაშის და საზოგადოდ ამქრის ხელმძღვანელი აპარატის უპირველეს საზრუნავთა შორის ამქრის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება-განვითარებაც აღვის ხელის შეწყობა იყო. აქედან, იგი ცდილობდა ამქრის დამკვეთებისა და მუშტრების რიცხვის გამრავლებას. ამის ერთ-ერთი პირობა იყო მომხმარებლის წესიერი მომსახურება. აქედან გამომდინარე, ამქრის სამართალი სჯიდა დამკვეთის ზომა-წონაში მოტყუებას, უხეირო პროდუქციის დამზადებას, დამკვეთის მასალის მითვისებას³⁹ და ა. შ. იკრძალებოდა და ისჯებოდა აგრეთვე სხვისი შეგირდის და მოჯამაგირის გადაბირება, მოჯამაგირისათვის თვითნებურად გასამრჯელოს გაზრდა, ამქრის ხელმძღვანელობის დაუკითხავად ახალი დუქნის გახსნა, ფარულად საქონლის შექმნა, კვირის და სხვა უქმეების გატეხვა, ამქრის საზოგადო საქმეებში გამოკლება, ამქარზე გაწერილი გადასახადების გადაუხდელობა, ლოთობა და ამქრის ყოფა-ცხოვრების სხვა ნორმების დარღვევა⁴⁰.

უსტაბაში უფლებამოსილი იყო დამნაშაუვის დასასჯელად სხვადასხვა ზომებისათვის მიემართა. როდესაც იგი ამქრის აკსაკალებთან ანუ უხუცესებთან ერთად საქმეს „კეშმარიტებით და სიმართლით გაარ-

37 დამატება, 4, მუხლი 25.

38 იქვე.

39 დამატება, 4, მუხლი 26, 27.

40 დამატება, 4, მუხლი 28, 30, 34; დამატება, 1, მუხლი 3, 7, 8, 9; დამატება, 2, მუხლი 3, 4, 5, 6, 7.

კვეცდა⁴¹ და დამნაშავეს „ბოროტება გამოაშკარავდებოდა“⁴². იგი გადაწყვეტდა სასჯელის რომელი სახე გამოეყენებინა. ყველაზე მსუბუქი და იოლი სასჯელი. ამქრული ტრადიციების თანახმად, გაფრთხილება და გაკიცხვა წარმოადგენდა. განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ფულადი ჯარიმით დასჯა. თბილისის ოქრომჭედელთა პირობის წიგნი ითვალისწინებს ჯარიმით დასჯის რამდენიმე საფეხურს. მაგალითად დამკვეთის გადაბირების შემთხვევაში დამნაშავე ოსტატს დაიბარებდნენ „ოთხი ხელმძღვანელის სასამართლოში“, ე. ი. უსტაბაშთან და სამ აკსაკალთან და გამოართმევდნენ „ვერცხლს ან ოქროს“ და დაუბრუნდებოდნენ იმ ოსტატს, ვისთანაც უწინარეს მოილაპარაკა მასალის პატრონმა. დამნაშავე ოსტატს გაკიცხავდნენ და ფულად ჯარიმას დაადებდნენ, რომელიც სამუშაოსთვის გათვალისწინებული გასამრჩელოს 1/5 უდრიდა. იგივე სახის მეორედ ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავე ოსტატს უფრო დიდ ჯარიმას აკისრებდნენ. მესამედ გამეორებული დანაშაულებისათვის კი მას, ვითარცა „უფლის ქანონისა და ამქრის [წესების] მგმობელს“. უნდა გადაეხადა გაამრჩელოს მთელი თანხა, ან იმდენი, „რამდენიც უნდა მიეღო მას იმ ნივთის ყიდვისა თუ გაყიდვის შემთხვევაში“. ამავე დროს დამნაშავე ოსტატს საგანგებოდ არცხვენდნენ მთელი ამქრის წინაშე. საინტერესოა, რომ უსტაბაშისა და მის დამხმარეთა იურისდიქციას შეადგენდა პირობის გამტეხი დამკვეთის დასჯაც. თუ იგი უკვე დადებული პირობის საწინააღმდეგოდ პირველ ოსტატთან გააუქმებდა თავის დაკვეთას და მეორეს გაუთრგვებოდა, ასეთ შემთხვევაში ამქრის სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი მოვალე იყო ამქრის სასარგებლოდ გადაეხადა გარკვეული ჯარიმა.

ანალოგიური სახის ჯარიმები იყო დადგენილი იუველირთა ამქარში ოქროსა და ვერცხლის წონაში ან სიწმინდეში მოტყუებისათვის, ძვირფასი ქვების მითვისებისათვის და ა. შ. ოქრომჭედელთა ამქარში მიღებული წესის თანახმად, ასეთ დანაშაულში მხილებულ ოსტატს „ჩუმად“ გამოართმევდნენ მოპარული ნივთის საფასურს და ნივთის პატრონს მისცემდნენ, ხოლო მას კი დაავალდებდნენ აღნიშნული თანხის 1/5 ჯარიმის ანგარიშში ამქრის ხაზინაში გადაეხადა. მეორედ და მესამედ ჩადენილი ასეთივე დანაშაულისათვის იგი ნივთის საფასურის ნახევარს იხდიდა, თუ მეოთხედაც მიითვისებდა დამკვეთის ნივთს ან მასალას, მაშინ იგი უკვე მის მთლიან საფასურს იხდიდა ხაზინაში⁴³.

41 დამატება, 4, მუხლი 26.

42 იქვე.

43 დამატება, 4, მუხლი 27.

ამრიგად, იუველირთა ამქრის წევრები დანაშაულის ჩადენისათვის სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ ჯარიმას. მისი ოდენობა დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმესა და სიხშირეზე. როგორც ირკვევა, სხვადასხვა ამქრებში ერთი და იგივე სახის დანაშაულისათვის სხვადასხვა ოდენობის ფულადი ჯარიმა იყო დაწესებული. ოქრომჭედელთა გაერთიანებაში ზოგიერთი სახის დანაშაულისათვის, რომელიც ამქრის ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევაში გამოიხატებოდა, ჯარიმა წესრიგის დამრღვევის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად წესდებოდა. მაგალითად, თუ ამქრის რომელიმე წევრი სადღესასწაულო ნადიმის დროს დათვრებოდა, ჩხუბს და შფოთს ატეხდა და ვინმეს ფიზიკურად შეეხებოდა, მას თავყრილობიდან გააგდებდნენ, მეორე დღეს უსტაბაშის სასამართლოში დაიბარებდნენ, გაკიცხავდნენ და მისი „შეძლების შესაბამისად“ ჯარიმას გადააწდევინებდნენ⁴⁴. ასეთივე ვითარება შეინიშნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ოსტატი ამქრის წევრის ან სხვა რომელიმე პირის დასაფლავებაზე არ გამოცხადდებოდა⁴⁵. ამ უკანასნელი დარღვევისათვის 1799 წლის ქართულ ენაზე შედგენილ მეწვრილმანეთა პირობის წიგნში გათვალისწინებულია ჯარიმა ხუთი აბაზის ოდენობით⁴⁶.

საზოგადოდ ქართულ სტატუტებში უფრო ზუსტად არის განსაზღვრული ჯარიმის თანხა. ამავე მეწვრილმანეთა პირობის წიგნში აღნიშნულია: „ვინც [ც] კვირა გასტეხოს, ხუთი აბაზი იოლი აქვს“, „თუ ჰამქრის საქმე რამ იყოს, იგიღბაშმა შეატყობინოს და არ მოვიდეს ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში (ხაზინაში — კ. კ.) უნდა მისცეს“⁴⁷. 1799 წლით დათარიღებულ კონკურენციის აცდენის „პირობაში“ ვკითხულობთ: „ვინც კვირას გაჰყიდოს რამე, თორმეტი მინალთუნი ჰამქარს უნდა მისცეს“, „თუ საღამოს ლოცვის უწინ გაყიდოს რამე, იმანაც თორმეტი მინალთუნი ჰამქარს გასაღებაში უნდა მისცეს“⁴⁸. ასეთივე სურათია 1871 წლის ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდებაში — „...რომელმაც ჩვენს ანქარში დუქანს მიუმატოს შეცილებით, შტრაფი ეკუთვნის შეცილებით, შტრაფი ეკუთვნოდა ოცდახუთი მანეთი“, „...ვინც ჩვენს ანქარში ერთმანეთს უნებლათ მოჯამაგირეს მოუმატოს და თავისთვის მეინდოძოს გასაყვანათ, იმ კაცმა გარდაიხადოს შტრაფი, ერთი თუმანი გარდაიხადოს“, „აგრეთვე შეგირდი ერთი ერთმანეთში ვინც შეაცდინოს და გაიყვანოს, მას ეკუთვნის შტრაფი ერთი თუმანი“, „თუმც დაულოცავმა კაცმა დალოცვილ ოს-

44 დამატება, 4, მუხლი 28.

45 იქვე, მუხლი 29.

46 დამატება, 1, მუხლი 6.

47 იქვე, მუხლი 5, 7.

48 დამატება, 6, მუხლი 1, 3.

ტატს შეაგინოს, იმ კაცმა გარდაიხადოს ერთი ოქრო“, „აგრეთვე, ერთ-
მა მეორემ ქუჩაში პური არ შეუტანოთ გასასყიდლად და არც ერთმა-
ნეთს მიკიტანი წავართვათ პურის მომატებით. უკეთუმცა მიუმატოს,
ერთი ოქრო გარდაიხადოს“⁴⁹.

მაგრამ ქართულ სტატუტებში ამ ზუსტად დადგენილი ჯარიმების
ოდენობის გვერდით არის გათვალისწინებული ისეთი ჯარიმებიც,
რომლის ოდენობა დამოკიდებული იყო „მაღვით“ ნაყიდი ან მოტ-
ყუებით გაყიდული საქონლის საფასურზე. მეწვრილმანეთა წესდება
შეიცავს ორ ასეთ მუხლს: „ვინც მაღვით საქონელი იყიდოს, საბუთი
უყოთ. ამ საქონლის ნახევარი ჰამქრის მასრაფში მისცეს“ „ვინც რომ
იკოდეს თავის საქონელი მიუყიდნია და ის საქონელი უკანა მა[ა]ცე-
მინოს და თითონ მიყიდოს, იმისი ნახევარი ფასი წაერთოს და ჰამ-
ქრის გასაღებში და მასრაფში მისცეს“⁵⁰.

მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ჯარიმების თანხა საკმაოდ
მნიშვნელოვანი იყო და მისი გადახდა არც ისეთი იოლი იქნებოდა
დამნაშავესათვის. მაგრამ მიუხედავად სიმძიმისა, ჯარიმა მაინც არ
იყო უმაღლესი სასჯელი, რომლითაც შეეძლო უსტაბაშს დაესაჯა ამ-
ქრის დამნაშავე წევრები. გამოუსწორებელი რეციდივისტები უსტა-
ბაშისა და აქსაკალების გადაწყვეტილებით ამქრიდან იდევნებოდნენ.
გაძევება ორნაირი იყო — დროებითი და მუდმივი. მაგალითად, თუ
ოსტატი მეოთხედ იქნებოდა მხილებული დამკვეთის პოტყუებაში,
ოქროსა და ვერცხლის წონის დაკლებაში, მას, ფულადი ჯარიმის გარ-
და, შეარცხვენდნენ ამქრის ოსტატების წინაშე და შემდეგ ორმოცი
დღით ამქრიდან გააძევებდნენ⁵¹. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ
იგი საგანგებო ხელწერილით ამქრის ოთხ მთავარ ხელმძღვანელს აღუ-
თქვამდა, რომ აღარ ჩაიდენდა დასაძრახის საქციელს. მხოლოდ ეს
წერილობითი დაპირება აძლევდა მას შესაძლებლობას დაბრუნებოდა
ამქარს⁵². სამუდამოდ გაძევება უკვე ამქრისგან მოკვეთას ნიშნავდა.
ეს მომენტი მკაფიოდ არის ხაზგასმული 1799 წლის მეწვრილმანეთა
პირობის წიგნის იმ მუხლში, რომელიც გადასახადების გადახდაზე და
ბეგარის მოხდაზე უარისმთქმელ ოსტატებს ეხება. აღნიშნულ მუხლში
ნათქვამია: „ვინც რომ ამ ზემოწერილის ძალით თავისი რასათი ხარ-
ჯ[ი]ს და ბეგარას მიცემა არ მოინდომოს, ჩვენის ძმობიდან გავიდეს,
არცა ჩვენთან საქონლის წილი მიეცესთ, არც იმასთან პური ვკამოთ,
არც იმის მკუდარზედ მივიდეთ“⁵³.

49 დამატება, 2, მუხლი 3, 4, 5, 6, 9.

50 დამატება, 1, მუხლი 3, 8.

51 დამატება, 4, მუხლი 27.

52 დამატება, 4, მუხლი 28.

53 დამატება, 1, მუხლი 9.

განსაკუთრებით გამოუსწორებელი რეციდივისტები უკვე ამქრის სამართალს აღარ ექვემდებარებოდნენ. უსტაბაშის იურისდიქციას აღმატებოდა მათი განსჯა-გასამართლება. ამიტომ ასეთი პირები მას ქალაქის მოურავისთვის უნდა გადაეცა, ხოლო თუ მისი ხელისუფლება არ იყო საკმარისი დამნაშავეის გასამართლებისათვის, მაშინ იგი სახელმწიფო სასამართლოს განკარგულებაში უნდა გადაეგზავნათ. ამ ცნობას გვაწვდის დავით ბაგრატიონი⁵⁴.

ოქრომკედელთა წესდების თანახმად, ამქრის წევრს, რომელმაც რამდენჯერმე ჩაიდინა დანაშაული, ამქრიდან აძევებდნენ და უსტაბაში აკსაკალებთან ერთად მას სათანადო წერილობითი ახსნა-განმარტებით ქალაქის პოლიციას გადასცემდა⁵⁵. ამრიგად, ამიერიდან „სამარადისოდ“ განდევნილი წევრი, უკვე ქალაქის და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაში შედიოდა. თავის დროზე უკვე აღნიშნული იყო, რომ ქართული ფეოდალური სამართლის თანახმად, ქალაქის ხელისუფალთ, მაგალითად მოურავს, უფლება ჰქონდა გაესამართლებინა და დაესაჯა ამქრის ნორმების დამრღვევი ოსტატები⁵⁶. ყველაფერი ეს აშკარად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ამქრების დამოუკიდებლობა შეზღუდული იყო, მათ ავტონომიზმს და შეუვალობას ლახავდა ქალაქის ადმინისტრაციული აპარატი და ცენტრალური ხელისუფლება.

მოტანილი მასალა გვიდასტურებს, რომ უსტაბაშის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ამქრის წევრების განსჯა-გასამართლება. იგი ამქრის სასამართლოს, ე. წ. დადასთანის მთავარი ფიგურა იყო, მაგრამ მართლმსაჯულების საქმეებს იგი ამქრის უხუცესების ანუ აკსაკალების დახმარებით წყვეტდა. ამიტომ არის, რომ თბილისის იუველირთა პირობის წიგნში ამქრის სასამართლო კვალიფიციკრებულია როგორც „ოთხი ხელმძღვანელის სასამართლო“⁵⁷. მაგრამ ზოგიერთ სერიოზულ შემთხვევაში უსტაბაშს და აკსაკალებს დანაშაულის განხილვასა და სასჯელის გამოტანაში ამქრის განსაკუთრებით საპატიო წევრები, შეძლებული და გავლენიანი ოსტატები ემბარებოდნენ. უმცროსი ოსტატის მიერ უფროსის ხელმეორედ შეურაცხყოფის შემთხვევაში დამნაშავე უნდა გასამართლებულიყო ამქრის რვა წევრის მიერ (უსტაბაში, სამი აკსაკალი და ოთხი რჩეული წევრი), ხოლო მესამედ ჩადენილი ასეთივე დანაშაულისათვის მისი საქმე

54 დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 396—397.

55 დამატება, 4, მუხლი 26, 28.

56 А в г. Г а к с т г а у з е и, Закавказский край..., I, с. 106.

57 დამატება, 4, მუხლი 25.

უნდა განეხილა 12 კაცს⁵⁸. ასეთივე წესი მოქმედებდა ლოთებისა და ჩხუბის ამტეხების გასამართლების დროსაც. ოქრომქედელთა სტატუტის თანახმად, თუ ერთხელ დასჯილი ამქრის წევრი მეორედ დაარღვევდა წესრიგს და აურზაურს ატეხდა, მაშინ მას „რვანი გაასამართლებდნენ და წინანდელ [თანხაზე] ორჯერ მეტს გამოართმევდნენ. თუ მესამედაც გაბედავს [ასეთი საქციელის ჩადენას] თორმეტი კაცის წინაშე დაიბარებენ, მკაცრად გაკიცხავენ და იგი სამჯერ უფრო მეტ [ჯარიმას] გადაიხდის“⁵⁹. როგორც ირკვევა, დასახელებული 12 წევრი ამქრის ოსტატების ყველაზე პატივცემულ და გავლენიან ნაწილს წარმოადგენდა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ უსტაბაშისა და აგრეთვე აქსაკალების არჩევის დროს ამქრის საერთო კრება ჯერ ამ 12 კაცს ირჩევდა, ხოლო ისინი თავისი წრიდან ასახელებდნენ ამქრის ოთხ „მთავარ ხელმძღვანელს“. მაგრამ აღნიშნული მიღის აღსრულების შემდეგაც ამქრის ოსტატთა ეს ჯგუფი არ წყვეტდა არსებობას და ამქრის ხელმძღვანელობას სხვადასხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებაში ეხმარებოდა. შესაძლებელია იგი თურქული ესნაფებისათვის დამახასიათებელ უხუცესთა ან რჩეულთა საბჭოს⁶⁰ ანალოგიური შინაარსის ინსტიტუტი იყო. მასალის სიმციროს გამო ძნელი სათქმელია არსებობდა თუ არა ეს ინსტიტუტი ყველა ამქარში, მაგრამ ოქრომქედელთა გაერთიანების მაგალითი თითქოს იმისი დასტური უნდა იყოს, რომ საქართველოს ქალაქების განსაკუთრებით დიდ, წევრმრავალ და შეძლებულ ამქრებში „უხუცესთა საბჭო“ (ასე ვუწოდოთ მას) უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ამქარში ერთგვარად დადგენილი იყო მართლმსაჯულების პროცესუალური მხარე. უწინარეს ყოვლისა, დაწესებული იყო ის დღები, როდესაც ამქრის სასამართლო განიხილავდა საქმეებს და სათანადო გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. ოქრომქედელთა ამქარში აღნიშნული მიზნებისათვის გამოყოფილი იყო ორი დღე — სამშაბათი და პარასკევი⁶¹. მხოლოდ ამ დღეებში შეეძლოთ მიემართათ მოძივანთ ამქრის სასამართლოსათვის. მაგრამ ზოგიერთ გადაუდებელ შემთხვევაში, „როდესაც მოძივანი სოფელში, [სხვა] ქალაქში ან შორეულ ადგილას მიემგზავრება და საშუალება არა აქვს დადგენილ დღეებს დაუტადოს, მაშინ ხელმძღვანელები სათათბიროს კვირადღის გარდა

⁵⁸ დამატება, 4, მუხლი 25.

⁵⁹ იქვე, მუხლი 28.

⁶⁰ G. Baer, *Monopolies and Restrictive practice of Turkish Guilds*, გვ. 151; Д. А. Гудиашивили, *Ремесленные организации городов Турции по «Сеяхат-наме» Эвлли Челеби*, с. 54.

⁶¹ დამატება, 4, მუხლი 20.

„სხვა დღეებშიც აღებენ“ და საქმეს განიხილავენ⁶². საჩივარი შეიძლება უფილიყო სიტყვიერიც და წერილობითიც⁶³. საქართველოს ქალაქების ამქრებში ცნობილი იყო მოწმეების ინსტიტუტიც და სასამართლო პროცესი შეიცავდა „მოწმეებით დამტკიცების“ მომენტს. მხოლოდ ამის შემდეგ უსტაბაში, აქსაკალები და ზოგჯერ „უხუცესთა საბკოც“ მიუყვარძობლად, „ქეშმარიტებითა და სიმართლით“⁶⁴ განიხილავდნენ საჩივარს და სათანადო გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. როგორც ზემოთ გაიკვია, უსტაბაშის და საერთოდ ამქრის სასამართლო კომპეტენციაში შედიოდა სასჯელის სხვადასხვა ფორმები. გაკიცხვა-შეგონება, ჭარიმები, ამქრიდან დროებითი გაძევება, შერაცხვენა. დამნაშავეის დამკირების მიზნით უსტაბაშისათვის ხელზე კონცა, ამქრისგან მოკვეთა და ბოლოს ქალაქის ხელისუფალთათვის გადაცემა. ამქრისგან მოკვეთილი პირების სახელები და მათი მოკვეთის ფაქტი იწერებოდა ამქრის დავთარში, ვითარცა მათი „საუკუნო განჩინება და [აგრეთვე] ამქრის [წევრების] ყურადსაღებად“⁶⁵.

„მამა-პაპათა უბრალოების ეამს“ მართლმსაჯულების საწარმოებლად და სხვა საქმეების გასარჩევად ამქრის ხელმძღვანელობა იკრიბებოდა ღია ცის ქვეშ, ეკლესიების ეზოებში ან დუქნებში. როგორც ჩანს, ასეთი „უგუნური წესი“ არსებობდა XVII—XVIII საუკუნეების ამქრებში, მაგრამ უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის დამდეგიდან ძლიერ და შეძლებულ ამქრებს უკვე საგანგებო ოთახი ჰქონდათ, რომელსაც „სათათბიროს“ უწოდებდნენ⁶⁶. ოქრომჭედელთა სტატუტი მოითხოვს, რომ ეს ოთახი მაგიდებით და სკამებით იყოს მოწყობილი, მაცხოვრის ხატით და ხელმწიფის სურათებით იყო მორთული. ამ ოთახში, სადაც შესვლა მხოლოდ უქუდოდ შეიძლებოდა, ამქრის ოთხი ხელმძღვანელი თავს იყრიდა „კანონებზე სათათბიროდ“, მართლმსაჯულების განსახორციელებლად და სხვა აუცილებელი საქმეების გადასაწყვეტად⁶⁷. აქვე ინახებოდა ამქრის დავთრები, თამასუქები, საშეგირდო ხელშეკრულებები და სხვა საბუთები.

უსტაბაშის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა ამქრის ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო საქმიანობის მოწესრიგება. იგა ვალდებული იყო ხელოსნური ამქრის წევრები მათთვის აუცილებელი ხამი მასალით, ხოლო სავაჭრო გაერთიანებები სასაქონლო ნაწარმით უზრუნველყო. საჭირო მასალას ამქრის წევრები ერთად ყიდულობ-

62 დამატება, 4, მუხლი 20.

63 იქვე, მუხლი 25.

64 იქვე, მუხლი 26.

65 დამატება, 4, მუხლი 28.

66 დამატება, 4, მუხლი 19.

67 იქვე.

დნენ. მაგალითად, მეწვრილმანეთა პირობის წიგნში ნათქვამია: „რაც საწვრილმანო მოვიდეს, ცოტა თუ ბევრი, საერთო(დ) უნდა ვიყილოთ“⁶⁸. ამ პროცესს ხელმძღვანელობდა უსტაბაში. ამაზე მეტყველებს 1799 წლის მეწვრილმანეებისა და მესაანთლეების პირობის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია „სოვდაგრიდამ უუსტაბაშოთ საწვრიმანო არ ვიყილოთ“⁶⁹.

ამქრის უსტაბაშის მოვალეობა იყო აგრეთვე ოსტატებს შორის მასალისა და საქონლის განაწილება. მას თვალყური უნდა ედევნებინა, რომ თითოეულ ოსტატს მასალა და საქონელი გაღებულნი თანხის შესაბამისად მიეღო. მეწვრილმანეთა ამქრის სტატუტი მოითხოვს: „ვინც თავი წილი აიღოს, თავი ხარჯი მისცეს; ვინც ნახევარი წილი აიღოს, ნახევარი ხარჯი მისცეს; ვინც ჩარეკი (1/4 — კ. კ.) წილი აიღოს, ჩარეკი ხარჯი მისცეს“⁷⁰. ზოგიერთ შემთხვევაში უსტაბაში აგრეთვე სამუშაოსაც ანაწილებდა ამქრის წევრებს შორის და თავად აკონტროლებდა მუშაობის პროცესს⁷¹. 1809 წლით დათარიღებულ დავით გარეჯის უდაბნოს გალავნის აღდგენით სამუშაოებზე ხელოსნებსა და მუშებს ორი თვე ხელმძღვანელობდა უსტაბაში. საბუთში აღნიშნულია: „ბ: თვეს უსტაბაში კიკოლა უდაბნოს მუშებს თავსადგა“⁷². ზოგჯერ უსტაბაში პირადად იღებდა მონაწილეობას მუშაობაში. ამავე საბუთში ვკითხულობთ: „მუშას ქართველს კაცს და იმერელ ზოსიმეს და უსტაბაშს კიკოლას თავსდგომით უმუშაენიათ“⁷³.

უსტაბაშის საკითხავი იყო ახალი დუქნის გახსნა. რისთვისაც მსურველს გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. ამქარში ახალი წევრის მიღებაც მხოლოდ მის კომპეტენციას შეადგენდა. უსტაბაში ვალდებული იყო გაერკვია მსურველის სოციალური კუთვნილება და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰყავდა იგი ამქარში. საქართველოს ქალაქების ამქარებში, როგორც თავის დროზე აღინიშნა, უმთავრესად ყმა ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ გაერთიანებული. უსტაბაშის ზემოაღნიშნული ფუნქცია მკაფიოდ არის ასახული 1782 წლის ერთ-ერთ ქართულ საბუთში, რომელშიც ვკითხულობთ: „იოანე ამქარბაშმა ასე თქვა: სამართალში ორჯერ, სამჯერ მიველ, ამ სტეფანეს ვკითხე, ვისი ყმა ხარ, რომ (ამქრის — კ. კ.) დავთარში დაგწერო? ამ სტეფანემ ასე მიტბ-

68 დამატება, 1, მუხლი 2.

69 დამატება, 6, მუხლი 3.

70 დამატება 1, მუხლი 2.

71 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, გვ. 223, 237.

72 იქვე, გვ. 286.

73 იქვე.

რა: ერასტის ყმა ვარო⁷⁴. ამრიგად, უსტაბაში ამქრის წევრების სახელებს ამქრის საგანგებო დავთარში აღნუსხავდა.

უსტაბაშის კომპეტენციაში შედიოდა სხვადასხვა ტიპის საბუთების შედგენა და დამოწმება. თბილისის იუველირთა პირობის წიგნის მიხედვით, უსტაბაში აქსაკალებთან ერთად ხელს აწერდა და ამტკიცებდა ოსტატთა შორის გაფორმებული „ამხანაგობის ხელშეკრულებას“⁷⁵. მხოლოდ მათ შემდეგ აწერდა ხელს აღნიშნულ საბუთს ამქრის მწერალი. უსტაბაშის მიერ ხდებოდა ამქარში მღვდლის მოწვევა და მისი შეცვლა-დათხოვნაც⁷⁶. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იგი ამქრის წევრების მიერ რელიგიურ-ზნეობრივი ნორმების დაცვას. ამქრის ადმინისტრაციული აპარატის მთავარ მოხელეებს, უსტაბაშსა და აქსაკალებს უნდა უზრუნველევოთ ამქრის წევრების დასწრება ამქრის გარდაცვლილი ოსტატის დასაფლავებაზე. ზოგჯერ ამქარი ესწრებოდა აგრეთვე რომელიმე საპატიო მოქალაქის გასვენებასაც.

უსტაბაშის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო ამქრის სალარო. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამქარს საგანგებო ხაზინადარი ჰყავდა, უსტაბაშის ყურადღების ცენტრში იყო ხაზინის შევსება და მასში არსებული კაპიტალის სწორი გამოყენება-დახარჯვის საკითხი. ამქრის ოთხი „მთავარი ხელმძღვანელი“ ყოველთვის საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ, თუ რა რაოდენობის თახხა იყო დაგროვილი სალაროში, რომლის გასინჯვა-შემოწმება წარმოებდა ყოველი წლის პირველ იანვარს. ხაზინის თანხიდან ფულადი დახმარების გაცემაც ამქრის ღარიბი და სნეული ოსტატებისათვის ზორციელდებოდა უსტაბაშისა და აქსაკალების ნებართვით. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო ამქრის რვა რჩეული ოსტატის თანხმობაც⁷⁷. ასევე საჭირო იყო ამქრის მთავარი მოხელეების ნებართვა ხაზინიდან ღარიბი ოსტატების დასამარხად გარკვეული თანხის გაღებისათვის, ფულის სესხებისათვის⁷⁸ და ა. შ. „პურისქამის, ოსტატად დალოცვისა და მსხვერპლის შეწირვის დღეებშიც“ „ოთხი ხელმძღვანელის“ რჩევითა და განკარგულებით ხარჯს ამქრის ხაზინა გაიღებდა⁷⁹. თბილისის ოქრომკედელთა სტატუტი მოითხოვს შემდეგს: „ამქრის ხელმძღვანელები ყოველთვის ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ სხვისი მიზეზით [ხაზინაში] არაფერია დაიკარგოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ოთხმა არჩეულმა ხელმძღვა-

74 საქართველოს სიძველენი, ტ. 1, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1920, გვ. 152.

75 დამატება, 4, მუხლი 30.

76 იქვე, მუხლი 24.

77 დამატება, 4, მუხლი 17.

78 იქვე.

79 იქვე, მუხლი 32.

ნელმა [თავნი] სარგებელთან ერთად თავისი ქონებიდან უნდა აანაზღაუროს⁸⁰.

უსტაბაშისა და აკსაკალების ყურადღების ცენტრში იყო შეგირდების გაწრთვნა-გაწაფვის მთელი პროცესი. საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრებში მოწაფეების მიღება მხოლოდ მათი საგანგებო ნებართვით წარმოებდა. ამასთან ერთად აუცილებელი იყო ამქრის მთავარი მოხელეების წერილობითი დასტური. ოქრომჭედელთა სტატუტში პირდაპირ აღნიშნულია: „მათი წერილობითი ნებართვის გარეშე [შეგირდი] არ უნდა მიიღოს“⁸¹. როგორც შეგირდის ინსტიტუტის განხილვისას აღინიშნა, უსტაბაში ამქრის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად თვალყურს ადევნებდა ოსტატებისა და შეგირდების ურთიერთობას, ყოველ ზომას იღებდა, რომ ოსტატ-მასწავლებელს კეთილსინდისიერად აღესრულებინა თავისი მოვალეობა და სათანადოდ გაეწრთვნა შეგირდი არჩეულ პროფესიაში⁸². კონფლიქტის შემთხვევაში მათი ნებართვით შეგირდი ტოვებდა თავის ოსტატს და სხვა ოსტატთან გადადიოდა სწავლის გასაგრძელებლად. უსტაბაშის და აკსაკალების სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეგირდის მიერ დამზადებული საოსტატო ნახელავის შეფასებისას და მის ოსტატად ხელდასხმის დროს. „ატესტატიც“, რომელიც შეგირდს გადაეცემოდა იმის აღსანიშნავად, რომ იგი სრულყოფილად იყო დაუფლებული ხელობას და მიღებული ჰქონდა ოსტატის ხარისხი, ამქრის ხელმძღვანელების მიერ იყო ხელმოწერილი და დამტკიცებული. ახლად დალოცვილი ოსტატის დასაჩუქრებაც და სამასპინძლო სუფრის ორგანიზაციაც მათ კომპეტენციაში შედიოდა⁸³. ახალგაზრდა ოსტატის თავის ოსტატ-მასწავლებელთან დარჩენის თუ სხვა ოსტატთან ქირით დადგომის საკითხსაც უსტაბაში და აკსაკალები წყვეტდნენ. ისინივე საზღვრავდნენ დამქირავებელი ოსტატისა და დაქირავებული მუშის მიერ ამქრის სალაროში გადასახადი თანხის ოდენობას⁸⁴. ამრიგად, უსტაბაშის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს შეგირდის გაწაფვა და მისგან სრულყოფილი ოსტატის გამოყვანა წარმოადგენდა. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან, როგორც თავის დროზე ითქვა, ამქარი ისეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელშიც პროფესიას აწვავლიდნენ და ამ ფაქტორზე ბევრად იყო დამოკიდებული ამქრის საქმიანობისა და ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება-გაუმჯობესება.

80 დამატება, 4, მუხლი 17.

81 დამატება, 4, მუხლი 6.

82 დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის შინაობილვა, გვ. 397; დამატება, 4, მუხლი 8, 12.

83 დამატება, 4, მუხლი 11.

84 იქვე, მუხლი 9.

ამრიგად, უსტაბაშის შინაგანი ფუნქციები მოიცავდა ამქრის ცხოვრების ისეთ მხარეებს, როგორც იყო მართლმსაჯულება, საწარმოო პროცესის ორგანიზაცია, მზანაწარმის გასაღება, ხაზინის საქმიანობის ზედამხედველობა-მოწესრიგება, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ნორმების დაცვა, შეგირდების სათანადო გაწრთვანა-გაწაფვა და მათი ოსტატად ხელდასხმა და მრავალი სხვ. პრაქტიკულად არ არსებობდა ამქრის შინაგანი ცხოვრება-საქმიანობის არც ერთი ასპექტი, რომელზეც ხელი არ მიუწვდებოდა უსტაბაშს და რომლის მოგვარება-მოწესრიგებაში მის აზრს გადაამწყვტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მაგრამ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული პირი, უსტაბაში ერთგვარად სახელმწიფო მოხელეც იყო. ეს მომენტი მკაფიოდ იკვეთება ზემოთ განხილულ უსტაბაშების თანამდებობაზე დამტკიცების ქართულ დოკუმენტებში. ამაზე მეტყველებს აღნიშნული საბუთების მოთხოვნა, რომ უსტაბაშები მეფის „სამსახურზე ბეჯითად“ იყვნენ და მის სამსახურში „ერთგულობა“ უნდა გამოიჩინონ⁸⁵. ურჩი და თავგამოზიდავი უსტაბაში კარგავდა თავის სახელს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ უსტაბაში არა მარტო ამქრის მთავარი ხელმძღვანელი იყო, არამედ იგი ცენტრალური ხელისუფლების მოხელესაც წარმოადგენდა. იგი ის რგოლი იყო, რომელიც აკავშირებდა ამქარს ქალაქის ადმინისტრაციულ აპარატთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ეს კარგად ჩანს 1799 წლის მეწვრილმანეთა გაერთიანების პირობის წიგნიდან, რომელშიც აღნიშნულია: „თუ ბატონთან წასვლა იყოს, თუ მოხელესთან, თუ საქონლის სყიდვაზედ, ოსტატი ასლანა და წილზედ ერთი კაცი წავიდეს. რათა ამათ გაარიგონ, ჩვენი ყაბული არის“. ამრიგად, „ოსტატ ასლანას“ ანუ მეწვრილმანეთა უსტაბაშს უნდა შეეთანხმებინა გადასაწყვეტი საკითხები „ბატონთან“ (მეფესთან) და „მოხელესთან“ (ალბათ, ქალაქის მოხელე-ხელისუფლებთან) და ამქრის წევრები ვალდებული იყვნენ შეესრულებინათ მიღებული გადაწყვეტილება. როგორც სახელმწიფო მოხელეს, უსტაბაშს უნდა ეზრუნა, რომ ამქარზე გაწერილი გადასახადები და ვალდებულებები ოსტატებს ზუსტად გაენაღდებინათ. მისი ეს ფუნქცია ასახულია დავით ბაგრატიონის თხზულებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამქრის გადასახადებს კრეფდა ქალაქის მოურავი ამქრების უსტაბაშებთან ერთად და შემდეგ შექონდათ ხაზინაში⁸⁶.

უსტაბაშისა და აკსაკალების საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ ამქრის წევრები. მათ უფლება ჰქონდათ სკოდნოდან ამქარში

⁸⁵ დამატება, 15.

⁸⁶ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიწოდება, გვ. 396.

მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ამქრის ეკონომიკურ მდგომარეობას, შემოსავალ-გასავლის საკითხს. ამქრის ხელმძღვანელების გადაჩვევის დროს ძველი უსტაბაში და მისი მრჩეველები ვალდებული იყვნენ ახლად არჩეული ხელმძღვანელობისათვის წარედგინათ ანგარიში, წერილობითი საბუთი, რომელშიც აღნუსხული იყო მათი მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები და, უწინარეს ყოვლისა, ამქრის ქონების მდგომარეობა. ეს საბუთი, ანუ როგორც უწოდებს მას თბილისის იუველირთა სტატუტი, „ნუქა“ აკინძული, ზონარგაყარილი და ამქრის ბეჭდით დამტკიცებული უნდა ყოფილიყო⁸⁷. მაგრამ ხელმძღვანელთა შემოწმება მართო მათი გადაჩვევის დროს არ ხდებოდა. მაშინაც, როდესაც უსტაბაში და აქსაკალები რამდენიმე წლის მანძილზე ასრულებდნენ თავის მივალეობას, ყოველი წლის დამდგეს, პირველ იანვარს, ისინი წარუდგენდნენ ამქრის კრებას საზოგადო ქონების ნუსხას. ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ „ამქრის ხალხისათვის ცნობილი უნდა იყოს საზოგადო ქონების ოდენობა, რომ ხელმძღვანელებისა და თავკაცების შესახებ ამქარში მიტქმა-მოტქმა არ ატყდეს“⁸⁸. ხსენებულ ნუსხას მუხლობრივად იკვლევდნენ და ამოწმებდნენ ამქრის მწერალი და სამი საგანგებოდ ამქრის ოსტატებიდან დანიშნული კაცი. თუ შემოწმება ცხადყოფდა საბუთის სისწორეს და ამქრის შემოსავალ-გასავლის ნუსხაში დარღვევები არ აღმოჩნდებოდა, საბუთი კვლავ ამქრის ხელმძღვანელებს უბრუნდებოდა⁸⁹.

ამრიგად, ამქრის ოსტატთა საერთო კრება უფლებამოსილი იყო შემოწმებინა უსტაბაშისა და აქსაკალების საქმიანობა. შემუშავებული ტრადიციის თანახმად, ისინი წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებდნენ ამქრის კრებას. თუ მათი საქმიანობა ექვს არ აღძრავდა და დამაკმაყოფილებლად ჩაითვლებოდა, ისინი რჩებოდნენ ამქრის ხელმძღვანელთა ადგილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდებოდა უსტაბაშისა და უხუცესების შეცვლა.

თავისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, ფუნქციების აღსრულების გამო უსტაბაში მოწყვეტილი იყო ამქრის საწარმოო საქმიანობას. ამიტომ მას ამქრის ოსტატების შემოსავლიდან გარკვეული გასამრჯელო ჰქონდა გადაკვეთილი. სხვადასხვა ამქრების უსტაბაშების გასამრჯელო სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, 1799 წლის მესანთლებებისა და მეწვრილმანების კონკურენციის აღდენის პირობის წიგნის მიხედვით, უსტაბაშის შემოსავალი უდრიდა თუმნიდან ერთ

⁸⁷ დამატება, 4, მუხლი 15, 16.

⁸⁸ დამატება, 4, მუხლი 16.

⁸⁹ იქვე.

აბაზს⁹⁰. მეწერილმანეების სტატუტის ძველ ეგზემპლარში, რომელიც დაკარგულა, „საოსტატო“ ანუ უსტაბაშის გასაძრელო აგრეთვე განსაზღვრული იყო ერთი აბაზი ერთი თუმნიდან⁹¹, მაგრამ ახალი პირობის წიგნით იგი ორ შაურამდე შემცირდა⁹². ირკვევა, რომ უსტაბაშის გასამრჯელოს ოდენობას ნიშნავდა ამქარი, უფრო ზუსტად, ოსტატთა კრება, რომელზედაც ეთანხმებოდა ამქარის თავი. ამაზე მეტკველებს მეწერილმანეების გაერთიანების ახალი წესდების პასაჟი: „იმ დაკარგულს წიგნში, რომ ჩემი საოსტატო რომ თუმანზედ აბაზი იყო დაწერილი, ახლა ორ შაურს დამაჯერეს და მეც ვიყაბულე. უსტაბაში ასლანა მე სტეფანე ზოპრაბოვი“⁹³. საოსტატო წარმოადგენდა რეგულარულ, ამქარისგან გადაკვეთილ, ნტიციედ განსაზღვრულ გასაძრელოს, რომელსაც ამქარის ოსტატები უხდიდნენ თავის უსტაბაშს.

მაგრამ ამის გარდა მას სხვა შემოსავალიც ჰქონდა. ნაგალითად, XIX საუკუნის აღწერითი წყაროებიდან ჩანს, რომ ამქარს წევრების საქმეების განხილვის შემთხვევაში იგი იღებდა თანხას, რომელიც ზერყობდა 1 მანეთისა და 1 მან. 40 კაპიკის ფარგლებში⁹⁴. გარკვეული გასამრჯელო ეძლეოდა მას აგრეთვე სხვადასხვა ამქარის წევრების სხვადასხვა საბუთების დამოწმება-დამტკიცებისათვის⁹⁵. ი. ახვეროვის ცნობით, ამქარის ოსტატების მიერ ამხანაგობის შექმნის და დაშლის საბუთის დაღსტურებისათვის უსტაბაში ამხანაგობის თითოეული წევრისგან თითო-თითო აბაზს ლებულობდა⁹⁶. არსებული წესის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც უსტაბაში თავისი ამქარის საჭიროებისათვის რომელიმე ვაჭრისგან ბითუმით იძენდა მასალას, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო მისთვის გარკვეული გასამრჯელო გადაეხადა⁹⁷.

უსტაბაშის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს სამუშაოს დამკვეთის მიერ გარკვეული თანხის გაღება წარმოადგენდა. აღნიშნულ გასამრჯელოს მუდმივი ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ როდესაც სამუშაო უსტაბაშის „თავსადგომით“ ანუ ხელმძღვანელობით სრულდებოდა, მაშინ მისი გადახდა დამკვეთის მიერ აუცილებელი იყო. მაგალითად, 1809 წლის დავით გარეჯის უღაბნოს გალაენის აღდგენა-შეკეთების ნუ-

⁹⁰ დამატება, 6, მუხლი 3.

⁹¹ დამატება.

⁹² იქვე.

⁹³ იქვე.

⁹⁴ Ю. А х в е р д о в, Тифлисские амкары. Об организации. с. 17; Г. И з м и р о в. Несколько замечаний, «Закавказский Вестник», Тифл., 1850, № 51; Ш. М е с х и ა, Города и городской строй феодальной Грузии, с. 345.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ վ. Ա. Ա Բ Ր Ի Վ Մ Յ Ն, Հայ համարաբանություններ..., გვ. 210.

⁹⁷ იქვე.

ზამთი აღნიშნულია: „ა“ც (თორმეტი მინალთუნი)—ქ. ბ: თვეს უსტაბაში კიკოლა უდაბნოს მუშებს თავსადგა, მივე“⁹⁸ „ბ“კ (ორი თუმანი და ცხრა მინალთუნი)—ქ. რივ: მუშას, ქართველს კაცს და იმერელს ზოსიმეს და უსტაბაშს კიკოლას თავსდგომით უმუშაენია, დღეში: ს“ნ: (ხუთი შაური), იქნება“: „დ“ყ (ოთხი თუმანი, სამი მინალთუნი და ოთხი აბაზი)—ქ. სით: მუშას, ქართველს კაცს და იმერელს ზოსიმესი და კიკოლას თავსდგომით უმუშაენიათ დღეში: ს: (აბაზი) იქნება“⁹⁹. საყურადღებოა, რომ დამკვეთი ხსენებულ უსტაბაშს ცხენის ქირასაც უხდის: „ცს (ორი მინალთუნი და ერთი აბაზი)—ქ. : ა: ცხენის ქირა მონასტრიდამ ქალაქამდინ კიკოლასათვის“.¹⁰⁰ ზოგჯერ უსტაბაში დამკვეთისაგან ხალათის ფულსაც იღებდა. 1804 და 1806 წლებით დათარიღებული საბუთებში, რომლებშიც სამშენებლო ხარჯებია აღნუსხული, ნათქვამია: „ა“კ (ხუთმეტი მინალთუნი)—ქ. უსტაბაში გოგიას მივე ზალათათ“.¹⁰¹

ასეთი იყო, წყაროების არასრული მონაცემებით, ამქრის მთავარი ხელმძღვანელის შემოსავალი. მაგრამ იგი ხშირად არ სჯერდებოდა ამ კანონიერ შემოსავალს და ცდილობდა ამქარი თავისი გამდიდრების წყაროდ ექცია. როგორც ჩანს, ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამიტომ ამქარი მიზნად ისახავდა უსტაბაშების ასეთი მისწრაფებების შეზღუდვას. ჩვენი აზრით, ამის მაჩვენებელია თბილისის ოქრომჭედელთა სტატუტის კატეგორიული მოთხოვნა, რომლის თანახმად უსტაბაშებს და აქსაკალებს უნდა ყოველნაირად ეზრუნათ ამქრის — „სამართლის, სიკეთისა და კეთილდღეობისათვის“, მათ უფლება არ ჰქონდათ „გაყოფიერებულიყვნენ და თავისი თავი ამქრის ბატონებად“ ჩაეთვალოთ¹⁰². მაგრამ ეს ცდები მიზანს ვერ აღწევდა. უსტაბაშები და აქსაკალები თავიანთ ჭახელოთი მინიჭებულ უფლებებს თავისისავე სასარგებლოდ იყენებდნენ. ამიტომ ამქრის წიაღში ყოველთვის არსებობდა ანტაგონიზმი მათ წინააღმდეგ, რომელსაც მათი „აშკარა და ფარული მოწინააღმდეგენი და მეტოქენი“ კმნიდნენ¹⁰³.

საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრების უსტაბაშების სახელოს შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი დიდ მსგავსებას იჩენს ირანული ამქრების ანალოგიურ ინსტიტუტთან. სეფიანთა ირანის ქალაქებში ამქრის უსტაბაში, როგორც აღინიშნა, ცენტრალური ხელი-სუფლების მიერ მტკიცდებოდა. მას ექვემდებარებოდა ამქრის ცხოვრე-

98 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, გვ. 286.

99 იქვე.

100 იქვე, გვ. 287.

101 იქვე, გვ. 211, 241.

102 დამატება, 4, მუხლი 34.

103 იქვე.

ბის, ფაქტიურად, ყველა მხარე, რადგან იგი ხელმძღვანელობდა ამქრის სამართალს, შეგიირდების აყვანა-გაწაფვას და ამის შემდგომ ოსტატად ხელდასხმას, ამქრის საწარმოო პროცესის მოწესრიგებას, ამქარზე დაწესებული გადასახადების აკრეფის ორგანიზაციას და სხვ. მისი საკითხავი იყო აგრეთვე ამქრის წევრების მიერ ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ნორმების დაცვა. უსტაბაში, როგორც შაჰის მიერ დამტკიცებული ამქრის ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელე, ახორციელებდა ამქრის ურთიერთობას ქალაქის სამოხელეო აპარატთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან¹⁰⁴. შესაძლებელია, ერთგვარი განსხვავება არსებობდა სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ასპექტში. ირანული ამქრების უსტაბაშები ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ საქმეებთან ერთად ამქრის რელიგიურ საქმეებსაც ხელმძღვანელობდნენ. ისინი ამქრის წევრების სულიერ მოძღვრებადაც ითვლებოდნენ¹⁰⁵. მართალია, ქართული ამქრების უსტაბაშების ერთ-ერთ მოვალეობას რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვა წარმოადგენდა, მაგრამ ამქრის ცხოვრების სარწმუნოებრივ სფეროს, როგორც თავის ღრობზე დავინანახავთ, ამქარზე საგანგებოდ მიმაგრებული სასულიერო პირი უძღვებოდა. ამდენად უსტაბაშს მხოლოდ რელიგიური ნორმების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლადა რჩებოდა. აღნიშნულ ასპექტში ქართული ამქრების უსტაბაშის ინსტიტუტი უახლოვდება თურქული ესნაფების ქეთხუდას სახელოს. ამის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თურქულ ესნაფებში ხელოსანთა ყოფა-ცხოვრების რელიგიურ-ზნეობრივ სფეროს წარმართავდა ესნაფის სულიერი მოძღვარი — შეიხი, რომლის უფლება-მოვალეობანი შარიათის ნორმებით იყო განსაზღვრული¹⁰⁶. თურქული ესნაფების სარწმუნოებრივ მხარეს ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციული აპარატის კიდევ ორი მოხელე — ნაკიბი და დუაჯი. პირველი მათგანი, რომელსაც სხვანაირად ნაკიბ ულ-ეშრეფი ეწოდებოდა, სეიდებისა (ანუ მუჰამედის ჰეშმარიტი და ცრუ შთამომავლების) და მათი ოჯახების ინტერესებს იცავდა¹⁰⁷, ხოლო მეორე

¹⁰⁴ Н. А. Кузнецова, Материалы к характеристике ремесленного производства в иранском городе XVII—начале XIX в., с. 349—350; ქ. კუციოა ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში, გვ. 76—80; К. К. Кушня, О характеристике самоуправления аснафов в городах Сефевидского Ирана XVII в., с. 134—135.

¹⁰⁵ ქ. კუციოა, ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში, გვ. 77.

¹⁰⁶ Д. А. Гуднашвилл, Ремесленные организации городов Турции по «Сяяхат-наме» Эвлии Челеби, с. 55.

¹⁰⁷ R. Mantran, Istanbul dans la seconde moitié du XVII siècle, გვ. 376; Д. А. Гуднашвилл, Ремесленные организации городов Турции..., с. 55.

ესნათვის წევრების ზნეობას ადევნებდა თვალყურს და რელიგიური დღესასწაულების დროს საზეიმო ლოცვას ხელმძღვანელობდა¹⁰⁸.

XVII—XVIII საუკუნეების ირანულ ამქრებში არაა წარმოდგენილი ანალოგიური ხასიათის სამოხელეო ინსტიტუტები. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ რელიგიურ-ზნეობრივი საკითხების გადაწყვეტა სწორედ უსტაბაშის, როგორც პროფესიული გაერთიანების უფროსის, ხელმძღვანელის კომპეტენციაში შევიდა. თურქული ესნაფების ქეთხუდების უფლება-მოვალეობათა შორის უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციული ფუნქციები, ამქრის დადგენილებათა შესრულების კონტროლი, ქალაქის ხელისუფლებასთან ერთად გადასახადების დაწესება ესნაფზე და შემდეგ ამ გადასახადების აკრეფის ორგანიზაცია, ესნაფის ხაში მასალით მომარაგება, საწარმოო პროცესის ხელმძღვანელობა და ა. შ. თუ სარწმუნოებრივი ასპექტის თვალსაზრისით ქართული ამქრების უსტაბაშის ინსტიტუტი უახლოვდებოდა თურქული ესნაფის ქეთხუდას თანამდებობას, ამქრის ცხოვრების სხვა სფეროში მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება. უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ქალაქების ამქრებში უსტაბაშები არ მონაწილეობდნენ ამქარზე გადასახადების დადგენა-დაწესებაში, თუმცა მათ ერთ-ერთ მოვალეობას ამ გადასახადების აკრეფა-შეგროვება წარმოადგენდა¹⁰⁹. საყურადღებოა ი. იც, რომ ოსტატებს შორის წარმოშობილ კონფლიქტებს იხილავდა არა ქეთხუდა, როგორც ამას ქართული ამქრის უსტაბაში აკეთებდა, არამედ ესნაფის ადმინისტრაციული აპარატის მეორე მოხელე — ივითბაში¹¹⁰.

ამრიგად, უსტაბაშის ინსტიტუტი თავისი ფუნქციებით დიდ მსგავსებას იჩენდა ირანისა და თურქეთის ესნაფების მეთაურების (უსტაბაში, ქეთხუდა) უფლება-მოვალეობებთან, მაგრამ იმავე დროს ამქრის მართვა-გამგებლობის ცალკეულ ასპექტებში განსხვავდებოდა როგორც ერთისგან, ასევე მეორისგან. ამ ფაქტშიც ელინდებოდა ქართული ფეოდალური ქალაქების ამქრების თვითმყოფადობა და თავისთავადობა, რადგან აღნიშნული განსხვავებები ადგილობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და ქართული ფეოდალური წყობილების ანარქელს წარმოადგენდა.

როგორც უსტაბაშის სამოხელეო ინსტიტუტის შესწავლისას დავი-

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მშობლივა, გვ. 396; III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 222.

¹¹⁰ R. Mantran, Istanbul dans la seconde moitié du XVII siècle, გვ. 376; Д. А. Гудинашвили, Ремесленные организации городов Турции..., с. 55.

ნახეთ, ამქრის ადმინისტრაციული აპარატის მეორე მოხელე აკსაკალი ანუ უხუცესი იყო. საქართველოს გვიანი ფეოდალური ხანის ამქრებში ერთდროულად რამდენიმე აკსაკალი შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ მიერ არაერთხელ ხსენებულ 1871 წლის ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდებაში აღნიშნულია, რომ ამ ამქარში ორი აკსაკალი იყო. წესდების თანახმად მათ, ისევე როგორც უსტაბაშს, ირჩევდნენ ამქრის წევრები: „ერთმანეთის ნებით და თანხმობით, რომელი ჩვენ ამოვირჩიეთ უსტაბაშათ ისეთივე ძველი უსტაბაში ნიკოლოზ მურისიძე და ასაყალოთ ისეთივე სიმონა ცუცხაშვილი და პეტრე კაციტაძე“¹¹¹. სამი აკსაკალი ანუ „ხელობის უფროსის მრჩეველი“ იყო თბილისის ოქრომჭედელთა ამქარშიც. მათაც უსტაბაშთან ერთად ირჩევდა ოქრომჭედელთა გაერთიანების წევრების მიერ წინასწარ დასახელებული 12 კაცი¹¹². აკსაკალების რაოდენობა დამოკიდებული იყო ამქრის სიდიდესა და მისი წევრების მრავალრიცხოვნობაზე. XIX საუკუნის თბილისში ბევრ ძლიერ ამქარს რამდენიმე უხუცესი ჰყავდა¹¹³. იმ შემთხვევაში, თუ ამქარი რამდენიმე თაბუნზე იყო გაყოფილი, მაშინ თითოეულ მათგანს სათავეში საკუთარი აკსაკალები ედგა. მაგალითად, მარკიტანტების რვა თაბუნიდან თითოეულს მართავდა ერთი აკსაკალი, ხოლო დურგლების ოთხ თაბუნს მეთაურობდა ორ-ორი უხუცესი¹¹⁴. აკსაკალის ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო როგორც ხელოსნური, ასევე სავაჭრო გაერთიანებებისათვის¹¹⁵.

ამქრის წევრების მიერ არჩეულ აკსაკალებს, უსტაბაშისგან განსხვავებით, არ სჭირდებოდა ქალაქის მოხელეების ან ცენტრალური ხელისუფლების დამტკიცება. ყოველ შემთხვევაში, საამისო ცნობებს, არც ნარატიული ხასიათისას და არც დოკუმენტურ მასალას, ჩვენამდე არ მოუღწევია. უხუცესის კომპეტენციის ვადა ერთი წლით იყო განსაზღვრული. მაგრამ თუ ისინი წესიერად და პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ამქრის ოსტატთა კრებას შეეძლო გაეხანგრძლივებინა ეს ვადა¹¹⁶ ან ხელმეორედ აერჩია ისინი ამ თანამდებობაზე¹¹⁷.

რამდენიმე უხუცესი, რიშსეფიდი ანუ აკსაკალი იყო წარმოდგენი-

111 დამატება, 2, მუხლი 1.

112 იქვე.

113 А. Гакстгаузен, Закавказский край, I, с. 106; Тифлисские амкары..., с. 2; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 347.

114 იქვე.

115 Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 348.

116 დამატება, 4, მუხლი 1.

117 დამატება, 2, მუხლი 1.

ლი XVII—XVIII საუკუნების ირანის ამქრებშიც. მაგრამ მათ, ქართული ამქრების აქსაკალებისგან განსხვავებით, არა მარტო ირჩევდნენ ასნაფის წევრები, არამედ ამტკიცებდნენ ქალაქის ქალანთარები. „თაზქირათ ალ-მულუქში“ ნათქვამია: „წესის თანახმად ყველა მაჰალეს, ასნაფის [წევრები] და სოფლის მკვიდრნი თავისი წრიდან ირჩევენ ერთ სანდო და ღირსეულ პირს და მის სახელზე ადგენენ ნდობის ბართს და უნიშნავენ ჯამაგირს“¹¹⁸. აღნიშნულ საბუთს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი ნაყიბის მიერ იყო დამტკიცებული, წარუდგენდნენ ქალანთარს. ის საგანგებო თალიყას გამოსცემდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ არჩეულ პირებს „მათი მნიშვნელოვანი საქმეების აღსრულება“¹¹⁹. ამრიგად, ასნაფის მიერ არჩეულ და ჯამაგირდანიშნულ რიშეფიდომბის კანდიდატს, სეფიანთა სახელმწიფოში მიღებული კანონის მიხედვით, თანამდებობაზე ამტკიცებდა ქალაქის უხუცესი.

ასეთივე ვითარება შეინიშნება თურქეთის ქალაქების ესნაფებშიც. ირკვევა, რომ აქაც იგიობაში ანუ ესნაფის ადმინისტრაციის მეორე მოხელეს ირჩევდა ოსტატთა კრება, რომელსაც შემდეგ ქალაქის ხელისუფლება ამტკიცებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ქალაქის ადმინისტრაცია ესნაფის იგიობაშეზღო ნიშნავედა მისთვის სასურველ პირებს თავისთავად ცხადია, რომ ქალაქის მოხელეების მიერ აქსაკალების დამტკიცება-დანიშნაც არღვევდა ამქრული ორგანიზაციების ავტონომიას, რადგან ამ თანამდებობაზე ამტკიცებდნენ მხოლოდ ისეთ პირებს, რომელთა კანდიდატურა მისაღები იყო ქალაქის ხელმძღვანელობისათვის და ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ამასთანავე ქალაქის სამოხელეო აპარატი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მათ საქმიანობას.

გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრების უხუცესებს მოეთხოვებოდათ ყველა თავიანთი მოვალეობა პირნათლად აღსრულებინათ. ეს მომენტი აღნიშნულია ქართულ და სომხურ ენაზე შედგენილ სტატუტებში. მაგალითად, ქუთაისის მეპურეთა წესდებაში ნათქვამია: „ამ ამორჩეულმა სამმა კაცმა (უსტაბაშმა და ორმა კასაკალმა) უნდა მართოს საქმე ანქარში სვინდისიერად და კანონისამებრ — რაც შეეხებოდნენ, და აგრეთვე ჩვენ ამქარმან არ ვიწინააღმდეგოთ თქვენს წინაშე“¹²⁰. ანალოგიური მოთხოვნა რამდენჯერმეა გამეორებული თბილისის იუველირთა პირობის წიგნში.

უსტაბაშის სამოხელეო ინსტიტუტის განხილვისას ნათლად ჩანდა, რომ აქსაკალები ამქარში ფაქტიურად იგივე ფუნქციებს ასრულებდ-

¹¹⁸ Tadhkirat al-muluk, თავი V, ნაწ. 6.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ დამატება, 2, მუხლი 1.

ნენ, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა ამქრის თავს. ამქრის უხუცესები მასთან ერთად განაგებდნენ ამქრის სამართალს, აწესრიგებდნენ საწარმოო პროცესს და ამქრის მიერ წარმოებულ ალუმინუმობას, თვალყურს ადევნებდნენ შეგირდ-ოსტატის ურთიერთობას, მონაწილეობდნენ შეგირდის ოსტატად დალოცვის ცერემონიაში, აკონტროლებდნენ ამქრის სალაროს, თავისი ხელის მოწერით ამტკიცებდნენ სხვადასხვა ოფიციალურ საბუთს. როგორც ჩანს, უსტაბაშისა და აკსაკალების უფლება-მოვალეობანი ნაკლებად დიფერენცირებული იყო საქართველოს ქალაქების ამქრებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უსტაბაში მაინც ამქრის მთავარი ხელმძღვანელი, „ხელობის უფროსი“ იყო, აკსაკალები კი მისი მრჩეველები და მოადგილეები იყვნენ¹²¹. ყოველი საქმის განხილვა-გადაჭრაში უსტაბაშის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამასთანავე, უსტაბაშს ჰქონდა ზოგიერთი ისეთი ფუნქცია, რომელიც აკსაკალების უფლება-მოვალეობათა კომპლექსში არ შედიოდა. ეს იყო ურთიერთობის მოწესრიგება ქალაქის საგამგებლო აპარატთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ამქარზე გაწერილი გადასახადების აკრეფა-შეგროვება, რომელსაც იგი ქალაქის მოურავთან ერთად ახორციელებდა. აკსაკალების კომპეტენცია მხოლოდ ამქრის შინაგან საქმეებზე ვრცელდებოდა, იმ დროს, როდესაც უსტაბაშის საკითხავი იყო ამქრის ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერი (საშინაო და საგარეო) მხარე.

საქართველოს ქალაქების ამქრებისა და ირანული და თურქული ესნაფების სტრუქტურის შედარებითი შესწავლა გვიდასტურებს, რომ აღმოსავლურ პროფესიულ გაერთიანებებში უხუცესების უფლება-მოვალეობანი უფრო ფართო იყო, ვიდრე ქართულ ამქრებში. სეფთიანთა სახელმწიფოს ქალაქების ასნაფების რიშსეფიდების ძირითად სამოქმედო ასპარეზს ასნაფის საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური სფერო წარმოადგენდა. მაგრამ ისინი მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე საწარმოო პროცესის და სავაჭრო საქმიანობის მოწესრიგებაში, შეგირდ-ოსტატის ურთიერთობის ნორმირებაში, შეგირდის ოსტატად ხელდასხმაში, სამართლის წარმოებაში და ა. შ. იმავე დროს მათ ისეთი ფუნქციაც ჰქონდათ, რომლითაც ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ქართული ამქრების აკსაკალებისაგან. ეს ფუნქცია გულისხმობდა მათ მონაწილეობას ქალაქში ფასების ნიხრის დამტკიცებაში. „თაზქირათ ალ-მულუქის“ („მეფეთა სამახსოვრო“) მონაცემებით, ნიხრის დადგენა-დამტკიცებაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის მოხელენი მუჰთასიბი და საჰებ-ნესაყი. მიღებული წესის თანახმად, ყოველი თვის დამდგეს საჰებ-ნესაყი „ყველა ამქრის რიშსეფიდებიდან“ იღებდა ვალდე-

121 დამატება, 4, მუხლი 2.

ბულებას სხვადასხვა „საქონელის ფასების“ თაობაზე. თუ იგი წარმოდგენილი ფასების ოდენობაზე თანახმა იყო, ამტკიცებდა ნიხრს თავისი ბეჭდით და შემდეგ მუქთასიბ ალ-მამალექს გადასცემდა. ნუქთასიბის შემოწმება-დამტკიცებას მოსდევდა აღნიშნული ნიხრის ერთ-ერთ სახელმწიფო დივანში დამტკიცება, რის შემდეგაც იგი ძალაში შედიოდა და ქალაქის მთელი ვაჭრობა მის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. კერძოდ, ქალაქში არსებულ ამქრებსაც თავიანთი საქონელი ნიხრში მოცემული ფასების მიხედვით უნდა გაეყიდათ¹²². ამ წესის დამრღვევი ვაჭარი სასტიკად ისჯებოდა ქალაქის მუქთასიბის მიერ¹²³.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი XVI—XVIII საუკუნეების თურქეთისა და ეგვიპტის ქალაქებშიც, სადაც სასურსათო საქონელზე, შეშაზე, ხელოსნურ პროდუქციაზე და სხვა საქონელზე ფასების ნიხრს ამტკიცებდა ქალაქის მუქთასიბი ესნათების ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად. მაგრამ ირანის ქალაქებისგან განსხვავებით, აქ აღნიშნულ აქტში მონაწილეობდნენ ესნათების წარმომადგენლები (ქეთხუდები ან შეიხები)¹²⁴.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობა იყო XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში. ქართული ფეოდალური სამართლის თანახმად, ქალაქებში ყველა სახის ვაჭრობა წარმოებდა მეფისა და ქალაქის ხელისუფალთა მიერ დადგენილ-დამტკიცებული ფასების შესაბამისად¹²⁵.

დავით ბაგრატიონის მოტანილი ცნობის დამადასტურებელი მასალა საკმაო რაოდენობითაა დაცული ქართულ წყაროებში. ფრიად საყურადღებოა, მაგალითად, კახთ ბატონის იმამყული-ხანის (1703—1721) ბრძანება ენისელთ მოურავის მერაბისადმი. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ხამი აბრეშუმის ფასების ნიხრი მუშავდებოდა მეფის კარზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მისი გაყიდვა თელავის ბაზარზე. იქამდე ამ საქონელზე ყადაღა იყო დადებული¹²⁶. თბილისის მოურავის სარგოს წიგნიდან ირკვევა, რომ მის მოვალეობას შეადგენდა დაედგინა ფასები იმ სურსათ-სანოვაგაზე, რომელიც ქალაქში შემოდებოდა და

¹²² Tadhkirat al-muluki. თავი V, ნაწ. 8.

¹²³ იქვე; Chardin, IV, გვ. 79—80; R. du Mans, გვ. 37.

¹²⁴ G. Baer, Guilds in Middle Eastern History, Studies in the Economic History of the Middle East, New-York, 1970, გვ., 20; Д. А. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции по «Сэяхат-наме» Эвлии Челеби, с. 50—51.

¹²⁵ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გვ. 293.

¹²⁶ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 11, თბ., 1953, გვ. 275.

ადგილობრივ ბაზრებში სალდებოდა. ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა ყოფილიყო დაწესებული ახალი ნიხრი, მაგრამ ზოგიერთ პროდუქტზე წელიწადში ერთხელ მტკიცდებოდა ფასი (მაგალითად ღვინოზე). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მოურავს უფლება არ ჰქონდა ერთპიროვნულად დაედგინა ფასების ნიხრი. მას ამისათვის უნდა მოეხმო ქალაქის ადმინისტრაციული აპარატის სხვა მოხელენი — მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქეთხუდები¹²⁷. მაგრამ დასახელებულ დოკუმენტში არაფერი არაა ნათქვამი ამქრების წარმომადგენელთა, კერძოდ აკსაკალების მონაწილეობის თაობაზე ნიხრის შემუშავების პროცედურაში.

საქართველოს სხვა ქალაქებშიც ნიხრის დადგენა ადგილობრივ მოხელე-ხელისუფალთა ფუნქციების კომპლექსში შედიოდა. ასე მაგალითად, გასაყიდ ფასებს გორში ადგენდნენ ქეთხუდები, სიღნაღში — მეფის ნაცვალი, თელავში — მოურავი და ა. შ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფასების რეგლამენტაცია არსებობდა არა მარტო სურსათ-სანოვაგეზე, არამედ ყველა სახის საქონელზე. ამაზე ძიუთითებს, კერძოდ, დ. ბაგრატიონის ზემომოტანილი ცნობა და იმამყული-ხანის ბრძანება აბრეშუმის ნიხრის სამეფო კარზე დადგენის შესახებ.

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, საქართველოს ქალაქებში ამქრები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ნიხრის დადგენა-დამტკიცებაში. აქედან გამომდინარე სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არ შევიდა ირანული ასნაფების რიშსეფიდების ზემოაღნიშნული ფუნქცია საქართველოს ქალაქების ამქრების უფლებამოსვალათა წრეში. რა თქმა უნდა, ამქრების აზრისა და ინტერესების იგნორირება აღნიშნულ საკითხში მათ სერიოზულ სიძნელეებს უქმნიდა და მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა. ამდენად, ამ შემთხვევაშიც ილახებოდა ამქრების დამოუკიდებლობის პრინციპი, რადგან ისინი იძულებული იყვნენ გაეყიდათ თავისი პროდუქცია ზემოდან მოხვეული ფასებით. მართალია, ფასების რეგლამენტაციის ის წესიც, რომელიც მიღებული იყო XVII—XVIII საუკუნეების ირანისა და თურქეთის ქალაქებში, არღვევდა აქაური ამქრული ორგანიზაციების ავტონომიზმს, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადმინისტრაციული აპარატის მოხელეების ნება-სურვილს, მაგრამ ასნაფების წარმომადგენელთა მონაწილეობა ნიხრის დადგენაში ერთგვარ საშუალებას აძლევდა მათ დაეცვათ თავიანთი გაერთიანებების ეკონომიკური ინტერესები.

აღნიშნული თვალსაზრისით ქართული ამქრები უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ფეოდალური სახელმწიფოს უფრო

¹²⁷ საქართველოს სიძველენი, წ. 11, გვ. 225—226.

დიდ დაწოლას განიცდიდნენ. XVIII საუკუნის მიწურულს იოანე ბატონიშვილის მიერ შემუშავებული სახელმწიფო მმართველობის რეფორმის პროექტი, სხვათა შორის, იმ მოთხოვნასაც შეიცავდა, რომ ამქრებს, კონკრეტულად კი უსტაბაშებს, თავად განესაზღვრათ თავიანთი საქონლის ფასები. მაგალითად, პროექტის ავტორი მოითხოვდა, რომ სირაჯბაშის „დაკითხვით და ფასდადებით იყიდებოდეს ლეინო, კარგი კარგი ფასით და ცუდი ნაკლების ფასებით, აგრეთვე არაყი და სხვა სასმელები“, ბაყალბაშის „ფასდადებით გაიყიდებოდეს ერბო, ყველი, ბრინჯი, სამარხვო, თევზი — ძველი და ახალი, ხიზილალა და რაც მელუქნის რიგია, — შესაძლიერის ფასითა“. ბაზაზბაში დასდებდეს ფაქსა მაუდსა, ფარჩასა, ჩითთა, ლეინთა, ბანბასაა, მატყლთა და სხუათა საბაზაზოთა ნივთთა“, მესანთლეების უფროსი „დააფასებდეს წმინდა სამთელთა, ქონთა, სანათებთა ზეთებთა, ნავთთა და ესევეითართა“¹²⁸ და ა. შ. მაგრამ იოანე ბატონიშვილის პროექტი საქართველოს მომავალი სახელმწიფო მმართველობის სისტემაზე ლაპარაკობს და, თავისთავად ცხადია, მასში დამოწმებული მასალა XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს საქალაქო ცხოვრების ჩვენთვის საინტერესო ასპექტების შესასწავლად არ გამოდგება, რადგან იგი არ ასახავს აღებული ხანის რეალურ ვითარებას.

მეფისა და ქალაქის მოხელეების მიერ დადგენილი ფასებით უნდა ეხელმძღვანელა ყველას, ვინც ქალაქის ფარგლებში სავაჭრო საქმიანობას მისდევდა. მოურავის მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინა, რომ დადგენილი ფასები ზუსტად ყოფილიყო დაცული და თვითნებურად არავის გაეზარდა ისინი¹²⁹. ნიხრის დამრღვევნი ჯარიმდებოდნენ და სამაგალითოდ ისჯებოდნენ.

ერთი სიტყვით, თუმცა ქართული ამქრების აქსაკალების უფლებამოვალეობანი ფრიად მრავალფეროვანი იყო, მაგრამ მათი მოღვაწეობა გაერთიანების შინაგანი ცხოვრებით შემოიფარგლებოდა. აქსაკალები, უსტაბაშების მსგავსად, გარკვეულ გასამრჩელოს იღებდნენ ამქრის წევრებისგან. ისინი ანგარიშვალდებულნი იყვნენ უსტაბაშისა და ამქრის ოსტატთა კრების წინაშე¹³⁰.

საქართველოს ამქრების უმრავლესობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი იყო ხაზინადარი. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა¹³¹, ყველა ამქარს ჰქონდა საკუთარი სა-

128 შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949, გვ. 143.

129 დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდობის მიმოხილვა, გვ. 33.

130 დამატება, 4, მუხლი 15, 16.

131 III. М е с х и а. Города и городской етрой феодализм Грузии, с 350.

ლარო ანუ ხაზინა. ზოგჯერ „ხაზინის“ ნაცვლად იხმარებოდა არაბული წარმომავლობის სიტყვა „მასრაფი“ (ხარჯი, შემოსავალი, სარგებელი). მაგალითად, თბილისის მეწვრილმანეების ამქრის ხაზინას „მასრაფი“ ეწოდებოდა¹³². მაგრამ ზოგიერთ ასნაფს არ ჰყავდა ხაზინის მმართველი საგანგებო მოხელე. ამ შემთხვევაში, როგორც ეს თავის დროზე იყო აღნიშნული, მის მოვალეობებს ასრულებდა ამქრის უსტაბაში. თბილისის იუველირთა წესდებიდან ირკვევა, მათ გაერთიანებაში ხაზინას ერთობლივად მართავდნენ ამქრის „ოთხი მთავარი ხელმძღვანელი“ ანუ უსტაბაში და სამი აქსაკალი.

სალარო ანუ ხაზინა ამქრული ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო¹³³. ეს სრულიად კანონზომიერია, რადგან საზოგადო თანხა, რომელიც გარკვეული რაოდენობით ყოველთვის უნდა ყოფილიყო სალაროში, ამქარს შესაძლებლობას აძლევდა დროზე დაეფარა მასზე დაწესებული გადასახადები, დახმარებოდა თავის წევრებს და საერთოდ გაეღო ყველა გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ხარჯი. დროთა მანძილზე შემუშავდა ამქრის სალაროს შევსების წესები. ხაზინის შემოსავლის მუდმივ წყაროს ოსტატების რეგულარული გადასახადი წარმოადგენდა. ყველა ამქარში აღნიშნული გადასახადი თანაბარი ოდენობის არ იყო. ოქრომჭედლები, მათი სტატუსის მიხედვით, ყოველ კვირას ამქრის ხაზინაში ერთ შაურს იხდიდნენ. ეს თანხა ოსტატს ყოველ კვირას ან ყოველ თვეს უნდა გადაეხადა. განსაკუთრებით საპატივისცემო პირად ითვლებოდა ის ოსტატი, რომელიც მთელი წლის გადასახადს, 12 აბაზს, ერთბაშად იხდიდა¹³⁴. როგორც ვხედავთ, თბილისის იუველირები ამქრის სალაროში იხდიდნენ მტკიცედ განსაზღვრულ თანხას¹³⁵. მაგრამ ზოგიერთ პროფესიულ გაერთიანებაში ხაზინის რეგულარული გადასახადი შეეფარდებოდა ოსტატის შემოსავლის ოდენობას. ამაზე მეტყველებს ქალაქ ახალციხის მეწაღეების, მექალამნეებისა და ესკიჯიების დალოცვის წიგნის მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ ხელოსანი ვალდებული იყო ხაზინაში შეეტანა ე. წ. „ორტინა“ ანუ თავისი შემოსავლის 1/10. ამიტომ ამქრის ხელმძღვანელობა აკონტროლებდა ხელოსნის მოგების ოდენობას და იმას, თუ რამდენი ფარა გადაიხადა ორტინას ანგარიშში. დოკუმენტის თანახმად, ხელმძღვანელებს უურადღება უნდა მიექციათ იმისათვის, რომ ახლად დალოცვილი ოსტატი „ეშმაკის წაქეზებით“ არ შემდარიყო და მასზე წილდებული მეთადი შეენარჩუნებინა, არ გადა-

132 დამატება, 1, მუხლი 3, 5, 7.

133 Ш. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, с. 350.

134 დამატება, 4, მუხლი 13.

135 იქვე.

უხადა“ და ღეთის წინაშე პირშავი და „შერცხენილი“ არ დარჩენილიყო. აღსანიშნავია, რომ ორტინას გადახდის აუცილებლობა დამტკიცებული იყო ესნაფის სტატუტით, „პირობის წიგნით“ და ყველა ოსტატი „ბეკდით“ იყო „დავალებული... მეთადი ანუ ორტინა“ გადაეხადა ამქრის ხაზინაში. ხაზინის ამ რეგულარულ გადასახადს კრეფდა ხაზინადარი ანუ „ხაზინის უფროსი“ და ამქრის ყველა წევრის მოვალეობა იყო „გაღიმებული სახით და წმიდა გულით“ გაელო ის თანხა, რომელიც მასზე მოდიოდა¹³⁶.

მაგრამ რეგულარული გადასახადის გარდა, ამქრის შემოსავლის ძალიან მნიშვნელოვან წყაროს ის მრავალრიცხოვანი გადასახადები წარმოადგენდნენ, რომლებსაც ოსტატები და აგრეთვე შეგირდები იხდიდნენ სხვადასხვა ამბავთან დაკავშირებით. მაგალითად, მეწერილმანეთა პირობის წიგნის თანახმად, ყველა ოსტატი, რომელიც ახალ დუქანს გახსნიდა, „ჰამქრის მატრაფში“ გარკვეულ თანხას იხდიდა¹³⁷. ხაზინა ივსებოდა აგრეთვე შეგირდის ოსტატად ხელდასხმის, სხვადასხვა სახის დოკუმენტების (მაგ., ამხანაგობის შექმნისა და დაშლის დამდასტურებელი საბუთის) შედგენისათვის, რელიგიური და სახელმწიფო დღესასწაულების აღსანიშნავად დაწესებული ფულადი გამოსაღებლებით და სხვ. როგორც თავის დროზე აღინიშნა, ამქრის სამართალი ამქრის დამნაშავე წევრთა დასჯისათვის ხშირად სხვადასხვა ოდენობის ფულად ჯარიმებს მიმართავდა. ჯარიმით გათვალისწინებული თანხაც ამქრის სალაროში შედიოდა. დოკუმენტური წყაროების მონაცემებით, ჯარიმები დაწესებული იყო ამქარში ჩხუბის ატეხისათვის, კოლეგიალობის დარღვევისათვის, მუშტრისა და დამკვეთის მოტყუებისათვის, უხარისხო პროდუქციის დამზადებისათვის, რელიგიურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის, კვირაუქმის გატეხისათვის და ა. შ. ამრიგად, ჯარიმების სახით ამქრის ხაზინაში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შედიოდა.

ზოგიერთ წევრმრავალ და ეკონომიკურად ძლიერი ამქრის ხაზინაში ღიძძალი თანხა გროვდებოდა. მაგალითად, XIX საუკუნის შუა ხანებში თბილისის დაბალთა ამქრის სალაროში დაგროვილი იყო 500 მანეთი ვერცხლის ფულით¹³⁸. ამქრის ხაზინის თანხის ოდენობის ზრდას, როგორც შემდგომ დავინახავთ, ხელს უწყობდა ის სავაზხო ოპერაციები, რომელსაც მიმართავდნენ მდიდარი პროფესიული გაერთიანებების ხაზინები. თბილისის ოქრომჭედელთა წესდების თანახმად, ამქრის მთელი შემოსავალი ინახებოდა საგანგებო სკივრში, რომელსაც საგან-

136 დამატება, 14.

137 დამატება, 1, მუხლი 4.

138 Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 284.

გებოდ იცავდნენ. აქვე ინახებოდა სათანადო დოკუმენტაცია, რომელშიც აღნუსხული იყო ყველა სახის შემოსავალი და ჩამოთვლილი იყვნენ ის პირები, ვინც ხაზინაში გარკვეული თანხა შეიტანა. აღნიშნულ წესდებაში ნათქვამია: ხაზინადარი „ყველა სახის შემოსავალს ინახავს. საგანგებო ღარში, განსაკუთრებული დაცვით, ხელწერილით, ნუსხით და ზუსტი ახსნა-განმარტებით თუ როდის, ვისგან და რა საქონელი [შემოვიდა ხაზინაში]“¹³⁹.

ამჟრის ხაზინის მთელ საქმიანობას წარმართავდა კრების მიერ არჩეული სანდო და პატიოსანი ოსტატი — ხაზინადარი, ან ზოგიერთ შემთხვევაში თავად უსტაბაში, რომელსაც აქსაკალები ეხმარებოდნენ. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ამჟარს ხაზინადარი ჰყავდა, ხაზინის ფუნქციონირებას თვალყურს ადევნებდა და აკონტროლებდა ამჟრის ხელმძღვანელობა და პირველ რიგში უსტაბაში: საზოგადოდ, ხაზინის მდგომარეობა და საქმიანობა მთელი ამჟრის ყურადღების ცენტრში იყო. ამიტომ პერიოდულად ხდებოდა მისი თანხის შემოწმება და ამჟრის ხელმძღვანელები ანგარიშს წარუდგენდნენ ხოლმე ამჟრის წევრთა საერთო კრებას. მაგალითად, თბილისის ოქრომქედელთა გაერთიანებაში ხაზინის მოქმედებას და მისი შემოსავალ-გასავლის შემოწმებას ადგილი ჰქონდა ყოველი წლის პირველ იანვარს და ამჟრის ადმინისტრაციული აპარატის შეცვლის დროს¹⁴⁰.

ხაზინაში დაგროვილი ფული, უწინარეს ყოვლისა, ამჟრის საჭიროებისათვის იხარჯებოდა. 1871 წლის ქუთაისის მეპურეთა პირობის წიგნი მოითხოვს, რომ ხაზინის შემოსავალი, ანუ, როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, „ეს ხსენებული დუქნის გასაღები და სხვადა შტრაფებიცა სა[ა]მჟროთ დაიდვას და დაიხარჯოს“¹⁴¹. თბილისის იუველიერთა სტატუტის მიხედვით, „საზოგადო თანხა“ დაუზოგავად უნდა დახარჯულიყო“ ამჟრის სახელის პატივისა და სარგებლობისათვის, ყველა მისი წევრის და მათი შვილების საჭიროებისათვის¹⁴². პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამჟრის ხაზინა ინდიდა ყველა გამოსაღებს, რომელსაც ცენტრალურ ხელისუფლება დააწესებდა „ქალაქის ყველა ამჟარზე“... ეკლესიის აშენებისათვის ან მათხოვრებისათვის ან სხვა რაიმე საჭიროებისათვის. ასევე ხაზინას დაუყოვნებლივ უნდა გამოეღო ის თანხა, რომელიც დასპირდებოდა „სომეხ ან ქართველ ხალხს ან ეკლესიებს“¹⁴³. ამრიგად, ამჟრის ხაზინა ანაღლებ-

139 დამატება, 4, მუხლი 15.

140 იქვე.

141 დამატება, 2, მუხლი 8.

142 დამატება, 4, მუხლი 17.

143 იქვე.

და ცენტრალური ხელისუფლების მიერ პროფესიულ გაერთიანებებზე დადგენილ ექსტრაორდინალურ გამოსაღებლებს.

მაგრამ ხაზინაში არსებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდა თავად ამქრის ოსტატებს და მათი ოჯახის წევრებსაც. მიღებული ჩვეულების თანახმად, ამქრის ის წევრი, რომელიც „სიბერის ან წუთისოფლის ან სხვა უკუღმართობისგან“ დასნეულდებოდა, გაღარიბდებოდა და პატრონ-მარჩენალი არ ეყოლებოდა, ამქრის ხაზინის ზრუნვა-დანმარების ობიექტი უნდა გამხდარიყო. ოქრომჭედელთა პირობის წიგნი მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინა ამქრის ხელმძღვანელობას სიღარიბეში ჩაყარნილი მცირეწლოვანი შვილების პატრონის მიმართ. მათ „ზამთრის ძნელ უამს“, ღიდ მარხვას და აღდგომას ნაღდი ფულის გარდა ხაზინიდან ეძლეოდათ პური, შეშა, ნახშირი და სხვა საქონელი¹⁴⁴. ამრიგად, სალაროს დახმარება ამქრის ღარიბი და დაუძღურებული წევრების მიმართ რეგულარულ ხასიათს არ ატარებდა და შემოიფარგლებოდა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულებითა და ზამთრის პერიოდით.

ამქრის ხაზინის ხარჯზე იმარხებოდნენ გარდაცვლილი ამქრის ღარიბი წევრები. თბილისის ოქრომჭედლების წესდების მიხედვით, ასეთი მიცვალებული „საკადრისი პატივისცემით“ უნდა დაესაფლავებინათ, რადგან ეს გარემოება ზრდიდა ამქრის „ღირსებას და პრესტიჟს“. ამასთანავე თავისი წევრებისადმი ზრუნვა, წესდების შემდგენელთა თვალსაზრისით, „კეთილი მისაბაძი“ უნდა გამხდარიყო სხვა ამქრებისათვის¹⁴⁵.

აღნიშნული ქველმოქმედებითი საქმიანობის გარდა სალარო სხვა ფუნქციებსაც ასრულებდა. ამქრის ხაზინადარისა და მთავარი მოხელეების გადაწყვეტილებით იგი საჭიროების შემთხვევაში გასცენდა სესხად გარკვეულ თანხებს. მაგრამ ამქრის ტრადიციებმა შეინიშნავეს წესები, რომლის თანახმად გასესხებული თანხის თავნი გარკვეული პროცენტით უნდა დაბრუნებულიყო სალაროში დროის დადგენილი მონაკვეთის განმავლობაში. სესხი უმთავრესად ამქრის ისეთ ოსტატებს ეძლეოდათ, რომელთაც ხელმოკლეობის გამო შესაძლებლობა არ ჰქონდათ შეეძინათ მათი ხელობისათვის აუცილებელი ხამი მასალა. მაგალითად, იუველირთა პირობის წიგნში ნათქვამია: „თუ რომელიმე ოსტატი ყიდულობს ოქროს, ვერცხლს ან სხვა რამეს და ამისათვის ხელზე ფული არა აქვს და სხვისგანაც არ შეუძლიან ფულის სესხება, ხაზინა ვალდებულია შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას რაც შეიძლება ღიდი თანხით“. სესხი გაიცემოდა რამდენიმე დღით ან ერთი კვირით,

144 დამატება, 4, მუხლი 17.

145 იქვე.

რომლის დასასრულს მოვალეს უნდა დაებრუნებინა ხაზინაში ნასესხები თანხა მცირე პროცენტით „ამქრის სიყვარულის გამო და ხაზინის სასარგებლოდ“. პროცენტის ოდენობა განსაზღვრული იყო. მაგალითად, ოქრომჭედელთა ამქარში ყოველ 5 მანეთ სესხზე მოვალე ამქრის ხაზინას უხდიდა ერთ აბაზს¹⁴⁶.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამქრის ყველა წევრზე არ გაცემოდა დიდი ოდენობის სესხები. უმთავრესად ამქრის წევრებს ხაზინა მცირე სესხებს აძლევდა. მაგრამ ამქრის „სანდო და შეძლებულ პირს“ ხაზინიდან შესაძლებელი იყო მიეღო საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა, ხუთიდან ათ თუმნამდე. ამასთანავე სესხის დაბრუნების ვალაც უფრო ხანგრძლივი იყო და ერთ თვეს აღწევდა¹⁴⁷.

ამქრის მევახშეობის პრაქტიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამქრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და ნებართვით ხაზინიდან სესხი შეიძლებოდა გაცემულიყო უცხო პირზეც. მის მიმართ ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ დათმობებზე მიდიოდა. თუ სესხის ამღები „წერილობით და კანონით გათვალისწინებულ თამასუქს“ მისცემდა ხაზინას, იგი ზემოხსენებულ წესს აღარ ემორჩილებოდა¹⁴⁸. წესდების ეს მომენტი ფრიად საგულისხმო ჩანს, რადგან აქ, ჩვენი აზრით, ლაპარაკია არა ამქრის წესებზე და კანონებზე, არამედ ფეოდალური სახელმწიფოს კანონზე, რომლის საფუძველზეც დგებოდა თამასუქი ანუ, როგორც ძეგლშია ნათქვამი, „კანონიერი საბუთი“. რასაკვირველია, ფეოდალური სამართლის თანახმად გაფორმებული ვალის მიმცემისა და ამღების ურთიერთობა აღარ შეიძლებოდა ამქრის ლოკალური ხასიათის წესებს დაქვემდებარებოდა. პროცენტსაც მსესხებელი პირი სახელმწიფო სამართლის შეფარდებით გადაიხდიდა, რაც უფრო დიდ სარგებელს მოუტანდა ამქრის ხაზინას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის განსაკუთრებული შეღავათები, რომლითაც სარგებლობდა ასეთი პირი ხაზინიდან სესხის აღების დროს. აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომ ამქრის ხაზინის საევახშო საქმიანობაში აშკარად იკვეთება ამქრის პროკაპიტალისტური ტენდენციების კიდევ ერთი მხარე¹⁴⁹.

146 დამატება, 4, მუხლი 17. შედარებისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ 1727 წლით დათარიღებულ ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ვალის ამღები ვალდებულებას კისრულობდა, რომ ფულის მსესხებელს „თვეში თუმნის თავს აბაზ სარგებელს“ მისცემდა (საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 339).

147 დამატება, 4, მუხლი 17.

148 იქვე.

149 Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 384.

სავსებით კანონზომიერი და გასაგებია ოქრომქედელთა გაერთიანების პირობის წიგნის მოთხოვნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ხაზინა სესხს გასცემდა, საქმე ისე უნდა წარმართულიყო, რომ თავად ხაზინა არ დაზარალებულიყო. ხაზინადარი და ამქრის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდნენ სალაროს თანხის გაზრდა-გამრავლებას. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ამქრის ყველა წევრი ერთნაირი უფლებებით არ სარგებლობდა არც ხაზინიდან ფულის სესხებისა და არც სესხის დაბრუნების ვადის თვალსაზრისით, რადგან ამქრის ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ „სანდო და შეტლებული პირი“ უფრო ზუსტად დაიცავდა ხაზინის თანხით სარგებლობის არსებულ წესებს. ამრიგად, ხაზინის თანხით სარგებლობის მომენტშიც მკაფიოდ იკვეთება ამქრის წევრთა ის ეკონომიკურ-უფლებრივი დიფერენციაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების პროფესიულ გაერთიანებებში. ყოველივე თქმულის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება, რომ ოქრომქედელთა სტატუტის ის პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ რადგან ამქრის ხაზინის „თანხა გროვდებოდა ამქრის შემოსავლისაგან, ამიტომ იგი საჭიროების შემთხვევაში დაუზოჯავად უნდა ემსახუროს ამქარს, დიდს და მცირეს, ღარიბს და მდიდარს“, უმეტესად არ ხორციელდებოდა ყოველდღიურ პრაქტიკაში და ფიქციად რჩებოდა.

როგორც ირკვევა, ხაზინაში დაგროვებული თანხა მუდმივ ტრიალში იმყოფებოდა. მაგრამ მიღებული წესის თანახმად, საზოგადო ფულის გარკვეული ნაწილი, „ხუთი-ათი თუმანი ან უფრო მეტი დროის ვითარების შესაბამისად“, რეალურად ყოველთვის უნდა ყოფილიყო ხაზინაში. ამის მიზეზად წყარო ასახელებს იმ ვარაუდს, რომ „რადგან ამქარი იღვწის იმისათვის, რომ თანხა გაამრავლოს“ და ყოველ აუცილებელ შემთხვევაში სათანადო დახმარება გაუწიოს თავის „უფროს და უმცროს“ წევრებს, ამიტომ ხაზინაში ყოველთვის უნდა იყოს ნაღდი ფული, რომელსაც ხაზინადარი ამქრის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გაიღებს ამქრის წევრების საჭიროებისათვის¹⁵⁰. ხაზინადარი პასუხისმგებელი იყო ხაზინის შემოსავალ-გასავლის სწორი წარმოებისათვის. იგი ამქრის ხელმძღვანელებთან ერთად, როგორც ზემოთ აღინიშნა, პერიოდულად ანგარიშს აბარებდა ამქრის ოსტატთა კრებას, რომელსაც სათანადო დოკუმენტაციისა და ხაზინაში არსებული თანხის შემოწმების შემდეგ თავისი დასკვნა გამოჰქონდა. ხაზინადარს თავისი ფუნქციების აღსრულებისათვის ამქრის წევრების შემოსავლისგან გარკვეული გასამრჩელო ჰქონდა გადაკვეთილი.

ხაზინდარის ინსტიტუტი ცნობილი იყო ირანული ამქრების ად-

¹⁵⁰ დამატება, 4, მუხლი 18.

შინისტრაციული აპარატისთვისაც. აქაც ხაზინის თანხის დაგროვების იგივე წყაროები არსებობდა, როგორც ცნობილი იყო XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში. ხაზინაში დაგროვილი საზოგადო ფული ანალოგიური მიზნებისათვის იხარჯებოდა: ღარიბი ხელოსნების დახმარება, ამქრის წევრების დასაფლავება, დღესასწაულების აღნიშვნა, მიზგითების, ქარვასლების, ღუქან-სახელოსნოების შეკეთება¹⁵¹ და სხვ. ჩვენ არ გავგაჩნია ცნობები ირანული ასნაფების ხაზინების სავახშო საქმიანობის შესახებ. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ფუნქცია მათთვისაც იყო დამახასიათებელი, რადგან ასნაფის ხელმძღვანელობის და ხაზინადარის მოვალეობას წარმოადგენდა ხაზინის თანხის ზრდა-გამრავლება. როგორც აღინიშნა, ხაზინადარის სამოხელეო ინსტიტუტი ცნობილი იყო ირანული ამქრული წყობილებისათვის, მაგრამ მას, ისევე როგორც საქართველოში, საყოველთაო გავრცელება არ მოუპოვებია. ზოგიერთ ასნაფში მის ფუნქციებს ასრულებდა თავად უსტაბაში ანუ ასნაფბაში, ან ერთ-ერთი რიშეფედი. ხაზინადარის არჩევა დამოკიდებული იყო ასნაფის სიდიდეზე და სიმდიდრეზე¹⁵².

ანალოგიური ვითარება იყო თურქეთის ქალაქების ესნაფებშიც¹⁵³. დასავლეთ სონხეთის ესნაფებში, რომლებიც თურქული ამქრული წყობილების მრავალ გავლენას განიცდიდნენ, არსებობდა ხაზინადარის სამოხელეო ინსტიტუტი. 1825 წელს ქალაქ ერზურუმში შედგენილ ქალაქისა და მკედელთა ესნაფის შეთანხმების წიგნში აღნიშნულია, რომ მკედელთა ესნაფის „ერთობა“ ირჩევდა ხაზინადარს, რომელიც განაგებდა ესნაფის სალაროს საქმეებს¹⁵⁴. დასახელებული დოკუმენტის მიხედვით, ხაზინაში ფულის დაგროვების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო გარკვეული თანხის გადახდა ყველა იმ სავაჭრო გარიგებისაგან. რომელსაც აწარმოებდნენ მკედელთა ესნაფის წევრები. ოსტატები ვალდებულებას კისრულობდნენ, რომ ესნაფის საზოგადო სალაროში „მოტყუების გარეშე“ შეიტანდნენ ყოველი ორი ყურუშიდან ერთ ფარას, იმ შემთხვევაში, როდესაც რკინას ზოდებად და ბარებს ლიტრებად ჰყიდდნენ. ყველა დანარჩენი სავაჭრო ოპერაციის განხორციელების დროს ისინი ერთი ყურუშიდან ერთ ფარას იხდიდნენ¹⁵⁵.

¹⁵¹ Н. А. Кузнецова, Из истории социально-экономических отношений в Иране в первой трети XIX в. (Иранский город и городское ремесло), (Автореферат), М., 1952, с. 13; კ. კუცია, ხელოსნური ორგანიზაციები სუფანთა ირანის ქალაქებში, გვ. 82.

¹⁵² Ф. Алнев, Города Северного Азербайджана..., с. 11.

¹⁵³ Д. А. Гуднашвили, Ремесленные организации городов Турции по «Сеяхат-наме» Эвлии Челеби.

¹⁵⁴ დამატება, 8.

¹⁵⁵ იქვე.

დასაუღებლად და, როგორც ჩანს, საერთოდ მთელი სომხეთისა და აგრეთვე თურქეთის ესნაფებში ხაზინადრებს ევალეზოდან „სრული სიბეჭითით და ქვეშაირით ერთგულებით“ გაძლოდნენ ხაზინის საქმეებს, რომელთა შორის უპირველესი იყო ხაზინისათვის გადაკვეთილი გამოსაღებელის შეგროვება. ამისათვის ხაზინადარს ყოველ კვირას უნდა ჩამოეველო ესნაფის ოსტატებისათვის და დადგენილი პირობის საფუძველზე აეკრიფა გადასახადი, ისე რომ თვის დასასრულს ხაზინა შეესებულებოდა¹⁵⁶. როგორც ჩანს, გადასახადების ზუსტი და დროული აკრეფა ხაზინადარის მართლაც ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა, რადგან ზოგიერთი ოსტატი მალაქა თავის რეალურ შემოსავალს და ცდილობდა ხაზინაში რაც შეიძლება ნაკლები თანხა შეეტანა. ეს კარგად ჩანს „შეთანხმების“ შემდეგი ფრაგმენტიდან: „თუ ვინმე ჩვენთაგანი გაპყვება ეშმაკის... ცდუნებას, [იგი] უღალატებს თავის აღთქმას და სრულიად დაივიწყებს უფლის მორჩილებას, იქურდებს და პირობას დაარღვევს, ე. ი. თუ ვინმე ჩვენთაგანი ჩვენი ხელობის ან ჩვენი ხელობისათვის უცხო ნახელავს გაყიდის ას ყურუშად [და თანხას] ან მთლიანად დამალავს და თავისთვის დატოვებს, ან ორმოცდაათ ყურუშს დაიტოვებს, ხოლო ორმოცდაათ ყურუშს გამოაჩენს და [იტყვის], რომ ამდენად გავყიდეო, ან რომელიმე ხაზინადარი ხაზინის თანხას მიითვისებს ანდა სხვანაირად შეეხება მას, ან თუ ქრისტიანი ურწმუნოების გამო ქვეშაირების ნათელს გადაუდგება და სიცრუის წყვილიად შეითვისებს, ასეთი კაცი მოატყუებს არათუ ადამიანს. არამედ ღმერთს“¹⁵⁷. ასეთი „მამონას“ მოყვარე პირები, წყაროს მიხედვით, სასჯელის ღირსნი არიან და ძმობა და უფალი მათ საკადრისს მიუზღავდა.

მოტანილი ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ პირობის დამრღვევ ოსტატებთან ერთად შესაძლებელი იყო უპატიოსნო საქციელი თავად ხაზინადარსაც ჩაედინა და ხაზინის ფულის გარკვეული ნაწილი მიეთვისებინა. აღნიშნული შესაძლებლობის აღსაკვეთად ესნაფის წევრები პერიოდულად ამოწმებდნენ ესნაფის სალაროს მდგომარეობას. ერზერუმის მკვლელთა ესნაფში მიღებული წესით, ყოველი თვის დამდგეს „უბნის ძმობის გამოჩენილ პირთა“ თანადასწრებით უნდა გახსნილიყო სალარო და შემოწმებულიყო მასში არსებული თანხის ოდენობა¹⁵⁸. ამრიგად, სომხეთისა და თურქეთის პროფესიულ გაერთიანებებში იგივე ჩვეულება დასტურდება, რომელიც დამახასიათებელი იყო XVII—XVIII საუკუნეების ქართული ამქრებისათვის. განსხვავება

156 დამატება, 8.

157 დამატება, 8.

158 იქვე.

მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელებში ხაზინის შემოწმება უფრო იშვიათად წარმოებდა — ყოველი წლის დამდეგს ან ამქრის ხელმძღვანელობის შეცვლის დროს¹⁵⁹.

ხაზინაში დაგროვილი თანხა იმავე მიზნებისთვის იხარჯებოდა, როგორც ეს მიღებული იყო საქართველოს, ირანისა და აზერბაიჯანის ქალაქებისათვის. მაგრამ ქალაქ ერზერუმისა და მქედელთა ესნაფის შეთანხმების წიგნის მონაცემებით ირკვევა, რომ ხაზინის თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი საქალაქო გადასახადების განაღდებისთვის იყო გამოიხნული. საბუთში აღნიშნულია, სალაროს „თანხიდან წყნარად, მშვიდად, დილეგისა და ბორკილების გარეშე ჩვენი საქალაქო გადასახადი უდრტივინველად უნდა გადაიხადოს“¹⁶⁰. ამრიგად, ხაზინაში დაგროვილი ფული ესნაფზე დაწესებულ-დადგენილი გადასახადების გამოღების ყველაზე რეალურ საშუალებას წარმოადგენდა. ამასთანავე აღნიშნული მიზნისათვის ხაზინის ფულის გამოყენება ესნაფს ააცილებდა შინაგან შუღლს და არეულობას, რომელიც, როგორც ჩანს, თან სდევდა საქალაქო გადასახადების გადახდას. ამის შესახებ კარგადაა ნათქვამი საბუთში: „ამის (ხაზინის შექმნის — ე. კ.) შემდეგ საქალაქო გადასახადის გამო ხალხი აღარ იღავებს, აღარ იჩხუბებს და ერთმანეთს აღარ შეურაცხყოფს, არამედ ქრისტიანული სარმწუნოებისა და კანონის მოთხოვნის შესაბამისად იქნებიან, შუღლს აიცილებენ, ერთმანეთის თანამდგომნი და თანამოზიარენი გახდებიან, ურთიერთ სიყვარულით მოიქცევიან და ერთმანეთს ყოველთვის ჰეშმარიტი ძმობის (გრძნობით) მიესალმებიან, რითაც განიხარებს უფალი, ხოლო ადამიანები დედამიწაზე სულით და ხორციით დამშვიდებული იცხოვრებენ“¹⁶¹.

როგორც ირკვევა, ხაზინადარი, რომელსაც ირჩევდა პროფესიულ გაერთიანებათა საერთო კრება, ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს, ირანის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ამქრული ორგანიზაციების მართვა-გამგებლობის სფეროში. მისი საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამქრის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საქალაქო თუ სხვა სახის გადასახადების განაღდება-გამოღებასა და ამქრის წევრებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება-განმტკიცებაზე.

ქართული ამქრული წყობილებისათვის დამახასიათებელი იყო იგივებაშის ანუ შიკრიკის ინსტიტუტის არსებობა. ხაზინადარისაგან განსხვავებით, მას ნიშნავდა უსტაბაში, ერთი თვის ან უფრო მეტი

159 დამატება, 4, მუხლი 15.

160 დამატება, 8.

161 იქვე.

ხნის ვადით. თბილისის ოქრომკვდელთა წესდების თანახმად, ამქარს ყოველთვის უნდა ჰყოლოდა ერთი „მუდამ მზადყოფი მსახური“, რომელსაც „მოხუცები იგიობაშას უწოდებდნენ“¹⁶². იგიობაშად ინიშნებოდა ამქარის რომელიმე წესიერი და პატროსანი წევრი. იმ შემთხვევაში, თუ მას ისეთ უპატროსო საქციელში ამხილებდნენ, როგორც იყო ლოთობა, ქურდობა, შუღლის დათესვა, ჩხუბის ატეხვა და ინტრიგა, მას უსტაბაშისა და აქსაჯალების გადაწყვეტილებით გადააყენებდნენ და მის ნაცვლად სხვა პირს ნიშნავდნენ¹⁶³.

იგიობაშის მოვალეობა იყო დაუყოვნებლივ გადაეცა დანიშნულებისამებრ ამქარის მთავარი მოხელეების ყველა ბრძანება-განკარგულებას. ამქარის ხელმძღვანელობა მას „საქირო საქმეებისათვის სხვადასხვა ადგილას“ გზავნიდა¹⁶⁴. იგი ატყობინებდა აგრეთვე ოსტატებს ამქარში მომხდარ ყველა საქმეს. მეწვრილმანეთა პირობის წიგნში. მაგალითად, აღნიშნულია, რომ „თუ ჰამქარის რამე საქმე იყოს, იგიობაშმა შეატყობინოს და არ მოვიდეს (იგულისხმება რომელიმე ოსტატი—კ. კ.) ხუთი აბაზი ჰამქარის მასრაფში უნდა მისცეს“¹⁶⁵. თავისი მოვალეობის აღსრულების გამო იგიობაშად დანიშნული ამქარის რომელიმე წევრი მოწყვეტილი იყო საწარმოო პროცესს და აღებმცემობას. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში იგი მაინც ახერხებდა ამქარის საერთო სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიღებას. ამაზე მეტყველებს 1801 წლით დათარიღებული ბატონიშვილ დავითის სასახლის სამშენებლო ხარჯების ნუსხა, რომელშიც ორჯერაა მოხსენიებული იგიობაში, რომელიც მშენებლობაში მონაწილეობდა¹⁶⁶. საინტერესოა, რომ პირველ მათგანში დასახელებულია იგიობაში თავისი შეგირდით („ერთი კალატოზების იგიობაში შეგირდით“)¹⁶⁷, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად დიდი ღატვირთვისა, ამქარის აღმინისტრაციის ეს მცირე მოხელე ზოგჯერ არა მარტო მონაწილეობდა თავისი გაერთიანების სამუშაო პროცესში, არამედ ოსტატი-მასწავლებლის ფუნქციასაც ასრულებდა.

მაგრამ იგიობაში მხოლოდ თავისუფალ ღროს. გამონაკლის შემთხვევაში იღებდა მონაწილეობას ამქარის საწარმოო-სავაჭრო საქმიანობაში. ძირითადად კი იგი თავისუფალი იყო ყოველგვარი სამუშაოსაგან. ამიტომ მას, თავისი მოვალეობების აღსრულების პერიოდში, ამ-

162-დამატება, 4, მუხლი 4.

163 იქვე.

164 იქვე.

165 დამატება, 1, მუხლი 7.

166 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის წ. 1, გვ. 178, 182.

167 იქვე, გვ. 178.

ქრის შემოსავლიდან დანიშნული ჰქონდა გარკვეული გასამრჩელო¹⁶⁸. იმ შემთხვევაში, როდესაც იგი თბაში მონაწილეობდა ამქრის მიერ წარმოებულ სამუშაოებში, დამკვეთი მას საგანგებო გასამრჩელოს უხდიდა. იმავე 1801 წლის საბუთის თანახმად, კალატოზების იგი თბაშმა სასახლის მშენებლობაში მონაწილეობისათვის თხუთმეტი შაური მიიღო¹⁶⁹. საგულისხმოა, რომ იგი თბაში თანაბარი ოდენობის გასამრჩელოს იღებდა მაშინ, როდესაც იგი მარტო მუშაობდა და მაშინაც, როდესაც იგი თავის შეგირდთან ერთად შრომობდა. ე. ი. კონკრეტულ შემთხვევაში შეგირდის შრომა არ ნაზღაურდებოდა და, ფაქტიურად, უფასო იყო.

ანალოგიური შინაარსისა იყო ასნაფის შიკრიკის მოვალეობანი ირანისა და თურქეთის ფეოდალურ ქალაქებში. სეფიანთა სახელმწიფოში იგი თბაშს ზოგჯერ „ფაიქორს“ ან „ფაიქოლს“ (სწრაფმავალი) უწოდებდნენ¹⁷⁰, ხოლო თურქეთის ქალაქებში ეს სამოხელეო ინსტიტუტი ჩაუშის სახელწოდებით იყო ცნობილი¹⁷¹. სომხეთში „ჩაუშის“ გარდა ხმარებაში იყო აგრეთვე სომხური წარმომავლობის ტერმინი „სურჰანდაკ“, რაც ნიშნავს „სწრაფმავალს“, „შიკრიკს“¹⁷². დასახელებული ქვეყნების ამქრულ ორგანიზაციებშიც იგი თბაშები საორგანიზაციო საკითხებს აწესრიგებდნენ, ატყობინებდნენ ამქრის წევრებს უსტაბაშების ბრძანება-განკარგულებებს, იწვევდნენ ოსტატებს ამქრის საერთო კრებაზე, მონაწილეობდნენ შეგირდების ან ქარგლების (თურქეთი, სომხეთი) ოსტატებად ხელდასხმაში და ა. შ. ყველგან იგი თბაში თავისუფალი იყო ამქრის სამუშაო პროცესიდან და გარკვეული გასამრჩელო ეძლეოდა ამქრის შემოსავლიდან.

საქართველოს ამქრების ადმინისტრაციული აპარატის ამ ძირითად მოხელეებთან (უსტაბაში, აკსაკალები, ხაზინადარი, შიკრიკი) ერთად ზოგიერთ პროფესიულ გაერთიანებაში წარმოდგენილი იყო აგრეთვე მწერლის ან მდივნის თანამდებობაც. თბილისის ოქრომქედელთა ამქრის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს მოხელე უნდა ყოფილიყო დიდ, წევრმრავალ და შექმნილ ამქრებში, რომელნიც ფართო სახელოსნო-საეპრო საქმიანობას ეწეოდნენ და რომლებშიც მრავლად იყვნენ შეგირდები. იუველირთა წესდების მიხედვით, მწერალს ირჩევდა ამ-

168 Ю. А х в е р д о в, Т и ф л и ს ს კ ი ე ა მ კ ა რ ყ... , с. 17; Ш. М е с х и а, Г о р о -
д а и г о р о д с к о й с т р о й ф е о д а л ь н о й Г р у з и ი, с. 349.

169 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, გვ. 178, 182.

170 კ. კ უ ც ი ა, ხ ე ლ ო ს ნ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს ე ფ ი ა ნ თ ა ი რ ა ნ ი ს ქ ა ლ ა ქ ე ბ შ ი, 33-81.

171 Д. А. Г у д н а ш в и л и, Р е м е с л е н н ы е о р г ა ნ ი з ა ც ი ი გ о р о д о в Т у რ ц и ი
по «Сеяхат-наме» Эвлии Челеби, с. 55.

172 ე. კ. რ ა ხ ა მ ა ნ, ლ ა ი ჩ ა მ ქ ა რ ი ს ტ ო რ ი ს ნ ს რ... , გვ. 122.

ქრის ოთხი მთავარი ხელმძღვანელი¹⁷³. თუ არჩეული პირი არ გაამართლებდა ნდობას, მისი შეცვლად ამქრის მთავარი ზოხელეების ნებასურვილით ხდებოდა¹⁷⁴. ამრიგად, მწერლის დანიშვნა-გადაყენება უსტაბაშისა და ზისი დამხმარე აკსაკალების კომპეტენციაში შედიოდა.

წერალი ანქრის „ხელმძღვანელთა პრჩევლად და პატივდებულ პირად“ ითვლებოდა¹⁷⁵. მის მოვალეობას შეადგენდა ყველა საკანცელარიო საქმის აღსრულება. მწერალი ადგენდა სხვადასხვა „ახი“ საბუთებს: საშეგირდო ხელშეკრულებებს, ამხანაგობის შექმნისა და დარღვევის დოკუმენტებს, ხაზინის შემოსავალ-გასავალის ნუსხას, ოტატობის ხარისხის დამადასტურებელ ატესტატს, განჩინების საბუთს და სხვ. აღსანიშნავია, რომ იგი მართო ტექნიკურ შემსრულებლად კი არ ითვლებოდა, არამედ იგი ოფიციალური პირიც იყო. ამიტომ ნებისმიერ საბუთს, რომელსაც იგი „გერბიან ქალაღსუ“ ადგენდა, მწერალი ამქრის უსტაბაშისა და აკსაკალებთან ერთად თავისი საკუთარი ხელმოწერითაც ადასტურებდა¹⁷⁶. თუმცა ჩვენ საამისო ცნობები არ გავაჩნია. მაგრამ საფიქრებელია, რომ მწერალიც თავისი ფუნქციების აღსრულებისათვის გასამრჯელოს ამქრის წევრებისაგან იღებდა.

დაბოლოს, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ამქრების მართვა-გამგებლობის შესწავლისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თითოეულ პროფესიულ გაერთიანებას ჰყავდა საგანგებო სასულიერო პირი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამქრის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ოქრომქედელთა სტატუტის მონაცემებით, თავისი ამქრისათვის მღვდელს ირჩევდა ოთხი მთავარი ხელმძღვანელი¹⁷⁷. ამისათვის მათ უნდა სათანადო თხოვნით მიემართათ „უზუნაესი სასულიერო მოძღვარისათვის“¹⁷⁸. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ამქრისათვის სასურველ სასულიერო პირს ქართულ ამქრებს უმტკიცებდა კათალიკოსი, ხოლო იმ ამქრებს, რომლებშიც უმთავრესად სომეხი ოსტატები იყვნენ გაერთიანებული — თბილისის სომეხთა არქიეპისკოპოსი. სწორედ ამ უკანასკნელს მიმართავდნენ ხოლმე თბილისის იუველირები მღვდლის შეცვლის თაობაზე¹⁷⁹. სასულიერო პირის „გზაზე დაყენების“ მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი შუღლისმოყვარეობა, „ფარულად თქმული აღსარების გამხელა“ და სხვა მსგავსი უღირსი საქციელი. დამნაშავე მღვდელს, ამქრის ხელმძღვანელობის გა-

173 დამატება, 4, მუხლი 1.

174 იქვე, მუხლი 24.

175 იქვე.

176 იქვე, მუხლი 6, 16, 30.

177 დამატება, 1, მუხლი 1.

178 იქვე, მუხლი 24.

179 იქვე.

ფრთხილების შემდეგ, თავად უნდა დაეტოვებინა ამქარი. ეს ღირსეულ საქციელად ითვლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დათხოვნა, როგორც აღინიშნა, ამქარის უსტაბაშს კათალიკოსთან და არქიეპისკოპოსთან უნდა შეეთანხმებინა.

ამქარზე მიმაგრებულ მღვდელს ლაკმაოდ მრავალფეროვანი ფუნქციები ჰქონდა. უწინარეს ყოვლისა, როგორც სასულიერო პირს, მას ყურადღება უნდა მიექცია იმისათვის, რომ ამქარის ოსტატებს და შეგირდებს ზუსტად აღესრულებინათ საეკლესიო წესები და ნორმები. მისი საკითხავი იყო აგრეთვე წევრების ცხოვრების მორალურ-ზნეობრივი მხარეც. დიდ როლს ასრულებდა მღვდელი შეგირდების ოსტატებად ხელდასხმის ცერემონიაში. დადგენილ დღეს მას წირვა გამოყავდა ეკლესიაში, რომლის დროსაც იგი მოიხსენიებდა ამქარის მფარველ წმინდანებს და ფუძემდებლებს, გარდაცვლილ ოსტატებს და ამქარის სხვა გამოჩენილ პირებს. წირვის გამოყვანის შემდეგ მღვდელი მიდიოდა ამქარის წევრების საერთო კრებაზე, ლოცავდა შეგირდს ოსტატობაზე და სათანადოდ დაჭილდოებული ტოვებდა შეკრებას¹⁸⁰.

აუცილებელი იყო მღვდლის დასწრება აგრეთვე ამქარის ოსტატების მიერ არჩეული უსტაბაშისა და აქსაკალების ფიცის დადების აქტზეც. ამქარის ახლად არჩეული ხელმძღვანელები მღვდლის თანდასწრებით იფიცებდნენ ჭვარზე და სახარებაზე, რომ ისინი, ვითარცა მამები, იზრუნებდნენ ამქარის კეთილდღეობისათვის¹⁸¹. ზოგიერთ შემთხვევაში ამქარის სამართლის წარმოების დროს მღვდელი უსტაბაშისა და აქსაკალების მრჩევლის როლს ასრულებდა. მაგალითად, ზოგიერთი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათის დანაშაულის გამორკვევაში და სამართლის დადგენაში ამქარის ხელმძღვანელობას მღვდელი ეხმარებოდა. ასეთი დარღვევების გარკვევა დამნაშავეს ჭვარზე და წმიდა წერილზე დაფიცების საშუალებით ხდებოდა¹⁸². ყველა აღნიშნული მოვალეობის აღსრულებისათვის მღვდლის სასარგებლოდ ამქარის წევრები გარკვეულ გასამრჯელოს იხდიდნენ.

როგორც თავის დროზე აღინიშნა, ქართული ამქარებისაგან განსხვავებით, XVII—XVIII საუკუნეების ირანის ამქარებში რელიგიურ-სარწმუნოებრივი ნორმების მთავარი დამცველი თავად უსტაბაშში იყო, რომელიც ასწავის სულიერ მოძღვრებადაც ითვლებოდა. უფრო ახლოს იდგა ამ თვალსაზრისით ქართული ამქარი თურქულ ესნაფებთან, სადაც საქართველოს ამქარების მღვდლის ფუნქციებს რამდენიმე საგანგებო მოხელე (შეიხი, ნაიბი და დუაჯი) ასრულებდა.

¹⁸⁰ დამატება, 4, მუხლი 21.

¹⁸¹ იქვე, მუხლი 2.

¹⁸² იქვე, მუხლი 24.

საქიბის ყოველმხრივი შესწავლა გვიდასტურებს, რომ XVII—XVIII საუკუნეების ქართული ამქრული ორგანიზაციების დამოუკიდებლობა და შეუვალლობა არასრული, შეზღუდული იყო. უკვე ის გარემოება, რომ უსტაბაშს ამქციებდა თავად მეფე ან მის მიერ დანიშნული მოხელე, არღვევდა ამქრის ავტონომიას. უსტაბაში საქართველოს ქალაქებშიც, ისევე როგორც ირანსა და თურქეთში. ფაქტიურად სახელმწიფო მოხელედ იქცეოდა. იგი მოვალე იყო მეფის ან სახელმწიფო და საქალაქო ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელეების ყველა ბრძანება-განკარგულება დაუყოვნებლივ მოეყვანა ლისრულეში, მაშინაც კი, თუ ეს არ პასუხობდა ამქრის ეკონომიკურ ინტერესებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 1800 წლის 23 და 31 მარტით დათარიღებული გიორგი მეფის მიერ თბილისის ბაზრის ბაზაზბაშის კაკალას სახელზე გაცემული ორი საბუთი. პირველ მათგანში ნათქვამია: „ქ. ბაზაზ-ბაში კაკალავ, ოცდაორს ხევსურს ბაზრიდამ კაცის თავს ოთხ-ოთხი ტანი ფარჩა უნდა გაურიგო და მოსცე. ორს კაცსაც ოროლი ტანი მომატებული საუფროსო უნდა მოსცე“¹⁸³. არაა გამორიცხული, რომ საბუთში ნახსენები ფარჩა ბაზაზ-ბაშების ამქარს ზემოდან დადგენილი თანხის საფუძველზე უნდა გაეღო, რომელიც უფრო მცირე უნდა ყოფილიყო, ვიდრე სავაჭრო ნიხრით გათვალისწინებული ფასი. მეორე, 31 მარტის საბუთში აღნიშნულია შემდეგი: „ქ. ბაზაზ-ბაში კაკალავ, ბაზრიდამ ყაზიბეგის-შვილს გაბრიელს ოთხი თუმნის ფარჩა გაურიგე და მოეც. ამ კვირა ამის მეტი ბარათი აღარ დაიწერება შენზე“¹⁸⁴. მოტანილი საბუთების ქრონოლოგიური სიახლოვე და განსაკუთრებით მეორე საბუთის ფრაზა „ამ კვირა ამის მეტი ბარათი აღარ დაიწერება შენზე“ ნათლად გვიჩვენებს, რომ მეფე და საერთოდ ცენტრალური ხელისუფლება გამუდმებით მიმართავდა ბაზაზების ამქრის უსტაბაშს და საზოგადოდ ნებისმიერი პროფესიული გაერთიანების ხელმძღვანელებს ანალოგიური განკარგულებებით. თავისთავად ცხადია, რომ უსტაბაშები, ვითარცა მეფის მიერ დამქციებული და მის „სამსახურში ბეჭითად“ მყოფი მოხელეები, ზუსტად ასრულებდნენ ამ განკარგულებებს.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ უსტაბაშები ძალიან ხშირად მიზნად ისახავდნენ თავისი მდგომარეობა ამქრის თავისა და ხელმძღვანელისა თავის გასამდიდრებლად გამოეყენებინათ. ამით ოღონი,

¹⁸³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. III, თბ., 1955, გვ. 132.

¹⁸⁴ იქვე.

რა თქმა უნდა, უპირისპირდებოდნენ ამქრის წევრების, რიგითი ოსტატების ინტერესებს. ეკონომიკურად შეძლებული უსტაბაშები საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ და ქალაქის მოსახლეობის პრივილეგირებულ ფენას უახლოვდებოდნენ. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა, რომ ხსენებული ბაზაზ-ბაში კაკალა გვარად იფრუმოვი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოქალაქედ ითვლებოდა¹⁸⁵. ასეთივე შეძლებული და გავლენიანი მოქალაქე იყო მეწვრილმანეთა ამქრის უსტაბაშად გიორგი XII-ის მიერ ხელმეორედ დამტკიცებული ასლანა ზორაბოვი¹⁸⁶. ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენის, ე. წ. „მოქალაქეთა“ წარმომადგენლები სათავეში ედგნენ ხელოსნურ გაერთიანებებსაც. მაგალითად, 1803 წლის ერთ-ერთი ხარჯების ნუსხაში მოხსენიებული არიან კალატოზების უსტაბაში მოქალაქე გოგია კოტოვი და დურგლების უსტაბაში მოქალაქე პაპა ორანოვი¹⁸⁷. თავისი სიმდიდრისა და გავლენის წყალობით აღზევებული მსხვილი ამქრების უსტაბაშები, რომლებსაც ზოგჯერ კანონის საწინააღმდეგოდ ეს სამოხელეო ადგილი წლობით ეჭირათ, არა მარტო მიუძღვებოდნენ ამქრის ყველა მნიშვნელოვან საქმეს, არამედ ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს დამცველი და გამტარებლები იყვნენ თავის გაერთიანებაში. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ეწინააღმდეგებოდა ამქრის დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის პრინციპს.

ანალოგიური პროცესი შეინიშნებოდა XVII—XVIII საუკუნეების ირანისა და თურქეთის ქალაქებშიც. სეფიანთა სახელმწიფოში შაჰის მიერ უსტაბაშის დანიშვნა-დამტკიცება, ხოლო რიშეფიდების ქალანთარის მიერ დამტკიცება, მათაც ცენტრალური და საქალაქო ხელისუფლების მოხელეების ფუნქციებსაც აკისრებდა. ამასთანავე, ირანული ამქრების უსტაბაშებიც საკმაოდ ძლიერი იყვნენ ეკონომიკური თვალსაზრისით. ეან შარდენის ცნობით, უსტაბაშის თანამდებობა ფრიად შემოსავლიანი იყო და ამიტომ ბევრი ხელოსანი თუ ვაჭარი ცდილობდა მის მოპოვებას¹⁸⁸. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნული ფეოდალური კლასისა და ხელოსან-ვაჭართა ძლიერი ფენის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაახლოვება და ზოგჯერ დამთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVII—XVIII საუკუნეების ირანის ქალაქებში, კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ირანული ამქრების უსტაბაშები თავისი ეკონომიკური სიძლიერის შედეგად ქალაქის ზედაფენაში შედიოდნენ და იზიარებდნენ მათ სო-

¹⁸⁵ III. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, с. 385.

¹⁸⁶ იქვე.

¹⁸⁷ იქვე.

¹⁸⁸ Chardin, V, გვ. 355—356.

ციალურ-ეკონომიკურ მისწრაფებებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უსტაბაშები ირანულ ამქრებშიც შაჰისა და სამოქალაქო მოხელეების ნება-სურვილს ახორციელებდნენ, რაც ლახავდა პროფესიული გაერთიანებების ავტონომიას. ასეთივე მდგომარეობა იყო თურქეთის ქალაქებშიც. აქაური ესნაფების ქეთხულები ქალაქის „კეთილშობილი ხალხის (ეპლ-ე ეშრაფ) წრეში¹⁸⁹, ე. ი. მოსახლეობის ზედა ფენაში შედიოდნენ. ისინი თავისი მისწრაფებებით უფრო ახლოს იდგნენ კეთილშობილთა ფენაში შემავალი ფეოდალური კლასის წარმომადგენლებთან, ვიდრე ქალაქის უბრალო ხელოსნებთან და ვაჭრებთან. ეს გარემოება და აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქეთხულებს ესნაფებში რიგ შემთხვევაში ნიშნავდა ან ამტკიცებდა ცენტრალური ან ქალაქის ხელისუფლება, კარნახობდა მათ ერთგული სამსახური გაეწიათ ფეოდალური სახელმწიფოსათვის. ეს კი ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდა ესნაფის ეკონომიკურ ინტერესებს და იმავე დროს არღვევდა მისი დამოუკიდებელი მმართველობის პრინციპს.

ქართული ამქრის დამოუკიდებლობა და შეუვალობა ილახებოდა აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლებისა და ქალაქის ხელმძღვანელობის ჩარევით მის იურისდიქციაში, მისთვის ხშირად არახელსაყრელი გასაყიდი ფასების ნიხრის დადგენით, მასზე გაწერილი გადასახადების აკრეფა-შეგროვების არსებული წესით, ყოველდღიური მკაცრი კონტროლით და ა. შ. ცენტრალური ხელისუფლების დაინტერესება ამქრის ცხოვრება-საქმიანობით განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება იმ ფაქტში, რომ იგი ამტკიცებდა თვით ამქრის სტატუტებსაც კი. ეს კარგად ჩანს 1799 წლის თბილისის მეწვრილმანეთა პირობის წიგნიდან, რომელშიც ნათქვამია: „ამ წიგნის ერთი სხუა იყო, ბატონის და მოხელისგან დამტკიცებული და ჩვენგან კელმოწერილი“¹⁹⁰. ე. ი. ცენტრალური ხელისუფლება, თავად მეფე და მისი როხელები ამქრის შინაგანაწესშიც კი ერეოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, რადგან პირობის წიგნებში უმთავრესად ამქრის ცხოვრების სწორედ ეს მხარე იყო აღნუსხული.

თავისთავად ცხადია, რომ ფეოდალურ სახელმწიფოს ამქარი აინტერესებდა უპირველეს ყოვლისა, როგორც შემოსავლის წყარო, რადგან საქალაქო გადასახადების ძირითადი გადამხდელები პროფესიულ ორგანიზაციებში გაერთიანებული ოსტატები და ვაჭრები, აგრეთვე ერთპიროვნული ხელოსან-ვაჭრები იყვნენ. ამდენად, სრულიად გასაგებია, რომ ცენტრალური და ქალაქის ხელისუფლება ცდილობდა თა-

¹⁸⁹ М. С. Мейер, К характеристике экономической жизни городов Османской империи в XVII веке, Проблемы генезиса капитализма, М., 1978, с. 260.

¹⁹⁰ დამატება, 1.

ვისი კონტროლის ქვეშ დაეყენებინა ამქრები და მათი საქმიანობაც თავისი ინტერესების შესაბამისად წარემართა. სწორედ ფისკალური მიზნები უკარნახებდა ფეოდალურ სახელმწიფოს თვალყური ედევნებინა ამქრული ორგანიზაციების საქმიანობისათვის, ენერგიულად ჩარეულიყო მის შინაგან ცხოვრებაში, შეგნებულად დაერღვია მისი ავტონომია და თავისი კონტროლისა და მორჩილების ქვეშ დაეყენებინა ისინი.

ამასთანვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამქარი საქართველოში, ისევე როგორც ყველგან შუა საუკუნეების ქვეყნებში, ხელოსნების, სხვადასხვა შეძლების ვაჭრების და სხვა პროფესიების წარმომადგენელთა კონსოლიდაციის მნიშვნელოვანი საშუალება იყო. ქალაქის დაბეგრული მოსახლეობის გაერთიანება ამქრულ ორგანიზაციებში სოციალურად საშიში იყო ფეოდალური სახელმწიფოსათვის. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც თბილისის აქრების 1865 წლის მძლავრი გამოსვლა. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ ამქრის ცხოვრება-საქმიანობის კონტროლი ფეოდალური სახელმწიფოს კლასობრივ ინტერესებსაც პასუხობდა.

ასეთი იყო ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ფეოდალური სახელმწიფო ცდილობდა (და სერიოზული წარმატებითაც) თავისი ეკონომიკური და კლასობრივი ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა ამქრული ორგანიზაციები, არ დაეშვა მათი დამოუკიდებელი საქმიანობა და მმართველობა. ამდენად, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა ობიექტური პირობები ამქრების სრული შეუვალობის, ავტონომიისა და თვითმმართველობის განვითარებისათვის. ყველა ეს პრინციპი შელახული და დარღვეული იყო ფეოდალური კლასის ინტერესების გამომხატველი ცენტრალური ხელისუფლების და მისი ბიუროკრატიული აპარატის მიზანსწრაფული საქმიანობის შედეგად. ამქრები დამოუკიდებლად განაგებდნენ მხოლოდ ზოგიერთ შინასამქრო საქმეს (საწარმოო პროცესს, ხამი მასალის განაწილება, შეგირდების განსწავლა-გაწაფვა, მცირე დანაშაულის განხილვა და ა. შ.).

ამავე მიზეზების წყალობით არ განვითარდა ამქრული ორგანიზაციების სრულყოფილი ავტონომია და თვითმმართველობა ირანის¹⁹¹, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის¹⁹² და თურქეთის ქალაქებშიც¹⁹³. ირანუ-

¹⁹¹ К. К. Куцня, О характере самоуправления аснафов в городах Сефевидского Ирана XVII в., с. 134—137.

¹⁹² კ. კუცია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII საუკუნეებში, გვ. 164—170.

¹⁹³ G. Baer, Administrative Economic and Social functions of Turkish Guilds, გვ. 34—36; Guila Kaldy-Nagy, Rural and Urban life..., გვ. 372; M. C. Маффер, К характеристике экономической жизни городов Османской империи в XVII веке, с. 260.

ლი ასნაფებიც და თურქული ესნაფებიც ცენტრალური ხელისუფლები და ქალაქის სამოხელეო ადმინისტრაციის ზეგავლენას განიცდიდნენ, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათ ავტონომიას ადმინისტრაციულ, ფინანსურ და თვით სამეურნეო სფეროშიც.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმ ზოგიერთი განსხვავებისა, რომელიც ახასიათებდა საქართველოს, ირანისა და თურქეთის ქალაქების ამქრულ ორგანიზაციებს, ფეოდალურ სახელმწიფოს სამმართველო აპარატთან და ქალაქის ხელისუფლებასთან ურთიერთობა-დაპოკიდებულების თვალსაზრისით მათი მდგომარეობა არათუ მსგავსი, არამედ იდენტურიც იყო. სამივე ქვეყანაში ამქრული ორგანიზაციები დანორჩილებულ-დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რაც სავსებით გამორიცხავდა მათი სრული თვითმმართველობის და ავტონომიის ჩამოყალიბებას და განვითარებას. ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკა ამქრული ორგანიზაციების მიმართ, რომელიც მიზნად ისახავდა მათ ჩვეულებრივ ფეოდალურ ორგანიზაციებად გადაქცევას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ გასახელმწიფოებრიობას, აბრკოლებდა პროფესიული გაერთიანებების დაპოუკიდებელ პროფესიულ-სოციალურ ორგანიზმებად საბოლოო ჩამოყალიბებას, ხელს უშლიდა მათი ფუნქციების (წარმოების მოწესრიგება-რეგულირება, ნაპროდუქციის გასაღება, მართლმსაჯულება, თავდაცვა, ურთიერთდახმარება და სხვ.) შემდგომ განვითარებას.

მეოთხე თავი

ამჟრის სტატუტები

როგორც დავინახეთ, შუა საუკუნეების ქართული ამქრები ფეოდალური ქალაქის პირობებში გარკვეულ პროფესიულ-სოციალურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ამქარი თავისი არსით პროფესიულ-სოციალური და აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გაერთიანება იყო, რომლის ყოველდღიურ მოღვაწეობას კონტროლს უწევდა ცენტრალური ხელისუფლება და ფეოდალური ქალაქის სამოხელეო აპარატი. სწორედ ეს ფაქტი ლახავდა მის ავტონომიას და თვითმმართველობას, რადგან, როგორც აღინიშნა, ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკური თუ კლასობრივი ინტერესები სრულიად გამორიცხავდა ქალაქის უმთავრესი საწარმოო თუ სავაჭრო ორგანიზაციების სრულყოფილი ავტონომიის გაჩენა-განვითარებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი იმის მტკიცება, თითქოს ამქარი და მისი ადმინისტრაცია დამოუკიდებლად არ სწყვეტდა თავისი საქმეების გარკვეულ ნაწილს. ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო, რომ ამქრის შინაგანი ცხოვრების ისეთი სფეროები, როგორც იყო საწარმოო პროცესი, შეგირდის აღზრდა-გაწაფვა, მართლმსაჯულება, ამქრის წევრების ზნეობის დაცვა, საფინანსო საქმეების მოგვარება და ა. შ., მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ამქრის ადმინისტრაციის საკითხავი იყო. თითოეულ პროფესიულ ორგანიზაციაში არსებობდა გარკვეული შინაგანაწესი, რომლის საფუძველზე ხდებოდა ამქრის ყველანაირი საქმიანობის მოგვარება-მოწესრიგება.

ამასთან დაკავშირებით სრულიად კანონზომიერად დგება საკითხი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა ქართულ ამქრებს წერილობითი სტატუტები, პირობის წიგნები. სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ამ საკითხს, როგორც წესი, უარყოფითი პასუხი მოსდევდა, თუმცა უკვე ბარონ ავგუსტ ფონ პაქსთაუზენი წერდა, რომ თბილისში „ყველა ხელობას აქვს კანონების წერილობითი კრებული (ე. ი. სტატუტი — კ. კ.) (მეწაღეთათვის კანონების კრებული შედგენილია მეფე ერეკლე I-ის დროს); შემდგომ ისინი თვითნებურად იქნა შეცვლილი“¹. გერ-

¹ А. Гакстгаузен, Закавказский край, 1857, с. 107.

მანელი ავტორის ეს ცნობა გამართლდა შემდგომი აღმოჩენებით. როგორც ცნობილია, უკვე 1898 წელს თბილისში სომხურ ჟურნალში „ლუმა“ („სხივი“) დაიბეჭდა ახლად აღმოჩენილი თბილისის ოქრომკედელთა პირობის წიგნი, რომელიც სომხურ ენაზეა შედგენილი. უფრო მოგვიანებით, ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში პროფ. შ. მესხიამ გამოაქვეყნა მის მიერ მიკვლეული საქართველოს ქალაქების ამქრების ორი სტატუტი: თბილისის მეწვრილმანეების პირობის წიგნი² და ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდება³. მის მიერვე აღმოჩენილ იქნა მეწვრილმანეებისა და მესანთლეების კონკურენციის „აქდენის“ პირობა⁴.

ამრიგად, დღესდღეობით ისტორიული მეცნიერების განკარგულებაშია ოთხი უაღრესად საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ გვიანი შუა საუკუნეების ქართული ამქრების სტრუქტურა, მათი საწარმოო, სავაჭრო და სოციალური ფუნქციები. დასახელებული სტატუტები გვიანდელი წარმომავლობისაა. მათ შორის ყველაზე ადრინდელია მეწვრილმანეების პირობის წიგნი, რომელიც 1799 წლით თარიღდება. ამავე წელსაა შედგენილი მეწვრილმანეთა და მესანთლეთა კონკურენციის „აქდენის“ პირობის წიგნი. ქუთაისის მეპურეთა წესდების თარიღია 1871 წელი და იგი ყველაზე გვიანდელია საქართველოს ქალაქების ამქრების წესდებათა შორის. რაც შეეხება თბილისის ოქრომკედელთა ამქრის სომხურ ენაზე შედგენილ წესდებას, იგი შედგენილი უსცა იყოს დაახლოებით XIX ს-ის პირველ მეოთხედში.

როგორც ვხედავთ, ჩვენამდე მოღწეულ სტატუტებიდან ყველაზე ძველია XVIII საუკუნის მიწურულს (1799) შედგენილი მეწვრილმანეების პირობის წიგნი. მაგრამ ეს სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, თითქოს საქართველოს ამქრებში პირველად ამ დროს ჩნდება წერილობითი წესდებები. ჩვენი აზრით, პირველი სტატუტები საქართველოს ამქრებში უნდა გაჩენილიყო არაუგვიანეს XVII საუკუნისა, რადგან სწორედ ამ ხანაში იწყება საქალაქო ცხოვრების აღმავლობა, რასაც მკიდროდ უკავშირდება ამქრული ორგანიზაციების ფართო გავრცელება და ამქრული სისტემის ჩამოყალიბება-სრულყოფა. ამქრის, როგორც პროფესიული და სოციალური ორგანიზმის საბოლოოდ გაფორმებამ, ამქრული ცხოვრების გართულებამ მოითხოვა წერილობითი

2 მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შუა-სავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, თბ., 1948, გვ. 34—35.

3 შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 111, 1949, გვ. 151—152.

4 იქვე, გვ. 149—150.

სტატუტების შექმნის აუცილებლობა, რადგან ამქრის მრავალნაირი ფუნქციების მოწესრიგება უკვე აღარ ხერხდებოდა ადათობრივი ნორმების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული წესდებები, განურჩევლად მათი მოცულობისა და შედგენის დროისა (XVIII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის 80-იანი წლების დამდეგამდე) სრულიად ჩამოყალიბებული სახისაა. ეს გარემოება კი თავისთავად გამორიცხავს იმ თვალსაზრისს, რომ ამქრული წესდებები საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს ჩნდება. ისტორიულ ჰემარიტეტასთან უფრო ახლოს იქნება ვარაუდი, რომ ისინი ორი ან საუკუნენახევრის განვითარების ნაყოფს წარმოადგენდნენ. ამქრული წესდებები რომ ევოლუციას განიცდიდნენ, კარგად ჩანს ავგუსტ ჰაქსთაუზენის ზემომოყვანილი ცნობიდან, რომლის თანახმადაც ერეკლე I-ის დროიდან (1688—1703), როდესაც შედგენილი იყო ზოგიერთი ამქრის სტატუტი, ისინი „დროთა მანძილზე ნებისმიერად შეიცვალნენ“. როგორც ჩანს, ეს ევოლუცია გამოწვეული იყო თავად ამქრის წიაღში მომხდარი ცვლილებებით და ამქრის დამოკიდებულების ხასიათით ცენტრალურ ხელისუფლებასთან. საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ფეოდალური სახელმწიფო მიზნად ისახავდა ამქრის მთელი საქმიანობის თავის ეკონომიკურ და კლასობრივ ინტერესებისათვის დამორჩილებას. ამდენად იგი ითვისებდა წესდების დამტკიცება-დადასტურების ფუნქციას. უკვე ჰაქსთაუზენის ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ერეკლე I-ის მეთვალყურეობით წარმოებდა წესდებათა შედგენა და თავად მეფე ამტკიცებდა ამქრის საქმიანობა-მოღვაწეობის კანონთა ამ კრებულს. ეს ფაქტი განსაკუთრებით ნათლად იკვეთება 1799 წლის თბილისის მეწვრლმანეთა პირობის წიგნის მონაცემებიდან. ირკვევა, რომ წესდებას ამტკიცებდა „ბატონი“, ე. ი. მეფე და „მოხელე“. ეს უკანასკნელი შეიძლება ყოფილიყო ქალაქის მელიქ-მამასახლისი⁵. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მეწვრილმანეებისა და მესანთლეების კონკურენციის „აღდენის“ წიგნი დამტკიცებულია თბილისის მელიქ-მამასახლისის დარჩი ბებუთაშვილის მიერ⁶. ამათ გარდა ამქრის სტატუტის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებდა თავად ამქრის უსტაბაშიც, რომელიც, როგორც თავის დროზე დავინახეთ, თავადვე ექვემდებარებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და როგორც მის მიერ დანიშნული, გარკვეული თვალსაზრისით მისივე მოხელე იყო. მაგალითად, 1799 წლის მეწვრილმანეთა წესდებაში ნათქვამია: „ამ წიგნის ერთი სხუა იყო, ბა-

5 III. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, с. 353.

6 იქვე, გვ. 354.

ტონის და მოხელისგან დამტკიცებული და ჩვენგან კელმოწერილი, ისევე ჩვენ ჰამქარში დაიქარგა და ეს ახალი დავწერეთ“⁷. ამრიგად, წესდების ძალაში შესაყვანად „ბატონისა და მოხელის“ გარდა აუცილებელი იყო ამქრის თავის ხელმოწერაც ანუ დამტკიცებაც.

ერთი სიტყვით, ცენტრალური ხელისუფლება XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში აქტიურად მონაწილეობდა წესდების შედგენაში, ამტკიცებდა მას და, ცხადია, კონტროლსაც უწევდა მასში გათვალისწინებული წესების ზუსტად აღსრულებას. ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი საბუთია ქართული ამქრების დამოკიდებული მდგომარეობისა, რადგან ცენტრალური ხელისუფლების პეროგატივა სტატუტების დამტკიცება-დადასტურების სფეროში არღვევდა მათ ავტონომიზმს და თვითმმართველობას.

საქართველოს ქალაქების ამქრების წესდებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თბილისის ოქრომჭედელთა სტატუტს. რომელიც შედგენილი უნდა იყოს XIX ს-ის პირველ მეოთხედში. ამ ძეგლში მთელი სიგრძე-სიგანით არის ასახული ამქრის მოღვაწეობა-საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამქრის ადმინისტრაციული აპარატის არჩევის წესებს და მთავარი მოხელეების, ე. ი. უსტაბაშისა და მისი მრჩეველების ძირითადი ფუნქციების აღწერას. ფაქტიურად არ არსებობდა ამქრის ცხოვრების არც ერთი სფერო (საწარმოო, სავაჭრო, სამართლის, ზნეობის, ოსტატებისა და ოსტატ-შეგირდების ურთიერთობა, კონკურენციის აღკვეთა ამქრის წევრებს შორის, მათი ეკონომიკური და უფლებრივი თანასწორობის დაცვა და სხვ.), რომელზეც მათ ხელი არ მიუწვდებოდათ და რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა მათ აზრს. ამქრის მართვა-გამგებლობაში გარკვეულ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ამქრის მწერალი და იგიობაში. თითოეული ამ მოხელის უფლება-მოვალეობანი დაწვრილებით არის გადმოცემული ოქრომჭედელთა წესდებაში. გათვალისწინებულია აგრეთვე ამქრის სამართლის უმთავრესი ნორმები, დანაშაულისა და სასჯელის უმთავრესი სახეები და სხვ. საგანგებო მუხლები ეთმობა ამ ძეგლში ამქრის წევრების — ოსტატ-იუველირთა ძირითად ფუნქციებს. შეიძლება ითქვას, რომ წესდება მოიცავს ოსტატის ცხოვრება-საქმიანობის ყველა მხარეს, როგორც საწარმოო, ასევე ყოფით და ზნეობრივ სფეროებს. დიდი ადგილი უჭირავს წესდებაში შეგირდის ხელობაში გაწაფვის წესებს, მათ უფლებებს, მათ ურთიერთობას ოსტატებთან და საზოგადოდ ამქრის ხელდასახმის წესს და ა. შ.

უფრო ლაკონური ხასიათისაა 1799 და 1871 წლებში ქართულ

⁷ დამატება 1.

ენაზე შედგენილი წესდებები. პირველი მათგანი 12, ხოლო მეორე 10 მუხლისგან შედგება. მაგრამ მიუხედავად მათი სიმცირისა, ისინი მაინც შეიცავენ ფრიად მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებშიც ასახულია ამქრული ცხოვრების უმთავრესი მხარეები — ადმინისტრაციული მმართველობა, საქონლის ყიდვა-გაყიდვის წესების, ოსტატების ურთიერთმოვალეობანი, შეგირდების მღვთაშრობა და სხვ. მაგრამ ოქრომქედელთა სტატუტიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი ანალოგიური მუხლების გვერდით მეწვრილმანეთა და მეპურეთა ამქრების წესდებაში დამოწმებულია ზოგიერთი ისეთი პუნქტი, რომელსაც არ შეიცავს სომხურ ენაზე შედგენილი წესდება. მაგალითად, ორივე ქართული სტატუტი ითვალისწინებს საგანგებო გადასახადს ახალი დუქნის გახსნისათვის. ქუთაისის მეპურეთა 1871 წლის წესდებაში ზუსტად არის განსაზღვრული ამ გადასახადის თანხა. მასში ნათქვამია: „ვინც ჩვენს ანქარში ახალი დუქანი გა(ა)ლოს, მან გარდაიხადოს დუქნის გასაღები თუთხმეტი მანეთი“⁸. 1799 წლის თბილისის მეწვრილმანეთა სტატუტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეცხრე მუხლი, რომელიც აწესებს სასჯელს ამქრის წევრების მიერ გადასახადებისა და ბეგარის თავიდან აცილებისათვის — „ვინც რომ ამ ზემოწერილის ძალით თავისი რასათი (წილი—კ. კ.) ხარჯ(ი)ს და ბეგარას მიცემა არ მოინდომოს, ჩვენის ძმობიდან გავიდეს, არცა ჩვენთან საქონლის წილი მიეცესთ, არც იმასთან პური ვკამოთ, არც იმის მკუდარზედ მივიდეთ“⁹. ძალიან საინტერესოა ამავე წესდების ერთ-ერთი თხზილი, რომელშიც ასახულია ამქრის ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ქალაქის სამოხელეო აპარატთან: „თუ ბატონთან წასვლა იყოს, თუ მოხელესთან, თუ საქონლის სყიდვაზედ, ოსტატი (ე. ი. უსტაბაში — კ. კ.) ასლანა და წილზედ ერთი კაცი წავიდეს. რაც ამათ გაარიგონ, ჩვენი ყაბული არის“¹⁰. ანალოგიური პუნქტი არ არის წარმოდგენილი საქართველოს ქალაქების ამქრების არც ერთ სხვა წესდებაში.

წესდებებში გათვალისწინებული ნორმები სავალდებულო იყო ამქრის ყველა წევრისათვის, მათ კანონის ძალა ჰქონდათ და მათი დარღვევა მკაცრად ისჯებოდა. სასჯელის უმაღლესი ზომა, როგორც თავის დროზე აღინიშნა, დამნაშავეის ამქრიდან სამუდამო მოკვეთა და ქალაქის ხელისუფალთათვის გადაცემა იყო.

დასახელებული ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათში ძალიან ნაკლებად არის წარმოდგენილი რელიგიური ელემენტები. ფაქტიურად ამქრის ცხოვრების სარწმუნოებრივი მხარე მათში ამოიწუ-

⁸ დამატება, 2, მუხლი 7.

⁹ დამატება, 1, მუხლი 9.

¹⁰ დამატება, 1, მუხლი 12.

რება რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის მოთხოვნით. ავღაბ-
რის იუველირთა წესდებაში ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ამ-
ქრის ხელისუფლების მიერ ფიცის მიცემისა და შეგირდის ოსტატად
დალოცვის ცერემონიალში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიეღო
ამქრის მიერ არჩეულ მღვდელს, რომელიც ამისათვის საგანგებო გა-
სამრჩელოს იღებდა.

ამრიგად, რელიგიურ-სარწმუნოებრივი მომენტები მინიმუმამდე
არის დაყვანილი საქართველოს ფეოდალური ქალაქების ამქრების
წესდებებში. ამით ისინი მკვეთრად განირჩევიან სპარსულ და შუა-
აზიურ რისალებებისგან და თურქულ ფუთუვათ-ნამეებისგან. სპარსულ
ენაზე შედგენილმა შუააზიურმა ხელოსნურმა რისალებმა, რომლებ-
ბიც შიიტური ისლამის იდეოლოგიით არის გამსჭვალული, საკმაო რაო-
დენობით მოაღწია ჩვენამდე. ისინი უმთავრესად XVIII—XIX საუ-
კუნეებით თარიღდებიან. სხვადასხვა ხელობის რისალე ერთი შემუშა-
ვებული ტრაფარეტის მიხედვით დგებოდა. თავდაპირველად წარმო-
დგენილი იყო ალაჰისა და მისი მოციქულის დიდების ფორმულა, შემდეგ
მოთხრობილი იყო ხელობის ისტორია, რომლის გადმოცემა მიეწერებო-
და მეექვსე იმამს ჯაფარს. ამას მოჰყვებოდა მუსლიმანური სარწმუ-
ნოების უმთავრესი დოგმების გადმოცემა და მუსლიმანური სამყაროს
ისტორიის ძირითადი მომენტების თხრობა, რომელიც ინტერპირე-
ბული იყო მართლმორწმუნე მუსლიმანის ანუ შიიტის თვალსაზრისის
მიხედვით¹¹. და მხოლოდ ყოველივე ამის შემდგომ მოკლედ იყო აღ-
ნუსხული ოსტატებისა და შეგირდების ქცევის ნორმები, მათი ურთი-
ერთდამოკიდებულება, ოსტატად ხელდასხმის წესები, გაშუქებული
იყო ზოგიერთი საწარმოო საკითხი¹².

სპარსული რისალე თავისი შინაარსით, ხასიათით და ფორმით უა-
ხლოვდება თურქულ თუფუვეთ-ნამეებს, თუმცა ეს უკანასკნელები,
გასაგები გარემოების გამო, სუნიტური სულისკვეთებით იყო გამსჭვა-
ლული. ფუთუვეთ-ნამე ჰქონდა ყველა ესნაფს თურქეთის ქალაქებში.
მასში, ისევე როგორც რისალეში, უმთავრესი ადგილი ეჭირა რელი-
გიურ გადმოცემებს, ხელობის სიწმინდის აღიარებას, სარწმუნოებრივ-
ზნეობრივი ნორმების აღნუსხვას, რომელთა შესრულება ევალებოდა
ესნაფის ოსტატებს, ხალიფებს და შეგირდებს¹³. ამ რელიგიურ-მის-

¹¹ Рисоля сартовских ремесленников, Исследование преданий мусульман-
ских цехов. Собрал и перевел М. Гаврилов, Ташкент, 1912, с. 1—4; Н. А.
Кузнецова, Ремесленные рисале, Краткие сообщения Института восто-
коведения, М., 1956, с. 92—93.

¹² Рисоля сартовских ремесленников..., с. 29, 42, 47; Н. А. Кузнецо-
ва, Ремесленные рисале, с. 93.

¹³ В. А. Гордлевский, О Футуветнаме (справке), Избранные со-

ტიკურ გარემოცვაში იკარგება ის ზოგიერთი ცნობა, რომელიც ეხება ესნათის წევრთა პრაქტიკულ საქმიანობას, ოსტატებისა და შეგირდების ურთიერთმოვალეობას, ხელობისათვის საჭირო აუცილებელ ინსტრუმენტებს, ოსტატად ხელდასხმის ცერემონიალს და სხვ.¹⁴

რისაღესა და ფუთუვეთ-ნამეში რელიგიური მომენტების აშკარა დომინირება, როგორც ჩანს, გახდა ერთ-ერთი საფუძველი არასწოთი თვალსაზრისისა, რომ თითქოს მუსლიმანურ აღმოსავლეთში (ირანი, თურქეთი, შუა აზია...) ამქარი უფრო სასულიერო-რელიგიურ ძმობას წარმოადგენდა, ვიდრე პროფესიულ გაერთიანებას. სინამდვილეში შუა საუკუნეების ირანის, შუა აზიისა და თურქეთის ქალაქებში არსებული ამქრები ისეთივე პროფესიულ-სოციალური ორგანიზაციები იყვნენ, როგორც საქართველოში. მათი უმთავრესი დანიშნულება საწარმოო-სავაჭრო საქმიანობა, შეგირდების გაზრდა-გაწაფვა და თავისი წევრების ყველანაირი ინტერესების (ეკონომიკური, უფლებრივი, სოციალური) დაცვა იყო, თუმცა ამქრის მთელი ცხოვრება, როგორც ეს საზოგადოდ დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ყველა ქვეყნისათვის, აქაც სარწმუნოებრივი საბურავით იყო გარემოსილი. ანალოგიური ვითარება იყო აგრეთვე საქართველოს ფეოდალურ ქალაქებშიც. მაგრამ ქართული ამქრების წესდებებში, როგორც აღინიშნა, ამქრის ცხოვრების სარწმუნოებრივი მხარე მინიმუმამდე იყო დაყვანილი. იმ დროს როდესაც რისაღებსა და ფუთუვეთ-ნამეებში მას დომინირებული ადგილი ეკირა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, იყო ის გარემოება, რომ რისაღე და ფუთუვეთ-ნამე არ წარმოადგენდა ამქრის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ წესდებას, სტატუტს. ეს იყო მხოლოდ საფეხური, რომელსაც შუალედი ადგილი ეკირა სარწმუნოებრივი სულისკვეთებით გაქლენთილი ხელობაზე არსებული გადმოცემებისა და რელიგიური ნორმების კრებულსა და ამქრის წესდებას შორის. მათთან შედარებით ჩვენამდე მოღწეული ქართული ამქრების სტატუტები აშკარად უფრო წინგადადგმული ნაბიჯია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ამქრის ყველა წევრს. თავისი შინაარსით და დანიშნულებით ისინი უახლოვდებიან შუა საუკუნეების ევროპის ქალაქების (იეზების სტატუტებს, რომელშიც რეგლამენტირებული იყო იეზების შინაგანი ცხოვრება, ოსტატების, ქარგლებისა და შეგირდების ურთიერთდამოკიდებულება. მათი უფლება-მოვალეობანი, პროდუქციის დამზადების თუ რეალიზაციის წესები, ცეხის სამართლის წარმოება და სხვ.

числения, т. I, Исторические работы, М., 1960, с. 307—318; А. А. Аджаян, М. К. Зулалян, Ремесленное производство в Стамбуле в первой половине XVII века, с. 183—184.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ გვიანი შუასაუკუნების საქართველოს ქალაქების ამქრები რთულ ფენომენს წარმოადგენდნენ. მათში კონცენტრირებული იყო აღმოსავლური და ევროპული პროფესიული გაერთიანებების მრავალი ნიშანი. ამავე დროს მათ შემადგენლობაში, სტრუქტურაში, ადმინისტრაციულ მმართველობასა და ფუნქციებში მკვეთრად იყო გამოხატული ზოგიერთი სრულიად განსხვავებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისება.

ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს დაეასკვნათ, რომ გვიანი ხანის საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში არსებობდა განსაკუთრებული ტიპის პროფესიული ორგანიზაციები, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „ქართული ამქრები“.

დამატებები

დამატება 1

მეფერილმანების პირობის წიგნი

„ჩვენ ერთობ მეწერილმანე[ე]ბმა ესე პირობის წიგნი დავდევით:

1. ჩვენში დიდი დიღათ უნდა იყოს და პატარა პატარათ და ერთ-მანერთის წინაღმდეგი არ უნდა ვიყუნეთ.

2. რაც საწერილმანო მოვიდეს, ცოტა თუ ბევრი, საერთო[დ] უნდა ვიყიდოთ. ვინც თავი წილი აიღოს, თავი ხარჯი მისცეს; ვინც ნახევარი წილი აიღოს, ნახევარი ხარჯი მისცეს; ვინც ჩარევი¹ წილი აიღოს, ჩარევი ხარჯი მისცეს.

3. ვინც მალვით საქონელი იყიდოს, საბუთი უყოთ. ამ საქონლი სა ნახევარი ჰამქრის მასრაფში² მისცეს.

4. ვინც ახალი ღუქანი გააღოს, ჰამქრის იოლი³ გასწიოს.

5. ვინც[ე] კვირა გასტეხოს, ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში მისცეს.

6. ვინც მკვდარზედ დააკლდეს აბაზი იოლი აქვს.

7. თუ ჰამქრის საქმე რამ იყოს, იგიღბაშმა⁴ შეატყობინოს და არ მოვიდეს ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში უნდა მისცეს.

8. ვინც რომ იცოდეს თავის საქონელი მიუყიდნია და ის საქონელი უკან მა[ა]ცემინოს და თითონ მიყიდოს, იმისი ნახევარი ფასი წაერთოს და ჰამქრის გასაღებში და მასრაფში მისცეს.

9. ვინც რომ ამ ზემოწერილის ძალით თავისი რასათი⁵ ხარჯ[ი]ს და ბეგარას მიცემა არ მოინდომოს, ჩვენის ძმობიდან გავიდეს, არცა ჩვენთან საქონლის წილი მიეცესთ, არც იმასთან პური ვჰამოთ, არც იმის მკუდარზედ მივიდეთ.

10. რომელმაც სოვდაგარმა თავის მაზანდით საქონელი ჩვენ არ მოგვეყიდოს, თითონ წ[ვ]რილად ყიდვა მოინდომოს, ერთობ ყველამ უნდა ველაპარაკოთ.

11. რომელიც ჩვენის ხელობის საქონელს ყიდდეს, იმასაც ერთობით ველაპარაკოთ.

12. თუ ბატონთან წასვლა იყოს, თუ მოხელესთან, თუ საქონლის

სყიდვაზე, ოსტატი⁶ ასლანა და წილზედ ერთი კაცი წავიდეს. რაც ამათ გაარიგონ, ჩვენი ყაბული არის.

ამ წიგნის ერთი სხუა იყო, ბატონის და მოხელისგან დამტკიცებული და ჩვენგან ხელმოწერილი⁷, ისე ჩვენ ჰამქარში დაიკარგა და ეს ახალი დაწვერეთ, ენკენისთვის კვ (26) გასულს, ქკს უპზ (1799).

იმ დაკარგულს წიგნში, რომ ჩემი საოსტატო რომ თუმანზედ⁸ აბაზი იყო დაწერილი, ახლა ორ შაურს დამაჯერეს და მეც ვიყაბულე. უსტაბაში ასლანა მე სტეფანე ზოპრაბოვი ასლანა.

ეს წერილი ქვემოთ⁹ სსენებულ კაცებს ეყაბულეზინათ და თავიანთი ყაბულუობის მოწმობა დამაწერიენს¹⁰. დაწვერე ამათის ყაბულუობით და მოწამეცა ვარ. ციხის — დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერმელექსეთოვი, გიორგობის ვ (16), ქკს უპზ (1800 წ.) ბეჰელი, ტექსტს მოსდეეს ამქრის 17 წევრის ხელმოწერა.

და მ ა ტ ე ბ ა 2

1871 წლის ჭუთაისის მეპატრონეთა ამქრის წესდება

ჩყოა-სა (1871) წელსა, იანვარს კ, ოცსა რიცხვსა. ქვემოთე ამის ხელისმომწერმან, ქუთუთისის მეპატრონებმა დავსდევეთ ესე ხელწერილი:

1. ერთმანეთის ნებით და თანხმობით, რომელი ჩვენ ამევიჩიეთ უსტაბაშათ ისეთივე ძველი უსტაბაში ნიკოლოზ მურისიძე და აყსაყალოთ¹ ისეთივე სიმონა ცუცხაშვილი და პეტრე კაციტაძე.

2. ამ ამორჩეულმა სამმა კაცმა უნდა მართოს საქმე ანქარში² სვინდისიერად და კანონისამებრ — რაც შეეხებოდნენ, და აგრეთვე ჩვენ ამქარმან არ ვიწინააღმდეგოთ თქვენს წინაშე.

3. ამის გარდა, რომელმაც ჩვენს ანქარში დუქანს მიუმატოს შეცილებით, შტრაფი ეკუთვნის შეცილებით, შტრაფი ეკუთვნოდა ოცდახუთი მანეთი.

4. და აგრეთვე, ვინც ჩვენს ანქარში ერთმანეთს უნებლათ მოჯამაგირეს მოუმატოს და თავისთვის შეინდომოს გასაყვანათ, იმ კაცმა გარდაიხადოს შტრაფი, ერთი თუმანი გარდაიხადოს.

5. აგრეთვე შეგიჩიოთ ერთი ერთმანეთში ვინც შეაცდინოს და გაიყვანოს, მას ეკუთვნება შტრაფი ერთი თუმანი, და

6. თუმცა დაულოცავმა კაცმა დალოცვილს ოსტატს შეაგინოს, იმ კაცმა გარდაიხადოს ერთი ოქრო.

7. ეგრეთვე, ვინც ჩვენს ანქარში ახალი დუქანი გა[ა]ლოს, მან გარდაიხადოს დუქნის გასაღები თუთხმეტი მანეთი.

8. ეს ხსენებული ღუქნის გასაღები და სხვაცა შტრაფებიცა სა-
[ა]მკროთ დაიდვას და დაიხარჯოს.

9. ეგრეთვე, ერთმა მეორეს ქუჩაში პური არ შეუტანოთ გასას-
ყიდლად და არც ერთმანეთს მიიკიტანი წავართვათ პურის მომატებით.
უკეთუმცა მოუმატოს, ერთი ოქრო გარდაიხადოს.

10. აგრეთვე, ვინც ანქარში წინააღმდეგობა გას[წიოს] ამ წესი-
სამებრ დაისაჯოს.

ამ წერილს ვწერ და თანახმა ვარ მეპურე სიმონა კაციტაძე.

სხვადასხვა ხელით: ხელს ვაწერ ნიკოლოზ მურისიძე და რადგან ნიკო-
ლოზ მურისიძემ წერა არ იცოდა, მისის თხოვნით,
მის მაგიერ ხელს ვაწერ პრაპორჩიკი საჩინო გე-
გელაშვილი.

და მ ა ტ ე ბ ა 3

ხელოსანთა შესახებ

1. ყველა ხელოსანი მოვალეა კარგად გაიწაფოს და დაეუფლოს შე-
სასწავლ ხელობას და შემდეგ თავისუფლად იმუშაოს სხვებისთვის. თუ
ვინმე სრულყოფილად არ არის დაუფლებული ხელობას და გაავრცე-
ლებს ხმას, რომ იგი გაწაფულია ხელობაში და თავისი უმეტრების
მიზეზით ვისმეს დააზარალებს, როდესაც ეს გამოაშკარავდება და გა-
მოძიებით დამტკიცდება, რამდენითაც სხვა დააზარალა, ზუსტად იმდენ-
ი უნდა გადაუხადოს მას. აკრძალული იქნას [ხელოსნის] საქმეში გა-
მოყენება, ვიდრე იგი სრულყოფილად არ დახელოვნდება და არ გაიწა-
ფება თავის ხელობაში.

2. წესია, რომ ხელოსნების [ესნაფმა] აირჩიოს უსტაბაში. ამას
სომეხთა მსაჯულს! შეატყობინებენ და იგი სახელოს მოიპოვებს. [ხე-
ლოსნები] მოვალენი არიან შეჰფიცონ მას.

3. როგორც წესია ჰასულიერო წოდების პირთათვის ფიცის დადებ-
ა, რომ ისინი სამართლიან ხელისუფლებას განახორციელებენ, ასეთი-
ვე წესი [არსებობს] საერო ხელისუფალთათვის, განსაკუთრებით კი
სტარშინებისა² და ხელოსანთა უსტაბაშებისათვის.

4. ფიცის ნიმუში მოფიცართათვის.

სახელითა დიდებული ღმერთისა მე, ქვემოთ მოხსენებული, აღ-
თქმას ვიძლევი ყოვლად შემძლე უფლის, მისი წმიდა ჯვრისა და სა-
ხარების წინაშე იმის შესახებ, რომ მსურს და მწადია ჩემი შეუბლა-
ლავი სინდისის თანახმად [ვიცხოვრო]; იმ მოვალეობის შესაბამისად,
რომელიც მე მაკისრია, რა შეძლება და ღონეც მექნება სწორად და

უშიშრად ვიარო ქვეშარიტების გზით, როგორც პატიოსნებით, ასევე საკუთარი ნება-სურვილით ჩვენი ხელობის წესრიგისათვის, წარმოების გაზრდისათვის და კეთილი კანონისათვის, რათა [საკადრისი] პასუხი მივაგო ურჩ ხელოსნებს, ბოროტმოქმედების ყველანაირ მხარის დაჭერას ან დადგენილების შეუსრულებლობას, ხოლო თუ სხვაგვარად მოვიქეცი, დაე დავისაჯო ამ კანონიერი სამართალით და წარესდგე უფლის და მისი საშინელი სამართალის წინაშე და პასუხი და ანგარიში ვაგო მისი განაჩენის [შესაბამისად]. ამ ფიცთან ერთად ვემთხვევი ჩემი მაცხოვრის ჯვარს და სახარებას. ამის.

5. თუ ხელოსნებს შორის დავა ატყდება, ორ თემნამდე [ლირებული საქმე] სასამართლოში არ უნდა გაირჩეს; რასაც უსტაბაში გადაწყვეტს, ის უნდა აღსრულდეს, მაგრამ თუ [საქმე] უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ აუცილებელია, რომ სასამართლოში გამოითხოვონ: წესაჩული გაგზავნის ამავე ხელობის სანდო კაცებს, რათა მათ გამოიტანონ განაჩენი.

6. ყველა ხელოსანი [იმისათვის, რომ] თავის ხელობაში იმუშაოს, [ენსაფის] გამგეობასთან შეთანხმებით შემოწმდება ან საქმეში [გამოიცილება], თუ როგორაა დაუფლებული იგი ხელობას [და] სტარშინას რომ შეატყობინებენ, [შემდეგ] საქმეში ჩააბამენ.

7. თუ ვინმე უკმაყოფილო იქნება მიზლის ოდენობით, მაშინ საჭიროა ღმერთის წინაშე სამართლიანად დადგინდეს გასამრჯელო და [იგი] უსტაბაშებმა უნდა დაადგინონ.

8. ყველა ხელობის ოსტატებს და განსაკუთრებით ხალიფებს⁴ ეკრძალებათ [თავისი] ბოროტების და უგუნურობის გამო უმიზეზოდ სცემონ ან ცუდად მოეპყრან შეგირდებს. თუ ვინმე გაბედავს ამას, მას აუცილებლად უნდა გადაახდევინონ ჯარიმა ღარიბებისათვის. შეგირდებსაც ასევე მოეთხოვებათ, რომ მორჩილნი და თავისი საქმის ერთგულნი იყვნენ.

9. თუ რომელიმე ხელოსანი მონიდომებს სხვა ქალაქში დასახლდეს, იგი გადაიხდის მიმდინარე წლის გადასახადს და წავა, ხოლო თუ სხვა ქალაქიდან ჩამოვა და [აქ] დასახლდება, მას მიმდინარე წლის გადასახადი არ უნდა მოსთხოვონ. მაგრამ თუ ვაჭარს ჩვეულებად აქვს წასვლა-მოსვლა, მას წლიური გამოსაღები არ უნდა [მოსთხოვონ], არამედ მხოლოდ წარსული წლის (?).

10. თუ რომელიმე ხელოსანი [თავისი] შრომისუნარიანობის უამს აივსება ყველანაირი ვალებით, გაღარიბდება ან დაავადდება, დახმარება უნდა აღმოუჩინონ მას, აგრეთვე თუ გარდაიცვლება, უნდა დამარხონ იგი, ხოლო თუ სნეული გამოჩანმრთელდება და მონაგებსაც მიიღებს, [მისთვის მიცემული ფული] პროცენტის გარეშე უნდა გამოართვან მას.

11. თუ რომელიმე შეგირდი ღირსია ოსტატობის ან ხალიფობის, იმ ხელობის ოსტატმა უნდა შეკრიბოს [ესნაფი] და გამოარკვიოს, რომ ღირსია თუ არა [იგი] მიეცეს მოწმობის საბუთი, თუ ღირსი არ არის, იგი უნდა ემსახუროს ამ ესნაფს.

12. თუ ოსტატი არ ისურვებს მისცეს [ხალიფას] მოწმობის საბუთი და უნდა უფრო დიდხანს იმსახუროს, მაშინ ხალიფად დადგენილმა ხალიფობის საბუთის მოთხოვნა შეუძლია, თუ არ მისცემს [ამის შესახებ იგი] სასამართლოს შეატყობინებს.

13. როდესაც შეგირდი ხალიფა გახდება, აუცილებელია პირობის საბუთი შედგეს გასამრჩელოს შესახებ ოსტატთან შეთანხმებით ან იმის მიხედვით თუ რამდენია საჭირო ცხოვრებისათვის. თუ [ოსტატი] დროულად გასამრჩელოს არ გადაუხდის ან [ხალიფა] ქარგლის უშუალო საქმეს არ შეასრულებს და [ამის თაობაზე] საჩივარი შემოვა [ოსტატი] ჩარიმას გადაიხდის.

14. თუ ვინმე იტყვის ქუჩაში, რომ ესა და ეს კაცი უსამართლოდ დაისაჯაო [და ეს ტყუილი გამოდგება], ამის გამო იგი ჩარიმის ნახევარს გადაიხდის. თუ [ნათქვამი] სწორეა, [მაშინ ეს ესნაფის] გამგეობის უსტაბაშს და სასამართლოს უნდა შეატყობინონ.

15. თუ რომელიმე ხელოსანი სხვის საქმეს აიღებს, შეცვლის მას ან [შემკვეთს] უხარისხოდ დამზადებულ [ნივთს] ჩააბარებს ან წონაში დააკლებს ან ზომებს არ დაიცავს, ან უხეიროდ გამოსჭრის ან სხვა ხერხით და მოტყუებით თავისთვის დაიტოვებს [მასალას], რაც შემკვეთის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება და [ამის შესახებ], საჩივარი შემოვა, [ეს საქმე] ორმა ოსტატმა უნდა შეამოწმოს. თუ დანაშაული დამტკიცდა, მან ორმაგად უნდა აანაზღაუროს ეს ზარალი.

16. შეგირდი და ხალიფა ოსტატის სახლში მორიდებით უნდა იყვნენ. მაგრამ თუ ისინი დასაძრახის მოქცევითა და მოპყრობით [მოექცევიან] მის ცოლს და ოსტატი [ესნაფის] გამგეობაში იჩივლებს, ასეთ შემთხვევაში [დამნაშავენი] ხუთი თვით უნდა ჩასვენ საპყრობილეში ან ექვსი თვით ქვების მზიდავებად [უნდა განაწესონ].

17. თუ ხელოსნები უსტაბაშს შეორედ აირჩევენ და ის კარგად ადასრულებს თავის მოვალეობას, ასეთ კაცს პატივდებული პირი ეწოდება.

18. თუ ხელოსნებმა ყველაფერი შეისწავლეს და გამოცდილი არიან [ამქრის ოსტატთა] თანდასწრებით, როგორც მაგალითად მხატვრები, მოქანდაკენი, მგოსნები, მკურნალები, [მათ] პატივდებული პირები ეწოდებათ, მათი დანაშაული ისე დაისჯება, როგორც ცნობილი ვაჭრების [დანაშაული], ვითარცა ეს კანონითაა განსაზღვრული.

19. თუ ვინმე ნავს გააკეთებს და მასში სხვის საქონელს ჩადებს, რომ სხვაგან გადაიტანოს და იმას გადასცეს, ვისაც საქონლის პატრო-

ნი უბრძანებს, მაგრამ მოხდება ისე, რომ ვისმეს საქონელი დასველდება ნავში, [მენავემ] სრულად უნდა აანაზღაუროს დასველებული საქონლისაგან [გამოწვეული] ზარალი. ამის მიზეზი ისაა, რომ იგი ვალდებული იყო ფრთხილად ყოფილიყო და უკლებრივ შეენახა სხვისი საქონელი. რადგან არ გაფრთხილდა, ის თავისი გულგრილობის გამო უნდა დაისაჯოს, რათა მომავალში ფხიზლად იყოს.

20. თუ მრავალი დღის განმავლობაში ზღვა იღვლეებს, ტალღები ნავს დაფარავენ და ამის გამო ნავში საქონელი დასველდება, ასეთ შემთხვევაში ნავის პატრონი ვალდებული არაა საქონლის პატრონს აუნაზღაუროს საქონლის დასველებისგან გამოწვეული ზარალი.

21. თუ ზღვის მღელვარების დროს ადამიანები სხვადასხვა ზომებს მიმართავენ თავიანთი სულელების გადასარჩენად, საქონლიდან ზოგიერთ ნივთს ზღვაში გადაყრიან, მშვიდობით გადარჩებიან და ნავსადგურს მიაღწევენ, ასეთ შემთხვევაში ზღვაში გადაყრილი ნივთების საფასური უნდა გაინაწილოს ყველა ვაჭარმა თავისი საქონლის და ნივთების ოდენობის თანახმად. სამართლიანი არ იქნება, რომ მხოლოდ ერთმა იზარალოს, ხოლო მეორის საქონელი მთლიანად ხელუხლებელი დარჩეს. პირიქით, ყველა ვალდებულია თავისი საქონლისა და ნივთების მიხედვით გაინაწილოს ზარალი.

22. თუ პატიოსანი თვლების მეწახნავე ვინმეს გამოართმევს ალმასს, წითელ ლალს ან სხვა რომელიმე ძვირფას ქვას დასამუშავებლად, მაგრამ მოხდება ისე, რომ დამუშავებისას გაბზარავს მას ან არ მოაწახნაგებს დადებული პირობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ის მოვალეა მათ პატრონს აუნაზღაუროს ზარალი.

23. თუ ოქრომჭედელი ვისმეს ვერცხლს ან ოქროს გამოართმევს, რომ მისგან რამე გააკეთოს და გაკეთებისას ოქროს ან ვერცხლს მოიპარავს და მოპარულის ნაცვლად მასში სპილენძს ან სხვა ლითონს შეურევს, როცა ეს გამჟღავნდება და გამოძიებით დადგინდება [და] მიიჩნევენ მას, როგორც ნამდვილ ქურდს, მაშინ მოეპყრობიან მას წესის თანახმად ვითარცა აშკარა ქურდს ყოველგვარი ღმობიერების გარეშე.

24. თუ ვინმე ოქროს ან ვერცხლს მისცემს ოქრომჭედელს რაიმე ნივთის გასაკეთებლად ან ჩივის მისცემს თერძს ტანისამოსის შესაკერად, მაგრამ მოხდება ისე, რომ დაიწვება ოქრომჭედლის ან თერძის სახელოსნო და იგი ვერ შეძლებს მისი ვერცხლის, ოქროს ან ჩივის გადარჩენას, ასეთ შემთხვევაში ოქრომჭედელი ან თერძი მოვალე არ არის ზარალი აანაზღაუროს. ხოლო თუ [ხელოსანი მასალას] გადაარჩენს, არ გამოაჩენს და იტყვის, რომ დაიწვა ან დაიკარგაო, როდესაც აღმოჩნდება, გამოძიებით სიმართლე დადგინდება, [მაშინ] ქურდებით დაისჯებიან. მაგრამ თუ ოქრომჭედლის ან თერძის სახელოსნოდან მოიპარავენ ოქროს, ვერცხლს ან ჩივის, ოქრომჭედელი ან თერძი ვალ-

დებული არიან ზარალი აანაზღაურონ და [მოპარული საქონლის] საფასური გადაუხადონ მის პატრონს. ასე უნდა მოხდეს სხვა ყველა მსგავს შემთხვევაში.

25. თუ წამლებით მოვაჭრე, რომელსაც სპარსულ ენაზე ათარი⁶ ეწოდება, ერთი წამლის ნაცვლად მეორე წამალს გაყიდის, რის გამოც სწეულს ტკივილი გაუძლიერდება ან გარდაიცვლება, იგი მაშინვე უნდა შემოწმდეს მსაჯულთა მიერ. თუ მან შეგნებულად და ბოროტებით გააკეთა ეს, იგი კანონის ძალით უნდა დაისაჯოს მისი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, მაგრამ თუ მას მიაშიტობით და ბოროტი განზრახვის გარეშე [შეეშალა], მას დაწერილის თანახმად უნდა მოექცნენ.

26. თუ ვინმე გაყიდის ციქუთას ან სხვა შხამიან ბუზს⁶ ან სხვა ამის მსგავსს, რაც კანონით აკრძალულია [იგი უნდა დაისაჯოს].

27. თუ ვინმე გაყიდის ისეთ წამალს, რომლის [თვისებები] მისთვის ცნობილი არაა, რის [გამოც ვინმე] დასწეულდება, განსაკუთრებით თუ გარდაიცვლება [იგი უნდა დაისაჯოს]. თუ წამალი გამოცდილი არ არის, არ შეიძლება მისი გაყიდვა. ასევე არ შეიძლება თავისი სურვილისამებრ გაყიდოს ვინმემ [წამალი], არამედ იგი უნდა მოიქცეს დადგენილი [წესის] შესაბამისად და სინდისის ქენჯნა [უნდა იგრძნოს] თუ მის (წამლის) ნაცვლად ძველს გასცემს. რადგან ეს უკანონობაა, იგი დიდი სასჯელით ჯარიმას გადაიხდის.

28. როდესაც ხელოსნები ვისმესგან აიღებენ რაიმე მასალას გარკვეული ნივთის გასაკეთებლად და დაპირებისამებრ არ დაამზადებენ (ამ ნივთებს), ისინი მოვალენი არიან ზარალი აანაზღაურონ. მაგალითად, თუ რომელიმე ახოვანი ადამიანი ქსოვილს მისცემს თერძს მისთვის ტანისამოსის შესაკერად, ხოლო თერძი შეკერავს ტანსაცმელს მისი სიმალისათვის შეუფერებელს და მოკლეს და ტანსაცმელი არ გამოადგება იმ კაცს, ასეთ შემთხვევაში შეუყვარავად ჩაეთვლება რადგან ტანსაცმელს თერძი დაიტოვებს და ქსოვილის საფასურს მის პატრონს გადაუხდის სხვა შემთხვევების შესაბამისად. ასე უნდა მოხდეს ყველა ამის მსგავს შემთხვევაში.

29. ყურადღება აუცილებელია ექიმისათვის. სანამ [მას] დაშვებულ დანაშაულში ამხილებენ, ვიდრე ნამოქმედარში დაიჭრენ, იქამდე მან არ უნდა მისცეს [ავადმყოფს] წამალი და სასმელი, თანახმად რჩევისა და ხელობაზე არსებული გადმოცემისა. [იგი] გონიერებისა და წესის საწინააღმდეგოდ არ უნდა მოიქცეს. იმის შემდეგ, რაც დანაშაულში ამხილებენ, რადგან მან საჭირო ყურადღება არ გამოიჩინა, სწეულის მკურნალობაში იგი ყურადღებით უნდა იყოს, რომ ავადმყოფობის საშიშროებას მიხედოს.

30. ექიმი მოვალეა გასინჯოს ავადმყოფი და დაეხმაროს სხვადა-

სხვა საშუალებით, როგორც წამლებით, ასევე ძაწენ საქმელებისა და სასმელების აკრძალვით.

31. როდესაც ექიმი დაინახავს, რომ სნეულს მძიმე ცოდვები [აქვს], უნდა ურჩოს, რომ მან აღიაროს ისინი და მიიღოს ზიარება, შემდეგ კი წამლებით დაეხმაროს, რამეთუ სული აღემატება ხორცს.

32. სულიერ მკურნალებს შეუძლიათ წამლის მიცემა, როგორც სულის, ასევე ხორცის სამკურნალოდ. [ეს] დიდი სიკეთეა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სხეულის გაკვეთა. ეს სასულიეროთა კი არა ერისკაცთა საქმეა. თუ სნეული ძალიან შეწუხებულია და ექიმი სხვას ვერაფერს მოიგონებს სხეულის გაკვეთის [გარდა], რითაც ავადმყოფი ჯანმრთელობას დაიბრუნებს, [ექიმს] შეუძლია გაკვეთოს იგი.

33. წესი არაა, რომ დალაქმა ექიმის ბრძანების გარეშე სისხლი გამოუშვას ავადმყოფებს და სნეულებს, თუმცა ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც არ შეიძლება სისხლის გამოშვება, თუნდაც ამას თავად ისინი ითხოვდნენ. მაგრამ რადგან ზოგიერთ ადგილას არსებობს ასეთი ჩვეულება, ამიტომ ეს (დალაქის მიერ სისხლის გამოშვება) ნებადართულია).

34. სრულიად აკრძალულია, რომ ავადმყოფებს დალაქებმა ექიმების ბრძანების გარეშე სისხლი გამოუშვან. მაგრამ თუ დალაქი ბოროტი კაცების მიერ წაქეზებული გაბედავს და [დაარღვევს] ამ კანონებს, ამის შემდეგ არანაირი სიკეთე არ ეღირსოს იმ ხელობის ყველა საქმეს მისი ცხოვრების მთელ მანძილზე.

35. თუ ვინმე ვისმეს ქსოვილს, ტანისამოსს, ჭურჭელს ან სხვა რამეს მისცემს გასაყიდად, მაგრამ ისე მოხდება, რომ იგი აიღებს საქონელს გასაყიდად და შემთხვევით დაკარგავს, საქონლის ამღები ვალდებულია დაკარგულის საფასური უკლებლივ აუნაზღაუროს მის პატრონს. მაგრამ თუ ცეცხლი გაჩნდება და ვაჭრის სახლი დაიწვება ან [საქონელს] მოიპარავენ მისი სახლიდან, როდესაც უცილობლად გაირკვევა, რომ ის ნივთი ვაჭრის საქონელთან ერთად დაიწვა ან ქურდმა წაიღო, ასეთ შემთხვევაში ვაჭარი მოვალე არ არის მისი საფასური გადაუხადოს მის (ნივთის) პატრონს.

36. თუ ვინმე ვისმეს რაიმე ნივთს მისცემს და ვაჭრის დუქანში დატოვებს, [რათა ვაჭარმა] მას გაუყიდოს, მაგრამ თუ მოხდება ისე, რომ ნივთი ან დაზიანდება ან დაიკარგება, მაშინ ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ზემოთაა [აღნიშნული].

37. თუ ვიმე აბანოში წავა, გაიხდის და ტანსაცმელს აბანოს კართან დატოვებს, თითონ შიგნით შევა, მაგრამ იქ არ ეყოლება მსახური, რომ მის ტანსაცმელს მიხედოს, ასეთ შემთხვევაში მეაბანოე მოვალეა ტანსაცმელი შეუნახოს მას. მაგრამ თუ ისე მოხდება, რომ მეაბანოეს უყურადღებობის გამო [ტანსაცმელი] დაიკარგება ანდა მოიპარავენ

მას, დამნაშავე მეგობანოე ვალდებულია გადაიხადოს დაკარგულის თუ მოპარულის საფასური.

38. მაგრამ თუ იმ კაცს მისი ტანსაცმლის შემნახველი მსახური ჰყავს, ტანსაცმლის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში მეგობანოე არ არის ვალდებული ზარალი აანაზღაუროს, როდესაც თავად მან და მისმა მსახურებმა დანამდვილებით არ იციან ვინ მოიპარა და თავად არ არიან ქურდები. ხოლო თუ გაირკვევა, რომ ტანსაცმელის ქურდი არის თავად აბანოს პატრონი ან მისი მსახურები, ასეთ შემთხვევაში მათ ისე უნდა მოეპყრო, როგორც არის წესი ფარული ქურდობისათვის, უნდა დასაჯონ და დააჯარიმონ შებრალების გარეშე.

39. თუ ვინმე სწორ და საყოველთაო კანონის დარღვევას დაიწყებს, გაფლანგავს და გაანიავებს თავის ქონებას ურიგო მოქცევით, ასეთი წესრიგის დამრღვევის პირის შესახებ მსაჯულებს უნდა შეატყობინონ, [ისინი] წაართმევენ მას თავისი ქონების მფლობელობის [უფლებას] და მეურვეს დაუნიშნავენ, რათა მან მოუაროს მის სარჩო-საბადებელს, კარგად უპატრონოს როგორც იმ კაცს, ისე მის შვილებს და ოჯახის წევრებს, ვიდრე ის კაცი გონს მოეგება ან მისი ძე სრულასაკოვანი გახდება. მაგრამ თუ იმ თავისი ქონების გამნიავებელ პირს ჰყავს ძე, რომელიც სრულწლოვანია, შეიძლება [ქონების] მოვლა-პატრონობა მას დააკისრონ და მეურვედ სხვა არავინ დანიშნონ. ხოლო, როდესაც [დამნაშავის] ძე სრულ ასაკს მიაღწევს, იგი ვალდებულია მისთვის მინდობილ ქონებას თავად უპატრონოს თანახმად კანონისა და მეურვის მოვალეობისა და აგრეთვე, უგასამრჯელოდ განაგოს [მისი] მოძრავი ქონებაც, ყოველგვარი დარღვევის გარეშე, როგორც [ეს] დადგენილია მეურვეთათვის.

40. თუ ვინმე ბილწი სნეულებით დაავადდება, როგორიცაა კჳუ-ოდან შეშლა, ლოთობა, მეძაობა, სიზარმაცე და სხვა მათი მსგავსი, რის გამოც იგი აღარ მოინდომებს ცხოვრების წესების შესაბამისად იცხოვროს, არამედ თავისი სნეულების მიზეზით დაიწყებს თავისი ქონების უწესრიგოდ ფანტკვას, ასეთი უსინდისო ადამიანი უნდა დაისაჯოს კანონის თანახმად, ისე როგორც ეს ქვემოთ სწერია. პირველი: თუ გონებას გადასცდა და ნათელია, რომ შეიშალა, იგი შეკრული უნდა ჰყავდეთ და დროდადრო გაწეკბლონ, რათა გონს მოვიდეს. მეორე: თუ ვინმე ლოთობს, იგი შებორკილი ციხეში უნდა ჩასვან და მხოლოდ პურით და წყლით უნდა ამყოფონ, ვიდრე გონს მოეგება და დანამდვილებით ივალდებულებს, რომ მეორედ არც არაყს და არც სხვა დამათრობელ სასმელს აღარ დალევს. მესამე: თუ ვინმე მეძაობას მისდევს, იგი კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. მეოთხე: თუ ვინმე სიზარმაცით დაავადდება, რაც აქვს დახარჯავს და მომავლისათვის შრომას აღარ ინდომებს, იგი მძიმე სამუშაოს შესასრულებლად უნდა

დაინიშნოს შესაბამისად ამ ბოროტებისა ისინი სხვა დამნაშავეებთან ერთად, მათი დანაშაულის მიხედვით უნდა დასაჯონ ყოველგვარი ლმობიერების გარეშე.

41. თუ ვინმე ცეცხლს გაუჩენს სხვის ყანას ან მიწას და დაწვავს ყანის ან მიწის მცენარეულობას, იგი ორმაგად გადაიხდის დამწვრის საფასურს, [გადაიხდის] უკლებლივ.

42. თუ ვინმე ძალმომრეობით დაეპატრონება სხვის ყანას ან მიწას კანონიერი ნებართვის გარეშე, როდესაც [ეს] გამოძევადება და გამოძიებით დადასტურდება, ყანა ან მიწაზე გადაეცემა მის კანონიერ პატრონს, ხოლო ის, ვინც ძალით იყო დაპატრონებული მიწას ან ყანას [და] არა მართო [დაეუფლა მას], არამედ ზარალიც მიაყენა მიწის მფლობელს ან ყანის პატრონს, [მან ზარალი] ორმაგად უნდა აანაზღაუროს [და] თავხედობისათვის საჯაროდაც უნდა დაისაჯოს.

43. თუ ვინმე თესს დასთესს ან ნერგს დარგავს ან სხვა რამეს გააკეთებს სხვის მიწაზე, [ისე რომ თავისი] გულუბრყვილობით იფიქრებს, რომ [იმ] მიწის პატრონი არ ჰყავს — ასეთ შემთხვევაში მიწის პატრონი შეუძლია სამი წლის მანძილზე დარჩეს მიწის მფლობელად, ისე რომ მიწის მუშას [მის] მიწაზე მოყვანილი მოსავლისათვის არაფერი არ მისცეს, მაგრამ როდესაც სამი წელი გავა და მიწის პატრონი არ მოელაპარაკება უცხო მიწის მუშას, ამის შემდეგ მიწის მუშა მის მიწას დაეუფლება და არაფერს არ მისცემს მიწის პატრონი.

44. თუ ვინმე თავის სასაბაღო პირუტყვს მოსაძვად სხვის ვენახში, ბაღში ან ყანაში შეუშვებს [პატრონის] ნებართვისა და სურვილის გარეშე, როდესაც ეს გამოძევადება და გამოძიებით დამტკიცდება, მას იმ კანონის თანახმად უნდა მოექცენ, რომელიც აშკარა ქურდებისთვისაა [გათვალისწინებული] და ისე დაისაჯოს და შეუწყალებლად უნდა დაჯარიმდეს.

45. თუ ვინმეს სასაბაღო პირუტყვი თავად შევა სხვის ვენახში, ყანაში და ბაღში და მცენარეებს გადასძოვს და პირუტყვის პატრონი ამის შესახებ არაფერი არ ეცოდინება, ასეთ შემთხვევაში რა ზარალსაც მიაყენებს პირუტყვი [ვენახის, ყანის ან ბაღის მფლობელს] პირუტყვის პატრონი ვალდებულია მთლიანად ყოველგვარი შეღავათების გარეშე აუნაზღაუროს [ზარალი] ვენახის, ყანის ან ბაღის მფლობელს.

46. თუ ვინმე პირუტყვს ფუნდუკში დატოვებს და მეფუნდუკის მიაბარებს, რათა თვალყური ადევნოს მას, მაგრამ ისე მოხდება, რომ მძარცველები თავს დაესხმიან ფუნდუკს და თან წაიყვანენ პირუტყვს, ასეთ შემთხვევაში მეფუნდუკე მოვალე არაა ზარალი აუნაზღაუროს პირუტყვის პატრონს.

47. თუ ვინმე თავის პირუტყვს სხვას მიაბარებს და მას ფულს

გადაუხდის მისი ძოვებისათვის, მაგრამ ის დაკარგავს [პირუტყვს], იგი ვალდებულია ზარალი აანაზღაუროს. მაგრამ თუ [პირუტყვი] მოკვდება ან მძარცველები მოიტაცებენ, [მაშინ] მეფუნდუკე ვალდებული არ არის: [ზარალი] აანაზღაუროს.

48. თუ ხარები ან მოზვრები თავიანთი ბუნებრივი ზნის გამო ერთმანეთს შეერქვიანებიან და მოხდება ისე, რომ ერთი მეორეს მოკლავს, როდესაც მოკლული წინამავალია ბრძოლაში, ცხოველის პატრონი მოვალე არ არის აანაზღაუროს ზარალი, ხოლო თუ მოკლული უკან მავალია, ასეთ შემთხვევაში ცხოველის პატრონი ვალდებულია მოკლულის პატრონს აუნაზღაუროს ზარალი. ასეთივე მსჯავრი უნდა იქნას გამოტანილი აგრეთვე ყველა სხვა ცხოველებისა, როგორცაა თხა, ძროხა და სხვა მათი მსგავსის, [მოკვლის] დროსაც.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 4

ოპრომჰიდელ ხელოსანთა წესდება

1

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია, [რომ] ამ ამქრისათვის¹ აირჩიონ ოთხი მთავარი ხელმძღვანელი, ჭკვიანი და ღვთისმოსავობის სულით აღსავსე კაცი. ერთ-ერთ მათგანს ეწოდება ხელობის უფროსი (უსტაბაში), დანარჩენი სამი კი მისი მრჩეველნი არიან. ამ ოთხის საქმეა: ერთი წლის მანძილზე იზრუნონ ყველა ოქრომჭედლის მართლმსაჯულებისა და კეთილდღეობისათვის. თუ ისინი აღასრულებენ [თავის მოვალეობას, მაშინ] იმდენ ხანს დარჩებიან [თანამდებობაზე], რამდენიც ეს ამქრის უდიდესი ნაწილისათვის მისაღები იქნება [მათი] სწორი სამართლის და ერთმანეთის მიმართ უანგარო თანადგომისა და უშურველობის გამო.

სავალდებულო არ არის, რომ ისინი ასაკით ხანდაზმულნი, ხელობით სახელგანთქმულნი ან მდიდრებნი იყვნენ, არამედ აუცილებელი ის არის, რომ ქრისტიანული სინდისისა და გამჭკრიახი გონების პატრონები იყვნენ, ბუნებით, სამართლიანობითა და ზნეობით პატიოსნები, რადგან როგორც უფალი, ასევე ადამიანი, ქვეყნისა და ამქრის მართვა-გამგებლობისათვის ასეთ ადამიანს მოითხოვენ.

არჩევის წესი ასეთია: მთელი ამქარი თავდაპირველად ირჩევს 12 კაცს, ხოლო ეს 12 კაცი ირჩევს ოთხ ხელმძღვანელს, ეს ოთხიც თავისთვის ირჩევს მწერალს, მსახურს და მღვდელს.

ხელობის უფროსი და მისი სამი მრჩეველი და ხელმძღვანელი ჯერ მღვდლის თანდასწრებით ჯვარზე და სახარებაზე დაიფიცებენ, რომ მზრუნველ მამებად მოველინებიან მთელ ამქარს, შემდეგ კი მათ დაამტკიცებენ თავიანთ თანამდებობაზე.

(ფიცის ფორმა)

წმიდა ჯვარს და სახარებას სუფთაქსოვილ გადაფარებულ სუფთა მაგიდაზე დაასვენებენ. ამ წმიდა საგნების მახლობლად მღვდელი დადგება, ოთხი არჩეული პირი კი მარჯვენა ხელით ზეაპყრობილი წმიდა ჯვრისა და სახარების წინ გაჩერდება. მღვდელი ფიცის წიგნს აიღებს და წაუკითხავს მათ, ხოლო ისინი, მღვდელთან ერთად შემდეგს იმეორებენ:

„ჩვენ, ოთხნი, რომელნიც არჩეული ვართ ჩვენს თანამოძმეთა ამქრის მიერ, ყოვლის მხილველი უფლის წინაშე, წმინდა ჯვრისა და სახარების მოწმობით, სულისა და გულის მთელი სიმართლით ვციფავართ, რომ სადამდისაც აღვასრულებთ ოქრომჭედელთა ამქრის გამგებლობას, ჩვენს ყველა საქმეში ვიქნებით სამართლიანი, როგორც მართლმსაჯულებაში, ასევე ჩვენების მიცემაში და ვიქნებით ჭეშმარიტად მიუკერძოებელნი, როგორც უფროსთა, ასევე უმცროსთა მიმართ, უანგარონი, მიუდგომელნი, უშურველნი და უბოროტონი, არ გამოვიჩენთ მეგობართა მფარველობას, ხოლო სხვის მიმართ აკვალობას. დაე ჩვენი აღთქმისა და პირობის მოწმენი იყოს ჯერ ღმერთი, ხოლო შემდეგ წმიდა ჯვარი და სახარება“.

ემთხვევიან სახარებას და ჯვარს კრება დასრულდება, მღვდელს საზღაურს გადაუხდიან და გაისტუმრებენ. ამის შემდეგ უფროსნი არჩეულთ ეამბორებიან ბაგეზე, უმცროსნი კი ხელზე, ულოცავენ მათ თანამდებობას და იშლებიან.

3

ამქრის წევრები ვალდებული არიან სცნონ თავიანთი ხელობის უფროსი და სხვა სამი მრჩეველი, როგორც მათი ხელობის თავკაცები და ხელმძღვანელები, მოვალენი არიან დაუჯერონ და დაემორჩილონ ყველა მათ კანონიერ განკარგულებას, დიდი პატივით მოეპყრან მათ, ვითარცა შვილები თავიანთ მამებს. ასევე ისინიც, წინანდელი ფიცის თანახმად, სრული ერთგულებით უნდა გაუძღვენ [ამქარს] და ჭეშმარიტი სიმართლითა და პატიოსნებით დაიცვან მათი (ხელოსნების) უფლებები. რთულ ვითარებაში კი [ისინი] ვალდებული არიან აირჩიონ

ამქრიდან იმდენი გონიერი და სწორად მსაჯი პირი, რაწდენიც საჭირო იქნება, და მათთან ერთად გადაწყვიტონ ორი მოღავის საქმე.

4

ამ საპატრვისაცემო ამქრის ოთხ ხელმძღვანელს საჭირო საქმეებისათვის სხვადასხვა ადგილას გასაგზავნად უნდა ჰყავდეს ერთი მუდამ მზადმყოფი მსახური, რომელსაც მოხუცები იგითბაშს უწოდებდნენ. ეს მსახური გათავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისგან და ხელმძღვანელები მსგავსად მასაც შეიკვლიან, თუ რაიმე უპატიოსნო საქციელში ანხილებენ: წრეგადასულ ლოთობაში, შუღლისმოყვარეობაში, ქურდობაში ან თუ იგი მეჭორე და მფოთისთავია.

5

როგორც ოთხი ხელმძღვანელის, ისე მთელი ამქრის უპირველესი საზრუნავია, რომ არცერთი შეგირდი, ვიდრე იგი ხელობაში საკმარისად არ გაიწაფება [ოსტატად] არ დაილოცოს. ვიდრე ოთხი თავკაცის თანდასწრებით და ამქრის დახელოვნებული პირების დასტურით არ გაირკვევა ხელობაში მისი გაწაფულობა, მისი ხელდასმა დამოუკიდებელ ხელოსნად არ უნდა მოხდეს.

6

როდესაც შეგირდს სურს ოქრომჭედელს მიებაროს, ეს უნდა მოხდეს ოთხი მთავარი ხელმძღვანელის დასტურით და ცოდნით. მათი წერილობითი ნებართვის გარეშე [იგი] არ უნდა მიიღონ. საშეგირდო ხელშეკრულების საბუთს ადგენს ოქრომჭედელთა [ამქრის] მწერალი და სხვა არავინ. თავად მწერალმაც თავისი ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს ხელშეკრულების საბუთი. ხელშეკრულების საბუთის ქაღალდი ღერბიანი უნდა იყოს და არა უბრალო, სიმტკიცისა და სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

7

სამასპინძლო სუფრისათვის, ისევე როგორც სრულუფლებიან ოსტატად დალოცვისათვის, ფული არ უნდა მოითხოვონ, არამედ [ოსტატობის კანდიდატს ფული] მისი შეძლების მიხედვით უნდა გამოართვან, რადგან თუმცა არიან ისეთები, რომელნიც ხელობით ცნობილი არიან, მაგრამ ისინი ხელმოკლედ ცხოვრობენ და არიან ისეთებიც, რომელნიც ხელობას უფრო კარგად არიან დაუფლებული, მაგრამ ხელობაში ნაკლებად გაწაფულის შემოსავალი მათ შემოსავალზე უფრო

შეტია. და რგი (ნაკლებად დაოსტატებული) დაწინაურებულია მათი მოუწესრიგებლობის, სიზარმაცის ან სხვა მიზეზების გამო, როგორც ეს ყველასათვის ცნობილია.

8

შევირდმა, რომელიც ოსტატს მიეზარება ოქრომჭედლობის შესასწავლად, ზემოხსენებული ხელშეკრულების შესაბამისად, იქამდე უნდა დაჰყოს მასთან, ვიდრე ოსტატად არ აკურთხებენ. სხვა ოსტატს არასოდეს არ მიუწუდება ხელი მასზე და უფლება არა აქვს წაართვას იგი მის ოსტატს. შევირდიცა და შევირდის პატრონიც ასევე უნდა მოიქცენ. მაგრამ თუ შევირდს და შევირდის პატრონს სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი აქვთ ოსტატის დატოვებისა ან ოსტატის [შევირდის] გაშვებისა, მაშინ ისინი ვალდებული არიან ეს მიზეზი ზემოხსენებულ ოთხ ხელმძღვანელს მოახსენონ. ესენი ამ მიზეზებს განიხილავენ და დაადგენენ ვინაა მართალი შევირდსა და ოსტატს შორის და დაუყოვნებლივ მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას, უხმაუროდ, სრულ სიწყნარესა და სიმშვიდესში.

9

თუ [ოსტატად] ხელდასმული რომელიმე შევირდი მნიშვნელოვანი და კანონიერი მიზეზით და ოთხი ხელმძღვანელის დასტურით დატოვებს [თავის ოსტატს] და მოინდომებს ქირით დაუდგეს სხვა რომელიმე ოსტატს, ესეც იმ ოთხის რჩევით და ნებართვით უნდა მოხდეს, ხოლო ამისმა მიმღებმა ოსტატმა წერილობითი სიმტკიცის [საბუთით] უნდა ივალდებულოს, [რომ] ამქრის ხაზინაში გადაიხდის მცირე თანხას, მისი შეძლების შესაბამისად, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის ოთხი ხელმძღვანელი, ამის ნახევარს კი ამქრის სასარგებლოდ გადაიხდის დაქირავებული მუშა.

10

შევირდს ოსტატად რომ დალოცავენ, მან იმავე დღეს სამასპინძლო სუფრა უნდა გამართოს, რადგან ამისათვის ეს დღეა შესაფერისი.

11

ოსტატად დალოცვის ან სამასპინძლო სუფრის გადასახადი არ უნდა იყოს მცირე და უმნიშვნელო, მაგალითად ხუთი ერგნი ან ხუთი აბასი, არამედ იგი დასალოცის შეძლებას უნდა შეესაბამებოდეს, რად-

გან დიდი უპატივეცემულობაა ამ კეთილშობილი ხელობისათვის, ისევე როგორც ხელოსნისათვის, რომ აქაც ისეთი მცირე და უკადრისი საჩუქრებით დაილოცოს [შეგირდი] ოსტატად, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება დაბალ ხელობებში ოსტატად ხელდასხმის დროს. ეს დამოკიდებულია ოთხი დიდად პატივეცემული ხელმძღვანელის ქრისტიანულ სინდისზე თუ როგორ დასაჩუქრებენ შეგირდს⁶.

12

ყველა ოსტატი ვალდებულია თავისი შეგირდი უწინარეს ყოვლისა გაწაფოს ყვაილების გამოყვანაში, ცირკულისა და კუთხსაზომის, ე. ი. ფარგლისა და სახაზავის⁷ გამოყენებაში, აგრეთვე ზომების და ფორმების ცოდნაში, რადგან უამისოდ საზოგადოდ არც ერთი ხელობის შესწავლა არ შეიძლება. [ოსტატმა] ან თავად უნდა [ასწავლოს] ან თუ თავად საკმაო [გამოცდილება არა აქვს] სხვისი შემწეობით უნდა [გაწაფოს შეგირდი]. ყველა ოსტატი, შეგირდებიც რომ არაჰყავდეს, მაინც მოვალეა დაუზარებლად მისცეს მას მაგალითი და ეს უნდა მოხდეს ჭერ ერთი უფლის სადიდებლად, მეორე — ადამიანური ბუნების პატივსაცემად, მესამე — გვარის სახელისათვის, მეოთხეც — სახელმოხვეჭილი ამქრის ღირსებისათვის, რადგან მას არ უნდა სურდეს, რომ ამქარში ერთი უხეირო ოსტატი მაინც იყოს. შეგირდი გრავირებას და ჩუქურთმის გამოყვანას უნდა დაეუფლოს, ხოლო შეგირდი მეტ-ნაკლებად თუ არ არის გაწაფული ზემოხსენებულ [წესებში] იგი არ უნდა დაილოცოს [ოსტატად]. ყოველად პატივეცემული ოთხი პირი ვალდებულია თვალყური ექიროს ამაზე და წაახალისოს შეგირდის ოსტატი, მაგრამ თუ შეამჩნევს, რომ გულგრილობას იჩენს, უნდა დატუქსოს და გააფრთხილოს იგი, მაგრამ თუ ოსტატი ურჩობის გამო არ დაუჭერებს ოთხს და მოიწადინებს [კვლავ] უყურადღებოდ დატოვოს შეგირდი, ოთხი ვალდებულია ის შეგირდი. (რომელიც ამქრის ძე და შვილია) წამოიყვანოს მისი ოსტატისგან და სხვა ოსტატს მიაბაროს ამქრის სახელისა და დიდებისათვის.

13

ყველა დალოცვილი ოსტატი, თავისი მოდგმის და შეილების მომავალი კეთილდღეობისათვის მოვალეა კვირაში ერთი შაჰი გადაიხადოს საზინაში, ყოველ კვირას ან ყოველთვიურად. განსაკუთრებით პატივსაცემია ის პირი, ვინც წლიურ 12 აბაზს წლის დამდეგს ერთბაშად გადაიხდის. ამქარს ევალება მისი ქება-დიდება, ვითარცა ამქრისმოყვარე და გულუხვი კაცისა.

როდესაც შეგირდი ოთხ ხელმძღვანელს უჩვენებდნენ თავისი ხელობის ერთ-ერთ ნიმუშს, რომელიც მოწონების ღირსი ნაკეთობა აღმოჩნდება (ოღონდ გამოძიებული და დადგენილი უნდა იყოს, რომ მისი დამზადებულია და არა სხვისი), ხელმძღვანელებმა ოსტატად დალოცვის შემდეგ იმ შეგირდს უნდა მისცენ მოწმობა ანუ ატესტატი⁸:

„ოქრომკედელთა პატივდებული ამქრის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ (სარგის ოქანესიანის) ხელობის სრულყოფილად დაუფლებაში, ამიტომ ხელდაგასხით შენ ოსტატად, მოგეცით ეს მოწმობა შენი და შენი სახელის სამუდამო დიდებისათვის“.

ამისათვის ხაზინაში იგი გარკვეულ გადასახადს იხდის იმ წყალობისა და პატივის შესაბამისად, რომელიც მან მიიღო. ატესტატი, რომელიც ხელმოწერილია ოთხი ხელმძღვანელის მიერ, გადაეცემა მას ამქრის თავყრილობაზე და ყველა ქება-დიდებათ ულოცავს [ახლად დალოცვილ ოსტატს]. ეს იმათაც წაახალისებს თავის საქმიანობაში, ვინც [დალოცვას] ესწრება. ეს დალოცვილი ოსტატი ყველას თვალში მუდამ პატივსცემის ღირსი იქნება, ხოლო თუ ვინმე შემთხვევით შეურაცხყოფს ამ ხელდასხმულ ოსტატს, მას თავისი მოწმობის საფუძველზე სრული უფლება აქვს მიმართოს ამქრის კრებას და იჩივლოს ხელმძღვანელებთან; ასე უფრო მეტი პატივით მოიპოვებს თავის უფლებას. შეურაცხმყოფელი განსაკუთრებით მკაცრად დაისჯება ხელმძღვანელების მიერ, რადგან მან არა მარტო ოსტატი შეურაცხყო არამედ ამქრის კრებაც. დიახ, მოვა დრო, როცა უფრო იბრწყინებს ამქარი, უფრო გაიფურჩქნება ხელოვა და უფრო გამდიდრდება ამქრის ხაზინა. მაშინ ამქრის კრებას შესაძლებლობა ექნება ასეთ დალოცვილ ოსტატებს მოწმობის გარდა ოქროს ან ვერცხლის ნიშანიც მისცეს, ხელობის შესაფერისი და ნაწყალობევი ღირსების შესაბამისი.

ყველა სახის შემოსავალს ინახავენ საგანგებო ღარში განსაკუთრებული დაცვით, ნუსხით, აღწერილობით და ზუსტი ახსნა-განმარტებით თუ როდის, ვისგან და რა საქონელი [შემოვიდა ხაზინაში]. ეს შემოსავალი გადაეცემა შემოსხენებულ ოთხ არჩეულ ხელმძღვანელს და ამქრის თავკაცებს. როცა საჭირო იქნება ოთხი მრჩევლის გამოცემა, სხვა ოთხი მრჩევლის და ამათგან ერთი უსტაბაშის არჩევის დროს, ახლად არჩეული და დამტკიცებული ხელმძღვანელები მოთხოვენ ძველებს, როგორც ყველა მათი საქმის, ასევე ამქრის ქონების ანგარიშგებით და ნუსხით [ჩაბარებას]. ნუსხა აკინძული, ზონარაგაყრილი და ამქრის ბეკლით დამტკიცებული უნდა იყოს. ბეკლის ზედწერი-

ლი ასეთია: „ოქრომქედელთა ამქრის ბეჭედი“. ბეჭედზე გამოსახულია გველი და მის თავზე გვირგვინი, რაც იმას ნიშნავს, რომ სიბრძნე-ავიროგვინებს ყველა საქმეს.

ამრიგად, ასეა ყოველთვის მრჩეველთა შეცვლის დროს: მათი საქმეებიც ზემოაღწერილი წესის თანახმად გადადის სხვებთან.

16

იმ დროისთვის, როდესაც წელიწადში ერთხელ ამქრის [წევრები] თავს ერთად მოიყრიან, ამქრის ხალხისთვის ცნობილი უნდა იყოს საზოგადო ქონების ოდენობა, რომ ხელმძღვანელების და თავკაცების შესახებ ამქარში მითქმა-მოთქმა არ ატყდეს. ეს უნდა მოხდეს ახალი წლის დღეს, ე. ი. პირველ იანვარს; ხელობის თავი, ე. ი. უსტაბაში სხვა სამ მრჩეველთან ერთად ამქრის ყველა წევრის თანდასწრებით ქონების ნუსხას წარუდგენს ამქრის [კრებას] და ხელში მისცემს ამქრის მწერალს; ამქარს გამოეყოფა სამი კაცი ნუსხის შესამოწმებლად. მწერალი და ის სამი კაცი ერთად წაიკითხავენ [ნუსხას] და როცა შესავლისა და გასავლის მიხედვით მუხლობრივად გაპოიკვლევენ, რომ მოგების ან შენახვის მიზნით როდის ან ვის მიერ არის შემოტანილი ქონება და [აგრეთვე] მთელი გულისყურით [შეისწავლიან] მათ ხელწერილებს და თუ ვერაფერს საეჭვოს ვერ აღმოაჩენენ, მაშინ ხელმძღვანელებს გადასცემენ ნუსხას და კრებაც დასრულდება.

17

საზოგადო თანხა ყოველთვის უნდა იქნას დაუზოგავად გამოყენებული ამქრის სახელის პატივისა და სარგებლობისათვის, ყველა მისი წევრისა და მათი შვილების საჭიროებისათვის შემდეგი წესით:

ა) თუ სამეფო კარიდან ბრძანება მოვა ქალაქის ყველა ამქარზე ფულის გამოღების შესახებ ეკლესიის აშენებისათვის ან მათხოვრებისათვის ან სხვა რაიმე საჭიროებისათვის. [ფული] ხაზინიდან უნდა დაიდოს, რადგან დიდი სირცხვილია კარდაკარ სიარული [თანხის] შესაგროვებლად.

ბ) ასევე თუ დასჭირდება სომეხ ან ქართველ ხალხს ან ეკლესიებს [ფული] უყოყმანოდ უნდა იქნას გადახდილი ამ ხაზინაში არსებული [თანხიდან].

გ) თუ ვინმე ამქრის წევრებიდან სიბერის ან წუთისოფლის სხვა უკუღმართობისგან დასნეულდება, ვეღარ შეძლებს შრომას, აღარც მარჩენალი ეყოლება და აღარც სახსარი ექნება, ყოველმხრივ უპატრონო და ბოვანოდ დარჩება, განსაკუთრებით კი თუ იგი მცირეწლოვანი შვილების პატრონი იქნება, ზამთრის ძნელ ჟამს, შობის დღეს,

დიდი მარხვის ზონანიების დღეებში, წმიდა აღდგომას ხაზინიდან მას დახმარება უნდა ზიეცეს: პური, შეშა, ნახშირი, ნაღდი ფული როგორც ოთხი [ხელმძღვანელის], ასევე რვა არჩეული [პირის] გადაწყვეტილებით, რითაც განიხარებს უფალი და აკურთხებს ამქარს და მის ნახელავს, ღათ (ამქარის წვერების) ხორცსა და სულს და იგი (ამქარი) დიდ სახელს მოიხვეჭს ქვეყნიერების ყველა კუთხეში, სადაც კი ხმა ზისწვდება ამის შესახებ.

ღ) თუ [ისეთი] ვინმე გარდაიცვლება, ვინც სიღარიბეში იყო ჩავარდნილი და დამხმარე არაეინ ჰყავდა, ამქარი ვალდებულია იტრუნოს მისი დამარხვისათვის საკადრისი პატივისცემით, ჯერ უფლის დიდების, მერე ამქარის სახელის ღირსებისა და მისი პრესტიჟის განმტკიცებისათვის [მთელ] ქვეყანაზე, [რომ ეს] კეთილი მისაბაძი გახდეს სხვა ამქარებისთვისაც.

ე) თუ რომელიმე ოსტატი ყიდულობს ოქროს, ვერცხლს და ან სხვა რამეს და ამისათვის ხელზე არ აქვს ფული და ჰხვისგანაც არ შეუძლიან ფულის სესხება, ხაზინა ვალდებულია მას შეძლებისდაგვარად დაეხმაროს რაც შეიძლება დიდი თანხით. [ოსტატი] რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში [სესხს] უბრუნებს ხაზინას [და] ზედ გარკვეულ [თანხასაც] უმატებს ამქარის სიყვარულის გამო და ხაზინის სასარგებლოდ. მაგალითად, თუ ნასესხები აქვს ხუთი მანეთი, მან ხაზინას ერთი აბაზი უნდა გადაუხადოს და ხაზინაში ფულის [დაბრუნება] ორ კვირაზე მეტ ხანს არ უნდა დააგვიანოს. თუ ის კაცი სანდო და შეძლებული პირია, რომელიც ექვს არ იწვევს, მან შეიძლება ხუთიდან ათ თუმანამდე მიიღოს [ხაზინიდან], მაგრამ თუ ფულს დროზე ვერ იშოვის, ერთ თვეზე მეტ ხანს [მაინც] არ უნდა დარჩეს [სესხი] მასთან, ისიც მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ რაიმეს ყიდულობს. თუ [იგი] წერილობით და კანონით გათვალისწინებულ თამასუქს მისცემს ხაზინას და [სესხს] პროცენტით წაიღებს. [მაშინ] ის ზემოხსენებული წესს არ დაემორჩილება, მაგრამ ვალდებულია მანც გადაიხადოს სარგებელი.

ვ) ხაზინა უნდა ემსახუროს ამქარის სხვა საჭიროებებსაც, მაგრამ ისე, რომ თავად არ დაზარალდეს. იგი (თანხას) იტოვებს მომავლისათვის, ბრძენი ხელმძღვანელების განკარგულებაში. რადგან ამქარის ეს თანხა გროვდება ამქარის შემოსავლისაგან, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში იგი დაუზოგავად უნდა ემსახუროს ამქარს, დიდს და მცირეს, ღარიბს და მდიდარს. მაგალითად, თუ რომელიმე სახლში სიკვდილი დაივანებს, სახლი დაინგრევა ანდა სხვა მსგავსი რამ [მოხდება], ან თუ [ვინმე] ისე ძლიერ დასნეულდება, რომ ექიმი დასჭირდება და სხვ. მაგრამ ყოველთვის ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ სხვისი მიზეზით არაფერი დაიკარგოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ოთხმა არ-

ჩეულმა ხელმძღვანელმა [თავნი] სარგებელთან ერთად თავისი ქონებიდან უნდა აანაზღაუროს.

18

როდესაც უფლის შეწევნისა და ამქრის [წევრთა] ერთსულოვნების წყალობით საზოგადოების ფულის ოდენობა გაიზრდება და სარგებელი [პირობით] გაიციემა, აუცილებელია, რომ ხაზინაში რეალურად იყოს საზოგადო თანხის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით ხუთი-ათი თუმანი, ან უფრო მეტი დროის ვითარების შესაბამისად, და უფრო მეტიცაა აუცილებელი ზემოხსენებული საჭიროებისათვის, ე. ი. ამქრის უფროსი და უმცროსი წევრების დახმარებისათვის, რადგან ამქარი იღვწის იმისათვის, რომ თანხა გაამრავლოს, რათა საჭიროების შემთხვევაში მას (ხაზინას) მიმართონ. წინააღმდეგ შემთხვევაში რისთვის ირჩებიან, რა მიზნით აკლებენ თავის შემოსავალს [და] ხაზინას აბარებენ ფულს შესანახად და [სხვას] ვის შეუძლია მიმართოს მას (ხაზინას)?

19

აუცილებელი და ფრიად საჭიროა პატივდებული ამქრის ღირსება და სახელისათვის, რომ მას ერთი გარკვეული ადგილი ჰქონდეს სკამებითა და მაგიდებით [მოწყობილი] და მაცხოვრის [ხატით] და ხელმწიფის სურათებით მორთული, რომელსაც სახელად ერქმევა ოქრომჭედელთა ამქრის სათათბირო, სადაც კანონებზე სათათბიროდ ამქრის ოთხი თავაკი და სხვანი დასხდებიან მართლმსაჯულების განსახორციელებლად და სხვა აუცილებელი საქმეების [გადასაწყვეტად]-აქვე შეინახავენ კანონთა წიგნს, ნუსხებს, აგრეთვე დავთრებს, ხელშეკრულებებს და სასამართლო გადაწყვეტილებათა ჰაბუთებს, სხვაზე გასესხებული ფულის თამასუქებს და ამქრის კუთვნილ ყველა საჭირო ნივთს და ა. შ. იმიტომ რომ დიდი სირცხვილია უფლის წყალობით ასეთი მოწესრიგებული, პატივდებული ამქრისათვის რომელიმე ბინძურ დუქანში, ღია ცის ქვეშ ან ეკლესიების წინ შეკრება ძველ და უგუნური წესის თანახმად, როგორც ეს ხდებოდა ამათზე ადრე, მამაპაპათა უბრალოების ჟამს.

20

ყოველი კვირის ორ დღეს, სამშაბათს და პარასკევს, ოთხი არჩეული ხელმძღვანელი თავს იყრის სათათბიროში, სადაც შუადღემდე რჩებიან, მომჩივანთა საჩივრების განსახილველად, გადაუდებელი საქ-

მეების მოსაწესრიგებლად, ამქრის საჭირო საქმეებისა და სხვა მომხ-
დარი ამბების შესახებ მოსათათბირებლად. მათ თან უნდა ჰყავდეთ
თავიანთი მწერალი მრჩეველის უფლებით. ამქარს უნდა ეუწყოს, რომ
ეს ორი დღეა, როდესაც [ამქრის წევრებს] შეუძლიათ სათათბიროში
მიმართონ ოთხ არჩეულ ხელმძღვანელს. მაგრამ თუ მოხდება ისე,
რომ მომჩივანი სოფელში, [სხვა] ქალაქში ან შორეულ ადგილას მი-
ემგზავრება და საშუალება არა აქვს დადგენილ დღეებამდე დაიცა-
დოს, მაშინ ხელმძღვანელები სათათბიროს სხვა დღეებშიც, კვირა
დღის გარდა, აღებენ. ამის უფლება აქვთ.

21

ამქარმა, ხელმძღვანელებთან ერთად, თავის მნიშვნელოვან მოვა-
ლობად უნდა ჩათვალოს და საუკუნოდ, თაობათა თაობამდე,
შეურყველად უნდა ახსოვდეს და ფრიად აუცილებელ წესად უნდა
მიიღოს შემდეგი: რომ როდესაც შეგირდის [ოსტატად] დალოცვის
დრო დადგება, იმ დღეს ამქარი იწვევს თავის მღვდელს წირვის გა-
მოყვანისათვის; წირვის დროს უნდა მოიხსენიონ ღველად და ახლად
გარდაცვლილი ოსტატები, კეთილისმყოფელი და კეთილმოსაგონარი
წინაპრები, თავიანთი სახელგანთქმული გამგებელნი და წეს-რიგის და-
მდგენელი ფუძემდებელნი. წირვის გამოყვანის შემდეგ მღვდელი მი-
დის ამქრის კრებაზე, ლოცავს შეგირდს და სუფრას, თითო-თითო
მცირე სეფისკვერს აძლევს ხელმძღვანელთ, ხოლო ისინი შესაფერი-
სად აჯილდოებენ მღვდელს და სუფრას მიუხსნებიან. მღვდელი კი
შინ ბრუნდება.

22

გარდა ჩვეულებრივი კვირაუქმის შენახვისა, რაც ეკლესიის წმი-
და კანონების თანახმად ყველა ქრისტიანის მოვალეობაა, [ამქრის წევ-
რებმა] უნდა იღღესასწაულონ აგრეთვე უფლისა და წმინდანების იმ
დღეებში, რომელიც დაუდგენიათ ჩვენს წმიდა მღვდელმთავრებს.
ასევე უნდა იუქმონ როგორც წმიდანთა, ასევე ხელმწიფისა და ხელ-
მწიფის ნათესავეების საღღესასწაულო დღეებში, ვითარცა ხელისუფ-
ლების კანონითაა დადგენილი, ისინი დახმარებას უწევენ ღარიბებს და
შექმებისდაგვარად ფულს იხდიან ხაზინის სასარგებლოდ.

23

წევრთა სიმრავლის გამო მიცვალებულის სასაფლაოზე წასვენე-
ბისა ამქარი ორად უნდა გაიყოს: ნახევარი ავლაბარში წასვენებს,

ნახევარი კი ტაფიტალში. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ [ასეთი წესით] ადვილია [ხალხის] შეგროვება, მეორეც სასარგებლოა ამქრისათვის, რადგან თუ ნახევარი დასაფლავებაზე წავა, მეორე ნახევარი საქმეს განაგრძობს. მაგრამ საჭირო ვაჟს, პატივცემული მიცვალებულის [გასვენებაზე] ან მისი ჳირისუფლის თხოვნით ან სხვა რაიმე აუცილებელ შემთხვევაში შესაძლებელია ამქრის მთელი შემადგენლობა წავიდეს და ხელმძღვანელობა ამას წინააღმდეგობას არ გაუწევს.

24

ამქარს ყოველთვის ერთი მღვდელი უნდა ჰყავდეს შევირდის [ოსტატად] დასალოცად, ამქრის რომელიმე წევრის ბნელი [საქმის] გამოსარკვევად [საღვთო წერილზე] დაფიცებით, სანსხვერპლო მარილის საკუთრებლად, განსაკუთრებით კი საჭირო დროს შესაფერისი რჩევის მისაცემად. ეს მღვდელი [საქმის ვითარების] ახსნა-განმარტებით უნდა სთხოვონ ღვთისმსახურ არქიეპისკოპოსს. რაიმე თვალსაჩინო დანაშაულის გამო შესაძლებელია ამ მღვდლის შეცვლა: თუ ის შუღლისმოყვარე იქნება ან [მასთან] ფარულად თქმულ აღსარებას გაამხელს ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის გამო. მაგრამ [მისი დანაშაული] საიდუმლოდ უნდა შეატყობინონ ხსენებულ უზენაეს სულიერ მოძღვარს და ასეთი პატივით გზას გაუყენონ. უფრო ღირსეულად მოიქცევა ის მღვდელი, თუ თავად უარს იტყვის ამქრის სამსახურზე, მაგრამ უწინარეს ოთხმა ხელმძღვანელმა უნდა აცნობოს მღვდელს ჩვენ აღარ გვჭირდებაო და ასე პატივისცემით დაითხოვონ; [ეს ამბავი] არ უნდა გაახმაურონ. ხელმძღვანელობას უფლება აქვს ამგვარადვე შეცვალოს მწერალი, რომელიც არის ხელმძღვანელთა მრჩეველი და პატივდებული პირი.

25

ყველაზე უფრო საჭირო ის არის, რომ ამქრის ყველა წევრი, როგორც უფროსი, ისე უმცროსი, პატივისცემით მოეპყრან ერთმანეთის ღირსებას, უწინარეს ყოვლისა კი უმცროსმა [პატივი უნდა სცეს] უფროსს. უფროსი ისაა, ვინც უფრო ადრეა [ოსტატად] დალოცვილი. ჭერ ერთი, უმცროსმა თავყრილობის დროს არ უნდა გაბედოს და თავის უფროსზე და სხვა საპატიო პირზე ადრე აიღოს სიტყვა, მეორეც — არ გათავხედდეს და პურის ჳამისას მათზე ჳემოთ დაჭდეს და ა. შ.

მაგრამ უფროსმაც პატივი უნდა სცეს უმცროსს, რათა თავადაც პატივისცემა მიიღოს მისგან, უყვარდეს იგი, რომ სიყვარულითვე უპა-

სუხონ, სიკეთე სთესოს, რათა იგივე მოიმკოს. დამცირება და შეურაცხ-
ყოფა უმცროსისა უფროსისაგან და უფროსისა უმცროსისაგან სას-
ტიკად იკრძალება. თუ უმცროსი უფროსს გალანძღავს და შეურაცხ-
ყოფს, ხოლო უფროსი [ამას] მოწმეებით დაამტკიცებს მთავარი ხელ-
მძღვანელების წინაშე, რა მიზეზიც არ უნდა იყოს, უმცროსის გამარ-
თლება არ შეიძლება, რადგან თუ მას ვისმეზე რაიმე საჩივარი ჰქონდა
ანდა ვინმესგან შეურაცხყოფილ იქნა, მას უფლება აქვს წერილო-
ბით ან სიტყვიერად იჩივლოს [ამქრის] ხელმძღვანელთა სამართალ-
ში. გარდა ამისა, რადგან მან გაბედა ფეხით გაეთელა პატივდებული
ამქრის წესები და კანონები, რომელიც თავად ჰქონდა მოსმენილი თა-
ვისივე ყურით და განიზრახა თავადვე ყოფილიყო მსაჯული, იგი ღირ-
სია დიდი სიმკაცრით იქნას გასამართლებული ოთხი ხელმძღვანელის
წინაშე და საზოგადო ხაზინაში [მან] იმდენი [ფული] უნდა გადაი-
ხადოს, რამდენსაც მისი შეძლების შესაბამისად დაადგენს ოთხი ხელ-
მძღვანელი, ხოლო მის დასამცირებლად მას ხელზე უნდა აკოცინოს
[ამქრის] უხუცესმა და [შემდეგ] გაათავისუფლონ.

თუ [იგი] კვლავ უღიერად მოექცევა იმავე პირს ან სხვა ვის-
მეს, ისევე ამგვარადვე უნდა გასამართლდეს, მაგრამ [ამჯერად] რვა
[ამქრის რჩეული] კაცის წინაშე, ხოლო თუ კვლავ გაიმეორებს,
მაშინ სამჯერ მეტ [ჯარიმას] გადაახდევინებენ და გასამართლებენ
თორმეტი კაცის თანდასწრებით. მაგრამ თუ მეოთხედაც ითავხედებს,
ასეთ პირს ახსნა-განმარტებითი წერილით პოლიციას გადასცემენ, სა-
დაც მას საკადრისს მიუზღავენ და შეირისხება ოქრომქედელთა მთე-
ლი ამქრის მიერ.

მაგრამ თუ ამავე დანაშაულში, რომელიც [ამქრის] უმცროსმა
წევრმა ჩაიდინა, დიდი და ცნობილი [პირი] იქნება მხილებული, მი-
სი სასჯელი უმცროსისაზე ორჯერ უფრო მძიმე უნდა იყოს, რადგან
მან ვერ შეძლო თავისი საპატიო მდგომარეობა დაეფასებინა. ამიტომ
[იგი] ღირსია, რომ ორგზის უფრო მეტი შეურაცხყოფა და სასჯელი
მიიღოს.

თუ ვინმე რომელიმე ოსტატთან მიიტანს ვერცხლს, ოქროს ან
ძვირფას ქვას, ე. ი. ალმასს, იაგუნდს და სხვა მისთანას დასამუშავე-
ბლად ან გასაყიდად, სხვა ოსტატებიდან ვერავინ ვერ უნდა გაბედოს
და აშკარად თუ ფარულად ავნოს თავის თანამოსაქმეს, ე. ი. არ უნდა
წააქეზოს მასალის პატრონი და უკან წამოაღებინოს იგი, რათა თავად
დაამუშაოს ან გაყიდოს. მაშინაც კი, როცა [პატრონს მასალა] ჯერ არ
მიუტანია და [ოსტატისათვის] მხოლოდ ნათქვამი აქვს, რომ [მასალას]

დასამუშავებლად ან გასაყიდად მიიტანს მასთან, ასეთ შემთხვევაშიც ზარალი არ უნდა მიაყენოს მის შემოსავალს, რომლითაც არსებობს ისიც და მისი ოჯახიც, რადგან ეს ნამდვილი ქურდობა და ძარცვაა. ამიტომ ასეთი პირების მიმართ ამისთანა კანონი უნდა გამოიყენონ:

ჯერ ერთი, თუ [ხელოსანს] ჯერ არ დაუმუშავებია [მასალა], მაგრამ პატრონს უკვე მიტანილი აქვს მასთან და მისი (მეორე ხელოსნის) ბოროტება გამოაშკარავდება, ასეთი პირი უნდა დაიბარონ ოთხი ხელმძღვანელის სასამართლოში და ქეშმარიტებითა და სიმართლით [საქმის] გარკვევის შემდეგ მას უნდა გამოართვან ვერცხლი ან ოქრო და დაუბრუნონ იმას, ვინც უწინარეს შილაპარაკა მასალის პატრონთან. ბოროტმოქმედი კი საკადრისად უნდა გაკიცხონ და ხელმძღვანელებმა უნდა დაავალონ მას, რომ ხაზინაში გადაიხადოს იმ თანხის 1/5, რომელიც მას უნდა მიეღო. და დარიგება-შეგონების შემდეგ გაათავისუფლონ.

თუ იგი კვლავ ასეთ უზნეო საქციელს ჩაიდენს, ორგზის უფრო მკაცრად დაისჯება. მაგრამ თუ მესამედაც ასე მოიქცევა, [მაშინ იგი] გადაიხდის მთელ თანხას ან იმდენს, რამდენიც უნდა მიეღო მას იმ ნივთის ყიდვის თუ გაყიდვის შემთხვევაში და მთელი ამქრის წინაშე შერცხვენილი იქნება, ვითარცა უფლის კანონისა და ამქრის [წესების] მგომბელი. ხოლო თუ მეოთხედაც ამხილებენ მას ასეთ უწესობაში, ყოველივე ამის შესახებ წერილობით შეატყობინებენ პოლიციას და ამქრიდან განდევნიან, ვითარცა სამარადისოდ განკიცხულს. მისი მოკვეთა კი ჩაიწერება ამქრის მოსახსენებელში ანუ უურნალში¹⁰, როგორც მისი საუკუნო განჩინება, და [ავრთვე] ამქრის [წევრების] ყურადსაღებად. მაგრამ უნდა დაისაჯოს ისიც, ვინც ნივთს მფლობელი გახდა და ამქრის სასაარგებლოდ უნდა გადაახდევინონ მისი საფასურის 1/10.

თუ რომელიმე ოსტატი მოატყუებს ვინმეს ოქროს ან ვერცხლის წონაში ან სიწმინდეში, ხოლო ოქროს ან ვერცხლის პატრონი იჩივლებს მთავარ ხელმძღვანელებთან, ისინი ვალდებული არიან ყოვლისმხილველი ღმერთის წინაშე მიუკერძოებლად გამოიძიონ [საქმე]. თუ ოსტატი დამნაშავეა, მას ჩუმად გამოართმევენ ზარალის [საფასურს] და მისცემენ პატრონს, ხოლო მოპარული [ნივთის საფასურის] 1/5 ნაწილს გადაახდევინებენ ხაზინაში, ისე რომ თუ მოპარული [ნივთი] 5 აბაზი ღირს, [იგი] ერთ აბაზს იხდის. მაგრამ თუ იმავე პირს ხელმეორედ დაიპყრენ ქურდობაში, [მაშინ იგი] ნივთის საფასურის ნა-

ხევარს გადაიხდის, ხოლო თუ მესამედაც [ამხილებენ] — ამდენსავე გადაიხდის, მეოთხედ კი ორ ამდენს გადაიხდის, შემდეგ მას ამქარში შეარქვებენ და ორმოცი დღით ამქრიდან გააძევენ. შემდეგ იგი თავისი ხელწერილით პირობას დადებს მთავარი ხელმძღვანელების წინაშე, რომ აღარ ჩაიღენს ასეთ აუგ საქციელს და მისი სახელი ჩაიწერება მოსახსენებელ დავთარში ანუ ქურნალში მისი სირცხვილისა და სხვათა გაკვეთილისათვის.

იგივე კანონი მოქმედებს მაშინაც, თუ მოიპარავენ პატიოსან თვალს. მარგალიტს და სხვა [ასეთ] ნივთს.

28

თუ ამქრის წევრებიდან ვინმე სადღესასწაულო დღეს პურის ქამის დროს დათვრება და გაბედავს და ვისმეს შეურაცხყოფს, ჩხუბს აუტეხს ან გაარტყამს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა გაავდონ თავყრილობიდან და ნადიმიდან, მეორე დღეს კი ჩუმად უნდა დაიბარონ სასამართლოში და გაკიცხონ. თავისი შეძლების შესაბამისად იგი ჯარიმას გადაიხდის და [შემდეგ] გაათავისუფლებენ რჩევა-დარიგებით, რომ [ასეთი რამ] აღარ გაიმეოროს. თუ [მსგავს საქციელს] კიდევ ჩაიღენს, მაშინ რვანი გაასამართლებენ და წინანდელ [თანხაზე] ორჯერ მეტს გამოართმევენ. თუ მესამედაც გაბედავს [ასეთი საქციელის ჩაღენას], თორმეტი კაცის წინაშე დაიბარებენ, მკაცრად გაკიცხავენ და იგი სამჯერ უფრო მეტ [ჯარიმას] გადაიხდის. მაგრამ თუ მეოთხედაც გამოავლენს თავის უგუხურებას, მას გაასამართლებენ მთელი ამქრის წინაშე, ჯარიმას კი არ გადაახდევინებენ, არამედ სათანადო საბუთით მიიყვანენ პოლიციაში, ვითარცა თავხედს, უსინდისოს და უგუნურს. იგი საბოლოოდ უნდა მოიკვეთოს ამქრის ამხანაგობისაგან და მისი სახელი და მოკვეთა ჩაიწერება ამქრის მოსახსენებელ დავთარში მისი სამუდამო სირცხვილისა და ამყამინდელი [წევრების] და მომავალში მომსვლელების გასაფრთხილებლად.

29

თითოეული პირი მოვალეა პირველ დღეს გამოცხადდეს თავისი თანამოხელის გასვენებასა და დასაფლავებაზე, მეორე დღეს კი აიგოს: მაგრამ თუ ვინმე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე (ისე რომ ოთხმა ხელმძღვანელმა ეს იცოდეს) დააკლდება იმ ამბებს, პირველი დღისათვის იგი ოთხის ბრძანებით თავისი შეძლების შესაბამისად ჯარიმას გადაიხდის, აიგისათვის¹¹ კი — ამის ნახევარს, გაიკიცხება ოთხის წინაშე და გაათავისუფლდება. ეს მოვალეობა აკი-

სრიათ მხოლოდ [ოსტატად] დალოცვილებს და არა ხელდაუსხმელებს. მაგრამ [ისინი] ვალდებული არიან წავიდნენ მხოლოდ იმ მიცვალებულების [დამარხვაზე], რომელზედაც ხელი აქვთ მოწერილი. დანარჩენების [დასაფლავებას] კი მოვალენი არ არიან, რომ დაესწრონ, გარდა იმათისა, რომელთა ჭირისუფალნი [თავიანთი] სურვილით მიიწვევენ ამქარს, ან რომლის დედა, მამა, ძმა, ცოლი, ძე, ახული მიბარებული არის ამქარის რომელიმე წევრთან. მაგრამ გაყრილი მამის ძმების, უცხო ამხანაგობის (ე. ი. სხვა ამქარის) [წევრების] და აგრეთვე დედის ძმის, ცოლის ძმის, სიძისა და სხვათა [დასაფლავებაზე] წასვლა შეიძლება მიწვევით და არა ძალდატანებით.

მაგრამ თუ განსვენებული კეთილშობილი აზნაურია ან ხელობას თავდანებებული ოსტატი, მის [დამარხვაზე] უნდა წავიდნენ; წაუსვლელნი ექვემდებარებიან ზემო[ხსენებულ] კანონს და აგრეთვე ოთხ მთავარ ხელმძღვანელს, რომელნიც ბრძანებას გასცემენ, ისინი კი ვალდებული არიან აღასრულონ ნაბრძანები, ხოლო ურჩინ დაისჯებიან ზემოხსენებული კანონით.

30

თუ ამქარის ორი [წევრი] მონიდომებს შეამხანაგებას საოქრომჭედლო ხელობაში, ეს უნდა მოხდეს ხელმძღვანელების ნებართვით, მათი ცოდნით და ამხანაგობის ხელშეკრულებასაც მათ უნდა მოაწერონ ხელი. შემდეგ ამქარის მწერალმაც უნდა მოაწეროს ხელი, როგორც მოწმემ. ქალაღი ლერბიანი უნდა იყოს და არა უბრალო. როდესაც ამხანაგობა გაფორმდება, ორივე მოვალეა ოთხი [ხელმძღვანელის] გადაწყვეტილებით ხაზინაში გადაიხადოს გამოსაღები მათი შეძლების შესაბამისად.

გაყოფაც აგრეთვე ოთხის ნებართვით უნდა მოხდეს და გაყოფილნი ხაზინაში იხდიან შეამხანაგების დროს გადახდილი [თანხის] ნახევარს. ამხანაგობის ხელშეკრულების ასლი ჩაიწერება ეურნალში მომავლისათვის, რადგან ამხანაგობის საბუთი შეიძლება დაიკარგოს. ხელობასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი საბუთის ასლი ასევე უნდა ჩაიწეროს მასში.

31

წინაპართა ნაანდერძევი მტკიცედ უნდა იყოს დაცული [ამქარში]. ესენია — სოფლის შესაწირავი, ჭიმამარის შესაწირავი და ძის შესაწირავი, მაგრამ უწინდელის მსგავსად შესაწირავი ცხვარი და ღვინო კი არ უნდა იყოს, არამედ ფული [შემწირველის] შეძლების შე-

საბამისად. ეს ჩაიწერება ამქრის მოსახსენებელ დავთარში ზუსტად და უკლებლივ.

32

პურისკამის, ოსტატად დალოცვისა და მსხვერპლის შეწირვის ღლეებში ოთხი [ხელმძღვანელის] რჩევითა და განკარგულებით ხარჯს ხაზინა გაიღებს. [ნადიმად] დასხდომისა და ადგომის დროც წყდება ხელმძღვანელთა ნება-სურვილით. ასევე [უნდა ხდებოდეს] მთელი სუფრის მომზადება და ვერავინ ვერ უნდა გაბედოს თქმა, რომ ეს საქმელი ნაკლებია და ის მეტიო ანდა დიდხანს ან ცოტა ხანს ვისხედითო. პირიქით, ყველა უნდა ეცადოს, რომ ნადიმმა [კარგად ჩაიაროს] და ნადიმის მონაწილენი ზრდილობიანად და წესიერად მოიქცნენ და არა უზნეო თავშეუქავებლობითა და უგუნური ლოთობით, როგორც ეს ხდება სხვა რამდენიმე ამქრის ველურ თავყრილობებში, ისიც [მათი] უზნეო, უწესო და ღორმუცელა უხუცესების რჩევით მათი სულისა და ქალარის შესარცხვენად და როგორც ცუდი მაგალითი ყმაწვილთა და ყრმათათვის. შესაწირის თანხასაც ოთხი უხუცესი გაიღებს.

33

ამქრის სახელის პატივისა და დიდებისათვის საუკუნო და დაურღვეველი კანონი უნდა იყოს [დაცული]: — ვერ უნდა გაბედოს, როგორც ოთხმა პატივეცემულმა რჩეულმა, ისე სხვა ყველამ, ქუდით შევიდეს სათათბიროში. თავხედი არა მარტო გაიკიცხება, არამედ გადაიხდის [ჯარიმას] თავისი შეძლების მიხედვით, იმათ გარდა, ვინც შემთხვევით, მიაპიტობით ან უცოდინარობის გამო შეცდება. დიახ, მოვა დრო, როცა ამქრის სათათბიროს ეყოლება ფხიზელი დარაჯები, ე. ი. ღეჟურნი და აგრეთვე მსახურები იმისათვის, რომ სათათბიროს ყოველთვის სუფთად მოუარონ, და ცეცხლის დამთები ღუმელის გასახურებლად.

34

დაბოლოს, როგორც ამქრის, ისე ოთხი ხელმძღვანელის მიზანი და საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ [ამქრის წევრები] ერთმანეთთან შეკავშირებული იყვნენ მშვიდობის, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობებით.

ამქრის ყველა [წევრმა] ერთგულად უნდა შეიყვაროს ხელმძღვანელები, ვითარცა საკუთარი მამები, როგორც მათი მზრუნველი ძე-

თლოს მიერ, რომელიც [იკვლევს და სჯის] დანაშაულებს. ამრიგად, როგორც ესნაფის მკვდლებმა, ცმებმა, ერთმორწმუნეებმა [და] მოდგმით სომხებმა, ერთხმად და ერთსულოვნად დავაწერინეთ ეს ალთქმისა და პირობის წიგნი, ბეჭედი დაუუსვით და თითის დადებით [დავადასტურეთ], ისე ჩვენ ერთმანეთის თანადგომით შურს ვიძიებთ უპატიოსნო კაცის ანგარებაზე. ჩვენ ვალდებული ვართ ეს ღვთიემოწონებული, მშვიდობის მთესველი და საზოგადოებისათვის სასარგებლო პირობის წიგნი მტკიცედ დავიცვათ სიკვდილამდე, ასევე ვალდებული არიან მტკიცედ დაიცვან იგი ჩვენს შემდეგ მოსულმა ოსტატებმაც. მაგრამ თუ ჩვენს დროში ან ჩვენს შემდეგ შუღლის მოყვარე ადამიანები ამ პირობის წიგნის უარყოფას ან დარღვევას მოინდომებენ, დაე უწყოდნენ ასეთებმა, რომ სიკეთის წყარო უფალია, ხოლო უფლის ნება სასურველი ღიკეთა; ეს პირობის წიგნიც სიკეთეა და სიკეთის მოწინააღმდეგე უფლის მოწინააღმდეგეა. აგრეთვე ღმერთის ნების წინააღმდეგობა ადამიანების წარწყმედის მიზეზია, [ისევე როგორც] მათი ბოროტი ბუნება და უფალი თავად იძიებს შურს მათზე. ჩვენ კი უდანაშაულონი ვართ.

ამიტომ წმიდა გულით ვევედრებით ყოვლადმოწყალე უფალს, რათა მისი შიშის სანატრელი შუქის სხივი ჩვენს გულსაც სტყორცნოს, სულის სიწმიდე მოგვეცეს ყველას და ჩვენი ძმობა ყოველთვის დაიფაროს ეშმას ცთუნებისგან, რომ გვიხსნას სულიერი და ხორციელი შერცხვენისაგან, რათა აქაც კეთილი სახელი გვექონდეს და მის წინაშეც ნათელი სახით წარვსდგეთ. ამინ.

1825 წლის 28 დეკემბერი. კარინის მთავარი ტიპოგრაფია.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 9

მიზარება

მიზარა ქემალ ად-დინ ჰასან ბენ აბდალაჰმა ბენ ალ-ჰაიათიმ თავისი ძე სახელად ჰოსეინი პატივცემულ, კეთილმოქმედ ოსტატს, ხელობის მეუღეს ჰამად ად-დინ ჰოსეინ ბენ აჰმად დიბაჯის¹ ერთი წლის განუწყვეტელი ვადით ორმოცდაათ თეთრი ოქროს დინარის² თანხით, ქალაქ თავრიზში მოჭრილი ნაღდი ფულით (აღნიშნული თანხის ნახევარი შეადგენს 25 [დინარს]), რომ დიბის³ მქსოველის ხელობა შეასწავლოს და რწმენითა და პატიოსნებით აღავსოს [თავისი შვირიდი], რათა [იგი] საქმისათვის სასარგებლო გახდეს. საზოგადოების⁴ [წვერთა] მოწმობით, რომელშიც მათი სახელები წერილობით არის მოხსენიებული, [დამტკიცდა ეს ხელშეკრულება].

დაწერა 756 [წლის] დალოცვილი თვის რაბი ალ-აველის მეორე [დღეს]⁵.

დამატება 10

საზეგირლო ხელშეკრულება

977 წლის წმიდა ზილ-ყადას თვის შვიდ რიცხვში ნოურუზ მუჰამედმა შაჰ მუჰამედის ძემ, რომელსაც უფლება აქვს [თავად] განაგოს თავისი ქონება, გააკეთა შარიათზე დაფუძნებული სწორი განცხადება, რომ „ჩემი თავი მიჭირავების წესით შევირდალ მივებარე ოსტატ ჰასანს, ოსტატ მოჰამედ ჰოსეინ საბბალის ძეს, ამ რიცხვიდან მოკიდებული სრული სამი წლის ვადით ექვესი ათას დინარად სპილენძის კურსით, რომელიც [ამჟამად] ტრიალშია, რათა ამ ვადაში შარიათზე დაფუძნებული ყველა საქმე, რომელსაც [იგი] მიბრძანებს [ჩემი] შესაძლებლობისა და ღონის შესაბამისად აღვასრულო. ამასთანავე თავად ოსტატს, ხსენებულ ჰასანს, მე ვჭირაობ ზემოაღნიშნული კურსით სამ ათას დინარად, რომ ამ ვადაში შემასწავლოს მღებავის ხელობა და ყველაფერი მასთან დაკავშირებული, აგრეთვე ნებას ვაძლევ ხსენებულ ოსტატს ჰასანს, რომ [მისი] დაჭირავების [დროს ჩემს მიერ გადახდილი] პირველი თანხის ნარჩენი ამ ვადაში გამოიყენოს ჩემი საქმელისა და ტანსაცემლის ხარჯების დასაფარავად“.

ამასთან ერთად მან საჯაროდ უნდა მიიღოს და დაამტკიცოს ის, რაც ამ საბუთშია აღნიშნული. ეს მოხდა სარწმუნო ადამიანების თანდასწრებით².

დამატება 11

საზეგირლო ხელშეკრულება

977 წლის დალოცვილი რამაზანის თვის 21 რიცხვში თურსუნ მუჰამედ ყორბანის ძემ, რომელსაც უფლება აქვს [თავად] განაგოს თავისი ქონება, გააკეთა შარიათზე დაფუძნებული სწორი განცხადება, რომ „ჩემი თავი მიჭირავების წესით შევირდალ მივებარე ალაჩის მქსოველს, ოსტატ ქუჩექს, ოსტატ ჯან-ალის ძეს. ამ რიცხვიდან მოკიდებული სრული წელიწადნახევრის ვადით სამი ათას დინარად სპილენძის კურსით, რომელიც [ამჟამად] ტრიალშია, რათა ამ ვადაში

შარიათზე დაფუძნებული ყველა საქმე, რომელსაც [იგი] მიბრძანებს [ჩემი] შესაძლებლობისა და ძალის შესაბამისად აღვასრულო. ამასთანავე ხსენებულ ოსტატს ვჭირაობ ზემოაღნიშნული კურსით ათას დინარად, რომ ამ ვადაში შემასწავლოს ალაჩის ქსოვის ხელობა და ყველაფერი მასთან დაკავშირებული, ისე რომ ხსენებული ხელობის ყველა ოსტატმა მოიწონოს [ჩემი ნამუშევარი]. აგრეთვე ნებას ვაძლევ ხსენებულ ოსტატს, რომ [მისი] დაქირავების [დროს ჩემს მიერ გადახდილი] პირველი თანხის ნარჩენი ამ ვადაში გამოიყენოს ჩემი საქმელისა და ტანსაცმელის ხარჯების დასაფარავად“. ამასთან ერთად მან უნდა მიიღოს და დაამტკიცოს ის, რაც ამ საბუთში მის სასარგებლოდაა აღნიშნული.

ეს მოხდა სარწმუნო ადამიანების თანდასწრებით².

დ ა მ ა ტ ე ბ ა 12

საუმიბირლო ხელშეკრულება

მე, ქვემოთ ხელისმომწერმა, აბდ ალ-ქარიმ მუჰამედ ჰუსეინ-ოღლიმ, ნუხაში მცხოვრებმა, 1200 წლის საფარის თვის დამდევს მივაბარე ჩემი ძე, ბაბა, ოსტატ აჰმად-ოღლის, რათა მან ჩემს ვაჟს შეასწავლოს მეწაღეობა იმ პირობით, რომ სამი წლის მანძილზე ოსტატი აჰმადი ჩემს ვაჟს ყოველწლიურად მისცემს ერთ წყვილ ფეხსაცმელს, ერთ წყვილ წინდას, ერთ ქუდს და ყოველდღე აკმევს მას. ოსტატ აჰმადს უფლება აქვს გამოიყენოს ჩემი ვაჟი სამეურნეო საქმეებში როგორც დუქანში, ასევე [თავის] სახლში. ამ ხელშეკრულების [ერთი] პირი უსტაქრის ხელის მოწერით ჩემთან იქნება, მეორე კი — ოსტატ აჰმადთან.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 13

მეწაღე ხელოსანთა დალოცვის წიგნი

[სახელითა] წმიდისა სამებისა, მამისა, ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

წმიდა ღვთისმშობლისა და წმიდა იოანე წინასწარმეტყველის,

სტეფანე პირველმოწამისა და ჩვენი პირველთა განმანათლებელთა: წმიდა თადეოსის, წმიდა ბართლომეს და წმიდა გრიგოლ განმანათლებლის და წმიდა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მამამთავართა, მოძღვართა და ყველა წმიდანთა, ძველთა და ახალთა, ცნობილთა და უცნობთა შუამდგომლობითა და ლოცვა-ვედრებით უფალი უწყალობებს ქვეყანას მშვიდობას, მოშუღლეთ შერიგებას, განსაკუთრებით კი ქრისტესმოყვარე ღომეხ ძმებს და ჩვენ, ამ გაერთიანებულ მეწაღე-ხელოსნებს, უფროსთ — მოთმინებას, უმცროსთ — მორჩილებას [და] ერთგულებას, ხოლო ყველას ურთიერთსიყვარულს და საქმეში გამარჯვებას.

უწყოდეთ, საყვარელო თანამოსაქმენო და შენც (ესა და ეს სახელი), ახლად არჩეულო ოსტატო, [რომ] ჩვენი ხელობის დამაარსებელია წმიდა ილია წინასწარმეტყველი. მისი წყალობითაა, რომ ჩვენ დღეს ცნობილ ხელოსანთა რიგში ვიმყოფებით; მისი ლოცვითაა, რომ ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, ვითარცა პატიოსანი ადამიანები. ამრიგად, როგორც მან გადმოგვცა ეს ხელობა, წმიდად და შეურყენელად, ჩვენც მისი სიკეთის დასაფასებლად მოვალენი ვართ პატიოსნად გამოვიყენოთ [იგი] და ვალდებული ვართ ვეცადოთ, [რომ] ჩვენს შეგარდებს სრულყოფილად შევასწავლოთ [ჩვენი ხელობა], თუ გვსურს დავიმსახუროთ წმიდა მოციქულის ლოცვა-კურთხევა და [ჩვენს] მოვალეობასაც არ გადაუხუციოთ. ოსტატის უხარისხო ნახელავისათვის. მოვალენი ვართ სასჯელი გამოვიტანოთ, ისევე როგორც კაცის მკვლელობას სჯის კანონი. ხოლო შენ (ესა და ეს სახელი), აქ თავშეყრილ ყველა ოსტატის წინაშე და თანდასწრებით რომ უჩვენებ შენს დახელოვნებას, უნდა მიიღო ოსტატის სახელი და აი ჩვენც მოგილოცავთ და შევევედრებით ყოვლად მოწყალე შემოქმედს, [რომ] მოგცეს შენ დღევგრძელობა, წარმატება და პატიოსანი საქმიანობა შენს ხელობაში. როგორც ყრმობაში პატიოსნად ირჩებოდი, ვიდრე ამ სახელს [მიიღებდი], ასევე დღეიდან სიკვდილამდე უმწიკვლოდ უნდა იზრომო. აი, შენს განმსწავლელ ოსტატთან ერთად [ყველანი] ერთხმად ვლალადებთ: „კურთხეულ იყოს წმიდანთა ხსენება“.

ისმინე, ახლად არჩეულო ოსტატო, როგორც შენმა პატივცემულმა ოსტატმა თავისი სულიერი, წმიდა მოვალეობა აღასრულა [და] შენს მიზანს მიგაღწევიან, არ დაიშურა ცდა, შეგასწავლა ხელობა, ვითარცა მამამ პატიოსან ცხოვრებაში გაგწაფა და სიკეთის გზაზე [დაგაყენა], ასევე შენც, ახლად არჩეულო ოსტატო, მოვალე ხარ მიბაძო შენს მოძღვრებს და შენი შეგირდების მიმართ გქონდეს კეთილი გული, პატიოსანი მიზნები და მიიყვანო ისინი ოსტატობის ხარისხამდე, რათა კვლავ გაისმას ჩვენს შემდგომ მოსული ოსტატებისგან — „კურთხეულ იყოს წმიდანთა ხსენება“.

მეწაღეების, მექალაქნეებისა და მსკიჯიების მსნაფის
დალოცვის საბუთი

წყალობითა ყოვლადწმიდა სამებისა — მამისა, ძისა და წმიდა სულისა, და უფლის კურთხეული დედის, წმიდა ღვთისმშობლის ყოვლადწმიდა ლოცვითა სიყვარული, მშვიდობა და ღოწყალეა შთამოვიდეს და მოეფინოს, გავრცელდეს და დამკვიდრდეს ჩვენს ქალაქში თაემოყრილ ქრისტეს რაჟულის მიმდევარ ესნაფის ძმებზე, ხოლო მათ შემდეგ ჩვენს, მეწაღეთა, მექალაქნეთა და ესკიჯიების ესნაფზე, ოსტატთა თაეზე, პატიეცემულ პირებზე, ოსტატებზე, უსტაბაშზე, [ჩვენს] ძმებზე — ივითბაშებზე, შრომისმოყვარე ხაზინადრებზე და ყველა უფროსსა და უმცროსზე [და] ახლად გაფურჩქენილ ხალიფებზე. დე სრულ იქმნან ისინი სულითა და ხორციით, სახლითა და მეგობრებით და სრული სარჩო-საბადებლით უზრუნველი იყონ ღრმა სიბერემდე. ყოვლად შემწე კაცთმოყვარე უფლის მოწყალებითა და ყოვლად ნეტარი ღვთისმშობლის შებრალებით აწ და მარადის იყოს ჩვენს ესნაფზე, განსაკუთრებით კი ყველა მორამწუნე ქრისტიანზე, კურთხევა, კეთილმოწყალება და მფარველობა და დღითიდღე აღივსოს [იგი] ყველანაირი სიკეთით, სახელით, პატივისცემით და ნაყოფის გამოძღობი სიუხვით, ვითარცა მრავალფოთლოვანი და უხვნაყოფიანი ედემის ვაზი, რგული ჭულიერ ნაკადულთა [ღინების] გასწვრივ. დე, იყვენ მშვიდობით მარადჟამს. ამინ.

ახლა კი უწყოდეთ, ჩვენო საყვარელნო ძმანო, [რომ] რადგან ყოვლადმოწყალე უფალმა გვიწყალობა ეს კეთილი დაწესებულება, აშკარად ჩანს, რომ წყვდიადიდან სინათლეზე გაგვიყვანა. ამიტომ ჩვენ ერთსულოვანი უნდა ვიყოთ და წმიდა გულით მადლობა უნდა შეგვიროთ უფალს, რათა მან [კვალავაც] გვიწყალობოს სიკეთე და რაც აუცილებელია ხორციელი ყოფისათვის, ის მოგვეცეს, დაგვიხსნას ეშმაკის მახიდან, ე. ი. ჯოჯოხეთიდან, ჩვენს საქმეებს კეთილი ბოლო მისცეს და გავგწმინდოს სულიერი ცოდვებისაგან.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა ვილოცოთ ღვთოს წინაშე ჩვენი ქალაქის უნეტარესი და გულმოდგინე მოძღვრის, უწმიდესი არქიეპისკოპოსის, კარაპეტისათვის, ჩვენი რჩეული და გულთამხილავი მამისა-

თვის, რამეთუ მისი მოღვაწეობითა [და] უფლის შეწევნით შეიქმნა ეს დაწესებულება და სრული წესრიგი გამეფდა ჩვენი ქალაქის ქრისტიანულ ესნაფებში. სათანადო რჩევით, ეკლესიაში ხშირი ქადაგებითა და დარიგებით, შთაგონებული გამხნევებით დიდად იღვაწა [არქიეპისკოპოსმა] და [მიზანს] მიადწია. ამიტომ ჩვენ მუდამ მისი მადლიერი უნდა ვიყოთ და ყოვლადმოწყალე უფალს უნდა ვევედროთ, რომ მისცეს მას ღღეგრძელი სიცოცხლე, რომ [ეპყრას] თავისი ტახტი და მთავრის კვერთხი, მტკიცედ დაიცვას იგი და მისცეს ძლიერება, რათა [კვლავაც] ჩვენი დამრიგებელი იყოს.

ჩვენ აგრეთვე არაფერი არ უნდა დაუვმალთ ერთმანეთს, რადგან იოანე მოციქული კათოლიკეებთან მიმართულ პირველი ეპისტოლეს მეცხრე მუხლში ამბობს: „რომელმან თქუას ნათელსა შინა ყოფა და ძმა თვისი სძულდეს“²⁴. თუ არ უნდა [მისთვის სიკეთე]—იგი ბილწია, პირიქით, თუ „ბნელსა შიგან არს“ კაცი, „რომელსა უყუარდეს ძმა თვისი“, იგი მუდამ დარჩება [„ნათელსა შინა“] და ბხელი არასოდეს არ შთამოვა მასზე. ნახეთ, ძმანო, ძმის სიყვარული რა კარგი რამაა. ამისათვის სულიერი წყალობა უნდა მივიღოთ უფლისგან. ძმების სიყვარული თუ არ გვექნება, საქმეში გამოჩნდება: როგორც სულით, ისე ხორციით უნდა დავისაჯოთ და უფლის წინაშე პირშავად უნდა ვიყოთ. საყვარელნო! ძმის სიყვარული გულის მოთხოვნა უნდა იყოს და უფრო მეტად უნდა შევმჭიდროვდეთ ერთმანეთთან. ჩვენ, როგორც ფხიზელმა ზედამხედველებმა, ყოველთვის თვალყური უნდა ვადევნოთ ორტინას შემოტანას ხაზინის სალაროში, თუ რამდენი მოგება მიიღო [ხელოსანმა] და რამდენი ფარა გადაიხადა ორტინას ანგარიშში, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ისე არ მოხდეს, რომ ეშმაკის წაქეზებით არ შეცდეს, მასზე წილდებული მეთადე შეიჩინოს და არ გადაგვიხადოს და ღვთის წინაშე პირშავი და შერცხვენილი დარჩეს. ხედავთ, რომ ამით უფრო აღსრულდება მოციქულის შეგონება. მოდით ერთხმად შევევედროთ ყოვლად მოწყალე უფალს, რომ გვიწყალობოს კეთილი გამარჯვება ჩვენს საქმეებში და ქალაქის ყველა ქრისტიან ძმასაც და [აგრეთვე] იმისი [ძალა], რომ არ ვუღალატოთ სიმართლეს. [უფალმა] გვიხსნას ეშმაკის ცდუნებისაგან.

დაბოლოს, უწყით, საყვარელნო მამანო და ძმანო ხალიფებო, თუ რისთვის ვართ მოსული ამ სახლში და ამ ოთახში, [რისთვის] მოვიყარეთ თავი და ვზივართ აქ? კიდევაც ვჭამეთ და კიდევაც ვსვით და ვისიამოვნეთ ამ ხორციელი სიხარულით. ახლა უნდა ერთმანეთს შევეუთანხმდეთ და შევიტყოთ [შემდეგი]: ეს [კაცი] (დაასახელე) ახლახან შემოვიდა ჩვენს მეწაღეთა, მექალმანეთა და ესკიჩიების ესნაფში და ჩვენი ძმა გახდა. ასე მოგვიყვანა, რომ ამ დიდ წვეულებაში ვისიამოვნოთ. სიმართლის შესაბამისად და ისე, როგორი წესიც არსებობს,

ჩვენ მოვალენი ვართ მხარი დაუჭიროთ ამ კაცს, როგორც ალებ-მიცემობაში, ასევე გადასახადების გადახდისას და აგრეთვე საჭიროების დროს რჩევა-დარიგება მივცეთ; ერთსულოვნად უნდა შევევედროთ ჩვენს შემომქმედს, რომ ამ კაცსაც უწყალობოს კეთილი წარმატება, მის საქმეებში მტკიცედ ჰყოს და იხსნას 'ყველა' ხილული და უხილავი განსაძღვლისგან. ახლა კი უნდა განუუმარტოთ და ვუბრძანოთ ამ კაცს, რომ როგორც ჩვენი ესნაფის პირობის წიგნში სწერია და ჩვენც ყველანი ბეჭდით დავალდებული ვართ მეთაფი ანუ ორტინა [გადავიხადოთ], ჩვენს მსგავსად ამანაც უღრტინველად უნდა გადაიხადოს, რომ [როდესაც] ხაზინადარი [მეთაფის] შეკრებას დაიწყებს, მან გაღიმებული სახით და წმიდა გულით გადაიხადოს.

თუმცა ჩვენ ამ სახლში მოვედით და ბევრი რამ დავაკელით [მას], მაგრამ შევევედროთ უფალს, რათა მან თავისი უკიდევანო წყალობით ერთი ასად და ათასად გადაუხადოს, ისე როგორც ქრისტეს საკვირველებათა შესახებ ვგებულობთ უწმიდესი სახარებიდან, როგორც ლუკა მოციქული ამაზე წერს [თავისი სახარების] მეცხრე თავის მე-14 მუხლში „რამეთუ იყვნეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესო მოწაფეთა თვსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ ერგასეული³. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი ერი⁴. ხოლო თავადმან მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რათა დაუგონ ერსა მას⁵. და ჰამეს და განაძღეს ყოველნი და აღიღეს, რომელ იგი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი“.

ასეთი დიდი სიკეთე იყოს ამ ოჯახზეც, დე ნუ მოაკლდება მას სულიერი ბედნიერებაც.

მაგრამ ამ ნათქვამზე ერთი სიტყვაც მაქვს დასამატებელი, რამეთუ ილია მოციქული მეტყავე იყო, ე. ი. დაბლობდა, ფეხსაცმელებს ამზადებდა ჩასაცმელად, ლაბადებს კერავდა და ა. შ. აქედან ჩანს, რომ სასულიერო პირის მსგავსად ჩვენი უსტაბაშიც მოძღვარია. ამიტომ ჩვენც ჩვენ საქმეზე მტკიცედ უნდა ვიდგეთ და ჰეშმარიტება მტკიცედ შევიყვაროთ; ნუ მოხდება ისე, რომ ჩვენმა უსტაბაშმა სასულიერო პირის მსგავსად ჩვენ განგვსაჯოს და ჩვენზე შური იძიოს, იმიტომ რომ წინასწარმეტყველი [ჩვენს] უკანონობას [ყოველთვის] შეიტყობს, [ეს ჩვენ] მუდამ უნდა გვახსოვდეს და [ერთმანეთთან] სიყვარულით უნდა ვიყოთ. თუ სიყვარულით და თანადგომით ვიქნებით, ყოვლად მოწყალე ღმერთს თავისი კურთხეული ლოცვით ხელეწიფების განკურნოს ჩვენი სულიერი და ხორციელი იარები და მოგვცეს ჩვენ კეთილდღეობა. თუ მართალნი ვიქნებით, მაშინ აშკარად გამოჩნდება, რომ წინასწარმეტყველს მოვალედ გავიხდით, რამეთუ ჩვენს წილს მოვითხოვთ და სამოთხეს, რომელსაც ვევედრებით, ღმერთი გვიწყალო-

ბებს წინასწარმეტყველის მეშვეობით. და როგორც ილია წინასწარმეტყველმა სამოთხეში ამალღებისას ჰკითხა ელისეს, რომელიც მისი მოწაფე იყო: „რა გინდა მოგცე შენ, ძეო ჩემო? [და] მან უპასუხა „შენი ძლიერება მომეცი“. ილიამ სამოთხეში ამალღებისას, მას ტყავის მოსასხამი ანუ ტყავისგან შეკერილი სამოსი ჩამოუგდო [და] სრული სამოციქულო ძლიერებით აღივსო [მისი] მოწაფე. და ჩვენც პატიოსნები ვიყოთ და ვევედროთ, რომ სულიერი მოსასხამით ჩვენი სულებიც შემოსოს და ყოველად მოწყალე თავისი გამოცხადების ღირს გვეყოფს და წმინდანებთან ერთად შეგვრაცხოს და ერთხმად აღვაგლინოთ ლოცვა უფლის მიმართ: „მამაო, ჩუენო, რომელი ხარ...“

დ ა მ ა ტ ე ბ ა 15

პირი ასლიდამ გაღმოდებული

ქ. ჩვენ მეფემან ყოვლისა საქართველოსაჲ, კახეთისა და სხვათა გიორგიმ, ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენს ყმას ერთგულს და ნამსახურს მოქალაქეს იფრუმანთ როსტომაშვილს ხატისა და მამას შენსა მუშრისს (შუშრისს) კაკალას, ასე რომ ქალაქის ბაზრის ბაზაზბაშობას დაგვეაჭენით, ვისმინეთ აჟა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ქალაქის ბაზრის ბაზაზბაშობა. ასე რომ, როგორც ამას წინათ ბაზაზბაში მოქცეულან შენც ისე უნდა მოიქცეთ და რაც ჩვენის სარქრისათვის და ან სხვისათვის ბაზარს ან ერთმოდეს და ან ეძლეოდეს, ეს ყველა უთქვენოთ არ უნდა მოხდებოდეს და რაც ამას წინათ ბაზაზბაშის რუსუმი და სარგო ქონდესთ თქვენც ისე უნდა მოგვეცემოდესთ. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ჩვენს სამსახურსა და ერთგულობასა შინა. აწე გიბძანებთ ქალაქის მოურავო, მელიქ-მამასახლისო და ჩვენო მოსაქმენო, ეს ჩვენი ნაბოძები წიგნი თქვენც ასე დაუმტკიცეთ.

აღწერა ნომბრის ივ (16) ქკს უპზ (1799 წ.)
ბეჟელი მეფის გიორგისა.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 16

მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ერთობლივ მეწვრილმანებისა. თქვენის ბრძანებით ასლანას უსტაბაშობაზე კელი ააღებინეთ. ჩვენ უიმისოთ იოლს ვერ წავსულვართ.

გვეედრებით მოწყალეა მიილოთ, იმისი დანაშაულება ჩვენ გვა-
პატივოთ და ისევ ამაზედ უსტაბაშობის მოწყალეა მიილოთ და უბო-
ძოთ.

მაისის კე (25), ქკს უპ (1800 წ.)

დ ა მ ა ტ ე ბ ა 17

ჩვენი ბრძანება არის ასლანავ, მერე თუ აღარ მოგვატყუებ და
ჩვენს სამსახურზე ბეჭითად იქმნები, მეწვერილმანების უსტაბაშობა
ისევ შენთვის გვიბოძებია. მეწვერილმანებო! ესევ დაგვიყენებია
თქვენს უსტაბაშოთა.

მაისის კო (29), ქკს უპ (1800 წ.)
მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი

დ ა მ ა ტ ე ბ ა 18

1800 წლ. მარტის 23.

ბარათი გიორგი მეფისა ბაზაზ-ბაში კაკალასადმი ხევსურებისათ-
ვის ფარჩის გაცემის თაობაზე.

ქ. ბაზაზ-ბაშო კაკალავ, ოცდაორს ხევსურს ბაზრიდამ კაცის
თავს ოთხ-ოთხი ტანი ფარჩა უნდა გაურიგო და მისცე. ორს კაცსაც
ორ-ოლი ტანი მომატებული საუფროსო უნდა მისცე.

მარტის კგ, ქკს უპ
გ ი ო რ გ ი

დ ა მ ა ტ ე ბ ა 19

1800 წლ. მარტის 31.

ბარათი გიორგი მეფისა ბაზაზ-ბაში კაკალასადმი გაბრიელ ყაზი-
ბეგის შვილისათვის ფარჩის გაცემის თაობაზე.

ქ. ბაზაზ-ბაშო კაკალავ, ბაზრიდამ ყაზიბეგის-შვილს გაბრიელს
ოთხი თუმნის ფარჩა გაურიგე და მიეცე. ამ კვირია ამის მეტი ბარათი
აღარ დაიწერება შენზე. მარტის ლა, ქკს უპ

გ ი ო რ გ ი

სხვა ხელით: ქ. ამ ბარათის ფარჩა არა ავიღე. ბატონს მოვახსენე. თეთრი მიეცითო. მეღიქის მარიფათით ოთხი თუმანი მომბარდა კაკულა ბაზაზ-ბაშისაგან ნაღდი თეთრი. გაბრიელ ყაზიბეგოვი.

და მ ა ტ ე ბ ა 20

1800 წლ. სექტემბრის 15.

ბარათი გიორგი მეფისა ბაზაზ-ბაში კაკალასადმი ლეკური ყასინას გაცემის შესახებ.

ქ. ბაზაზ-ბაშო კაკალავ, თავლაში ერთი წყვილი ხარლისათვის და ცხენების თოფრებათ ხუთი ყისინა მოეც ლეკური. აგვისტოს იე, ქკ^ს უპ. ამისთანა ბარათი ერთი იყო. დაიკარგა. თუ გამოჩნდეს ბათილია.

გ ი ო რ გ ი

და მ ა ტ ე ბ ა 21

1800 წლ. სექტემბრის 20.

ბარათი გიორგი მეფისა ბაზაზ-ბაშისა და ბაზაზების მიმართ, ფარჩის გაცემის თაობაზე.

ქ. ბაზაზ-ბაშო და ბაზაზებო, ოსების მისაცემ ჟამაგირში ოთხას-ორმოცდარვა ტანი ფარჩი მიეცით, ტანი ათ შაურზე იქნება ოცდარჩი თუმანი და ოთხი მინალთუნი. ეს ღლესვე გა[ა]რიგეთ და ბარათის აღების ღამე ეს არის. არც სხვა ბარათი დაიწერება. თანხაც მალე მოგეცემათ. სექტემბრის კ. ქკ^ს, უპ.

გ ი ო რ გ ი

და მ ა ტ ე ბ ა 22

1801 წლ. იანვრის 24.

ბარათი მეფის ძის დავითისა ბაზაზ-ბაში კაკალასადმი ოქროს დახურდავების შესახებ.

ქ. საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე დავით გიბრძანებთ ბაზაზ-
ბაშო კაკალავ, მერე, მის მსვლელობას უფალს ღენერალ-მაიორს ლა-
ზარევს მდივნის ეგნატის კელით ასი ბაჯალლოს ოქრო გამოუგზავნია
დასახურდავებლად თეთრს ფულზედა, ერთი ოთხ მინალთუნათა. ბა-
ზაზებზედ უნდა გაუყო თარხანსა და არ თარხანზედა. ყველას უნდა
და[ა]ხურდავებინო და მდივანს ეგნატს მიაბარო. იანვრის კდ, ქქს
უბთ.

და ვ ი თ

დ ა მ ა ტ ე ბ ა 23

1703—1716 წწ.

ბრძანება კახთ-ბატონის იმამ-ყული-ხანისა ენისელთ მოურავის მე-
რაბისადმი აბრეშუმზე ყადაღას დაღების შესახებ.

ქ. ჩვენ მაგიარათ ენისელთ მოურავს ბატონს მერაბს ასე მოახ-
სენეთ: აწე ენისელში ჩვენს სახასოს, თუ საბატონოს კაცის შვილს
ყმას აბრეშუმში დაეჭიროს, მანამდის ჩვენს კარზედ ნიხრი არ გავა-
კვეთინოთ, ან სოფელში სომეხს არ მიყიდონ და ან სხვაგან არ წაი-
ღონ გასასყიდლათ. ძალიანი ყადაღა უყავი. მოიტანონ აქ ჩვენს კარ-
ზედ, ბაზარში გაყიდონ. თორემ ეს იცოდეთ, შვეიცრევეთ, ეს ჩვენი
ყადაღა გაუტეხია ვისმე, ჩვენად შეტოდებად მოვკითხავთ.

მ ე ფ ე

ი მ ა მ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ

დ ა მ ა ტ ე ბ ა 24

1753 წლის 16 ივლისი. სათარხნის წიგნი, ბოძებული თეიმურაზ
II-სა და ერეკლე II-საგან ხოჯა ბებუდნათ აშხარბეგასშვილ აღას
ოჯახისადმი.

ჩვენი ბრძანება არის ჩვენის კარის მოხელენო და ქალაქის მოუ-
რაო, მელიქ-მამასახლისო და ნაცვალო და მეზაყენო! ხოჯა ბებუ-
დანთ მელიქი აშხარბეგას შვილი ბაზიერთუხუცესის აღას ოჯახი
ყოვლის ნივთით თარხანი ყოფილა, ერთი ჩვენი ერთგულობა სდებიათ
და განთავისუფლებულ ყოფილან ძველთა კელმწიფეთაგანაცა და ჩვენს

ცხებულ კელმწიფეთაგანაც. ამათი სითარხნე მოუშლელი ყოფილა და არც ჩვენ მოუშალეთ ვინცაინ ჩვენი მოხელენი იყვნეთ. ამათგან საჩვენო ბაჟი და ან სხვა სათხოვარი არა სთხოვოთ რა. თუცა სხვა თარხნებს ლითარხნე მოეშალოსთ, ამათი და ამათის შვილისა და მომავლის სითარხნე არასოდეს არ მოეშლება. ესენი სხვას თარხნებსავით არ არიან და არც არას თუ რას გამოსაღებში გერევიან. და რაც ამათ ქალაქში მსახლობელი ყმა ჰყავთ, რომ ამას ქვევით სწერიი:

ხეჩატურასშვილი ბაყალი მიკირტუმა, გორელი ნაზარას შვილები, ხეჩატურას შვილი ფეიქარი აღამა, სუსიტაშვილი გიორგი და ბეჟანა, ბერუასშვილი არუთინა, ყასაბი დათუას შვილი პაპა, ტერგრიქურას შვილები და ძმისწული გოგია, დემეტრიანთ მარტირუზას შვილები, დემეტრიანთ გიორგის შვილები, მეურმე ქუმსა, ბაღდასარას შვილები, ფარსადანა, ევანოზას შვილი ფარადა, ფარადას შვილი კალატოზი ბასილა, ზოზობას შვილი ფარემუზა, ელისბარას შვილი კალატოზი თოროსა, ზურაბას შვილი თამაზა, მესანთლე კაცის შვილი დალაქი ბეჟანა, გიორგის შვილი დავითა, წაკუას შვილი, ბეგაძე როსტომას შვილი ხეჩატურა, ნაზარას შვილი ტერ-აკოფა, ოპანეზას შვილი ნალბანდი ვართანა, ოპანეზას შვილი დათამა, ოსეფა, გრიქორას შვილი ხარაზი ანტონა, ბაინდურას შვილი ბასილა, პაპუნას შვილი სარქისა, მირზა ხანას შვილი, იმერელი დემეტრე, მექურჭლე სუსანა, არუთინას შვილი, პეტრუზას შვილი დანელა და პაპა, შაქარუა, ბეჟუას შვილი, მანჩაანთ ოპანეზა, ოპანეზას შვილი იობა, პაპუნას შვილი ნალბანდი ნაზარას შვილი დანელა, მეკონდახე სარქისა, მიკირტიჩაშვილი ოპანეზა, მანგუას შვილი ხარაზი გრიქორა, გასპარას შვილი დუქანი არაქელა აღამას შვილი დალაქი სუქიეზა გიორგა შვილი მეჭეჭი არუთინა, არუთინას შვილი მჭედელი ბეჟანა დათუნას შვილი გოგოლას შვილები, შავერდა და არუთინა ოპანეზას შვილი, ყარანთ იორამას შვილები, ჩვენი ნიბოძები ყაზიი იგორის შვილი ბეჟანა, ყრუ არუთინა, თამაზასი და ბაბანას ობლები.

იმის ძმის სტეფანას ყმები: ფარსელას შვილი ოსეფა, ულულას შვილი ოპანა, ბერუას შვილი ბერუა, ფეიქარი პაპუა, თამაზას შვილი მელეინე დავითა, ყალაბეგას შვილი მექურჭლე სულხანა, პუჭური არუთინასი, თანდინასი, პეტრუზას შვილი ოსეფას ობლები — ეს ყმები ყოვლის გზით სახელმწიფოს გამოსაღებისაგან თარხანნი ყოფილან და არიან. ამას წინათაც არასფერს გამოსაღებში არ გარეულან. ახლაც არა თუ რას სათხოვარში არ უნდა გარიოთ. თავიანთ გამოსაღები თავანთ ბატონს ბაზიერთხუცეს აღას და შვილსა და მამავალსა მათსა უნდა მისცენ და სტეფანას ყმამ სტეფანას უნდა მისცეს. თითონ ხოჯა ბებუთას ოჯახი ბაჟისაგანაც და ყოვლის სათხოვრისაგანაც თარხანი არიან. მაგრამ მათმა ყმებმა ბაჟი ჩვენს მებაჟეს უნდა მისცეს. ასნაფ-

შიაც ასნაფის ოსტატებმა გარიონ. მაგრამ რაც ჩვენმა ყმებმა მისცეს, იმაზე მსუბუქათ უნდა გარიონ. სამოურაო ამათს ყმებზე თვითო შაური ყოფილა და კიდევ თვითო შაური უნდა გამოერთვასთ. ამ სამს კალამს გამოსალეებს გარდა ჩვენს მოხელეთ მათს ყმათზე კელი არა აქვსთ რა.

ამას ზემოთ დაწერილს ყმებს გარდა ყმა, ან თავისი მოსამსახურე ღაისახლოს, ისინიც ამ გზით თარხანი უნდა იყვნენ. ეს ასე უნდა გაუთავდეს და არ მოეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა მეპატრონეთაგან. ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღთ^ს.

ზემორე რომ კალამი არის არეული, ის ამათ ყმებთან სწერია, რომ მოხელეთ, ამ სამის კალმის გამოსალეების გარდა, ამათ ყმებთან კელი არავისა ჰქონდეს.

დაიწერა კელითა კარისა ჩვენის მდივან მწიგნობრის თუმანის-შვილის გორჯასპისათა, მკათათვის ივ, ქქს უმგ¹. ღთვ ცხებით გვირგვინოსანს საქართველოს მეფეთ-მეფეს პატრონს მამა ჩვენს მეფეს თეიმურაზს რარიგადაც გაურიგებია, ჩვენ, ძე მათი, პატრონი მეფე ერეკლე ამ რიგად ვამტკიცებთ წყალობის წიგნსა და ნიშანსა ამას. მკათათვის ივ. ქქს უმგ².

დ ა მ ა ტ ე ბ ა 25

ქ. ბრწყინვალეო თავადო პავლე დიმიტროს ძე, მოწყალეო კელ-მწიფევე.

ჩემის შემოსავლის მოურაობის რომ მიბრძანეთ — რა ქონდა შემოსავალიო — ამას ქვემოთ მოგახსენებ:

§ 1. პ-ქ. პირველად ჩელიექისა მქონდა ოთხმოცი თუმანი.

§ 2. პ-ქ. ნეორე ჭაშნიკი ჩემი საკუთარი იჯარა იყო, ამას გავცემდი ხოლმე ხან სამოც თუმნათ და ხან ოთხმოც თუმნათა უფრო ოთხმოც თუმნად გავცემდი ხოლმე.

§ 3. კ-ქ. სატარულო იყო ჩვენი განწესება, ოც თუმანს ავიღებდი.

§. ი-ქ. თევზი, ზეთის ხილი და ზეთი — ამასაც გავცემდი იჯარით ათ თუმნათ.

§ 5. ა-ხ. ქ. აღდგომისა და ნათლისღების დღეს მესანთლეები მომართმევდნენ ხოლმე ოთხ ლიტრას წმინდას სანთელს, თექვსმეტი მინალთუნი.

§ 6. ბ-წქ. ახალწლის შაქარი მამერთმეოდა ასნაფიდამ, ოცდაოთხი მინალთუნი.

§ 7. დ⁻ქ. აღდგომას ბატკანს მამგერიდა ყოველი ასნაფი, ამის ფასი ოთხი თუმანი.

§ 8. კ⁻ქ. პირველი იანვარი რომ დადგებოდა, სამი დღე ქალაქის კარები მე მეჭირა; რაც ბაჟი შემოვიდოდა ნახევარს მე ავიღებდი და ნახევარი სამეფო იყო ამას რაოდენობა არ ერქო, ბევრ [ჭერ] ბევრს ავიღებდით, ბევრჯერ ცოტასა. აქედამაც ოცი თუმანი მომივიდოდა.

§ 9. ა⁻ქ. წელიწადში ყასპებს ნიხრს რომ გადაუჭრიდით, ამათგან გვერგებოდა, რამდენჯერაცა, ორმოცდაათი ლიტრა ხორცი. რომ იქს ამისი ფასი, თითო გაჭრისა, თხუთმეტი მინალთუნი.

§ 10. ა⁻ცქ. დიდმარხვა რომ დადგებოდა, ბაყლები მომართმევენ სამარხოს, თავისის ნიგვზით, ორმოცდა ათს ლიტრას. ამისი ფასი თორმეტი მინალთუნი.

§ 11. ა⁻ჭქ. შობასა, ნათლისღებასა და ყველიარში ბრინჯს მამცემდენ ოც ლიტრას თავისის ერბოთი. აგრევე, ყასპები შობასა და ნათლისღებას მომცემდენ ოთხ ჰელილს. ამისი ფასი იქს თერამეტ მინალთუნს.

§ 12. გ⁻ქ. ძროხის ქონსა და ღორის ქონს მამცემდენ ყასპები და მელორე[ე]ბი. აქედამ მერგებოდა სამი თუმანი.

§ 13. ა⁻წქ. ღვინის ნიხრს მიეცემდი — სარაჯები მამცემდენ თოთხმეტ მინალთუნს.

§ 14. ა⁻ქ. წვრიმანი შემოსავალი მერგებოდა აქედამ-იქილამ ერთი თუმანი.

§ 15. ი⁻ქ. მოქალაქე რომ იჩივლებდა ჩემთან, აქედამ სადიამბეგო მერგებოდა თუმანზედ ხუთი აბაზი. არც ამას დაედება ფასი. ბევრჯელ ბევრი მოვიდოდა, ბევრჯელ ცოტა. აქედამაც ათი თუმანი მერგებოდა.

§ 16. ი⁻ქ. ბატონი ვისაც გაუწყრებოდა და ჯარიმას წაართმევდა, იმისი ათის თავი ჩენი იყო. აქედამაც მერგებოდა თუმანი ხუთი.

§ 17. ი⁻ქ. სხვარიგათ ჯარიმას ვისაც წაეართმევდით, ბევრჯელ ბევრი იქნებოდა და ბევრჯელ ცოტა და ამისი ფასი არ დამიწერია (ათი თუმანი).

§ 18. ი⁻ქ. თავი რომ გაუტყდებოდა ჩხუბში კაც[ს], იმისი ჯარიმა ჩემი იყო, ბატონს საქმე არ ქონდა [ათი თუმანი].

§ 19. ე⁻ქ. ჩემის ნაცვლისაც იყო სარგო ხუთი თუმანი სხვა ხელით: „თავადი ევსტათი ციციანოვი“.

ქ: ქალაქის მოურობის სარგო ეს არის, რომელიც ამას ქვემოთ სწერია:

1. ქ: ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუნდა მელიქ-მამასახლისის და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და, თუ უნდა, არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან. ამაში აქვს სარგო თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს, და ამ სამდივანბეგოში კელი არა აქვსთ მელიქ-მამასახლისის, ნაცვალს და ქედხუდებს, ისრე უნდა ახლდენ.

2. ქ. მოურავთან რომ მოჩივარი მოვა, თუ თითონ არ ინებებს სამართალს, თავის იასაულს გაატანს, ორი უნდათ, თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმონენ, მაგრამ იქიდამაცა თუმანზედ ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგანაც მოურავი გაგზავნის ამისთვის.

3. ქ. ბატონის ბრძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგები რომ სამართალში დასხდებიან, რაც სამდივანბეგო შემოვა, როგორც რიგი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ.

4. ქ. ნავროზზედ ზარბაზნები რომ გაცვივდება, სამი დღე ქალაქის მოურავისა არის ბაჟი, ქალაქის ექვსის კარისავე შემოსავალი.

5. ქ. აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვას კარზედ, თუმანზედ ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა, მაგრამ ახლა მოურავს ოთხმოც თუმანს აძლევენ.

6. ქ. ქალაქში რაც ღვინო შემოვა, ურემზედ ორი თუნგი მოურავისა არის და საპალნეზედ ნახევარი თუნგი. ამას ჰქვიან ჭაშნიკი.

7. ქ. ზეით დიღმის კარზედ, კოჯრის კარზედ და წყლის კარზედ რაც შეშა შემოვა, ურემზედ ორსა და სამს შეშას გამოართმევენ მოურავისთვის, აგრევე ნახშირზედ, აგრევე ფიჩხზედ, აგრევე საპალნე შეშასა და ნახშირზედ გამოართმევენ მოურავისათვის. ამ შეშისა და ნახშირისა ექვსი დღე ყოველს კვირას მოურავისა არის და შაბათი დღე ქალაქის ნაცვლისა არის, ამისთვის უნდა გამოერთვას.

8. ქ. ნავრუზს უკან ქალაქის მოურავისათვის უნდა მოიკრიფოს კომლზედ, ვისიც უნდა ყმა იყოს, ექვსი შაური და ჭომხის ყმაზედ ერთი შაური. რომელიც სახლში დგას, იმან უნდა მისცეს, ეს ექვსი შაური სახლსა სძევს. ამას ეძახიან სატარულოს.

9. ქ. მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდამ მოვიდეს, პირველად მოურავი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს, რომ ეს დებულება არის.

10. ქ. წმიდას აღდგომას მესანთლებმა ორი ლიტრა სანთელი უნდა მიართვან მოურავს, ჩამოსხმული, როგორც ეპრიანებოდეს, რომ

ეს დებულება არის, და ასნაფმა სამი, ორი და ერთი ბატკანი უნდა მიაართვეან, და ქეთხუღებ[მ]ა, ან ექვსი და ან ხუთი ბატკანი უნდა მიაართვეან, და ყასებმა ორი ჰედლილი უნდა მიაართვეან, კარგი და გამორჩეული.

11. ქ. ნათლისღებას კიდევ მესანთლებმა ორი ლიტრა ჩამოსხმული სანთელი უნდა მიაართვეან, როგორც მოურავს ეპრიანებოდეს, და ყასებმა ორი გამორჩეული ჰედლილი, და ბაჰყალებმა ბრინჯი ერთი ცალი, თავის ერბოთი, რამდენიც ლიტრა იქნება, ლიტრაზედ ჩარეჟი ერბო.

12. ქ. ახალ წელიწადს, რაც ასნაფი არის, ყოველმა ასნაფმა ორი და სამი შაქარი უნდა მოართვეან, მაგრამ ბაზაზებმა ექვსი შაური უნდა მოართვეან მოურავს, ჰედხუღებ[მ]ა, ან სამის ხონჩით და ან ორი ხონჩით ნულლი და შაქარი უნდა მოართვეან.

13. ქ. ყველიერში ბაჰყალებმა კიდევ ერთი ცალი ბრინჯი მოურავს უნდა მოართვეან თავისის ერბოთი.

14. ქ. დიდმარხვა რომ დადგეს, ბაჰყალებმა მოურავს ორმოცდაათი ლიტრა სამარხო უნდა მიაართვეან თავისის ნივჭით.

15. ქ. ყასებმა, რაც ღუქანი არის, ღუქანზედ მოურავს სამ-სამი ლიტრა ქონი უნდა მიაართვეან, კარგი და გამორჩეული თხის ქონი.

16. ქ. ღორის ქონი, ერთს დაზგაზედ რამდენიც ამხანაგნი არიან, კაცის თავს სამ-სამი ლიტრა ქონი უნდა გამოერთვას მოურავისთვის, რომ ამით საპონი უნდა გაკეთდეს მოურავისათვის. ის ქონი კაცის თავზედ აიღება და არა დაზგაზედ.

17. ქ. დაზგაზედ ღორისა, როდისაც ქონი მოიკრიფება ალებაში, მოურავისათვის ერთი მხარი და ერთი ბარკალი უნდა მოიკრიფოს, რომ მძეხვი უნდა გაკეთდეს.

18. ქ. წელიწადში რამდენჯერაც ნიხრი მიეცემა მოურავისაგან ყასებებს და მოემატება, თითოს მომატებაზედ ყასებმა საერთოდ ნიხრანა ორმოცდაათი ლიტრა ცხვრის ხორცი მოურავს უნდა მოართვეან, რომ ეს დებულება არის.

19. ქ. წელიწადში ერთხელ საერთოდ სირაჯებმა მოურავს უნდა მოართვეან დებულებისაებრ ნიხრანასი თოთხმეტი მინალთუნი. აქედამ, ორი მინალთუნი მოურავის ნაცვლისა არის და სხვა მოურავისა. ეს ღვინის ნიხრის თოთხმეტი მინალთუნი წელიწადში ერთხელ აიღება, თუნდა მარიამობისთვეში და თუნდა სხვას თვეებში.

20. ქ. მოურავმა სხვაგან ერთი და ორი თვე რომ დაიგვიანოს და ქალაქში მოვიდეს, სირაჯ-ბაში სირაჯებს უნდა მოუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მოართვეან. აგრევე ბაჰყალ-ბაშმა ხილი უნდა მოართვეან, რომ ეს დებულება არის.

21. ქ. ქალაქში რომ გულაქნური შემოვიდეს, საპალნეზედ ორი

გელაქნური მოურავს უნდა მიაართვან და ამ გელაქნურის მომტანმა მოურავი უნდა ნახოს, ნიხრი მისცეს, და ამისთვის ნიხრანად ოცი და ან თხუთმეტი გელაქნური უნდა მიაართვას, რომ ეს დებულება არის.

22. ქ. ორაგული რამდენი საპალნეც შემოვა, საპალნეზედ ნახევარ[ი] ორაგული მოურავისა არის. ამისთვისაც მომტანთ მოურავი უნდა ნახონ, ნიხრი მისცეს, და ნიხრანად არც დიდი და არც პატარა, საშუალო ორაგული უნდა მიერთვას. და თუ ცოტა შემოტანილა ორაგული, იმისთვისაც ნიხრანასთვის ორი-სამი ლიტრა ორაგული უნდა მიერთვას. ეს ორაგული განჯიღამ რომ მოვა, იმისი არის, რომ ეს დებულება არის.

23. ქ. აგრეთვე ზუთხი რომ შემოვიდეს, საპალნეზედ ერთი ზუთხი მოურავისა არის. და მომტანთ მოურავი უნდა ნახონ, ნიხრანა მისცეს და ნიხრანასათვის კიდევ მთელი ზუთხი უნდა მოართვან. და თუ ცოტა შემოტანილა, ორსა და სამს ლიტრას ზუთხს მიაართმევენ, რომ ეს დებულება არის.

24. ქ. რამდენიც საპალნე ხრამული, ფიჩხული შემოვა, საპალნეზედ ერთი ჩარეკი ხრამული-ფიჩხული მოურავს უნდა მიერთვას, და მომტანთ კიდევ მოურავი უნდა ნახონ და ნიხრი მისცეს და ნიხრანად ერთის ლანგრით ფიჩხული უნდა მიაართვან, რომ ეს დებულება არის, და მოურავი ყოველს ნიხრზედ, თუ ბატონის ნაცვალს არ დაისწრებს, ქედხუდებს დაისწრებს ორსა და სამს.

25. ქ. აგრევე ბორჩალიღამ, და თარფებიღამ, და ბაიდრიღამ.

26. ქ. განჯიღამ რამდენიც საპალნე ყურძენი შემოვა, ნახევ[არი] ლიტრა საპალნეზედ მოურავს უნდა მიერთვას, და ნიხრიც მოურავმა უნდა მისცეს. ამას გარდა არა გამოერთმევა რა.

27. ქ. ქანდიღამ ხმელი თევზი რომ მოვა, ურემზედ სამი შაური და ერთი გამორჩეული ან ზურგიელი და ან ერთი წყვილი დოში მოურავისა არის.

28. ქ. რამდენიც საპალნე ზეთისხილი შემოვა, საპალნეზედ ერთი ჩარეკი მოურავისა არის. და ნიხრისათვის ერთი ლანგარი ზეთისხილი უნდა მოერთვას.

29. ქ. ზეთი რომ შემოვიდეს, საპალნეზედ ორი შაური მოურავისა არის.

30. ქ. ახალციხიღამ და აწყერიღამ ხილი რაც საპალნე შემოვიდეს, ამისთვის ლანგრით უნდა მიერთვას მოურავს ნიხრის მიცემისათვის.

31. ქ. საპალნე ნესვზედ ნახევარი ნესვი მოურავისა არის, და ურემზედ ორი გამორჩეული ნესვი უნდა მოერთვას.

32. ქ. ქალაქის მოურავს ქალაქის ბაღებმა უნდა მოართვან: მოურავის კაცი უნდა წავიდეს და საპალნეებით ხილი უნდა მოეკრიფოს

და მოერთვას, ერთი ახალ-ბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე უნდა მოერთვას, ერთი ახლობას, და რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე დაუკლებლად უნდა მოერთვას საპა[ლ]ნეებით და ერთი ყურძნობას უნდა მოიკრიფოს საპალნებით, რაც იმ დროს არის, ყოვლის ნივთისაგან დაუკლებლად უნდა მოერთვას ყოვლის ბალები-დამ: ღირსიჭალიდამ, ორთაჭალიდამ, კრწანისიდამ, სეიდბათიდამ, გარეთუბნის ბალებიდამ და ვერიდამ და სხვა ყოვლის ბალებიდამ.

33. ქ. წელიწადში ნავრუზზედ სამი დღე რომ მოურავისა არის, იმ სამს დღეს, რაც ტივი ჩამოვა, სალბაში მოურავისა არის.

34. ქ. ქურჭლის ქურახანიდამ, რამდენიც ქურა გამოვიდეს, იმდენჯერ ორი ნაჭერი, ერთი კოკა და ერთი ლიტრა მოურავისა არის, დებულეა არის.

35. ქ. აგრევე ქაშანურის ქურიდამ, რამდენჯერაც ქურა გამოვიდეს, ქურაზედ ორი ნაჭერი მოურავისა არის, რომელიც უნდა.

36. ქ. ბატონი რომ მოქალაქეს გაუწყრეს და ჭარიმა წაართვას, ათის-თავი მოურავისა არის.

37. ქ. ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯედედეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს, და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჭარიმა უნდა წაერთვას. იმ ჭარიმის ათის-თავი მოურავისა არის და ამ მოურავის ათის-თავიდამ ათის-თავი ბატონის ნაცვლისა არის.

38. ქ. ქურდსა და ბოზს როდესაც მოურავი დაიჭერს, ამის ჭარიმას მოურავი რომ გამოართმევს, ათის-თავი მოურავისა არის და ამ ათის-თავის ათის-თავი ბატონის ნაცვლისა არის.

39. ქ. თავი რომ გაუტეხოს კაცმა კაცს, ამის ჭარიმა მოურავისა არის, ბატონისა არ არის ის, თუნდ დიდი იყოს, თუნდა პატარა.

40. ქ. გაზაფხულზედ რომ ცხენები დაიბმას, მაზმნებს სძევს ხუთი ტოილო-დუშაყი, მკედლებს ორი კარგი სათიბელი და ერთი კარგი სამურველი, რომ ეს დებულეა არის, მოურავს უნდა მოერთვას.

41. ქ. მოურავი რამდენჯერაც ქალაქიდამ სხვაგან წაბრძანდება, რამდენიც ტიკი მოუნდება, უნდა თხოვბით მიართვან და ეს ტიკები მას უკან ისევ პატრონებს უკანვე უნდა მიეცეს. ეს დებულეა არის.

42. ქ. აგრევე მკუპრავებმა, რამდენჯერაც მოურავს ტიკები მოუნდეს, უნდა მოართვან და ხმარების უკან ისევ მკუპრავებსვე უნდა მიეცეს, ეს დებულეა არის.

43. ქ. მოურავს რომ მეწვრილმანე უნდა ჰყვანდეს, მეწვრილმანეებში ის თარხანი უნდა იყოს, გათარხნებული უსტაბაშისა და მეწვრილმანეებისაგან. აგრევე სირაჯი, აგრევე ბაჰყალი, აგრევე ბაზაზი და აგრევე მეპურე, აგრევე ყააბი და კიდევ სხვა, რომელიმე ასნაფი ემ-

სახურება მოურავს, ის იმ ახანაფებისაგან შალავათ ნაქნარი და განთავისუფლებული უნდა იყოს, ეს დებულება არის.

44. ქ. ამას გარდა, რაც ბატონმა ქალაქს ან სთხოოს, ან შეაწეროს, ან სხვა რამ საქმე იყოს, ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს, და მოურავი ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა ცდილობდეს ყოვლის თავის გარჯით და თავდადებით.

45. ქ. ასას-ბაში და ასასები მოურავს უნდა ახლდენ და იმას კარზედ უნდა იყენენ, რომ ასასები მოურავის იასაულები არიან.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 27

ქალაქის მოურავის სარბო

1. ქ. კიდეც ნათლის-ლებას ბაყალები ერთობით ბრინჯს გა[ა]კეთებენ და ერბოს, თორმეტი ლიტრა იქნება თუ ათი, და მოურავს მოართმევენ, მოურავის ნაცვალსაც ემსახურებიან.

2. ქ. კიდეც ნათლისლებას ორი ცხვარი გამორჩეული ყასბებმა მოურავს უნდა მიართვან, ერთი მოურავის ნაცვალს.

3. ქ. კიდეც ნათლისლების უკან, ხორცს ნიხრი მიეცემა და მოურავს ორმოცი ლიტრა ხორცი უნდა მოართვან ყასბებმა, ათიც მოურავის ნაცვალს.

4. ქ. დიდ-მარხვა რომ დადგება, ორმოცდა ათი ლიტრა სამარხო თავისის ნიგზით და მარილით ბაყლებმა უნდა მოართვან მოურავს, მოურავის ნაცვალსაც ემსახურებიან.

5. ქ. წმინდას აღდგომას კიდეც მესამთლები ორს ლიტრას წმინდა სამთელს მოართმევენ მოურავს.

6. ქ. კიდეც წმინდას აღდგომას ყოველი ასნაფი თითო ბატკანს მოართმევენ მოურავს, და ბაზაზები ან ჰამს, ან ორს, ყასბები ორს გამორჩეულს ცხვარს, და მოურავის ნაცვალს ბატკანი და თითო აბაზი, და ქეთხულებმაც უნდა მოართვან ბატკნები, ერთიანათ ხუთი იქნება, თუ ექსი.

7. ქ. სირაჯების ნიხრანა თორმეტი მინალთუხი წელიწადში ერთხელ, როცა მოურავი[ს] ნება[ა], უნდა მიართვან სირაჯებმა, ერთი ოქრო მოურავის ნაცვალს უნდა მისცენ.

8. ქ. ყასბებს რამენჯერ ნიხრი მიეცემათ, მოურავს უნდა ემსახურნენ.

9. ქ. ყასბებმა უნდა მიართვან მოურავს წელიწადში ერთხელ დუქანზე სამი ლიტრა კარგი ქონი.

10. ქ. აგრევე ღორის ქონი, სადაც ღორი იხოცება, რამდენიც ამხანაგნი არიან, კაცის თავს სამი ლიტრა ქონი მოურავს უნდა მოართვან და დაზგაზე მხარი და ბარკალი მოურავის ნაცვლისა.

11. ქ. ჭონჯოლი რომ შემოვა, საპალნეზე ერთი ჩარეჭი მოურავისათვის[ნ] [ა]იღებენ.

12. ქ. რაც ჭარიმა აიღება ქალაქში, ათის-თავი მოურავისა არის, და ჭარიმა ბატონისა არის.

13. ქ. მოურავი მუდამ ქურდს და ბოზს უნდა ეძებდეს, და იქიდან ირგებს, და ავს კაცს.

14. ქ. მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს, და ადღს, ლიტრას და თუნგს უნდა შინჯევდეს. და რომელსაც ნაკლები ან ლიტრა, ან ადლი, ან თუნგი აქ, ჭარიმა უნდა წა[ე]რთვას. ათის-თავს მოურავისთვის აიღებს და სხვას მეფის სარქარში მიაბარებს.

15. ქ. მოქალაქე[ე]ბი მოურავთან უნდა ჩიოდნენ, მოურავმა ქეთხუდები უნდა დაისწრას და სამართალი ისე უნდა ქნას. თუმანზე ხუთი აბაზი მოურავისა[ა]. საღივანბეგო, ვინც იას[ა]ულია საიას[ა]-ულოს აიღებს, ნახევარი საიას[ა]ულო ნაცვლისა.

16. ქ. მოურავი რომ მობძანდეს სხვა ადგილიდამ ქალაქში, სირაჯებმა ღვინო უნდა გა[ა]კეთონ და მოართვან ძღვენი, აგრევე ბაყლებმა ხილი.

17. ქ. გაზაფხულზე ცხენები რომ გაებმის, რაც ტოილო-დუშაყი მოუნდება, მაზმნებ[მ]ა უნდა მიართვან მოურავს.

18. ქ. ქალაქში რამდენიც ქურა გამოვა ჭურჭლისა, ქურაზე ერთი კოკა და ერთი ლიტრა მოურავს უნდა მოართვან. ქაშანური რომ გამოვა, ყოველს ნაჭერზე თითოს ნაჭერს აიღებენ მოურავისათვის.

19. ქ. გარედამ რომ მოქალაქე მოვა, გზას რომ იყოს, მოურავი უნდა ნახოს და ფეშქაში უნდა მოართვას.

20. ქ. მოურავი რომ ქალაქში იყოს, მელიქი, მამასახლისი, თუ ნაცვალი კაცს ვერ დაიჭერენ, მოურავმა უნდა დაიჭიროს, ჭარიმა ბატონისა, ათის-თავი მოურავისა. თუ მოურავი ქალაქში არ იყოს, ამ სამმა მოხელემ და მოურავის ნაცვალმა უნდა დაიჭირონ, ჭარიმა ბატონს მიართვან და ათის-თავი მოურავის ნაცვალს მიაბარონ მოურავისათვის.

21. ქ. ბაღებიდამ ზაფხულში, როდესაც მოურავი კაცს გაგზავნის და ხილს ითხოვს, უნდა მოართვან მებაღე[ე]ბმა.

22. ქ. ასასები მოურავს უნდა ახლდნენ, ორი და სამი ასასი მაინც გამოუღვევლათ უნდა ახლდნენ. ქურდსა და ბოზს უნდა მოახსენებდნენ ასასები მოურავს და მოურავი უნდა გარდა[ა]ხ[ლ]ევიანებდეს.

23. ქ. კოყრის კარიდამ, დიღმის კარიდამ, წყლის კარიდამ შეშა რომ შემოვა, იქილამ შეშის ბაჟი მოურავს ერგება.

24. ქ. ქალაქს მოურავმა სამს თვეში ერთხელ უნდა ნიხრი უნდა მისცეს ქალქს, მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქეთხუდები უნდა დაისწრას და ისე უნდა მისცეს ნიხრი. ნიხრის მიცემის უკან, რომელმაც ასნაფმა დააშაოს, მოურავმა უნდა გარდა[ა]ახდევინოს.

25. ქ. მოურავი რომ სხვაგან წაბრძანდეს სადმე, ტიკი სირაჯმა უნდა იშო[ვო]ს და ტიკპორა მკუპრავებმა, მაგრამ არ უნდა დაეკარგოს და ისევე თავთავის პატრონებს უნდა მიბარდეს.

კომენტარები

დამატება 1.

პირველად დაიბეჭდა წიგნში — „მასალები ქართლ-კახეთის სამოხელეო წყობის ისტორიისათვის“, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, თბ., 1948, გვ. 034—035.

- 1 ჩარეკი — 1./4.
2. მასრაფი — ხარჭი, სარგებელი. აქ — ამქრის ხაზინა.
3. იოლი — გზა, საშუალება, ჭარიმა.
4. იგიტბაში — ამქრის ადმინისტრაციის დაბალი მოხელე, შიკრიკი.
5. რასათი — წილი, ხვედრი.
6. დედანშია „ოსტატის“ (შ. მესხიას შენიშვნა).
7. დედანშია „ელმოწერილი“ (შ. მესხიას შენიშვნა).
8. დედანშია „თუმაზედ“ (შ. მესხიას შენიშვნა).
9. დედანშია „ხსენებულის“ (შ. მესხიას შენიშვნა).
10. დედანშია „დამწერინეს“ (შ. მესხიას შენიშვნა).

დამატება 2.

წესდება პირველად დაიბეჭდა შ. მესხიას ნაშრომში „ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან“, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1949, გვ. 151—152.

1. აყსაყალი — აქ ამქრის უხუცესი.
2. ანქარი — ამქარი.

დამატება 3.

წესდების სომხური ტექსტი დაიბეჭდა წიგნში — *Վ. Ա. Աբրահամ-*

მკან, *სტრუქტურული ჯანსაღობა IV — XVIII სს., ტფილისი, 1958*
გვ. 253—258.

1. როგორც ჩანს, იგულისხმება კათალიკოსი.
2. დედანში ნახმარია რუსული სიტყვა „старшина“
3. მიზლი — გასამრჯელო, მიზლი.
4. ხალიფა — ხალიფა, თანამემწე, ნაცვალი, აქ — ქარგალი.
5. ათარი — ნელსაცხებლებით მოვაქრე; მეათთიაქე.
6. ტექსტშია *ნანდ ქინაქი* — „შხამიანი ბუზი“.
7. ტექსტი გაუგებარია.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 4.

ამ წესდების სომხური ტექსტი პირველად გამოქვეყნდა ქურნალ-ში „*„ლიმას“*, ტ. I, II, *სტრუქტურული*, 1898, საიდანაც გადაბეჭდილია წიგნში—*ვ. ა. სტრუქტურული, ჯანსაღობის სტრუქტურული აღწერისათვის (18—20-ე სს. სტრუქტურული, ტფილისი, 1971, გვ. 200—209.*

(ვ. ა. აბრამიანი, სომეხთა ამქრები ამიერკავკასიის ქალაქებში (18-20 ს-ის დამდეგი), ერევანი, 1971, გვ. 200—209.

1. ტექსტში ნახმარია *ქოიქი*, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს კრებას, საკრებულოს, საზოგადოებას და ა. შ.

2. დედანში ნახმარია რუსული სიტყვა «гербовый».

3. ამ მუხლს დამატებული აქვს სიტყვები: „დაე თანაბარი იყოს“ (*ჯანსაღობის სტრუქტურული*).

4. ტექსტშია *ქარგაქ* (ქარგაქ) < სპ. *კარგაქ*.

5. ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერ დავადგინეთ.

6. ამ მუხლს ახლავს მინაწერი: „ეს მუხლი შეიცვალოს თურქი (მუსლიმი—კ. კ.) შეგირდის დალოცვისას“ (*„სტრუქტურული სტრუქტურული სტრუქტურული“*).

7. დედანშია რუსული «линейка» (*სტრუქტურული*).

8. ტექსტში ნახმარია аттестат (*სტრუქტურული*).

9. ტექსტშია „პრაზდნიკის დღეები“ (*სტრუქტურული სტრუქტურული*).

10. დედანში ნახმარია журнал (*სტრუქტურული*).

11. სიტყვა გაურკვეველია.

12. დედანშია дежурный (*სტრუქტურული*).

დ ა მ ა ტ ე ბ ა 5.

Положение о ремесленных амкарах (цехах) в гор. Тифлисе и об их управлении.

იბეჭდება თბილისის 1914 წლის გამოცემის მიხედვით.

დამატება 6.

კონკურენტის აცდენის „პირობა“

პირველად დაიბეჭდა შ. მესხიას წერილში „ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან“, გვ. 149—150.

დამატება 7.

პირობის წიგნის სომხური ტექსტი გამოქვეყნებულია წიგნში: ვ. ა. აბრამიანი, სომეხთა ამქრები ამიერკავკასიის ქალაქებში. გვ. 188.

დამატება 8.

სომხური ტექსტი პირველად გამოქვეყნდა წიგნში: С. Егнazarов, Городские цехи, Казань, 1891, გვ. 361—368. შემდეგ დაიბეჭდა ვ. ა. აბრამიანის მონოგრაფიაში „სომეხთა ამქრები ამიერკავკასიის ქალაქებში“, გვ. 183—185.

1. ყურუში და ფარა — თურქული ფულის ერთეულები.
2. ლაზან დეურმიში — ქვაბის გადატრიალება, დამნაშავე ხელოსნის დასჯის სახე.

დამატება 9.

სპარსული ტექსტი გამოქვეყნებულია წიგნში:

اسناد و نامه‌های تاریخ از اوایل دوره‌های اسلامی تا اواخر عهد شاه اسمعیل صفوی، تألیف سید علی مؤید ثبتي، تهران، ۱۳۳۰، 244 გვ.

1. დიბაჯი — დიბის მქსოველი.
2. დინარი — ოქროს მონეტა.
3. დიბა — ძვირფასი ფარჩა.
4. სპარსულ ტექსტში ნახმარია ჭამა 'ათი — კრება, შეკრება. საზოგადოება, ბრბო. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამ ტერმინს ხელოსანთა გაერთიანების, ამქრის მნიშვნელობა აქვს.
5. 1355 წლის 15 მარტი.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 10.

დოკუმენტის სპარსული ტექსტი გამოქვეყნებულია წიგნში: Казийские документы, Ташкент, 1935, გვ. 25.

1. 1599 წლის.

2. ეს ფორმულა დაწერილია არაბულად.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 11.

დოკუმენტის სპარსული ტექსტი დაბეჭდილია წიგნში: Казийские документы, Ташкент, 1935, с. 25.

1. 1599 წლის

2. ეს ფორმულა დაწერილია არაბულად.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 12

დაბეჭდილია ფ. ალიევის ნაშრომში «Города Северного Азербайджана во второй половине XVIII века», Баку, 1958, с. 12.

1. 1822 წლის.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 13.

მეწალე-ხელოსანთა დალოცვის წიგნის სომხური ტექსტი გამოქვეყნებულია წიგნში—С. Егнazarov, Городские цехи, გვ. 389—390; შემდეგ დაიბეჭდა ვ. ა. აბრამიანის ნაშრომში „სომეხთა ამქრები ამიერკავკასიის ქალაქებში“. გვ. 198—199.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 14.

მეწალეების, მექალაქნეებისა და ესკიჩების ენსაფის დალოცვის საბუთის სომხური ტექსტი პირველად გამოქვეყნდა ს. ელიაზაროვის წიგნში «Городские цехи» (გვ. 384—388). შემდეგ შემოკლებით დაიბეჭდა ვ. ა. აბრამიანის მონოგრაფიაში „სომეხთა ამქრები ამიერკავკასიის ქალაქებში“ (გვ. 182—183).

1. ესკი — ძველი, ძველმანი, ძველი ფეხსაცმელი. ესკიჩი — ხარაზი.

2. იოანე, პირველი ეპისტოლე, 1,9.
3. ლუკა, 9,14.
4. ლუკა, 9,115.
5. ლუკა, 9,16.
6. ლუკა, 9,17.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 15.

საბუთის ტექსტი გამოაქვეყნა შ. მესხიამ წიგნში „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის“, თბ., 1948, გვ. 101.

1. რუსუმი — გასამრჯელო.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 16.

საბუთი პირველად დაიბეჭდა შ. მესხიას წიგნში „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის“, გვ. 101—102.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 17.

საბუთი პირველად დაიბეჭდა შ. მესხიას წიგნში „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის“, გვ. 102.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 18

